

შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის  
დეკანთამენტი

*შრომების კრებული*

# საისტორიო მაცნე

XVIII

გამომცემლობა  
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“  
ბათუმი - 2009

9 (C41) (06)  
ს 187

„საისტორიო მაცნე“ გამომცემის 1995 წლიდან

**მთავარი რედაქტორი:**  
*კახაბერ სურგულაძე*

**ტომის რედაქტორი:**  
*ირაკლი მანველიძე*

**სარედაქციო საბჭო:**

*ამირან კახიძე, ბიჭიკო ღიასაძიძე, ტარიელ ჭი-  
ღვარია (ქუთაისი), ქეთევან ჯიჯეიშვილი (თბი-  
ლისი), თენგიზ გრიგოლია (თბილისი), ვაჟა შუ-  
ბითიძე (თბილისი), მალხაზ სილორძიძე, ჯემალ  
კარაღიძე, ეთერ ბერიძე, თამაზ ფუტყარაძე, მე-  
რაბ მეგრელიშვილი, მანუჩარ ლორია, ნუგზარ  
ზოსიძე, ელზა ფუტყარაძე (პასუხისმგებელი  
მდივანი)*

ISSN 1987-5886

© ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

მისამართი:

საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის 35, უნივერსიტეტის I კორპუსი,  
ისტორიის არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტი №47.

© გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

**Shota Rustaveli State University**

**The Faculty of Humanitarian Sciences**

*DEPARTMENT OF HISTORY, ARCHAEOLOGY  
AND ETHNOLOGY*

# **SAISTORIO MATSNE**

**XVIII**

**PROCEEDINGS**

**Publishing House „Shota Rustaveli Sate university”**

Batumi  
2009

9 (C41) (06)  
b 187

**Issued since 1995**

**Editor-in-chief:**

*Kakhaber Surguladze*

**Editor volume:**

*Irakli Manvelidze*

**Editorial Board:**

*Amiran kaxidze, Bidchiko Diasamidze, Tariel Chigvaria (Kutaisi), Ketevan Djidjeishvili (Tbilisi), Vaja Shubitidze (Tbilisi), Tengiz Grigolia (Tbilisi), Malxaz Sioridze, Tanaz Futkaradze, Eter Beridze, Merab Megrelishvili, Jemal Karalidze, Nugzar Zosidze, Elza Futkaradze (Secretary)*

**ISSN 1987-5886**

© The Department of History, Archaeology and Ethnology

Address: 147, The Department of History, Archaeology and Ethnology,  
Shota Rustaveli State University, 35 Ninoshvili Street, Batumi, Georgia,

© Publishing House „Shota Rustaveli Sate university”

# ი ს ტ ო რ ი ა

## კახაბერ სურგულაძე

### ციცერონი და ანტონიუსი

კეისარის მკვლელობის შემდეგ ძვ.წ. 44-43 წლებში რომში განვითარებული მოვლენებიდან ყველაზე დრამატული იყო ცი-ცერონის და ანტონიუსის შორის დაპირისპირება.

კეისრის სიკვდილმა რომში გამოიწვია პოლიტიკურ ძალთა პოლარიზება. რომის საზოგადოება დაიყო ტრადიციული რესპუბლიკისა და კეისრის პროგრამის მომხრეებად. რესპუბლიკურ ფრთას განასახიერებდნენ ციცერონი ბრუტუსი და კასიუსი. კეისარიანელებისას კი - უახლოესი თანამებრძოლები ანტონიუსი, ლეპიდუსი და კეისრის შვილობილი ოქტავიანე.

საერთოდ კეისრის მკვლელობა მოულოდნელი დარჩა მარკუს ანტონიუსისათვის (83-30). იგი არა მარტო მისი პირადი მეგობარი და მრავალი ბრძოლის ერთად გადამხდელი იყო, არამედ ყოვლისშემძლე დიქტატორის ნებით აღზევებული მაღალი თანამდებობის მოხელეც. მან ვერ დაიცვა მფარველის სიცოცხლე. ის კი არა და ტრაგედიის შემდეგ ანტონიუსი მონის ტანსაცმელში გამოწყობილი მიიმალა. საერთოდ, იგი სიცოცხლეს ბრუტუსს უნდა უმადლოდეს [Plut., Brut., XVIII]. მაშინ იყო, რომ „მეოცნებე ფილოსოფოსმა“ მარკუს ბრუტუსმა დაუშვებლად მიიჩნია ბრადლების გარეშე მისი დასჯა (2,1983\*125). ანტონიუსი მხოლოდ 17 მარტს გამოჩნდა და ისიც, როდესაც დარწმუნდა, რომ შეთქმულები არაეის ერჩოდნენ.

ასეთ მღვლეარე წუთებში გაიმართა სენატის სხდომა. მას დაესწრო თითქმის ყველა სენატორი. იქ იყო კეისრის მომხრეები, ანტონიუსის მხარდამჭერები, დიქტატორის მკვლელები და გაურკვეველი მრწამსის მქონენიც. სხდომაზე ანტონიუსმა, რომელიც იმუამად კონსული იყო, მაშასადამე, იურიდიულად ქვეყნის პირველი პირი, სენატორებს შესთავაზა დაევიწყებინათ წარსულიში, რადგან კეისრის ტირანად აღიარება მთელი მისი

კანონმდებლობისა და ორგანიზაციული გადაწყვეტილებების უარყოფა იქნებოდა. ანალოგიური აზრი უფრო გაბედულად განავითარა ციცერონმა. მან პირდაპირ განუცხადა სენატორებს: მე გთავაზობთ შევინარჩუნოთ კეისრის გადაწყვეტილებანი, იმიტომ კი არა, რომ ვიწონებ მათ, არამედ იმიტომ, რომ ყველაზე მაღლა ვაყენებ მშვიდობას (Cic., Phil., I, VII, 16).

ციცერონის სიტყვები დამსწრეთათვის მოულოდნელი აღმოჩნდა, მაგრამ ნათელი იყო, რომ ორატორი არა მარტო ქვეყანაში არსებულ რეალობას უწევდა ანგარიშს. მისი აზრით, საყოველთაო თანხმობისათვის უნდა შევინარჩუნოთ არა მარტო კეისრის დროს მიღებული კანონები, არამედ ისინიც, რომლებსაც გეთავაზობენ მისი სიკვდილის შემდეგაც (Cic., Phil., I, IX, 23).

ხანგრძლივი კამათის შემდეგ სენატმა მიიღო ციცერონის კომპრომისული წინადადება და კეისრის ყველა დადგენილება ძალაში დატოვეს. მკვლევები იურიდიულად კი აღიარეს დამნაშავედ, მაგრამ მათ მაშინვე გამოუცხადეს ამინისტია [7,1990:31]. ეს იმას ნიშნავდა, რომ რესპუბლიკელები და მონარქისტები ერთმანეთში მორიგდნენ. მიღებული გადაწყვეტილებით კმაყოფილი ციცერონი იტყვის: „ხევსის ტაძარში ჩავდე მშვიდობის საფუძველი“ (Cic., Phil., I, I, 1).

20 მარტს კეისრის ცხედარი დიდი პატივით დაწვეს ფორუმზე. ანტონიუსი იქაც უფროსობდა, სიტყვითაც გამოვიდა და თან კეისრის „სისხლით მოთხვრილ და მახვილებით დაფლეთილ ტანსაცმელს აფრიალებდა“. კეისრის მეგობრებიც „მის გარშემო დაირაზმნენ“, რადგან ჩანდა, რომ ყველა მას მიიხნევდა მემკვიდრედ, თუმცა პლუტარქე მას „თვითმარქვია მმართველად“ უწოდებდა (Plut., Ant., XIV-XV).

საგულისხმოა, რომ კეისრის ნეშტის კრემაციის ადგილზე მოეწყო სამსხვერპლო, სადაც იკრიბებოდნენ რომაელი მოქალაქეები. შეკრებებს ხელმძღვანელობდა ვინმე ბერძენი გეროფილე. იგი შეეცადა ეცნოთ ლეგენდარული მარიუსის შვილიშვილად, რისთვისაც თავის დროზე შუამდგომლობაც აღძრა ჯერ კეისრის, შემდეგ ოქტავიანეს და ბოლოს თვით ცი-

ცერონის წინაშეც (Cic., Att., XII, 49, 2). 12 აპრილს, ანტონიუსის ბრძანებით, გეროფილი შეიპყრეს და დასაჯეს. ციცერონი ამ ფაქტს კმაყოფილებით შეხვდა.

გეროფილეს დასჯამ კიდევ უფრო გაართულა ვითარება რომში. მისმა მომხრეებმა დაიკავეს ფორუმი, ანტონიუსს იგნორირება გაუკეთეს და მაგისტრატებისაგან მოითხოვეს კეისრის სახელზე მსხვერპლშეწირვის ჩატარება (Ibid.). ნათელი გახდა, რომ მღელვარებამ რელიგიური შეფერილობაც მიიღო. სიტუაცია კონტროლს სცილდებოდა. აქ ციცერონი კარდინალური მოქმედების მომხრეც გამოდის. ამასთან დაკავშირებით იგი მეგობარს წერდა: „, ანტონიუსს. რომ ეგრძნოს სწორი გზის დანახვის აუცილებლობა, მაშინ აზატების შეთქმულებას ადვილად ჩაახშობდაო“ (Cic., Att., XIV, 5, 1).

სახელისუფლო კრიზისი რომში კიდევ უფრო ღრმავდებოდა. ასეთ ვითარებაში, ანტონიუსმა ლეგიონერებით მოახერხა სიტუაციის განმუხტვა, ხოლო „, საბოლოო წერტილი დოლაბელამ დაუსვა“ (Cic., Fam., IX, 14, 1) [3,1949:128].

ამის მიუხედავად, ქვეყანაში დაყაბულობა არ გამქრალა. კეისრის ანდერძის მიხედვით მემკვიდრე ოქტავიანე იყო, მაგრამ რეალურ ძალაუფლებას ანტონიუსი ფლობდა. ეს მით უფრო იგრძნობოდა, რომ ხაზინა და კეისრის ჩანაწერები ანტონიუსის ხელთ რჩებოდა.

ჩანს, ანტონიუსი ოცნებობდა კეისრის მემკვიდრეობაზე. თითქოს ამას კარნახობდა კეისრის გვერდით განვლილი გზა და მისდამი პირადი ნდობა, 54 წლიდან იგი საბოლოოდ მიემხრო კეისარს. მართალია, კეისარი არ იზიარებდა ანტონიუსის ცხოვრების წესს, მაგრამ არ ავიწ'დებოდა ფარსალოსის გამარჯვებაში მის გადამწყვეტი როლი. ამასთან, პირდაპირობით ანტონიუსი პოპულარული იყო არმიაში.

არადა აშკარად ჩანდა, რომ ანტონიუსი დიდი პოლიტიკოსათვის არ იყო დაბადებული. კეისრის გვერდით ხანგრძლივად ყოფნის მიუხედავად, მას არ ჰქონდა არანაირი პოლიტიკური შედეგის წინასწარ შეცნობის უნარი. დასაწყისში ანტონიუსმა თითქოს სწორი გათვლები გააკეთა: გეროფილეს მო-

შორებით იგი სენატის ზომიერ ფრთას დაუახლოვდა, კონტაქტები გააბა მარკუს ბრუტუსთან და გაიუს კასიუსთან (Cic., Fam., XI, 2, 1). მანვე თბილი წერილი გაუგზავნა სენატის ყველაზე გავლენიან პირს - ციცერონს და თხოვა კლოდიუსის ვაჟის, იგივე თავისი გერის - სექსტუსისადმი კეთილგანწყობა (Cic., Att., XIV, 13a, 2). ამ საკითხში ციცერონმა დათმობა ამცობინა. კიდევ იტყვის: „მე არ მქონდა მისდამი განსაკუთრებული ზიზღი“ (Cic., Att., XIV, 13b, 3).

ამის გარდა, ანტონიუსმა მოითხოვა სექსტუს პომპეუსის რეაბილიტაცია, მისი აღმირადად დანიშვნა და 50 მილ. ატიკური დრაჰმის კომპენსაციის მიცემა. სენატის წინააღმდეგობის მიუხედავად ანტონიუსმა მოახერხა მაკედონიის, ხოლო დოლაბელამ სირიის პროვინციების ხელში ჩაგდება. ამ პროვინციებში იყო თავმოყრილი პარტიაზე მიმავალი ჯარი, ხოლო ვისაც ეყოლებოდა არმია, იგი იბატონებდა მოვლენებზეც.

ჩათვალა რა უკვე თავისი მდგომარეობა მყარად, ანტონიუსმა თანდათან შეწყვიტა სენატთან შემრიგებლური პოზიციის თამაში და შეტევაზე გადავიდა. ჯერ იყო და მასთან დაიწყეს, რომში დარჩენილი ხორბლის მიზიდვა (Cic., Att., XIV, 3, 1), შემდეგ მაისს-ივნისის თვეში დაიწყო ვეტერანების თავმოყრა რომში (Cic., Fam., XI, 2, 1-2). ესეც არ იკმარა და სენატს მოთხოვა დეციმუს ბრუტუსისათვის მიკუთვნებული ციხაღპური გალიის მისთვის გადმოცემა.

თავისი შეხედულებით ანტონიუსმა ასევე დანიშნა „უმაღლეს თანამდებობებზე“, ბევრიც სენატორთა წოდებაშიც აამაღლა. თვითნებურად რომის მოქალაქეობა მიანიჭა სიცილიას (Cic., Att., XIV, 12, 1). თავის უფლებებში აღადგინა კეისრის მიერ შერისხული გალატიის მეფე დეოტარუსი (Cic., Phil., II, XXXVII, 93-96). ციცერონის შენიშვნით მარტო კანონდარდვევის 600 ფაქტი ყოფილა (Cic., Att., XIV, 12, 1). ქრთამის აღებაში ყველაზე მეტად ანტონიუსის ცოლი, ფულვია აქტიურობდა (Cic., Att., XIV, 12, 1). არადა, ანტონიუსის განცხადებით, „ასეთი იყო კეისრის ნება“.



მკვლელობიდან ერთი თვის თავზე ციცერონი მეგობარს წერდა: ჩვენ ვემორჩილებით იმის (კეისარი - კ.ს) ჩანაწერებს, ვისი მონებიც ჩვენ არ გავმხდარვართ (Cic., Att., XIV, 14, 2). ორატორის შენიშვნით: ტირანია კი დაეცა, მაგრამ ტირანია ისევ ცოცხლობს (Cic., Att., XIV, 9, 2). მის განწყობას ისიც აძლიერებდა, რომ თავის დროზე ანტონიუსი კლოდიუსის თანამზრახველიც იყო (Plut., Ant., II).

ასეთ ფონზე, არავინ უწყობდა როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რომ არა ოქტავიანე. მისმა გამონემა პოლიტიკურ არენაზე კეისარიანელები ორ ბანაკად გათიშა. არადა, რომში მიმდინარე მოვლენები ჯერ კიდევ ითხოვდა მათ ერთიანობას.

საერთოდ, ოქტავიანეს მართლაც, რომ შესანიშნავი გარემო დახვდა პოლიტიკური დებიუტისათვის. „„გამანთავისუფლებლები“ იხოლაციაში აღმოჩნდნენ, ხოლო ანტონიუსი კეისარიანელების და სენატის თვალში კომპრომეტირებული. ასეთ ფონზე, ოქტავიანეს უკვე განსაზღვრული ჰქონდა პირველი ნაბიჯები. ანტონიუსი ნებისმიერ წამოწყებაში ოქტავიანეს ყოველნაირად ამცირებდა. ოქტავიანეს ტრიბუნობა უნდოდა, ანტონიუსმა ჩაუშალა. ფორუმზე მამის ოქროს სავარძლის გამოდგმა სურდა, ისიც ანტონიუსმა აუკრძალა და დაპატიმრებითაც დაემუქრა. ასეთ ვითარებაში იგი თანდათან დაუახლოვდა ციცერონს (მამას ებახდა) და დაიწყო ხალხის შემოკრება და მომხრეების გამრავლება, განსაკუთრებით სენატის გადაბირება, რომელიც ანტონიუსს არ ნდობდა. სრულიად ახალგაზრდა ოქტავიანემ საკმაო ეშმაკობა გამოიჩინა. შენიღბა თავისი ზრახვა-მისწრაფება და ყველას, მათ შორის ციცერონსაც, რესპუბლიკისათვის მებრძოლად მოაჩვენა თავი. „„ოქტავიანე ძალიან მოწიწებით და მეგობრულად მეპყრობა“ - წერდა ციცერონი (Cic., Att., XIV, 12, 2).

ოქტავიანეს ოჯახი ციცერონის ნაცნობთა წრეს ეკუთვნოდა. უფრო სწორად, ციცერონი იცნობდა მის მამინაცვალს - ლუციუს ფილიპეს და ცოლის ძმას - მარცელუსს. შ.მონტესკიე შენიშნავდა, რომ ციცერონმა პირადი მტრის ანტონიუს-

სის დაღუპვის მიზნით მიიღო მცდარი გადაწყვეტილება - ხელი შეუწყო ოქტავიანეს აღმასვლას. იმის მაგივრად, რომ კეისარი დაევიწყებინა ხალხისათვის, ამ ნაბიჯით იგი ყოველ წუთში მათ მის სახელს ახსენებდა [4,1955:100].

მაშ, დარწმუნდა რა სენატური ოპოზიციის უპერსპექტივობაში ციცერონი, რომელსაც ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა სენატში და „იმორჩილებდა ყველას ვისაც მოისურვებდა“ (პლუტ., ციცერონი, 45), ერთობ თამამი გეგმა წამოაყენა - ოქტავიანეს გამოყენება ანტონიუსის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამით უნდა მომხდარიყო არა მარტო კეისარიანელთა საბოლოო გათიშვა, არამედ მათი გამოყენება ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხადია, „სიტყვიერ ბრძოლას იგი ჩაუდგებოდა სათავეში, ხოლო შეიარაღებულს - ოქტავიანე. მაშასადამე, ციცერონი იქნებოდა პოლიტიკური, ხოლო ოქტავიანე სამხედრო ბელადი [5,1997:164]. ამიერიდან ოქტავიანე მისთვის გახდა Divinus adolescens (Cic., Phil., V, XVI, 43). თუ ადრე ციცერონი თანახმა იყო დოლაბელას ლეგატობას (Cic., Att., XV, 14, 4), ამჯერად იგი ტოვებს ყველაფერს, სიძეც მისთვის არაკანონიერად არჩეული კონსულიც ხდება (Cic., Phil., II, XXXIII, 84), 31 აგვისტოს ბრუნდება რომში და სენატში მძლავრი ოპოზიციის ხელმძღვანელი გახდა, რომელიც დაუპირისპირდა ანტონიუსს და საერთოდ კეისარიანელებს.

საერთოდ ციცერონი ხშირად აღწევდა ადვილ და სწრაფ გამარჯვებებს. ასე იყო მაგ., ვერესის ანდა კატილინას შემთხვევაში. კლოდიუსთან მან ეს მიაღწია უდიდესი ბრძოლით. მარცხიც კი განიცადა კეისართან, მაგრამ შეინარჩუნა მთავარი - ღირსება. მხოლოდ მარკუს ანტონიუსთან მისმა ჭიდილმა მიიღო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის სახე [1,2002:133].

ციცერონი მარკუს ანტონიუსზე 23 წლით იყო უფროსი. ანტონიუსების ოჯახთან ორატორის ურთიერთობა 64 წლიდან, საკონსულო არჩევნებიდან დაიწყო. მაშინ მარკუს ანტონიუსის ბიძა - გაიუსი იყო ციცერონის მოწინააღმდეგე, ხოლო შემდეგ კი თანაკონსული. გაიუს ანტონიუსი ოდიოზური ფიგურა გახლ-

დათ. ჯერ სულანელი, შემდეგ კი კატილინარელი. ციცერონს კი შეეძლო მისი გაფუჭება, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია და იგი 59 წელს კიდევ დაიცვა სასამართლოში. სხვათა შორის, კატილინარელთა შეთქმულებაში მონაწილეობისათვის 63 წელს დასაჯეს მარკუს ანტონიუსის მამობილი – ლენტულუსი, მაშინ დედამ – იულიამ ციცერონის ცოლს – ტერენციას დახმარება სთხოვა, მაგრამ უშედეგოდ. ლენტულუსის დასჯა ანტონიუსისათვის დიდი დალი იყო. ამიერიდან მის შეგნებაში ჩაინერგა ციცერონისადმი სამუდამოდ სიძულვილი [1,2002:138].

50-იან წლებში ანტონიუსი მცირე ხნით კლოდიუსელია, მაგრამ მალევე დგება იგი მილონის მხარეზე. 53 წელს კეისრის მითითებით ანტონიუსი ციცერონის სასარგებლოდ უარს ამბობდა ავურობაზე და სანაცვლოდ მისგან მიიღო მხარდაჭერა კვესტორობაში. სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ანტონიუსი იყო იტალიის ბატონ-პატრონი, მან ვერ გაბედა ციცერონზე ხელის ხლება, რადგანაც იგი კეისარს სჭირდებოდა (Cic., Phil., II, III, 5). 47 წელს ანტონიუსი დაქორწინდა კატილინას ნაცოლარზე – ფულვიაზე. უკვე ფულვიას და ანტონიუსს გაუჩნდათ საერთო სიძულვილი ციცერონისადმი (1,2002:151).

ციცერონის აფეთქება და მისი კარდინალური შემობრუნება დააჩქარა სენატის 1 სექტემბრის სხდომამ. მაშინ განიხილეს ანტონიუსის წინადადება კეისრის დღის დაწესების შესახებ, რითაც დასრულდებოდა დიქტატორის გაღმერთების პროცედურა.

სხდომას არ დაესწრო ციცერონი. ამის გამო, ანტონიუსი მას თავს დაესხა და იგი რამდენიმე მკვლელობაში დაადანაშაულა. ბრალდება ძალზე მძიმე იყო – იგი ეჭვის ქვეშ აყენებდა ციცერონის მთელ პოლიტიკურ რეპუტაციას. მაშასადამე, დადგა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი [5,1997:189], ამიტომ მერვე დღეს, ციცერონმა საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სენატში. ამჯერად „ავადმყოფობის“ მოტივით სხდომას არ ესწრებოდა ანტონიუსი. ეს იყო მისი პირველი „ფილიპიკა“ რომელშიც ავტორმა თავიც დაიცვა და ნართაული მწარე სიტყვე-

ბით ანტონიუსს და კეისარიანელებს რესპუბლიკის დაღუპვაში დასდო ბრალი.

19 სექტემბერს ანტონიუსი ისევ გამოვიდა სენატში და იმის მიუხედავად, რომ ციცერონი იქ არ იმყოფებოდა, ვრცლად ილაპარაკა მისი, პომპეუსისა და რესპუბლიკელების დანაშაულებრივ კავშირზე. შემდეგში ციცერონი იტყვის, რომ „ანტონიუსმა გადაწყვიტა ხოცვა ჩემგან დაიწყოს“ (Cic., Fam., XII, 2, 1). 28 ნოემბერს ციცერონმა გამოაქვეყნა საპასუხო პამფლეტი, ე.წ. მეორე „ფილიპიკა“, რომელშიც მან ანტონიუსი დაადანაშაულა ყველა მიწიერ ცოდვაში, ხოლო სენატორებს მათ მორალურ თუ ზნეობრივ ასპექტებზე გაუმახვილა ყურადღება.

ციცერონის სიტყვით: ანტონიუსი მორალურად გახრწნილი პიროვნებაა (Cic., Phil., II, XVIII, 44); ორპირი და მატყუარა, რომელიც კეისრის ჩანაწერების გაყალბებით ეწვეა „უბინყურეს ვაჭრობას“ (Cic., Phil., II, XVII, 43). ანტონიუსი ქურდია. თუ არა კეისრის სიკვდილი, რით შეძლებდა იგი ვალებიდან ამოსვლას? (Cic., Phil., II, XIV, 35; XXXVII, 93). ამასთან, მან მისი-აკუთრა პომპეუსის ქონება (Cic., Phil., V, VI, 15). ანტონიუსი მეგობრისა და მწყალობლის მოღალატეცაა. მისი მოგზავნილი კაცი მახვილით ხელში დააკავეს კეისრის სახელში. ამის გამო ამ უკანასკნელმა საჩივარი შეიტანა სენატში, რითაც „ღიად და მკვეთრად“ დაუპირისპირდა ანტონიუსს (Cic., Phil., II, XXIX, 74).

ანტონიუსი მკვლელიცაა (Cic., Phil., II, XXIX, 71) და კლოდიუსის „ანთებული ჩირაღდანი“ მის მიერ გაჩაღებული ყველა ხანძრის დროს. დაბოლოს, ანტონიუსი უდიდესი დამნაშავეა რომის ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე, რადგან მან „ერთადერთმა შეუწყო ხელი მეფის ხელისუფლების დამყარებას“ და „რა სამარცხვინოა, ცოცხალი იყოს ის, ვინც ახურავს დიადემას (მეფისას - კ.ს.), ხოლო მოკლულია, როგორც ყველა აღიარებს ის, ვინც მას უარყოფდა. ოპონენტის კიდევ უფრო დამცირების მიზნით, ციცერონმა ანტონიუსი კატილინას და სპარტაკის განსახიერებად ჩათვალა (Cic., Phil., IV, VI,

15) და გლადიატორადაც მოიხსენია (Cic., Fam., XII, 2, 1).

საბოლოოდ, აჯამებდა რა თავის გამოსვლას ანტონიუსის წინააღმდეგ, ციცერონი დასძენდა: ანტონიუსის მმართველობა „არაფრით არ შეიძლება არც მისი ცხოვრების წესით და არც სახელმწიფოს მართვის მისი მეთოდით“ (Cic., Phil., II, V, 1).

„ფილიპიკებში“ წამოყენებული ბრალდებები, ერთი შეხედვით, თითქოს პირადი ხასიათის იყო, მაგრამ მათ აშკარად საზოგადოებრივი უღერადობა ჰქონდათ - მათში გაცხადდა რესპუბლიკელთა და კეისარიანელთა ბრძოლის პერიპეტები. ამიერიდან, ანტონიუსის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე ციცერონმა ითავა. მან იცოდა, „ვინც გაანადგურებდა ანტონიუსს, ის კიდევ დაასრულებდა ომს“ (Cic., Fam., X, 13, 2; XI, 12, 2).

44 წლის 28 ნოემბრის სენატის სხდომაზე ანტონიუსმა მოითხოვა ციხალპიური და ტრანსალპიური გალიის პროვინციები. მან შეძლო საკითხის მის სასარგებლოდ გადაწყვეტა. სენატის ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა ბრუტუსი. მაშინ ანტონიუსი იარაღით შეეცადა მის დაუფლებას და ჯარით წავიდა. ანტონიუსის ეს მოქმედება ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, როგორც ახალი სამოქალაქო ომის დასაწყისად, ხოლო 20 დეკემბერს წარმოთქმული III ფილიპიკათი კი ციცერონი ამ ომის სულისჩამდგმელი.

უკვე ანტონიუსთან ომს ციცერონი თვლიდა შეთქმულთა დაწყებული საქმის ლოგიკურ დასრულებას. არაერთხელ კიდევ უთქვამს: „ხე მოჭრილია, მაგრამ არა ამოძირკვეული“ (Cic., Att., XV, 4, 2). მთელი თავისი მჭერმეტყველური ოსტატობის მიუხედავად ციცერონმა მიზანს ვერ მიაღწია - სენატმა ანტონიუსი სახელმწიფო მტრად არ გამოაჯახადა.

43 წლის 1-3 იანვრის მოვლენებით ციცერონი სენატში გამოვიდა 5 ფილიპიკათი. მან ვერც ამჯერად მიაღწია სასურველო მიზანს, თუმცა მისი არგუმენტები კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდა.

იანვარში დაიწყო ომი მუტინასთან. უფრო სწორად ანტონიუსმა ალფა შემოარტყა ქალაქს, რომელშიც დეციმუს ბრუტუსი იყო გამაგრებული. ციცერონი დიდ იმედებს ამყარებდა ბრუტუსზე. კიდევ წერდა: თუ ის გადარჩება ჩვენ გავიმარჯვებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი დაკარგულია (Cic., Fam., XIII, 6, 2). მან კარგად იჯოდა, რომ ომს დაასრულებდა ისც ვინც მოსპობდა ანტონიუსს (Cic., Fam., XI, 12, 2). პარალელურად ანტონიუსის წინააღმდეგ საომარი ოპერაციები დაიწვეს კონსულმა - ჰირციუსმა და ოქტავიანემ. გენერალური ბრძოლა გაიმართა 21 აპრილს. ორმაგ დარტყმაში მოქცეული ანტონიუსმა დამარცხდა და თავშესაფარი ნარბონის გალიაში - ლეპიდუსთან ჰპოვა.

29 მაისს ანტონიუსი და ლეპიდუსი გაერთიანდა, რაც ყველასათვის მოულოდნელი დარჩა (Cic., Brut., I, 2, 1; Fam., XII, 9, 2). ყოფილი კეისარიანელების გაერთიანება უკვე დიდი ძალა იყო. ასეთ ფონზე, ციცერონის მოთხოვნით იენისში სენატმა ლეპიდუსი სამშობლოს მტრად გამოაცხადა (Cic., Fam., XII, 10, 1). ასევე ომის შემდგომი წარმოებისათვის დაწესდა 1% ყოველთვიური ქონების გადასახადი, რამაც რომაული ელიტის უკმაყოფილება გამოიწვია (Cic., Brut., I, 18, 5).

ანტონიუს-ლეპიდუსის კოლიციას 43 წლის ნოემბერში, ბონონიაში (დღევანდელი ბოლონია) შეუერთდა ოქტავიანეც. მოლაპარაკების შედეგად შეიქმნა მეორე ტრიუმვირატი. „დიდი სამეული“ შეთანხმდა სულას დროინდელი პროსკრიპციების პრაქტიკის აღდგენაზე. ტრიუმვირებს ფული სჭირდებოდათ და ამიტომ პროსკრიპცირებულნი აღმოჩნდნენ რომისა და პროვინციის უმდიდრესი ადამიანები, სულ 300 სენატორი და 2000-ზე მეტი მხედარი (პლუტ., ციცერონი, 46). სიაში აღმოჩნდა ციცერონიც.

პროსკრიპციების გამოცხადებისას ციცერონი ძმასთან ერთად რომის მახლობლად საკუთარ მამულში - ტუსკულანუმში იმყოფებოდა. მან დაიტერა ქვეყნის ბედი და საკუთარი თავიც ,,უფრო ძლიერად და ხანგრძლივად, ვიდრე დედამ

თავისი ერთადერთი შვილი” (Cic., Fam., IX, 20, 3). ეს იმიტომ, რომ სახელმწიფო უკვდავი რომ ეგონა, თურმე ერთი კაცის სუნთქვაზე ყოფილა დამოკიდებული (Cic., Pro Marc., VII, 22).

43 წლის 7 დეკემბერი სახელოვანი ორატორი და „უკანასკნელი რესპუბლიკელი“ შეუბრალვებლად დააკლეს ტახტრევანს.

ციცერონს მოკვეთეს თავი, აგრეთვე მარჯვენა ხელიც და რომში წაუღეს ანტონიუსს. მათ დანახვაზე მანაც გახარებულმა შესძახა: „ახლა კი დასრულდა პროსკრიპციებიო“ და ბრძანა მოკვეთილი ნაწილების ფორუმზე დაეწყოთ.

ციცერონი სიკვდილმა შემდგომში ლიტერატურული მითოსის სახეც მიიღო. აბსოლუტურად ყველა მწერალი, რომელიც ამ აქტს შეეხო იყო ერთსულოვანი, რომ დიდი რომაელი დაიღუპა გმირული სიკვდილით. თუ ორატორის ცხოვრების სხვა ეპიზოდები მაინც იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას, მას მიაწერდნენ ეგოიზმს. არათანმიმდევრულობას და ა.შ. ამჯერად ყველა ერთსულოვანი იყო, რომ სიკვდილის წინ, როგორც გმირს შეენოდა, დიდი რომაელი იქცეოდა ბრწყინვალედ - გულგრილად მიუშვირა მკვლევებს კისერი.

ასე, 64 წლის ასაკში, დაასრულა სიცოცხლე ანტიკური ეპოქის დიდმა მოღვაწემ და მოაზროვნემ. განგებამ ისე ინება, რომ ციცერონი დარჩა რესპუბლიკის დამცველი „უკანასკნელი ლომი“. მისი სიკვდილით დამთავრდა რომში რესპუბლიკური ოპოზიციის არსებობა.

## Kahaber Surguladze

### Cicero and Antonius

#### Summary

From the events developed in Rome after murder of Caesar in 44-43 B.C, opposition of Cicero and Antonius was the most dramatic.

For Cicero Antonius was the tyrant. Therefore for its defeat it has put forward the utopian plan – Oktavius would become the head of army, and Cicero – the political leader. Unfortunately, its plan could not come true. Cicero became a victim Proscription. With his death the republican opposition has in essence disappeared also.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Белкин М., Цицерон и Марк Антоний: истоки конфликта. Мнемон, под ред. Э.Фролова, СПб., 2002.
2. Борухович В., После мартовских ид 44 г. до н.э., Античный мир и археология, Вып. 5, Саратов, 1983.
3. Машкин Н., Принципат Августа, М/Л.
4. Монтескье Ш., Избранные произведения, М., 1955 .
5. Утченко С., Зловещий сон жены Юлия Цезаря, с. 9-98. Тайны политических убийств, Сост. и авт. вступ. ст. В.Вольский, Ростов-на/Дону, 1997 .
6. Утченко С., Трактат Цицерона «об обязанностях» и образ идеального гражданина, с. 159-174. Цицерон, О страсти. О дружбе. Об обязанностях, Изд. подготовили В.Горенштейн, М. Грабарь-Пассек и С.Утченко, М., 1974 .
7. Шифмар И., Цезарь Август, Л., 1990.



**განმათავისუფლებელი კომიტეტის ხელვა აჭარის  
სტატუსის შესახებ 1918-1921 წწ.**

აჭარის პოლიტიკური სტატუსის ისტორიული ასპექტების კვლევისას მნიშვნელოვანია გაირკვეს ორგანიზაცია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის დამოკიდებულება რეგიონის განსაკუთრებული სტატუსით მოწყობის პრობლემისადმი.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია აზრი, რომ რეგიონის ავტონომიის წინ წამოწევა მოხდა ე.წ. „ოსმალური ავტონომიის“ მოდელის საწინააღმდეგოდ, რომელიც ოსმალეთის ხელისუფლებამ 1918 წლის ბოლოსათვის შესთავაზა რეგიონს (მ. ჩაველიშვილი, ნ. ზოსიძე, აბ. სურგულაძე, შ. ვადაჭკორია, ხ. ახვლედიანი, ო. თურმანიძე, უ. ოქროპირიძე და ა.შ.). თუმცა რეგიონის განსაკუთრებული სტატუსით მოწყობისადმი განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრთა ხელვა გაცილებით ადრე იწყება.

განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრები რეგიონის განსაკუთრებული თავისებურებების და მისგან გამოწვეული სხვადასხვა წინააღმდეგობების დაძლევის საშუალებას, ასევე რეგიონის შემდგომ განვითარებასა და საქართველოსთან ინტეგრაციას, ავტონომიას უკავშირებდნენ.

1921 წლის იანვარში მ. აბაშიძე აფასებდა რა მათ მოღვაწეობას, აღნიშნავდა: „...რუსეთის თვითმკვრობელობამ თანდათან დასვა საკითხი ჩვენი ეროვნული განვითარებისა და განთავისუფლებისა. ამას ისწრაფვოდა და ამაზე ოცნებობდა ყოველი ის შეგნებული ქართველი მუსლიმანი, რომელიც ხედავდა ჩვენი კუთხისა და ჩვენი ხალხის განვითარებასა და კეთილ ცხოვრებას მხოლოდ ეროვნულ გზაზე, იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებოდით, რუსეთის ძველი რეჟიმის დროს არ გვაძლევდა საშუალებას რევოლუციურ და ორგანიზაციულ მუშაობაზე“ (აბაშიძე, 1998:163). აქედან ნათლად ჩანს, რომ ბათუმში

თვითმპყრობელობის დროს უკვე დაწყებულია ფიქრი რეგიონის მომავალ განვითარებაზე, თუმცა აქტიურ მოქმედებებს მაშინ არსებული რეჟიმი აფერხებდა.

რუსეთში მომხდარმა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ბათუმშიც მისცა ბიძგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის გააქტიურებას. მ. აბაშიძე მიუთითებს: „რუსეთის დიდმა რევოლუციამ გვარგუნა როგორც ჩვენ აგრეთვე ყველა ერებს, თავისი ეროვნული თვითგამორკვევის უფლება. ამ სარგებლით ჩვენ შევუდექით თავის მუშაობას. ამას მივეცი თუფრო ფართო ორგანიზაციული და ხალხური ხასიათი. ამ მიზნით დავაარსეთ ჩვენ ბათუმის და მისი ოლქის ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი და აგრეთვე, ქართველ მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოება. თანდათან ჩვენ მუშაობას მიეცა პარტიული ხასიათი. ძირითადი აზრი, იდეა ჩვენი მოღვაწეობისა შედგებოდა ორი მუხლისაგან: პირველი იყო..... საქართველოს მთლიანობა და მეორე – სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია.

ამ ორი აზრის ირგვლივ იყო გაცხარებული ჩვენი მუშაობა და ეს მუშობა გრძელდებოდა იქამდე, სანამ ბათუმში და მისი ოლქი არ იყო დაპყრობილი ოსმალეთის მიერ....რომელმაც ბოლო მოუღო ჩვენს ორგანიზაციულ მუშაობას...“ (აბაშიძე, 1998:163). რეგიონის პოლიტიკური ძალების მოქმედებას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ „სამუსლიმანო საქართველოს სინამდვილეში, რევოლუციური ბრძოლის განვითარების სოციალური, ეროვნული და რევოლუციური მომენტები ისტორიული აუცილებლობით გადაენასკვა ერთმანეთს, ვინაიდან ეს მომენტები თვით ადგილობრივი ობიექტურ-სუბიექტური პირობების სიღრმიდან იყო ამოტივტივებული ცხოვრების ზედაპირზე“- აღნიშნავდა მ. აბაშიძე (აბაშიძე, 1976:57). რეგიონის თავისებურებები და აქედან გამომდინარე განსაკუთრებული სტატუსის აუცილებლობა მ. აბაშიძისათვის ერთადერთი სწორი გამოსავალი იყო. მისი ხედვიდან ჩანს, რომ საქართველოს სახელმწიფო სულ ცოტა ფედერაციულ საწყისებზე უნდა მოწყობილიყო. ყოველ შემთხვევაში, კანტონური ან ფართო ავტონომიის მოთ-

ხოვნა, რომელსაც განმათავისუფლებელი კომიტეტი ხაზს უსვამდა, იმის მანიშნებელი იყო, რომ მათთვის ქვეყნის სუბიექტებად დაყოფა და თანასწორობა აუცილებელი პირობა უნდა ყოფილიყო. ფედერალიზმი მ. აბაშიძისათვის თავიდანვე მიმზიდველი იყო. ალბათ შემთხვევითიც არ იყო, რომ იგი ფედერალისტურ პარტიაშიც შევიდა: „სოც-ფედერალისტების პროგრამიდან გულწრფელად მიზიდავდა ბრჭყვიალა იდეა ფედერაციისა, ხალხთა ურთიერთთანასწორობის ნიადაგზე, იდეურადაც ამ პარტიას დავუახლოვდი..., შედეგ კი გარემოებათა მიხედვით, ჩემი განსაკუთრებული მდგომარეობით სამუსლიმანო საქართველოში აღარ მქონდა საშუალება ვიწროდ მოვთავსებულიყავი ერთი რომელიმე პოლიტიკური პარტიის პროგრამის ჩარჩოებში...“ (აბაშიძე, 1976:57), ამიტომ მოგვიანებით მას ტოვებს და საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე ფიქრობს. 1917 წელს ჩამოაყალიბა ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი, რომლის ბაზაზე 1918 წლის შუახანებში შეიქმნა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი.

კომიტეტის ჩამოყალიბება დაახქარა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ. 1917 წლის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ რუსეთში კარდინალურად შეცვალა პირველი მსოფლიო ომის და საერთოდ, საერთაშორისო მდგომარეობა. საბჭოთა რუსეთი გამოეთიშა ომის ასპარეზს. რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გაურკვეველი სიტუაცია შეიქმნა. ამიერკავკასია, რომლის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ანტი-ბოლშევიკური ძალების ხელში იყო, არ ცნობდა ბოლშევიკურ კონტრევოლუციას და რუსეთში სიტუაციის მოწესრიგებამდე რეგიონის მართვა ხელში აიღო.

რუსეთის საომარი ასპარეზიდან გამოთიშვის კვალდაკვალ, მდგომარეობა გართულდა კავკასიის ფრონტზე. შექმნილი სიტუაციით ისარგებლა თურქეთმა და 1918 წლის შუახანისათვის თავისი გავლენა აღადგინა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომამდე არსებულ საზღვრებში. ოსმალეთის აგრესიის კვალდაკვალ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გა-

მოცხადდა. ამ დროისათვის მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთის მიერ იყო დაკავებული. მოვლენების ამგვარი განვითარების ფონზე ჩამოყალიბებულ განმათავისუფლებელ კომიტეტს განსაკუთრებული როლი დაეკისრა და მის მიერ რეგიონის განსაკუთრებული სტატუსით მოწოდებამ მეტი აქტუალობა შეიძინა, ვინაიდან შექმნილ ვითარებაში მისი აუცილებლობის დასაბუთებისათვის მოტივების მოძებნა აღარ ჭირდა. ამრიგად, პოლიტიკური სიტუაციის რადიკალურმა ცვლილებამ რეგიონის განსაკუთრებულ სტატუსზე მსჯელობა კიდევ უფრო აქტუალური გახადა. ბათუმში საკითხის გარშემო მსჯელობა უკვე მოთხოვნით შეიცვალა, ხოლო თბილისში კი, საკითხის განსჯა დაიწყო.

1917 წლის ბოლოს სამუსლიმანო საქართველოს პოლიტიკური სტატუსის გარკვევაზე საუბარი თბილისშიც დაიწყო. სავარაუდოდ, ამ საკითხის წამოწევა 1917 წლის ნოემბერში საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე აჭარიდან ჩასულ წარმომადგენლობის (მ. აბაშიძე, კ. აბაშიძე, ჯ. ხიმშიაშვილი და რ. ნიუარაძე) მიერ უნდა მომხდარიყო. რადგან ყრილობის მიერ არჩეულ ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამაჰმადიანო საქართველოს სექციაზე მ. აბაშიძემ აჭარისათვის განსაკუთრებული სტატუსის მიცემა მოითხოვა და კანტონურ მოწოდებაზე გააკეთა მინიშნება. რასაც საბჭოს წევრის გ. გვაზავას მწვავე რეაქცია მოჰყვა: „კანტონური წესწესობილება ესეღავე დაღუპავს მთლიანობის იდეას.“ საპასუხოდ მ. აბაშიძემ აღნიშნა: „სარწმუნოებრივი შეგნება ძლიერია-ეროვნული მკრთალი. აჭარლები ეწვეიან დიდ მუშაობას..., ქართველი მაჰმადიანები უნდა დარწმუნდნენ, რომ შერჩებათ თავიანთი სახე და ამისთანა ნაბიჯი ესეღავე უნდა გადაიდგას. აჭარლებში არის საკუთარი სახელმწიფოს დაარსების იდეა. უნდა მოგვეცეს ჩვენც რაიმე მასალა ხალხისათვის სათქმელი (სცსსა, ფ. 1836. აღწ. 1, ს. 7.ფ. 4-9; სილაგაძე, გურული, 1996: 25)

მ. აბაშიძის კანტონური სისტემის საწინააღმდეგოდ სხდომის მონაწილეთა უმრავლესობამ, სამუსლიმანო საქართველოს თვითმართველობას იდეას დაუჭირა მხარი. თუმცა, კონკრეტუ-

ლი გადაწყვეტილების მიღებას თავი აარიდა და მიღებულ გადაწყვეტილებაში ამ კუთხით მხოლოდ სალოზუნგო-საპროპაგანდო მუშაობას მიანიჭა მნიშვნელობა (იქვე).

1917 წლის ბოლოს, თბილისში, განსაკუთრებული სტატუსის მოწყობაზე მსჯელობა საკითხის დაყენების დონეს არ გაცდენია. როგორც ჩანს თბილისი არ იყო მზად კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად. რასაც მოვლენების ცვალებადი განვითარება განაპირობებდა. 1917 წლის შემდგომ, საქართველოში (და საერთოდ კავკასიაში) მდგომარეობა კარდინალურად იცვლება. 1918 წლის მანძილზე როგორც თბილისში, ასევე, ბათუმში რეგიონის პოლიტიკური სახის გარკვევაზე საკითხის განხილვა ერთგვარად ჩრდილში მოექცა.

1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ოკუპაციის დასრულება და ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების დამყარება კვლავ გაურკვეველს ხდიდა რეგიონის შემდგომი ბედის საკითხს. ასეთ ვითარებაში ანტიქართული ძალების გააქტიურება კიდევ უფრო ამძიმებდა მდგომარეობას, განსაკუთრებით მიძიმე იყო მდგომარეობა ბათუმის ოლქში.

1918 წლის 3 დეკემბერს გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნდა განმათავისუფლებელი კომიტეტის მოწოდება, რომელსაც ხელს აწერდა ორგანიზაციის მთელი შემადგენლობა მ. აბაშიძე, კ. აბაშიძე, ს. დიასამიძე, უ. ქათამაძე, ქ. ნოღაიდელი, ხ. თხილაიშვილი, ა. აბაშიძე. მასში დახასიათებულია რა არსებული მდგომარეობა (მსოფლიო ომის დამთავრება, ოსმალეთის დამარცხება), აღნიშნულია: „...ოსმალეთი ინგრევა, არაბისტანი მოშორდა, თვითონ ოსმალეთი აირ-დაირია..., გურჯებს, მაჰმადიან ქართველებს, თურქებისაგან ხეირი არ აქვთ. ნუ გადავეკიდებით ჩვენს ძმებს, ქრისტიან ქართველებს შევუერთდეთ. მთელი ქართველობა ჩვენ გვაძლევს ფართო ავტონომიას, ყოველივე ჩვენ შინაურ საქმეებს ჩვენ თვითონ მოვაწყობთ. ჩვენი რჯულის საქმეები, ჩვენი მმართველობა ჩვენს ხელთ იქნება, მხოლოდ ქრისტიან ქართველებთან გვექნება საერთო საქმეები (გაზ. „ერთობა“, 1918, №262, 3 დეკემბერი; აბაშიძე, 1976: 26; 113-114).

1919 წლის დასაწყისისათვის განმათავისუფლებელი კომიტეტი სამოქმედოდ თბილისიდან ბათუმში გადადის. ამასთან დაკავშირებით მათ მორიგი მოწოდება გავრცელდა, სადაც მითითებულია: „დადგა დრო, როცა ან სავსებით უნდა დაიღუპოს, ან სავსებით უნდა გაკეთდეს ჩვენი სამშობლოს საქმე. თუ ჩვენ არ გამოვიღვიძებთ, თუ არ შევიგნეთ ჩვენი ინტერესები, თუ არ ვიმოქმედეთ ისე, რაც მოუხდება ჩვენს ხალხს, მაშინ გაუნადგურდებით, გადავშენდებით. მაშინ დავღუპავთ ჩვენს შვილებს, ჩვენს მომავალს. სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მიზანია, რომ თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოს საზღვრებში შექმნას თავისუფალი სამაჰმადიანო საქართველო ფართე ავტონომიურ ნიადაგზე (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №1; აბაშიძე, 1998:147). კომიტეტმა თავისი მიზნის განხორციელებისათვის 1919 წლის იანვარში დაიწყო საკუთარი ორგანოს გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ გამოცემა. ამ საპოლიტიკო, საეკონომიკო და სალიტერატურო გაზეთის სახელად თავდაპირველად „აჭარა“ ყოფილა შერჩეული, მაგრამ შემდეგ, როგორც გაზეთის პირველ ნომერში მოთავსებული რედაქციის შენიშვნიდან („ჩვენი ბოდიში) ჩანს, სამუსლიმანო საქართველოდ შეუცვლიათ (იქვე). გაზეთი 1500-მდე ტირაჟით გამოდიოდა (გაზ. „საქართველო“, 1919, 21 იანვარი, №15; კრებული III, 2002: 9). იგი 1919-1921 წწ. გამოდიოდა ქ. ბათუმში შეპელის ქ. №7. სულ გამოვიდა 500 ნომერი ((1919 წელ— №1-262; 1920 წელს—№163-493; 1921 წელს—№494-500); (ბაქრაძე, 1947: 60). იგი იბეჭდებოდა მოზრდილი ფორმატის ქალაქზე, ოთხ (იშვიათად ორ) გვერდზე, რომელთაგან ორი გვერდი იყო ქართულენოვანი (ქართული შრიფტით) და ორიც თურქულენოვანი (არაბული შრიფტით) (მესხია, 1997: 60). დღემდე ცნობილია ამ გაზეთის 60-მდე ნომერი, მათგან 44 ქართულენოვანი და 16 თურქულენოვანია (კრებული III, 2002: 44). გაზეთის პირველი რედაქტორი იყო თახსინ ხიმშიაშვილი, რომელიც 1919 წლის ივლისში მემედ აბაშიძემ შეცვალა (მესხია, 1997: 63). როგორც გაზეთის პირველივე ნომერში მოთავსებული მ. აბაშიძის წერილიდან ირკვევა, გაზეთის ერთ-ერთ მთავარ მი-

ზანს წარმოადგენდა მოსახლეობისათვის მიეწოდებინა სრული ინფორმაცია აჭარის ავტონომიის შესახებ. კერძოდ, მასში ნათქვამია: რაკი ჩვენი სარწმუნოება და სოციალური ყოფა-ცხოვრება მეორედგან (დანარჩენი საქართველოსგან-ი. მ.) განირჩევა, ჩვენი ქვეყნის (აჭარის-ი. მ.) მთავრობის სახეც სხვა იქნება, რასაც კი საქართველოს საზღვრებში სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომია უზრუნველყოფს. მართალია, ჩვენი ქვეყანა მთელი საქართველოს რესპუბლიკაში შედის, მაგრამ ამავე დროს, იგი თავის შინაურ საქმეებში სრულიად დამოუკიდებლად არის....., ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი ჩვენივე ხალხი იქნება. ყოველივე ეს ჩვენი ორგანოს მიერ იქნება განმარტებული. ავტონომიის ფორმისა და სისტემის შესახებ გარკვეული ცნობების მოწოდებისთვის ჩვენი გაზეთი თავის ეროვნულ დანიშნულებას ერთი წუთითაც არ უდაღატებს... (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1919, 11 იანვარი, №1; აბაშიძე, 1973-28). აღსანიშნავია ისიც, რომ გაზეთის რედაქცია თანამშრომლობისთვის იწვევდა მათ, ვისთვისაც მისაღები იყო მათი იდეები. 1919 წლის მოწოდებაში ნათქვამია „ჩვენი გაზეთის მიზანია განამტკიცოს იდეა სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობისა, რომ საქართველოს ფარგლებში ფართო ავტონომიურ ნიადაგზე შევიდეს სამუსლიმანო საქართველო...., ამ მიზანს ვემსახურებით და ამის შესაფერ წერილებს მოველით ჩვენ თანამშრომელთაგან (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1919, 17 იანვარი, №5; აბაშიძე, 1998: 159).

გაზეთის ფურცლებზე განთავსებულ პუბლიკაციებსა თუ მოწოდებებს ლაიტმოტივად გასდევს ავტონომიის საკითხი. ყველა პოლიტიკური ხასიათის წერილში ხაზგასმითაა აღნიშნული ავტონომიის აუცილებლობა და გარდაუვალობა რეგიონისათვის. მაგ: „...დღეს კი დროა ხალხმა თვითონ განაგოს თავის საქმეები, რათა ბოლო მოეღოს ხალხის უბედურებას და სხვის ზურგზე ბატონობას...“ (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1919, 17 იანვარი, №5; აბაშიძე, 1998:156); „...ჩვენი ერთადერთი გზა, ერთადერთი ბედნიერება საქართველოსთან ერთობაშია, ფართე ავტონომია საქართველოს ფარგლებში-აი რა გვიხსნის

ჩვენ, სხვა გზა არ არის...” (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920, 17 თებერვალი, №225; აბაშიძე, 1998: 156). „...ერთადერთი ხსნა ჩვენი ქვეყნისა საქართველოსთან ერთობაშია. ავტონომიურად გაერთიანება საქართველოსთან-აი რა მოგვანიჭებს ბედნიერებას. ვინც ამას ეწინააღმდეგება, ის ამით ღუპავს ჩვენს საქმეს, ის ამით დანას ღვსავს ჩვენი საარსებო ინტერესების წინააღმდეგ (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920, 18 აპრილი, №339). „...უბედურებისაგან ვიხსნით თავს ...მხოლოდ მაშინ, თუ ერთხმად დავადგებით ერთადერთ სწორ გზას—ღედა სამშობლოსთან ქ. ბათუმის და მისი ოლქის ავტონომიურად გაერთიანებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოგველის უცილობელი დაღუპვა... (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920, 19 მაისი; აბაშიძე, 1998:143). ამგვარი მოწოდებები მოსახლეობის ფართო მასებში, სუსტი ეროვნული ცნობიერების პირობებში ავტონომიის გარდაუვალი აუცილებლობის პროპაგანდას უწყობდა ხელს.

როგორც მითითებულია გაზეთის ერთ-ერთ სტატიაში, ავტონომიის აუცილებლობა რეგიონში „სჯულის სხვაობამ“ წარმოშვა, (გაზ. სამუსლიმანო საქართველო, 1920, 5 სექტემბერი, №445), რის საფუძველზეც „სამუსლიმანო საქართველოს გაცილებით უკეთესად შეუძლია განავითაროს-ააყვავოს ისლამის კულტურა ღედა საქართველოს ფარგლებში ავტონომიის მდგომარეობით... (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920, 12 მაისი, №357). აქედან ჩანს, რომ ავტონომიის პროპაგანდა მიმდინარეობდა არა როგორც შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე იძულებითი ნაბიჯი, არამედ რელიგიური და სოციალურ-ყოფითი აუცილებლობით, რომ ამით უნდა დაცულიყო სარწმუნოება და მათი ყოფა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განმათავისუფლებელი კომიტეტის და მეჯლისის წევრები ავტონომიის იმგვარ მოდელს აყენებდნენ, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში სახელმწიფო-პოლიტიკური წარმონაქმნის ალბათობას უშვებდა. ამგვარ პირობებში ავტონომიის რელიგიური მოტივიც იზრდილებოდა და პოლიტიკურ სახეს იძენდა.



სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მიზნები და პოლიტიკური მიმართულება მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ორგანიზაციის „პროგრამასა და ინსტრუქციაში, რომელიც 1919 წელს ბათუმში დაიბეჭდა ნ. ხვინიგის სტამბაში. აღნიშნული დოკუმენტის პირველი თავის პირველ პარაგრაფში მოცემულია, რომ „...სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მიზანია სამუსლიმანო საქართველო შეუერთდეს დედასაქართველოს ფართო ავტონომიურ ნიადაგზე და ამით საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა განმტკიცებულ იქნეს... ..სამუსლიმანო საქართველო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში ავტონომიური ერთეულია, რომელსაც ჰყავს თავისი მთავრობა... ავტონომიურ სამუსლიმანო საქართველოს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი საკანონმდებლო დაწესებულება, ე.ი. საკუთარი პარლამენტი (ოქროპირიძე, 2001:73-74).

ამრიგად, ორგანიზაციის მოწოდებების და პროგრამის მიხედვით კომიტეტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა რეგიონისათვის განსაკუთრებული სტატუსის მოპოვება. აქედან გამომდინარე, ნაკლებ დამაჯერებელი უნდა იყოს იმ მკვლევართა დასკვნები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ავტონომიის წინა პლანზე წამოწევა ოლქში არსებულმა მძიმე პოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა. ან ავტონომიის იდეა რეგიონში გარე ძალების მიერ შემოგდებულ ფაქტად ვაღიაროთ.

ავტონომიის მოთხოვნის კვალდაკვალ, ბათუმში ჩამოყალიბდა ასევე ავტონომიის ე.წ. ბათუმური მოდელი, სადაც განსაზღვრული იყო ავტონომიის ფორმა და შინაარსი, ცენტრთან დამოკიდებულება, ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოები და სხვა საკითხები.

1919 წლის 1 იანვრის განმათავისუფლებელი კომიტეტის მიმართვაში აღნიშნულია: „ეს ფართო ავტონომია ნიშნავს იმას, რომ სამაჰმადიანო საქართველო თავის შინაურ საქმეებში თვითონ იქნება თავისი ბატონ-პატრონი, გამგე და მმართველი ქვეყნისა, ეყოლება მთავრობა, თავისი შეიხულ-ისლამი, თავისი

შარიათი, თავისი მუფტები, თავისი სასამართლოები, თავისი ყადები, თავისი სკოლა, თავისი გვარდია და სხვა”.

ეს არის ჩვენი მიზანი, ამ საქმეს ვემსახურებით ჩვენ. ეს გადაძლიერებს ჩვენს სარწმუნოებას.. ეს გაამდიდრებს ჩვენს ხალხს, ეს გაანათლებს მას, ეს დაიხსნის მას ყოველგვარი გაჭირვებისაგან (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა,“ 1919, 1 იანვარი, №1; მ. აბაშიძე, 1998:147). ამ მოწოდებაში კომიტეტის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ ეს იქნებოდა პოლიტიკური ავტონომია. რამდენადაც იგი საკუთარი სასამართლოს, განათლების სისტემის, გვარდიის ყოლის უფლებას იტოვებდა, ეს კი, ფაქტობრივად, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში სახელმწიფო-პოლიტიკური წარმონაქმნის აღბათობას უშეგებდა. განმათავისუფლებელი კომიტეტის პროგრამაში კი აღნიშნულია: „სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიური მთავრობა უნდა იქნეს სრულიად დამოუკიდებელი თავის შინაურ საქმეებში. ეს საქმეებია: სარწმუნოებრივი, სასამართლო, ადმინისტრაცია, სწავლა-განათლება, მეურნეობა, ვაჭრობა, მრეწველობა და სხვა ეკონომიკური საქმეები. ...სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიური მთავრობა მთელი საქართველოს მთავრობასთან ერთად განსაზღვრულ პირობებში უნდა აწარმოებდეს შემდეგ საქმეებს: სამხედრო, ფინანსური, საგარეო, ფოსტა-ტელეგრაფი, რკინიგზა და საბაჟო...” (ოქროპირიძე, 2001:74)

1920 წლის იანვარ-თებერვალში ბათუმში მყოფი თურქი მოგზაური გაეცნო რა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის პროგრამას (ცხადია თურქულ ენაზე) მიუთითებს: „ამ პროგრამის მიხედვით სამუსლიმანო საქართველოს შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობა უნდა ჰქონოდა. მხოლოდ საფინანსო, საგარეო, ფოსტა-ტელეგრაფი, რკინიგზა და საბაჟო უნდა იყოს საერთო” (გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, 8 მაისი; კრებული, 2002: 37).

1920 წლის 30 ივლისს გაზ. „სახალხო საქმის” თანამშრომელთან საუბარში მ. აბაშიძე მიუთითებდა რა ავტონომიის და ცენტრის პრეროგატივებს, აღნიშნავდა: „...ძირითადი უფლებანი

სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიისა, შეტანილი იქნება საქართველოს კონსტიტუციაში. საერთო სახელმწიფო საქმეები შემდეგი იქნება საფინანსო, ფოსტ-ტელეგრაფი, სარკინიგზო, საბაჟო და აგრეთვე საგარეო. დანარჩენი საქმეები კი მოწესრიგებულ იქნება ადგილობრივ, მასზე გავრცელებულ სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიური უფლებები” (გაზ. „სახალხო საქმე“, №890, 1 აგვისტო, 1920; კრებული III, 2001:47). 1919 წლის სექტემბერში იმავე გაზეთის თანამშრომელთან მ. აბაშიძემ ავტონომიის უფლება-მოვალეობაზე განაცხადა: „ყრილობის დადგენილებით, საფინანსო, სამხედრო და საგარეო საერთო იქნება აჭარასა და დანარჩენ საქართველოს შორის, ხოლო სხვა საკითხებში ავტონომიური უნდა იყოს აჭარა (გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, 9 სექტემბერი, №623; კრებული III, 2002:26).

ამრიგად ავტონომიის საერთო გაგებაში თუ ზემოთ ჩამოთვლილ ფუნქციებს მივიღებთ მხედველობაში, განმათავისუფლებელი კომიტეტის მიერ საქართველოს შემადგენლობაში სახელმწიფო-პოლიტიკური წარმონაქმნის ალბათობას უშეებდა. „ფართე ავტონომიის ამ მოდელში მინიშნებაც კი არ არის ცენტრის საკონტროლო მექანიზმებზე და ურთიერთობა სრულ ურთიერთთანასწორობის პრინციპზე უნდა აგებულიყო. თავისთავად „გარკვეულ ინტერესს იწვევს „ფართე ავტონომიის“ ცნების კულტივირება, მისი პროპაგანდა. განა ცნება „ავტონომია“ არ გამოხატავს იმ სამართლებრივ თავისებურებას, რომ ადგილობრივი ხელისუფლება საკითხების გადაწყვეტაში თავისუფალია და მის ორგანოებს გარკვეულად დამოუკიდებლად მოქმედების უფლება აქვთ“-მართებულად მიუთითებს პროფ. ალ. დაუშვილი (დაუშვილი, 2004:96). მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თბილისში 1917 წელს ბათუმის პოლიტიკურმა ელიტამ კანტონურ (კონფედერაციულ) მოწყობაზე გააკეთა მინიშნება და რაზეც თბილისმა უარი განაცხადა, ცხადი გახდება, რომ „ფართე ავტონომია“ სახელშეცვლილი იგივე კანტონი უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ სამუსლიმანო საქართველოს ადმინისტრაციულ მოწყობაზე სხვადასხვა აზრი არსებობდა

თვით სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტსა და შემდეგ მეჯლისის ლიდერთა შორის. ერთნი მოითხოვდნენ ავტონომიური მმართველობის შემოღებას; მეორენი - ერობის; ხოლო მესამენი - არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას. ავტონომიის მომხრენი თავიანთ მოთხოვნის აუცილებლობას იმით ასაბუთებდნენ, რომ რელიგიის სხვადასხვაობა სერიოზულ ზღუდეს წარადგენდა ორ ძმას შორის..., ერობის მომხრენი აღიარებდნენ, რომ ისტორიული ფაქტორების გავლენით სულიერი გათიშვა მართლაც მოხდა, მაგრამ ისინი ამ ერთობის და ურთიერთდაახლოებისათვის ავტონომიის საჭიროებას უარყოფდნენ. გარდა ამისა, არსებული წინააღმდეგობანი სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობის ძალებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდებოდა, რადგან პოლიტიკური ძალები იბრძოდნენ ძალაუფლების ხელში აღებისათვის. გარდა ამისა, ერობის მომხრეებს ზედმეტად მიაჩნდათ ავტონომიის სტატუსის შემოღება, რადგან საქმე ეხებოდა ერთი და იმავე ერის წარმომადგენლებს..., სტატუს კვოს მომხრეები მიიჩნევდნენ, რომ დარჩენილიყო ის უფლებები, რაც მეფის რუსეთის მთავრობის დროს არსებობდა (მესხია, 2004, გვ. 173). ბათუმის ოლქის საქართველოსთან პირდაპირი გაერთიანების იდეას უჭერდნენ მხარს.... ბათუმის ოლქის ართვინის მოსახლეობის ნაწილი (გაზ. „საქართველო“, №15, 1919, 21 იანვარი; კრებული, III, 2002: 9).

ამრიგად, აზრთა სხვადასხვაობა ავტონომიის საკითხთან დაკავშირებით და მისი აუცილებლობა - არააუცილებლობის მოსაზრებები აშკარად მიუთითებს, რომ ავტონომიის გარდაუვალობის მიზეზები ცალკეულ პირთა პოლიტიკურ მიზანსწრაფვაშიც უნდა ვეძებოთ, რომლებსაც შექმნილ ვითარებაში პოზიციის დასაბუთებისათვის მოტივების მოძებნა არ უჭირდათ.

განმათავისუფლებელი კომიტეტი და მეჯლისი თავისი პროგრამის პროპაგანდის გარდა, მის განხორციელებისთვის რეალურ ნაბიჯებსაც დგამდა. ამ მხრივ საინტერესოა 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმან წარმომადგენელთა ყრილობის მიერ მეჯლისის (ანუ პარლამენტის)

არჩევა და მიღებული დადგენილება, რომელშიც ტერმინოლოგიურ რევერანსებთან გვაქვს საქმე. კერძოდ, მასში აღნიშნულია: „...ამიერიდან და სამარადისოდ ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდება თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომიის ნიადაგზე...“ (აბაშიძე, 1998: 146) ამ დადგენილებით ფაქტობრივად განისაზღვრა ავტონომიის მინიჭების საფუძველი-რელიგიური (სამუსლიმანო) და სტატუსი (ავტონომია). მაშინ არსებული მდგომარეობის გამო, შეიძლება მეჯლისის ამ გადაწყვეტილებას ისტორიული და მორალური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით (რეგიონის სტატუსის განსაზღვრა და ამგვარი პირობით საქართველოს შემადგენლობაში შესვლა) ნაქარევი იყო და ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ხაზგასმა იმისა, რომ ბათუმის ოლქი ფართო ავტონომიურ ნიადაგზე შედის ქვეყნის შემადგენლობაში, ამით ყრილობა თბილისს ფაქტის წინაშე აყენებდა. (საიტერესო დამთხვევაა, თურქეთმაც ხომ შემდეგ ავტონომიის პირობით დაუთმო საქართველოს ბათუმი და ოლქის ნაწილი).

1921 წლის იანვარში მეჯლისმა მიიღო ავტონომიის ძირითადი დებულება – კონსტიტუცია და დაამტკიცა. ამის შემდეგ იგი თბილისში გაგზავნეს განსახილველად (ახვლედიანი, 1971:150 ) და საქართველოს კონსტიტუციის პროექტში შესატანად (აბაშიძე, 1998:164).

სამართლებრივი თვალსაზრისით მეჯლისის მიერ კონსტიტუციის მიღება ასევე ნაქარევი გადაწყვეტილება იყო, რადგან ქვეყანას ჯერ არ გააჩნდა სახელმწიფოს მართვის და ქვეყნის მოწყობის ძირითადი კანონი- კონსტიტუცია, სადაც განსაზღვრული იქნებოდა ცენტრის და რეგიონის პრეროგატივები. სწორედ, საქართველოს კონსტიტუციის პირობებს უნდა დაფუძნებოდა მეჯლისის გადაწყვეტილება და არა პირიქით.

მეჯლისის სურვილის მიუხედავად, 1921 წლის თებერვლის საქართველოს კონსტიტუციამ განსაზღვრა მხოლოდ რეგიონის სტატუსი-ავტონომია, ხოლო ფორმისა და შინაარსის შესახებ ცალკე კანონი უნდა გამოცემულიყო (სდრსაკ., 1990:460). სამუს-

ლიმანო საქართველოს ავტონომიის წინა პლანზე წამოწევის მიუხედავად, იგი საკითხის დაყენების დონეს არ გასცდენია. როგორც პროფ. შ. ვადაჭკორია აღნიშნავს, ეს განპირობებული იყო იმით, რომ მომავალი შეთანხმებული პროგრამა არ არსებობდა (ვადაჭკორია, 2001:244). ავტონომიური ერთეულის შესახებ, რეგიონისა და ცენტრის შეხედულებები აშკარად არ დაემთხვა. „შეთანხმება ცენტრსა და რეგიონს შორის ამ საკითხზე დემოკრატიული საქართველოს პირობებში არ ყოფილა (დაუშვილი 2004:96). ჩვენის აზრით, აქ ასევე საყურადღებო უნდა იყოს ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობა ანგარიშს უწევდა განმათავისუფლებელი კომიტეტის მოთხოვნას და ამავე დროს მოვლენების განვითარებას ელოდა. ბათუმის ოლქში მოგზაურობის შემდეგ, დამფუძნებელი კრების წევრი პეტრე გელეიშვილი ავტონომიის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: „აქ ავტონომიის საკითხი ისეა მომწიფებული, იმისი სიყვარული და აუცილებლობა ისე გასჯდომია ხალხს ძვალ-რბილში, რომ უამისოდ სიცოცხლეც არ ეხერხებათ. მაგრამ დიდი დაკვირვება არ არის საჭირო რომ მიხვდეთ, ცხადად დაინახოთ, რომ აქ არა თუ ხალხს, თვით ვითომდა ამ ხალხის მეთაურებსაც არა აქვს შეგნებული თუ რა არის ეს ავტონომია.“

...სიტყვა ავტონომია აქ მხოლოდ ეგრეთწოდებული ინტელიგენციის გამოგონილი და ხალხში გასროლილ ღოზუნგია. „ავტონომია“ აქ გამოუგონია რამდენიმე ინტელიგენტს.“ (გელეიშვილი, 1998:22-23).

1920 წლის ივლისში ბათუმზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ, მეჯლისის საქმიანობის შეზღუდვამ და არენიდან ადგილობრივი პოლიტელიტის გარიყვამ, მკვეთრად გაამწვავა ურთიერთობა მეჯლისის წევრებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის. ასევე დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ავტონომია იყო, ვინაიდან ხელისუფლებამ შეპირებული ავტონომიის ნაცვლად, ოლქში პირდაპირი საგანგებო მმართველობა შემოიღო (აბაშიძე, 1976: 64).

სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისისა და საქართველოს ხელისუფლებას შორის აღნიშნულ საკითხზე დაპირისპირების

დროს ქვეყანაში სახელისუფლებო ვერტიკალიც შეიცვალა. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ ამ საკითხზეც ჰპოვა ასახვა.

1921 წლის აპრილში სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისმა მიიღო დადგენილება სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის სრული ხელშეუხებლობის გამოცხადებისა და მეჯლისის ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ. კერძოდ, მასში აღნიშნულია: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციურმა კომიტეტმა თავისი თავმჯდომარის ფ. მახარაძის სახით ა.წ. მარტის №37 დეკრეტით, მეჯლისის თავმჯდომარის სახელზე სამუსლიმანო საქართველოს მშრომელებისადმი მიმართვაში განაცხადა, რომ დღეის ამიერ სამუსლიმანო საქართველოს ეძლევა სრული საშუალება მოაწყოს თავისი ცხოვრება დამოუკიდებლად; თავისი სარწმუნოებრივი, ადათისა და სხვა თავისებურებათა მიუხედავად, მას ეძლევა სრული ავტონომია და ხელშეუხებლობა.

მეჯლისი თვლის რა სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის საკითხს პრინციპში გადაწყვეტილად, იღებს რა მხედველობაში შეცვლილ პირობებს, საჭიროდ თვლის შეუდგეს ახალი არჩევნების ჩატარებას მეჯლისის საყოველთაო არჩევნების სისტემით, რითაც საფუძველი ჩაეყრება სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიურ აღმშენებლობას.

მეჯლისის მიერ არჩეულ კომისიას, ბათუმის და მისი ოლქის რეგკომის წარმომადგენლის მონაწილეობით, ევალება დაუყოვნებლივ შეუდგეს მეჯლისის ახალი არჩევნების ჩატარებას (აცსა. ფ. 1, აღწ. 1, ს. 33, ფ. 18; აჭარა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, 1921-1925 წწ., 1975: 26). მეჯლისმა იმავე წლის აპრილში მიიღო მეორე დადგენილება ბათუმის ოლქის ახალ ადმინისტრაციულ რაიონებად დაყოფის შესახებ. სადაც ნათქვამია: „ბათუმის ოლქის რაიონებად, სოფლის უბნებად ძველი ადმინისტრაციული დაყოფა მეტად უხერხული იყო, იგი არა თუ იცავდა ბათუმის მცხოვრებლების ინტერესებს, პირიქით, აბრკოლებდა საქმის დროულად მოთავებას..., უფრო ჩქარი და ნაყოფიერი მუშაობი-

სათვის მეჯლისი მიზანშეწონილად თვლის ბათუმის ოლქის 2 ადმინისტრაციულ და ამდენივე სიტყვიერ სასამართლო რაიონებად დაყოფას ცენტრზე (ქ. ბათუმში) ... პირდაპირი დამოკიდებულებით.. (აცსა. ფ. 1, აღწ. 1, ს. 33, ფ. 15; აჭარა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, 1921-1925 წწ., 1975: 27).

ასეთი იყო სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ხედვა რეგიონის ავტონომიური მოწყობის საკითხთან დაკავშირებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე მ., თხზულებანი, გ. შარაძის გამოცემა, ბათ., 1998.
2. ახვლედიანი ხ., საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში 1917-1921 წწ., ბათ., 1971.
3. აბაშიძე მ., თხზულებანი, გ. შარაძის გამოცემა, ბათ., 1998.
4. აჭარა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, დოკუმენტებისა და მასალების კრებული, 1921-1925 წწ. ბათ., 1975.
5. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო ცენტრი, კრებული III, ბათ., 2002.
6. ბაქრაძე ი., ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.
7. დაუშვილი აღ, აჭარის ავტონომიის შექმნის საკითხისათვის, საქ. მეც. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საისტორიო აღმანახი „კილო“, №22, თბ., 2004.
8. ვადაჭკორია შ., ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001.



9. ვადაჭკორია შ., საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი I, თბ., 2003.

10. მესხია ე., ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, ბათ., 2004.

11. მანველიძე ირ., აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან, კრებული საისტორიო მაცნე, №XIV, ბათ., 2005.

12. მანველიძე ირ., სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის და ბოლშევიკური ხელისუფლება, კრებული საისტორიო მაცნე, №XI, ბათ., 2002.

13. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921 წწ., თბ., 1990 (შემოკლებით – სდრსაკ).

14. სილაგაძე ა., გურული ვ., საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, მემედ-ბეგ აბაშიძე, დოკუმენტები და მასალები (1917-1928), თბ., 1996.

15. სილაგაძე ა.; გურული ვ. პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920 წ.), პეტრე გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი, თბ., 1998.

16. ოქროპირიძე უ., აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან, ბათ., 2001.

17. ჭუმბურიძე დ., აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბ., 1999.

18. გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“ 1919, 11 იანვარი, №1; 1919, 17 იანვარი, №5; 1920, 17 თებერვალი, №225; 1920, 18 აპრილი, №339; 1920, 19 მაისი, №361; 1920, 12 მაისი, №357.

19. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №1, 1 იანვარი;

20. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 4, აღწ. 1, საქ. 1003, ფ. 4.

21. გაზ. „საქართველო“, 1919, 21 იანვარი, №15.

22. გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, 1 აგვისტო, №890.

23. გაზ. „საქართველო რესპუბლიკა“, 1919, 1 იანვარი, №1.

24. გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, 9 სექტემბერი, №623.

## **Irakli Manvelidze**

### **The relation of liberating committee to the status of Adjara**

#### Summary

At research of historical aspects of the political status of Adjara, it is necessary to give especial attention to the relation of Emancipating committee to a problem of the especial device of region. In a modern Georgian historiography the thought is traced that promotion on the foreground of a problem of an autonomy of region, was aspiration to oppose to its so-called model «ottoman autonomies», which the Ottoman government has offered region in the end of 1918 (M.Chavleishvili, N.Zosidze, Ab. Surguladze, S.Vadachkoria, H.Akhvlediani, O.Turmanidze, U.Okropiridze and etc.) .

However, for members of Emancipating committee of region the problem of the status of the especial device of district existed on much earlier. Members of Emancipating committee, proceeding from idea of the especial device of region, for the urgent overcoming, the problems connected with it, and also the subsequent development of district, its integration into Georgia, supported necessity of an establishment of autonomy. In article sights of members of Emancipating committee of Muslim Georgia, at the questions connected with the decision of the political status of region are shown.

კათალიკოსი ანტონ I

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს XVIII საუკუნის თვალსაჩინო საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწეს ანტონ კათალიკოსს (ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი).

იგი იყო ბაგრატიონთა მუხრანული შტოს წარმომადგენელი – ვახტანგ VI ძმის, მეფე იესესა და კახეთის მეფის ერეკლე I ასულ ელისაბედის (ელენე) ვაჟი. იგი ერეკლე II მამიდაშვილი იყო და მასზე რამდენიმე დღით უმცროსი (დაიბადა 1720 წლის 17 (28) ნოემბერს). 1727 წლიდან, მამის გარდაცვალების შემდეგ, იზრდებოდა თელავში, თავის ბიძაშვილ ერეკლე ბატონიშვილთან ერთად. მას თავისი ოჯახის შესაფერისი აღზრდა-განათლება მიუღია – სწავლობდა დავით გარეჯის და გელათის მონასტრებში. „იცოდა სპარსული და სომხური ენები, უფრო გვიან რუსული და ლათინურიც შეისწავლა. დედამისი მას ტახტისათვის ამზადებდა და როგორც ვახტანგ VI ძმის იესეს ვაჟს, მას უფრო ერგებოდა ქართლის ტახტი” (გ. ქიქოძე, 1942, 76). სწორედ პოლიტიკური მოსაზრებით დანიშნეს იგი ქართლის გავლენიანი თავადის გივი ამილახვრის ასულზე, მაგრამ ეს ქორწინება ვერ შედგა. 1735 წელს ქართლში ლაშქრით შემოსულმა ნადირ-შაჰმა გივი ამილახვრის ასული თან წაიყვანა. „ახალგაზრდა დანიშნულნი ნარდს თამაშობდნენ სოფელ ჭალაში, ამილახვრების სასახლეში, როცა მათთან ნადირის მიერ გაგზავნილნი მივიდნენ და ახალგაზრდა ქალი ჰარამხანაში წაიყვანეს. ადგილი წარმოსადგენია რა შემზარავ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ძალმომრეობა შეყვარებულ ქალ-ვაჟზე. თეიმურაზი ამის შემდეგ დავით გარეჯის უღაბნოში წავიდა” (ქიქოძე, 1942, 44). საცოლის წავგრის შემდეგ ანტონი დედასთან ერთად იმერეთის გზით რუსეთში გაემგზავრა, მაგრამ ისინი ჩერქეზეთში გააჩერეს, რის შემდეგაც დედამ ანტონი უკან დააბრუნა. იგი ქუთაისში ჩავიდა და 1738 წელს გელათის მონასტერში ბე-

რად აღიკვეცა. გაენათის მიტროპოლიტმა ექვთიმემ თეიმურაზს ანტონი უწოდა. 1739 წელს ანტონი გელათის წინამძღვარი გახდა, ხოლო 1740 წელს აფხაზეთის კათალიკოსმა გრიგოლმა იგი ქუთაისის მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, 2000, 124). მცხეთის კათალიკოსობა ანტონს უკვე ამ დროს შესთავაზეს, რაზეც მან უარი განაცხადა. როცა 1741 წელს ახალციხის ფაშას ჩარევით იმერეთის მეფე ალექსანდრე V განდევნეს, ანტონი იძულებული გახდა კათედრა დაეტოვებინა. იგი ჯერ თელავში გადავიდა, ხოლო 1743 წლიდან დავით-გარეჯის მონასტერში მოღვაწეობს. 1744 წლის აგვისტოში ანტონი აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს. პატრიარქის კურთხევის ცერემონიალი მცხეთაში ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო ერეკლე II-მ. „24 წლის ასაკში ანტონი უკვე ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი, კათალიკოს-პატრიარქია” (ჯაფარიძე, 1999, 364).

ანტონ I აღსაყდრება ჩვენი ისტორიის მნიშვნელოვან პერიოდს დაემთხვა. ამ წელს აღმოსავლეთი საქართველო ფაქტიურად გაერთიანდა – დაიწყო თეიმურაზ II და ერეკლე II მმართველობა. „ანტონ I საეკლესიო და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული თეიმურაზ-ერეკლეს მიერ წარმოებულ პოლიტიკასთან, გაემდიერებინათ და დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ საქართველოს სახელმწიფოსათვის” (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, 2000, 124-125). ამიერიდან ანტონ I აქტიურად ედგა გვერდით თეიმურაზსა და ერეკლეს მათი პოლიტიკური გადაწყვეტილებების განხორციელებაში. თეიმურაზ II უფლებას ქართლის ტახტზე ბევრი ეჭვით უყურებდა და უპირისპირდებოდა კიდევ. ანტონმა თეიმურაზის ავტორიტეტის ასამაღლებლად საზეიმო კურთხევა მოაწყო. საზეიმო ცერემონიალი საგანგებოდ მცხეთობის დღესასწაულს დაამთხვია. „პატრიარქმა ანტონ კათალიკოსმა ჩვეული სიბეჯითით მოიძია მეფეთ კურთხევის უძველესი ქართული წესები და სამღვდელთა დასი საგანგებო სადღესასწაულო ცერემონიისათვის მოამზადა. გახარებულმა ხალხმა ქუჩები, მოედნები,

ბაზრები მორთო, ჩირაღდნებითა და გალობით შეეგება მეფის, დედოფლისა და ბატონიშვილის გამოჩენას” (მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, 1999, 354). ანტონი მეფეებს აქტიურად უჭერდა მხარს ისეთი საჭირობოროტო პრობლემების გადაწყვეტაში, როგორც იყო ტყვეებით ვაჭრობა. „ამ დანაშაულში შემწნეულნი ანტონ კათალიკოსის წინაშე ფიცსა დებდნენ, რომ ამიერიდან ტყვის სყიდვაში, კაცის კვლასა და სხვა უკეთურ საქმეში აღარ გაეროდნენ” (სინ, IV, 1973, 528).

ანტონი ერეკლე II განსაკუთრებულ თანადგომას უწევდა. ცნობილია, რომ 1747 წელს ირანს მიმავალმა თეიმურაზმა ქართლის გამგებლობა ერეკლესა და აბდულა-ბეგს ჩააბარა. ამ უკანასკნელმა კი ტახტის მიტაცება გადაწყვიტა. „კათალიკოსმა, მიუხედავად იმისა, რომ ძმა იყო, მკაცრად დაგმო აბდულა-ბეგი, აღასრულა საერთო-სახალხო წირვა-ლოცვა, ღმერთს შესთხოვა ერეკლეს გამარჯვება და ბრძოლის წინ ჯარი დალოცა” (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, 2000, 125).

ანტონი ენერგიულად შეუდგა ეკლესიის გაძლიერებას და მისი შერყეული ავტორიტეტის ამადლებას, აღადგენდა ეკლესია-მონასტრებს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სწავლა-განათლებას და საერთოდ კულტურას. „ანტონ კათალიკოსს სწამდა, რომ მეცნიერება ყოვლისშემძლე იყო, რომ სწავლა-განათლების შემწეობით შეიძლებოდა ქართველი ხალხის გამოყვანა ზნეობრივი ანარქიიდან, რომელიც მას ხანგრძლივმა პოლიტიკურმა მონობამ დაუტოვა მემკვიდრეობად... ანტონ კათალიკოსი შეეცადა ქართული ეკლესია გაეწმინდა უღირს, ზნეობრივად მანკიერ მსახურთაგან და იქ წესრიგი დაემყარებინა” (ქიქოძე, 1942, 102-103).

მიუხედავად აქტიური მხარდაჭერისა, თანდათან ანტონ I და თეიმურაზ II შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ანტონის აქტიური საქმიანობა და ევროპული ორიენტაცია არ მოსწონდა ბევრს. ამ დაპირისპირებაში სერიოზული როლი იქონია იმ ფაქტმა, რომ თეიმურაზი კახელი ბაგრატიონი იყო, ხოლო ანტონ I – ქართლელი (მუხრანელი). თეიმურაზი ანტონში ყოველთვის კონკურენტს ხედავდა. „ეს იყო ფარული, მაგრამ ერთი მთავარი

მიზეზი ანტონის დაწინაურებისა საეკლესიო იერარქიის კიბეზე... თეიმურაზი უთუოდ ფიქრობდა, რომ ამით დააკმაყოფილებდა ანტონის ფარულ პრეტენზიებს ქართლის ტახტზე და ამრიგად ჩამოიცილებდა ერთ-ერთ ძლიერ პრეტენდენტს. შეიძლება უფრო მეტიც ვივარაუდოდ: სახელდობრ, ის, რომ ანტონის საქართველოდან გაძევებაც კი ნაწილობრივ ამავე მიზეზით აიხსნება” (ავალიანი, 1987, 17). ანტონის განდევნაში დინასტიურ დაპირისპირებას მიიჩნევს გადამწყვეტ ფაქტორად ვახუშტი ბატონიშვილიც - „შეუთქვეს კახთ ანტონი კათალიკოსს ფრანგობა მტრობით და განაძევეს” (ქც, IV, 914).

ანტონ კათალიკოსის ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოგვაწეობა, მისი მაღალი სასულიერო კარიერა მისდამი არაკეთილგანწყობილ ადამიანებში შურსა და მტრობას აძლიერებდა და ისინიც საბაბს ეძებდნენ: „ახეთ საბაბად გამოდგა ანტონის დაახლოება კათოლიკე მისიონერებთან, რომლის საფუძველზე აგებული იქნა ბრალდება ანტონის მიერ მართმადიდებლური ეკლესიიდან განდგომისა და მისი „გალათინების”, ე.ი. კათოლიკური სარწმუნოების, მიღების შესახებ” (ავალიანი, 1987, 30). საკითხის ამგვარად დაყენება კი ყოველგვარ ლოგიკას სცილდებოდა. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები სახელმწიფო მოღვაწეებიც იყვნენ და თავიანთი საქმიანობით სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკასაც წარმართავდნენ. მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეული საქართველოსათვის გადარჩენის ერთ-ერთ გზად ევროპა და აქედან გამომდინარე რომის ეკლესიასთან ურთიერთობა წარმოადგენდა. „ამიტომაც ქართულ-ლათინური ურთიერთობა უფრო პოლიტიკის სფეროს უნდა განეკუთვნებოდეს, ვიდრე სარწმუნოებრივს” (ჯაფარიძე, 1999, 367).

„კათოლიკობის” ბრალდებით 1755 წლის მიწურულს ანტონი დააპატიმრეს, დილეგში ჩასვეს და გაკრიჭეს. საკანში მყოფ ანტონთან აგზავნიდნენ მისდამი მტრულად განწყობილ სასულიერო პირებს დაკითხვის მიზნით. ანტონი იძულებულია ითხოვოს ქვეყნის დატოვება. „საეკლესიო კრებამ 1755 წლის 16 დეკემბერს განკვეთა ანტონი, აუკრძალა ღვთისმსახურება” (ჯაფარი-

ძე, 2003, 205). ამ სასტიკი ანგარიშსწორების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო თეიმურაზ II მოძღვარი, ზაქარია გაბაშვილი, რომელიც ანტონის პირადი მტერი იყო.

1756 წელს ანტონი რუსეთში გაემგზავრა და წმინდა სინოდის წინაშე თავი იმართლა. 1757 წელს იგი ვლადიმირის მთავარეპისკოპოსად დაადგინეს. რუსეთში ყოფნის წლები მისთვის ნაყოფიერი იყო შემოქმედებითი თვალსაზრისით.

თეიმურაზ II გარდაცვალების შემდეგ, 1764 წელს ქართლ-კახეთის მეფედ კურთხევის შემდეგ ერეკლე II ანტონ I საქართველოში დააბრუნა, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში თბილისში გამართულმა საეკლესიო კრებამ ანტონი კვლავ კათალიკოსად აირჩია.

იგი ჩვეული ენერგიით შეუდგა სახელმწიფო-საეკლესიო და სამეცნიერო-ლიტერატურულ მოღვაწეობას. მან შექმნა მთელი სკოლა, რითაც ღრმა კვალი დააჩნია ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას და აზროვნებას. მის შესახებ პაპუნა ორბელიანი წერდა: „ანტონი კათალიკოზი, კეთილ სათნოებითა აღჭურვილი, ტრფიალებითა სახენათა ზედმიწევნით აღზევებული, და ყოვლად სარწმუნოებითა მტკიცედ დამტკიცებული, მადლითა მიერ გაბრწყინებული, არ დააცადებდა ჟამითი ჟამად სიბრძნე მრავლობით წესთა... ასაკით იყო მცირე, მაგრამ სოლომონისა სიბრძნესა არარად კლებულ ექმნებოდა. მეფეთა შვილი იყო და სულიერსა მეფობისაც ღირს იქმნა” (ორბელიანი, 1981, 86).

გარდაიცვალა ანტონ I 1788 წლის 1 (12) მარტს, დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ავალიანი ს, ანტონ პირველი, თბილისი 1987.
2. ორბელიანი პ., ამბავი ქართლისანი, თბ., 1981.
3. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები (რედაქტორი როინ მეტრეველი), თბ., 2000.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები (შემოკ. სინ), ტ. IV, თბ., 1973.
5. ქიქოძე გ., ერეკლე მეორე, თბ., 1942.
6. ქართლის ცხოვრება (შემოკ. ქც), ტ. IV, თბ., 1955.
7. ჯაფარიძე ა., საქართველოს საეკლესიო კრებები, II, თბ., 2003.
8. ჯაფარიძე ა., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ., 1999.

**Jemal Karalidze**

**Catholicon Anton I**

Summary

XVIII century is an important period in Georgian history. In 1744 Iran had to make concession and assert Christian Kings to govern Kartli and Kakheti. Western Georgian leading part rallied around Teimuraz I and Erekle II, among them were parish representatives. Anton II-(Teimuraz Iese Bagrationi) Bagrationi representative, Erekle II's cousin's active support had special importance. It is the truth, that Anton I's enemies managed to set off him against the King Teimuraz I and dismiss him from catholicion job, but Erekle II returned him to Georgia and parish meeting chose him as a catholicion again. Anton I played significant role not only to gain Georgian parish authority but actively participated in cultural and political life of Georgia that time.



**საქართველო-სომხეთის წინააღმდეგობები  
ტრაპზონის საზავო კონფერენციაზე**

1917 წლის 25 ოქტომბრის გადატრიალება და რუსეთის იმპერიის ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლა მიუღებელი დარჩა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისათვის (ე.წ. ოზაკომი).

პეტერბურგში დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ ოზაკომი შეიცვალა ამიერკავკასიის კომისარიატით, რომელიც რუსეთში დამფუძნებელი კრების არჩევამდე, თავს დროებით ხელისუფლებად თვლიდა.

1917 წლის მიწურულს ამიერკავკასიაში რთული მდგომარეობა შეიქმნა. მოიშალა რუსეთ-ოსმალეთის ფრონტი, რუსეთის არმიის გაბოლშევიკებულ – გადუხერტირებული მასა უმტკივნეულოდ უნდა გასულიყო კავკასიიდან. ამიტომაც ოსმალეთის მხარის შემოთავაზება საომარი მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე მისადები დარჩა როგორც ფრონტის რუსული სარდლობისათვის, ასევე ამიერკავკასიის ხელისუფლებისთვისაც. საჭირო გახდა საგარეო საკითხებში სწორი ორიენტაციის განსაზღვრა.

1918 წლის 3 მარტს საბჭოთა რუსეთმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას გერმანიასა და მის მოკავშირეებთან, რომლის მე-4 მუხლით მას უნდა უზრუნველყო აღმოსავლეთ ანატოლიის დაბრუნება ყოფილი მფლობელისათვის. ასევე უნდა განთავისუფლებულიყო რუსთა ჯარისაგან არდაჰანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები. რუსეთი ვეღარ ჩაერეოდა ამ ოლქების სახელმწიფო-სამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობებში და უფლებას მისცემდა აქაურ მოსახლეობას შეექმნათ იქ ახალი წყობილება მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით, თურქეთთან შეთანხმებით.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომამდელი საზღვრების აღდგენას ითვალისწინებდა რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებული დამატებითი შეთანხმებაც, რომლითაც განისაზღვრა

საბჭოთა რუსეთსა და სამ სანჯაყს (არდაჰანს, ყარსისა და ბათუმს) შორის სასაზღვრო ხადემარკაციო ხაზი (ეს იყო რუსეთ-თურქეთის ახალი საზღვრები - ნ.ზ.). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა ოსმალეთს გარკვეულად დაუთმო ამიერკავკასიის ასპარეზი, მაგრამ ეს დათმობა მკაფიოდ გამოკვეთილ ფორმულირებაში არ მოუქცევია.

მოსკოვში დამფუძნებელი კრების გარეგნის შემდეგ (1918 წლის 5 იანვარი), ამიერკავკასიის კომისარიატისათვის აქტუალურად დადგა საკითხი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევისა. პოლიტიკურ ჩიხში შესულ ხელისუფლებას ოსმალეთის წინადადება მოუვიდა მხსნელად. კერძოდ, ეწარმოებინათ მოლაპარაკება მისთვის საჭირო საკითხებზე. ოსმალეთის მხარე გამოთქვამდა მზადყოფნას გაემართა მოლაპარაკება „დამოუკიდებელ კავკასიის მთავრობასთან“ (საინტერესოა ის გარემოებაც, რომ მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში ოთხჯერაა გამეორებული „დამოუკიდებელი კავკასიის მთავრობა (Документы и материалы ..., 1919, 24-25)“ – ნ. ზ.).

აღნიშნული წინადადება ამიერკავკასიის კომისარიატმა სხვადასხვა პოლიტიკურ ინსტანციებში განსჯის საგნად აქცია, თუმცა უშედეგოდ. შემდგომი ურთიერთობების ფორმატის ჩამოყალიბება მიენდო ახლად შექმნილ ამიერკავკასიის სეიმს.

ამიერკავკასიის სეიმმა 16 თებერვალს დაამტკიცა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დელეგაცია, რომლის მეთაურად შეირჩა ა. ჩხენკელი. დელეგაციის წევრებად შეარჩიეს იმჟამინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში საკმაოდ ცნობილი ადამიანები. მთავარ დავალებად განისაზღვრა ამიერკავკასია ოსმალეთს შორის 1914 წლის რუსეთ-თურქეთის საზღვრების შენარჩუნება.

1918 წელს 1-14 მარტს გაიმართა სამშვიდობო მოლაპარაკების პირველი სხდომა. ამიერკავკასიის დელეგაცია ძირითადად სეიმის წევრებისაგან იყო დაკომპლექტებული (ხელმძღვანელი აკაკი ჩხენკელი, დელეგატები იყვნენ: ჰაიდარ აბაშიძე, მემედ-ჰასან გაჯინსკი, იბრაჰიმ ბეგ ჰაიდაროვი, გიორგი გვაზავა, რუბენ კაჩაზნუნი, გიორგი ღასსიშვილი, მირ იაგუბ მეხთიევი, ალექ-

სანდრე ხატისოვი, აკპერ შეიხ-ულ ისლამოვი). სულ გაიმართა 6 ოფიციალური სხდომა და ერთი გამოსამშვიდობებელი შეხვედრა.

ოსმალები დიდ იმედებს ამყარებდნენ აზერბაიჯანლებზე, როგორც ერთ მორწმუნე ხალხზე, თუმცა აზერბაიჯანის მხარე მეტნაკლებად ცდილობდა დაეცვა ამიერკავკასიის საერთო ინტერესები; მართალია ოსმალეთისაკენ გადახრის სურვილები შეიმჩნეოდა, მაგრამ იმ მომენტში და შემდგომაც აზერბაიჯანელები ოსმალეთთან აშკარად პოლიტიკური ალიანსის გამოსატვისაგან თავს იკავებდნენ. შესაძლოა ეს მათი დიპლომატიური მანევრი იყო; ერთი სიტყვით, მორალური მხარდაჭერის იქით მათი საქმიანობა არ გადაზრდილა აქტიურ ალიანსში.

რაუფ ბეის განმარტებით, მათი მხარე ჩამოვიდა არა ბრესტის ზავის განსახილველად, არამედ ახალ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად და სხვა მიზანი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ მომზადდეს ეკონომიკური და კომერციული ურთიერთობების საფუძვლები.

ტრაბზონის მოლაპარაკება ჩიხში მოექცა. ოსმალები შემდგომი შეთანხმების საფუძვლად ბრესტის ხელშეკრულებას მიიჩნევდნენ. მათი აზრით, ყარსის, არდაჰანისა და ბათუმის ოლქების საკითხი საერთოდ არ ექვემდებარებოდა განსჯას, რამდენადაც ოთომანთა იმპერიას ამ ტერიტორიების მიერთების უფლება ჰქონდა მოპოვებული. ცხადია, ამიერკავკასია, საკითხს თავისი ტერიტორიების აბსოლუტური შენარჩუნებით, დადებითად ვერ გადაჭრიდა. რომელი მიწები გადაეცათ ოსმალებისათვის? სწორედ ეს გახდა ნამდვილი პრობლემა. აზერბაიჯანს, როგორც ოსმალეთის არამეზობელს, ეს საკითხი არ ეხებოდა. ხოლო რაც შეეხება სომეხ და ქართველ დელეგატებს, მათ შორის აშკარა უთანხმოება წარმოიშვა.

ეს წინააღმდეგობები და ტერიტორიულ საკითხთა განსჯისას აზრთა ხვდასხვაობა მკაფიოდ გამოიკვეთა კონფერენციის მესამე სხდომის შემდეგ (სსცსა, ფონდი 1819, აღწ. 1, საქ.17, ფ. 20-22).

1918 წლის 17 მარტს ამიერკავკასიის სამშვიდობო დელეგაციის შიდა სამუშაო სხდომაზე დელეგაციის ხელმძღვანელმა აკაკი ჩხენკელმა გააკეთა ინფორმაციული ხასიათის მოხსენება ოთომანის სამშვიდობო დელეგაციის ხელმძღვანელთან ხუსეინ რაუფ ბეისთან მისი კერძო საუბრის შინაარსთან დაკავშირებით. მისი აზრით, შემდგომი მოლაპარაკებების პროცესში ამიერკავკასიის დელეგაციას მოუწევდა გარკვეულ დათმობებზე წასვლა, მათ შორის ტერიტორიულსაც. ჩხენკელის აზრით, ტერიტორიული დათმობები უნდა განხორციელებულიყო ამიერკავკასიის სასიცოცხლო ინტერესების შეუღახავად (სსცსა, ფონდი 1818, აღწ. 2, საქ.179, ფ. 5). დელეგაციისათვის ცნობილი გახდა თურქეთის მხარის პოზიცია; თურქეთი რეალურად დაინტერესებული იყო ამიერკავკასიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობით, მაგრამ მხოლოდ 1877 წლის საზღვრების არდგენის პირობით. რაც შეეხება სომხეთის თვითგამორკვევის საკითხს (თურქეთის ტერიტორიაზე არსებული სომხური მიწებისათვის ავტონომიის სტატუსის განსაზღვრა ამიერკავკასიის დელეგაციის სამუშაო გეგმის ერთ-ერთ ძირითად საკითხთაგანს წარმოადგენდა - ნ. ზ.). თურქეთის მხარეს დაუშვებლად მიაჩნდა მისი განხილვა ამიერკავკასიის დელეგაციასთან მოლაპარაკებების დროს.

დელეგაციის წევრ გ. გვაზავას აზრით, დღის წესრიგიდან თურქეთის სომხური ავტონომიის საკითხის მოხსნა აუცილებლობამ განაპირობა და იგი უნდა მიერთებოდა ამინისტრირებულ და ლტოლვილ სომეხთა სამშობლოში დაბრუნების საკითხს. ხოლო ტერიტორიულ დამობასთან დაკავშირებით, მისი აზრით, უნდა მომხდარიყო იმ ოლქების დათმობა, რომელთა დაკარგვა დაშლით არ დაემუქრებოდა ამიერკავკასიის ერთიანობას. ასეთ ოლქებად კი მიაჩნდა ოლთისი, ყაგიზმანი და ყარსი (იქვე, ფ. 6). ამ მოსაზრებას მოჰყვა ადექტური პასუხი სომხური მხარის წარმომადგენლის რუბენ კაჩაზნუნისაგან. მისი აზრით, აღნიშნული მოსაზრება ცალმხრივი იყო და თუ საკითხის განხილვას ასე მიუდგებოდნენ უპრიანი იქნებოდა დათმობები

დაწყებუღიყო ბათუმიწ ოღქით (ტრპიზონიწ საზავო კონფერენცია, 60).

ღელღეგაციიწ წვერთა შორიწ უთანსმოღეა აშკარად იკვეთებოღა. ამ ფონზე კომპრომიწული შინაარსიწ იყო სომეხი ღელღეგატიწ აღღქსანღრღე ხატიწსოვიწ მოსაზრღება. მან აღნიშნა, რომ ბრღესტ-ღლიტოვსკიწ ხელშეკრულიღებაში თვითღამორკვევაზე კი არ არიწ ღლაპარაკი, არამღღდ სახელმწიფო ტერიტორიიწ ამა თუ იმ ნაწიღიწ ღათმობაზე. ყარსი, არღაჰანი ღა ბათუმი სტრატღეგიული ციხე-სიმაღრღებია, ამიტომაც პირველ სტადიაზე ღათმობები უნღა შეღეს ომ ტერიტორიებს, რომღებიც მღღებარღობს ამ ციხესიმაღრღებიწ სამხრეთით. ხატიწსოვიწ აზრით, თუ თურქული მხარღ არ იტყოღა უარს ყარსზე, ამიერკავკასიიწ ღელღეგაციას უნღა მიღღწია შენარწუნებუღიყო საგზავო მაღვისტრადღი ართვინი-არტანუჯი-არღაღანი, აგრეთვე ყარსიწ ოღღქიწ აღმოწავღღურ სომხური ნაწიღი (ტრპიზონიწ საზავო კონფერენცია, 61). საინტერღესო იყო მიწი შეხედულიღება თურქეთში სომხურ ავტონომიასთან ღაკავშირღებითაც: „იგი უნღა შევმოწსოთ თურქეთიწ საშინავო პოღიტიკიწსათვიწ მიწაღები ფორმიტ, მაგრამ ეს მაინც იქნება სომხური ტერიტორიული ავტონომიიწ საკითხი, სომხებიწ თავიანთ ნაციონალურ ოღღქებში უპირატესი ღაბრუნებისა ღა ღასახღების უზრუნველყოფით” - აღნიშნა მან. (იქვე, გვ. 61).

მემღღ-ჰასან გაჯინსკიწ აზრით კი, საღავო ციხე-სიმაღრღები საერთოღ ღაენღრიათ.

შეიწ უღ იწღამოვიწ აზრით, უნღა გარკვეულიყო რა ინტერღესები ამოღრავებღათ თურქებს - ციხესიმაღრღეთა საკითხი თუ ამ ოღღქებიწ მოსახღღობიწ ნაციონალური მოწყობიწ საკითხი (სსცსა, ფ.ი 1818, ან. 2, ს. 179, ფ. 6).

ამიერკავკასიიწ სამშვიღობო ღელღეგაციიწ 18 მარტიწ შიღა სხღომაც ღაეთმო თურქეთიწსათვიწ ტერიტორიებიწ ღათმობიწსა ღა თურქეთიწ სახელმწიფოში სომხური ავტონომიიწ საკითხთა განსჯას. განსაკუთრებით ემოციური ფონი გააჩნღა ა. ხატიწსოვიწა ღა რ. კაჩაზუნნიწ გამოწვღღებს. ცხადია სომხური მხარღ ცღიღობღა ტერიტორიული ღანაკარღები მაქსიმაღღურად

აეცილებინა თავიდან სომხეთისათვის. ისინი ამას ასაბუთებდნენ სხვადასხვა არგუმენტების მოშველიებით, რომელთა ნაწილი არსებულ რეალურ ვითარებასთან არაადექვატური იყო. ქართული მხარე შეძლებისდაგვარად ეფექტურად უმკლავდებოდა და კონტრარგუმენტირებული მოსაზრებებით ამტკიცებდა ბათუმის ოლქის სხვა ტერიტორიული დანაკარგების ფასად შენარჩუნების აუცილებლობას.

შემუშავებული იქნა ტერიტორიათა გარკვეული ნაწილის გადაცემის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ოსმალეთს უნდა მიეღო ყარსის ოლქიდან კაგიზმანის რაიონი, არდაჰანის ოლქიდან კი – ოლთისის რაიონი. ამგვარი კომბინაციით არდაჰანის ოლქში საქართველო შეინარჩუნებდა ფოცხოვ-ერუშეთს, რაც სომხეთისათვის ყარსის ოლქში დატოვებული ტერიტორიის ტოლფასი იქნებოდა (ნოზაზე, 1989, 33; ტრპიზონის საზავო კონფერენცია, 87-103-72).

ბაქოს ნავთობის საექსპორტო გატანა ბათუმის გზით აზერბაიჯანისათვის უფრო მომგებიანი იყო, ამდენად აზერბაიჯანი მხარს უჭერდა საქართველოს ბათუმის ოლქის შენარჩუნებაში. თუმცა კი იკვეთებოდა რეალური მდგომარეობა, ასე მაგალითად: თუ ამიერკავკასია ვერ შეძლებდა სადავო საკითხების დიპლომატიური გზით გადაჭრას, რასაც, ცხადია მოჰყვებოდა საომარი მოქმედების ესკალაცია, მაშინ აზერბაიჯანი, ძირითადად სარწმუნოებრივი პრინციპებიდან გამომდინარე, ვერ აიღებდა თავის თავზე ვალდებულებას, რათა სამხედრო ძალით დახმარებოდა მას - ამიერკავკასიას (ზოსიძე, 1995, 26).

23 მარტს ამიერკავკასიის დელეგაციამ ოსმალებს წარუდგინა მემორანდუმი, რომლის თანახმადაც ოსმალეთისათვის გადასაცემ ტერიტორიებს შეადგენდნენ: ოლთისი-არდაჰანის ოლქის სამხრეთი ნაწილი, და ყაგიზმანი-ყარსის ოლქის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. ოსმალეთის მხარემ გააკეთა ახალი მანევრი - მემორანდუმი გასაცნობად სტამბოლში იმპერიის მთავრობას გადაუგზავნა. ამით ოფიციალური სხდომები დასრულდა კიდევ, რის შემდეგაც მალე დაირღვა ერზინჯანის დროებითი ხელშეკრულება და განახლდა საომარი მოქმედებები.

ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკებას აშკარად აჩნდა რთული საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების დადი, რაც მეტწილად განაპირობებდა მეზობელ სახელმწიფოთა შორის წარმოქმნილ წინააღმდეგობებსაც.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ვაშაყმაძე ნ., სახელმწიფოებრივი საზღვრების საკიტხი საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში 1917-1921 წლებში, ქუთ., 2002.
2. ზოსიძე ნ., პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათ., 1995.
3. ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.
4. სიორიძე მ, სამხრეთ დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ბათ., 2002 .
5. ტრაპიზონის საზღვაო კონფერენცია (დოკუმენტების კრებული), ბათ., 1998.
6. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис 1919.
7. საქართველოს ცენტრალური საისტორიო სახელმწიფო არქივი (შემოკ. სცსსა), ფ. 1819, ან. 1, ს. 17, 41; ფ. 1818, ან. 2, ს. 179.

## **Nugzar Zosidze**

### **Georgian-armianskie resistans in Trapizonsky peace conferences**

#### Summary

In January 14, 1918 the military commander of the Ottoman army informed the general Odishelidze that Ottoman side was ready to conduct negotiations with the independent government of Caucasus in order to make a peace agreement between the two neighbour countries.

As the Caucasus commissariat was not able to take any real successful steps in these negotiations the Caucasus Seim was committed to continue these negotiations. The Seim consisted of the representatives of three nationalities expressing the position of the legitimate government.

The Seim assembled in February 10, 1918. In February 16 the membership of the delegation and a concrete action program was approved. The head of the delegation was A Chkhenkeli.

In February 23, 1918 they arrived to Trabson. The official negotiations began in a week, in March 1, 1918. On this meeting Ottoman side put a question about the political and administrative system of Caucasus Republic. They were also interested how this system was meeting the conditions provided by the international law.

Chkhenkeli represented the republic as an independent one with its Supreme Soviet elected through democratic elections. But the delegation couldn't stand for its position firmly and Trabson negotiations reached a deadlock.

This fact proved again that Caucasus, as a political union, was in the process of disintegration. And it was obvious that Georgia had to change its external political course essentially.

Ottomans considered the Brest Truce to be the basic document for working on the following agreements. In March 23 a special document was worked out according to which the south part of Oltice-Artahan district and the south-eastern part of Kagizman-Karsi district became the property of Ottoman country.

Brest and Trabson truces are the real depictions of the political and economic situation existing in Russian Empire. They clearly show the problems which small, beaten countries, like Georgia, had.



პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა ლიბანში

ისრაელ-არაბების 1948 წლის ომის შედეგად პალესტინელ ლტოლვილთა დიდი ნაკადი გადავიდა ლიბანში. ამ პერიოდის დრამატული მოვლენები ანუ „ალ-ნაკბა“ („კატასტროფა“) პალესტინელი ხალხისათვის ნამდვილი ტრაგედიაა. მას მოჰყვა პალესტინის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განადგურება. დანგრეული და მოსახლეობისაგან დაცლილი ქალაქებისა და სოფლების რიცხვმა 53 მიაღწია. ხოლო 800000-მდე ადამიანი საკუთარი სახლებიდან გამოდევნეს. ამ ტერიტორიაზე შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო, რომელიც პალესტინის ისტორიული ტერიტორიის 78%-ს ფლობს (<http://www.palestine-.ru/russian/nakba.html>).

ისრაელის სახელმწიფოს შექმნამ კიდევ უფრო გააღრმავა ებრაელების დაპირისპირება არაბულ სამყაროსთან. ებრაელებისა და არაბების შეტაკებებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო. ლტოლვილთა ნაკადიც ამ ტერიტორიიდან მეზობელ სახელმწიფოებში არ წყდებოდა. განსაკუთრებით კი ლიბანში. 1967 წლის ბოლოსათვის დევნილთა რაოდენობამ 160000-ზე მეტი ადამიანი შეადგინა.

პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობამ მუსულმანებსა და მემარცხენე ძალებში ფართო მხარდაჭერა ჰპოვა ლიბანში. აღნიშნულ ძალებს პალესტინელი დევნილების სახით ისრაელის წინააღმდეგ საბრძოლველად ახალი რესურსი გაუჩნდათ.

1969 წ. 3 ნოემბერს, კაიროში, ლიბანის პრეზიდენტმა ევვიპტის ნასერასმა და პალესტინის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას (კაიროს შეთანხმება), რომელიც განსაზღვრავდა პალესტინელი ლტოლვილების სტატუსს ქვეყანაში და აძლევდა შეიარაღებული რაზმების შექმნის უფლებას.

უნდა აღინიშნოს, რომ 70-იან წლებში პალესტინის ტერიტორიაზე მყოფი შეიარაღებული დაჯგუფებები თავდაპირველ

ლად განლაგდნენ იორდანიაში. მათ მოკლე პერიოდში იორდანის სამეფო გადააქციეს თავიანთ მთავარ პლაცდარმად ისრაელზე რეგულარული თავდასხმების განხორციელებისათვის. ასეთი ქმედებები იორდანიას საერთაშორისო იმიჯს ულახავდა. ამიტომაც, 1970 წელს იორდანის მეფის ჰუსეინმა განდევნა ისინი ქვეყნიდან.

იორდანიიდან დევნილი პალესტინური სამხედრო დაჯგუფებები ლიბანში გადავიდნენ. რეგიონში პალესტინელებსა და ებრაელებს შორის საომარი შეტაკებები ინტენსიური გახდა. აღსანიშნავია, რომ პალესტინელი დევნილების რაოდენობამ ლიბანში დაარღვია რელიგიურ-საზოგადოებრივი ბალანსი მუსლიმების სასარგებლოდ. ლიბანის საზოგადოებაში მომხდარი ეს ცვლილება გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სამოქალაქო ომისა და ისრაელის აგრესიის განხორციელებისა ქვეყანაში. 1982 წლის 6 ივნისს ისრაელის ჯარები თავს დაესხა (ოპერაცია „მშვიდობა გალილეას“) ლიბანს. შეტევის მთავარი მიზანი პალესტინელი ტერორისტების ბაზების განადგურება იყო.

1982 წლის 13 ივნისისათვის, ებრაულმა შეიარაღებულმა ნაწილებმა ლიბანის დედაქალაქი ბეირუთი დაიკავეს და ალყაში მოაქციეს პალესტინური და სირიული ფორმირებები. ქალაქის ბლოკირებული რაიონი წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა უწყვეტ საჰაერო და საარტილერიო დარტყმებს. 1982 წლის 12 აგვისტოს, შუალამით, პალესტინელმა მებრძოლებმა იასირ არაფატის ხელმძღვანელობით გამოაცხადეს კაპიტულაცია. დაპირისპირებულ მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, არაფატი იძლეოდა გარანტიას, რომ იგი დატოვებდა ლიბანს. შეთანხმების პირობების შესრულებაზე კონტროლი აიღო ბეირუთში აშშ-ს, საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლებმა. ისინი ქვეყანაში 1982 წლის 21 აგვისტოს შევიდნენ. თუმცა ბეირუთიდან პალესტინელებისა და სირიელების გასვლის შემდეგ, იმავე წლის 3 ნოემბერს მათ ბეირუთი დატოვეს (<http://shaon.livejournal.com/38442.html>).

1982 წლის 14 სექტემბერს, ტერორისტული თავდასხმის შედეგად მოკლეს ლიბანის პრეზიდენტი და ქრისტიან-ფალანგი-

სტების\* ლიდერი ბაშირ ჟმაელი (მენტეშაშვილი, 1991, 118). მკვლევლობის ერთ-ერთი მიზეზი მისი ისრაელის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა იყო.

70-იან წლებში მას და მისი ოჯახის წევრებს ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობები ებრაულ „მასადთან“, რომელიც უწევდა მას დახმარებას ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს. 1982 წლის ლიბანური კამპანიის დროს ცახალი (ისრაელის თავდაცვის არმია) იმედოვნებდა ფალანგისტების მხრიდან მხარდაჭერას ისრაელის საომარ მოქმედებათა წარმატებით დასრულებისათვის. თავის მხრივ კი, ცახალი უზრუნველყოფდა ბაშირი ჟმაელის ხელისუფლებაში მოსვლას („ალ-აკბარ“, 17.09.1982). მაგრამ აღნიშნული გეგმა ჩაიშალა ჟმაელის მკვლელობის გამო. ასევე მის ჩაშლაში დიდი როლი შეასრულა იმ გარემოებამ, რომ ჟმაელის ძმა, ამინ ჟმაელი, რომელიც ძმის პოლიტიკურ მემკვიდრედ ითვლებოდა, ისრაელთან აღნიშნულ ვარიანტებს გაემიჯნა.

ბაშირ ჟმაელის სიკვდილის შემდეგ, ცახალიმ ტერორისტების განადგურების საბაბით განახორციელა სამხედრო ოპერაციები ბეირუთის დასავლეთ რაიონებში არსებულ პალესტინელი ლტოლვილების ბანაკებში. მისიის შესრულება დაეკისრა ფალანგისტებს და ცადალს (სამხრეთ ლიბანური არმია). ცახალსა და ფალანგისტებს შორის კოორდინაციას ახორციელებდა ისრაელის არმიის მეთაური პოლკოვნიკი ამოს იარონი. ფალანგისტებთან მოლაპარაკებებისას იარონმა გააფრთხილა ისინი, რომ სამხედრო ოპერაციის დროს არ უნდა დაზარალებულიყვნენ მშვიდობიანი პალესტინელები.

1982 წლის 16 სექტემბერს, საღამოს ექვს საათზე, ჟმაელის სიკვდილით აღშფოთებული ფალანგისტები პალესტინელთა ბანაკებში, საბრასა და შატილაში შეიჭრნენ. ფალანგისტებმა დახოცეს ყველა, ვინც კი შეხვდათ. (<http://ghetto.in.ua/article.php?ID=10&AID=157>). „ხოცვა-ჟლეტვის დასაწ-

---

\* ფალანგები – შეიარაღებული ძალები, რომელიც შექმნეს ლიბანელმა ქრისტიანმა მარონიტებმა 1936 წელს და მიზნად დაისახეს ქვეყანაში ძალაუფლების ხელში აღება.

ეისში რამოდენიმე პალესტინელი ფრთხილად, მაგრამ მინდობილად, თეთრი დროშით ხელში გამოვიდა შეხვედრაზე თავის მკვლელებთან – წერს ფრანგული ჟურნალის „პარი-მატჩის“ კორესპონდენტი – ეს იყო საბედისწერო შეცდომა. ისინი კედლის გასწვრივ დააყენეს და დახვრიტეს”.

ამ თავდასხმის დროს, ადამიანებზე ნადირობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. დაანგრიეს დევნილთა საცხოვრებელი ადგილები. ადამიანებს ხოცავდნენ საკუთარ სახლებში. დაუჯერებელი სისასტიკით უსწორდებოდნენ ადამიანებს, განსაკუთრებით მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს, - აგრძელებს თხრობას კიდევ ერთი ფრანგული ჟურნალის „იუმანიტეს“ კორესპონდენტი.

1982 წლის სექტემბერში, ლონდონის „თაიმის“ კორესპონდენტმა რობერტ ფისკიმ აღწერა ბანაკებში მომხდარი მასობრივი მკვლელობები: „ისინი იყვნენ ყველგან, ვიწრო ქუჩებზე, უკანა ეზოებში, დანგრეულ სახლებში, ნაგავსაყრელებზე. მკვლელებმა, რომლებმაც 14 საათით ადრე მიიღეს ისრაელისგან ბრძანება „გაენადგურებინათ ტერორისტები“, დატოვეს შემთხვევის ადგილი. მიწა ჯერ კიდევ არ იყო სისხლისგან მშრალი” (<http://www.islam.ru/pressclub/histori/sabra/>).

უნდა აღინიშნოს, რომ თავდასხმის დროს საბრასა და შატილაში არ იყო არც ერთი შეიარაღებული პალესტინელი. მათ დატოვებული ჰქონდათ ნახევრად დანგრეული ქალაქი. სამშვიდობო შეთანხმება კი, რომელზეც ხელი მოაწერა თეთრი სახლის ადმინისტრაციის სპეციალურმა წარმომადგენელმა ფილლიპ ჰაბიბიმ, იძლეოდა ბანაკის მცხოვრებთათვის უსაფრთხოების გარანტიას. შეთანხმების თანახმად ისრაელს არ შეეძლო დასავლეთ ბერიუთში შესვლა, მაგრამ ისრაელის თავდაცვის მინისტრმა არიელ შარონმა, რომელმაც მთლიანად მოახდინა ქალაქის ოკუპირება, გაატარა საბრა და შატილაში ფალანგისტების შეიარაღებული რაზმები. 2000-მდე დაუცველი პალესტინელი ბავშვი, ქალი და მოხუცი ამოხოცეს პირდაპირ ისრაელის არმიის გენშტაბიდან რამოდენიმე მეტრის მოშორებით, გაეროს და დასავლეთი ქვეყნების დიპლომატების სრული უმოქმედობის პირობებში (<http://ghetto.in.ua/article.php?ID=10&AID=157>).

საბრასა და შატილაში მომხდარმა ტრაგიკულმა მოვლენებმა შეძრა ლიბანი. ტრაგედიის შესახებ ცნობები მალე გავრცელდა მსოფლიოშიც. მოძრაობა „შალომ ახშავის“ აქტივისტებმა (არასაპარლამენტო საზოგადოებრივი მოძრაობა ისრაელში) დაიწყეს მასობრივი დემონსტრაციები თელ-ავივში. ისრაელის მთავრობის ხელმძღვანელი, მენახემ ბეგინი საზოგადოებრივი ზეწოლის გამო იძულებული გახდა მოეხდინა საბრასა და შატილში დატრიალებული ტრაგედიის გამოძიება (<http://piratyy.h14.ru/artikle/sharon.html>), მაგრამ უშედეგოდ.

ტრაგიკული მოვლენებიდან თითქმის 28 წელი გავიდა, მაგრამ დამნაშავეები დღემდე არ დასჯილან. ამჟამად ლიბანში პალესტინელი ლტოლვილების რიცხვი 404 170 ათას ადამიანს შეადგენს. ისრაელმა უარყო გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული №194 რეზოლუცია. იგი ითვალისწინებდა პალესტინელი დევნილების საკუთარ სახლებში დაბრუნებას. ისრაელის უარი აიხსნება იმით, რომ მას არ სურს ნაციონალური, დამოუკიდებელი პალესტინური სახელმწიფოს შექმნა ანუ პალესტინელებს გაუნაწილოს „ებრაელების სახელმწიფო“ (ჟურ. «Вокруг Света» №6 (2513), 06. 1983).

ამრიგად, პალესტინის ძირძველი მოსახლეობა, ისრაელის აგრესიის პირობებში, იძულებულია იცხოვროს მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე და იბრძოდოს დამოუკიდებელი პალესტინური სახელმწიფოს შექმნისათვის დედაქალაქ იერუსალიმით. რაც არსებული საერთაშორისო წესრიგის და მსოფლიო არენაზე ძალთა კონფიგურაციის პირობებში ძნელად მისაღწევია.

პალესტინელი დევნილების პრობლემა ლიბანის სახელმწიფოებრიობისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის მატარებელია. შიდაპოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი ქვეყანაში მათი არსებობაა. პალესტინელმა დევნილებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ლიბანის რელიგიურ-საზოგადოებრივ სტრუქტურაზე და გარკვეული როლი შეასრულეს ლიბანის სახელმწიფოებრივი კრიზისის განვითარებაში. მან იმთავითვე საერთაშო-

რისო ასპექტები შეიძინა და ახლო აღმოსავლეთის კრიზისში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

**Natalya Lazba**

## **Tragedy of Sabra and Shatil**

summary

On September 16<sup>th</sup> of 1982 infuriated with killing of president Zmayel, Falangists led by El Khobeik entered in the territory of Palestinian camps in Lebanon at 6 o'clock in the evening. Christian Falangists were armed with small arms, knives and axes. Entering in the camps the soldiers – Tsakhala and Tsadala, also group of Lebanese doctors became witnesses of terrible picture. Almost 17 years passed from tragic fact of Palestinian refugees Sabra and Shatil in the camps and nobody was still punished for this crime. At present total number of Palestinian refugees in Lebanon amounts about to 404,170.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

ზ. ენთეშაშვილი „თანამედროვე ლიბანი: ეთნოკონფესიონალიზმი და პოლიტიკა“. თბ., 1991.

„ალ-აკბარ“, 17.09.1982.

ეურნალი «Вокруг Света» №6 (2513), 06. 1983.

<http://ghetto.in.ua/article.php?ID=10&AID=157>

<http://www.islam.ru/pressclub/histori/sabra/>.

<http://ghetto.in.ua/article.php?ID=10&AID=157>

<http://piratyy.h14.ru/artikle/sharon.html>

**ებრაელთა მღვრთმარეობა საზრანგეთისა და ინგლისში  
შუა საუკუნეების ეპოქაში**

ებრაელი ხალხის ისტორია შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ღრმა ტრაგიზმითაა აღსავსე. ისინი სულ მუდამ იღვევებოდნენ.

ებრაელის სტერეოტიპი შეიქმნა სწორედ შუა საუკუნეებში, როდესაც ებრაელს გამოსახავდნენ როგორც სატანას, რქებით, ეშმაკის კუდით. მას უკავშირებდნენ ბნელ ძალებს, ბოროტებას, მიიხვედნენ გამყიდველად. თითქოს მათთვის ძვირფასი იყო უფრო ოქრო, ვიდრე ღმერთი (კაუფმანი, 1980:232) აი, როგორი უსამართლო და დამამცირებელი ბრალდებები გაისმოდა მათ მიმართ შუა საუკუნეების ბნელ ეპოქაში.

საფრანგეთში, ჯერ კიდევ მეროვინგების მმართველობის დროს (464-714წწ), მათი ბედი მეტად არასახარბიელო იყო. მათ არანაირი უფლება არ გააჩნდათ. VI ს-ის ფრანგული წყარო გრ.ტურელის „ფრანკთა ისტორია“ (თავი VII. § 23) გვაუწყებს, რომ ერთ-ერთი ებრაელის, სახელად არმენტარის ვალი ჰქონია გრაფს და მის მოადგილეს. მათ არა თუ გადაიხადეს ეს ვალი, არამედ მოტყუებით მიიპატიჟეს იგი სახლში ვახშამზე, მოკლეს და ჭაში ჩააგდეს ცხედარი (თურელი, 1987:23).

როგორც ირკვევა, მკვლელობა ჩაიდინა გრაფის დავალებით მისმა მოადგილემ, რომელმაც მიცვალებულს ჯიბიდან ამოაცალა ფული და სესხის დამამტკიცებელი საბუთები. გარდაცვლილი ებრაელის ნათესავებს საჩივარიც კი არ აღუძრავთ, ვინაიდან იცოდნენ, რომ მეფე (ხილდებერტი) მაინც არ დასჯიდა მკვლელს ანუ არ გაამართლებდა ებრაელს.

წყაროდან ჩანს თუ როგორი დაუცველნი იყვნენ ებრაელები. ებრაელს არ შეეძლო ხმამაღლა გამოეთქვა თავისი უკმაყოფილება. დასჯის და დევნის შიში აიძულებდა მას ყოფილიყო მორჩილი.

გრ.ტურელის „ფრანკთა ისტორიაში“ მოცემულია კიდევ ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც გვაუწყებს თუ როგორ აიძულებდნენ ებრაელებს მონათლულიყვნენ ქრისტიანულად. მეფე ხილპერიკმა 582წ. გასცა ბრძანება იუდეველთა მონათვლის შესახებ. ზოგი ებრაელი იძულებული იყო მონათლულიყო ქრისტიანულად, ზოგი ინათლებოდა ნებაყოფლობით, მაგრამ შემდეგ ისევ უბრუნდებოდა თავის ძველ სარწმუნოებას. ზემოთ მოყვანილი წყაროდან ირკვევა, რომ ერთ-ერთი ებრაელი, სახელად პრისკი, არ მონათლა საერთოდ. ებრაელთა დაუმორჩილებლობის გამო მეფე განრისხდა და ბრძანა შეეპყროთ ის ებრაელები, რომლებიც ნათლობაზე უარს აცხადებდნენ. ზემოთ ნახსენებმა პრისკმა გამოსყიდვით თავი გაინთავისუფლა იმ დრომდე, სანამ მისი ვაჟი არ დაქორწინდებოდა ებრაელ ქალ მარსელზე და განაცხადა, რომ ამის შემდეგ ის დაემორჩილებოდა მეფის ბრძანებას. შემდეგ პრისკასა (მონათლავ და მონათლულ იუდეველ პატრომს შორის ჩამოვარდა კონფლიქტი ალბათ იმის გამო, რომ პატრომი მონათლა ქრისტიანულად-ი.ბ) როდესაც პრისკი სამლოცველო ტანსაცმელში გამოწყობილი მიდიოდა სალოცავად, უეცრად პატრომი მას თავს დაესხა და მოკლა იგი, ხოლო თვითონ გაიქცა და თავი შეაფარა იულიანეს ტაძარს.

გამოიცა მეფის ბრძანება ებრაელთა სიკვდილით დასჯის შესახებ. პატრომმა (მონათლული-ი.ბ) მიიღო ნებართვა გუნტრამის (ბურგუნდიის) სამეფოში დაბრუნებულიყო, მაგრამ პატრომი რამდენიმე ხანში მოკლეს პრისკის ნათესავებმა (თურელი, 1987:170). როგორც ჩანს, პატრომს არ აპატიეს პრისკას მკვლელობა და თავისი სარწმუნოების უარყოფა.

ამდენად, ტრაგიკული იყო იმ ებრაელთა ბედი, რომლებიც იძულებული იყვნენ მიეღოთ ქრისტიანობა, რადგან მათ მოძმე ხალხი არ აპატიებდა თავისი სარწმუნოებისადმი ღალატს, რაც თვალნათლივ ჩანს ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან. ასევე მიძე იყო ხვედრი იმათი, ვინც არ ემორჩილებოდა მეფის ბრძანებას ქრისტიანობის მიღების შესახებ. მათ ელოდათ სიკვდილით სასჯელი.ორივე შემთხვევაში ებრაელი იჩაგრებოდა.



ამავე წყაროში მივაკვლიეთ საინტერესო ცნობას იმის შესახებ, რომ ებრაელთა გარკვეულმა ნაწილმა თავისი ნებით აირჩია ქრისტიანული სარწმუნოება და უარი თქვა იუდაიზმზე, ხოლო ისინი, ვინც ბოლომდე ერთგული დარჩნენ თავიანთ საწმუნოების და არ მოინათლნენ, დატოვეს ქალაქი მარსელი.

გრ. ტურელი გადმოგვცემს თუ როგორ მოაბრუნა ქრისტიანობისკენ იუდეველები ეპისკოპოსმა ავიტმა 576 წელს. აი, როგორ მოხდა ეს : ეპისკოპოსი ავიტი ყოველთვის ღოცულობდა იუდეველთა სულის გადასარჩენად. ერთხელ, ღოცვის დროს, მასთან მოვიდა იუდეველი კაცი და სთხოვა მოენათლა იგი ქრისტიანულად. პასხის დიდ დღესასწაულზე, როდესაც ის თეთრ ტანისამოსში ჩაცმული სხვებთან ერთად მიემართებოდა ქალაქში მოსანათლად, ერთ-ერთმა ებრაელმა, ეშმაკით შეპყრობილმა მონათლულ ებრაელს თავზე გადაასხა დამძაღბული ზეთი. ამ ფაქტით შეძრწუნებული ხალხი აპირებდა იუდეველის ჩაქოლვას, მაგრამ ეპისკოპოსმა ავიტმა ისინი შეაჩერა. ხალხმა მაინც არ აპატია იუდეველს ეს საქციელი. აღდგომის წმინდა დღეს, როცა ეპისკოპოსი გალობით მიდიოდა წმინდა მარტინეს ბაზილიკაში, მათ მიწასთან გაასწორეს იუდეველთა სინაგოგა. ამის შემდეგ ეპისკოპოსმა შეუთვალა იუდეველებს, თუ სურდათ ჭეშმარიტი სარწმუნოების (ქრისტიანობის-ი.ბ) მიღება, უნდა მისულიყვნენ მასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, დატოვებდნენ ამ ადგილებს. იუდეველებმა შეუთვალეს: „ჩვენ გვჯერა მამა ღმერთის, იესო ქრისტესი, ამიტომ გთხოვთ, მოგვიტევოთ ჩვენი ცოდვანი და მოგვნათლოთ ქრისტიანულად“. გახარებული ეპისკოპოსი გაემართა მათთან და ნაკურთხი წყლით განბანა ისინი, ტაძარი სანთლებით აივსო, იერუსალიმი ხარობდა (ეი ხარობდა ქრისტიანული სამყარო-ი.ბ), 500-მდე კაცი მოინათლა. ისინი თეთრ სამოსში იყვნენ გამოწყობილი. ვინც არ მოისურვა მონათვლა, იძულებული იყო დაეტოვებინა ქალაქი (ტურელი, 1987:122-123).

ძნელია ითქვას, თუ რა მიზეზით მოინათლნენ ებრაელები ასე მასობრივად. ეს იყო იუდეველთა ჭეშმარიტი სურვილი ქრისტიანული სარწმუნოების მიღებისა, თუ შიში ეპისკოპოსი

ავიტის მიმართ, რომელმაც ბრძანაან მონათლულიყვნენ, ან დაეტოვებინათ ეს ადგილები.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს ებრაელთა მიმე მდგომარეობას. ისინი ფიზიკური განადგურების, საცხოვრებელი ადგილების დატოვების შიშით იძულებული იყვნენ მიეღოთ ქრისტიანული სარწმუნოება, ან უკიდურეს შემთხვევაში დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი.

სარწმუნოების შეცვლაზე უარის თქმის შემთხვევაში, ებრაელები სიკვდილითაც კი ისჯებოდნენ. ასე მაგალითად, 1171 წელს საფრანგეთის ქალაქ ბლუაში ჩატარდა ებრაელთა სასიკვდილო რიტუალი. ამ რიტუალზე 34 ებრაელი კოცონზე დაწვეს. ეს განაჩენი მათ მას შემდეგ გამოუტანეს, რაც ებრაელებმა უარი განაცხადეს სარწმუნოების შეცვლაზე (ნარკვევები, 1972:265).

ებრაელები, როგორც განსხვავებული სარწმუნოების მიმდევარი ხალხი, კათოლიკური ეკლესიის წაქეზებით იდევნებოდნენ საფრანგეთში. 1182 წელს საფრანგეთის მეფე ფილიპე ოგიუსტის ედიქტის მიხედვით, ებრაელებს ეკრძალებოდათ საფრანგეთში ცხოვრება. 1290 წელს კი, ებრაელები ისევ იდევნებოდნენ საფრანგეთიდან (პაატაშვილი, 1998:13-14).

საფრანგეთის მეფის ფილიპე IV-ის (1285-1314) შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა ის გადასახადები, რომელსაც ახდევინებდნენ მევახშე ებრაელებს. 1306 წელს, როცა ფილიპე IV-ს ძალიან უჭირდა ფული, მიმართა განსაკუთრებულ ზომას. მისი ბრძანებით მოეწყო ებრაელთა ქონების კონფისკაცია. მათი ქონება გადაეცა სამეფო ხელისუფლებას, ხოლო შემდეგში გაირკვა, რომ ებრაელები გააძევეს საფრანგეთიდან. მათი წასვლით შემცირდა სამეფო ხაზინის შემოსავალი. რადგან ხაზინის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო ებრაელებზე დაწესებული გადასახადები, ამიტომ მათ ნება დართეს ხელახლა დაბრუნებულიყვნენ საფრანგეთში.

ებრაელთა განდევნა და მათი უკან დაბრუნება ფილიპე IV-ის მეგვიდრეების დროს რამდენჯერმე განმეორდა. 1320-1321 წლებში საფრანგეთში ებრაელთა წინააღმდეგ წამოყენებულ იქ-

ნა ბრალდება სასმელი წყლების, ჭების მოწამელის შესახებ. ამ ბრალდების დასამტკიცებლად დაიქირავეს ავადმყოფების, რის შედეგადაც დაიწყო ებრაელთა დევნა საფრანგეთსა და მეზობელ ქვეყნებში.

1348-1349 წლებში ანტიებრაელურმა ტერორმა პიკს მიაღწია. იყო „შავი სიკვდილის“ წლები, რომელიც თავს დაატყდა მთელ ევროპას, რასაც მოჰყვა ებრაელთა დასახლებების ამოხრცვა საფრანგეთსა და სვა ქვეყნებში (ნარკვევები, 1972:272).

საფრანგეთის მეფის შარლ VI-ის (1380-1422) დროს გამოიცა ბრძანება, რომლის ძალითაც ებრაელები მთლიანად გააძევეს საფრანგეთიდან, მაგრამ ნაწილი დარჩა პაპის ავინიონში. პარიზსა და მთელ საფრანგეთში კი, ისინი მალულად ცხოვრობდნენ, ვინაიდან იდევნებდნენ (სინელნიკოვი, 2005:117).

მოგვიანებით საფრანგეთში ვხვდებით უკან დაბრუნებულ ებრაელებს, რომლებსაც მოიხსენიებდნენ როგორც „პორტუგალიელ ვაჭრებს“. ისინი დასახლდნენ სენ ჟან დე ლუზში, სენ ესპი-ლე ბაიონში, ბაიარცში, მარსელში, ლიონში, ნანტში, რუანში, პარიზსა და ამერიკის ფრანგულ კოლონიებში. XVIII საუკუნეში ებრაელთა რაოდენობა ბორდოში შეადგენდა 1500-2000 კაცს (სინელნიკოვი, 2005:204).

ჩვენი აზრით, ებრაელთა გაქრისტიანება იყო იძულებითი, ფიზიკური განადგურების თუ გადასახლების შიშით ისინი ფორმალურად აღიარებდნენ ქრისტიანობას, რეალურად კი რჩებოდნენ ერთგული თავისი სარწმუნოებისადმი.

არასახარბიელო იყო ებრაელთა ბედი ინგლისშიც. 1189 წელს ლონდონსა და ინგლისის სხვა ქალაქებში, რიჩარდ ლომგულის მეფედ კურთხევის დღეს, მოეწყო ებრაელებზე მასობრივი თავდასხმები და რბევა-აწიოკება (პაატაშვილი, 1998:13). როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო ებრაელთა დამცირება ინგლისში, რომ ისინი სიცოცხლის ფასადაც კი უწევდნენ წინააღმდეგობას ამ ძალადობას, რაც ხშირ შემთხვევაში უშედეგოდ მთავრდებოდა. ასე მაგალითად, 1190 წელს, როცა გამოცხადდა ინგლისში ებრაელთა დევნა, ქალაქ იორკის ებრაელობა სამეფო მოხელეებს ჩაუსაფრდნენ ციხე-სიმაგრეში და ქალაქში

შეშვებაზე წინააღმდეგობა გაუწიეს. მიუხედავად გმირული ბრძოლისა, ისინი დამარცხდნენ. მათ საკუთარ თავს გამოუტანეს საშინელი განაჩენი: ჯერ დახოცეს თავიანთი ოჯახის წევრები და შემდეგ, თავადაც თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე.

ინგლისის მეფემ ედუარდ I-მა და მისმა საიდუმლო საბჭომ ებრაელები გააძევა გასკონიდან, ხოლო მათი ადგილები დაიკავეს კრედიტორების სახით ფლორენციელმა ბანკირებმა: პერუციმ და ბარდიმ, რომლებიც შემდგომში, 1342-1346 წლებში ედუარდ III-ის დროს გაკოტრდნენ, თუმცა სავაჭრო ოპერაციები ინგლისთან გააგრძელა იტალიის სახელმწიფოებმა: ვენეციამ, გენუამ, მილანმა XIV-XV საუკუნეებში (სტაბსი, 1903:123).

ებრაელთა მდგომარეობა ინგლისში კიდევ უფრო გაუარესდა. 1290 წელს მეფემ ედუარდ II-მ (1272-1307) გამოსცა ბრძანება ინგლისიდან ყველა ებრაელის გაძევების შესახებ.

ლ.ზალცმანის მიხედვით, ინგლისში სამეფო ხელისუფლების მიერ ებრაელთა დევნა განპირობებული იყო იმ ფაქტორით, რომ ებრაელი ბანკირები ჭრიდნენ ყალბ მონეტას. ზოგჯერ ჭრიდნენ 17%-იანი წონის შემცველობის ვერცხლის მონეტას (კენინგემი, 1909:4) ვერცხლის ფულის შემცველობა კანონით უნდა ყოფილიყო 407 ფ.სტ, ხოლო შემოწმების შემდეგ დადგინდა 337 ფ.სტ. და 19 შილ. შემცველობა (სალზმანი, 1931:11).

სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი ებრაელთა გაძევებისა და მათი ქონების კონფისკაციისა. ჩვენს მიერ მიკვლეული მასალებიდან ჩანს, რომ ებრაელთა ქონების კონფისკაციის შედეგად სამეფო ხაზინაში შევიდა 11 ათასი ფ.სტ. (პაატაშვილი, 1998:11)

ორკვევა, რომ XIII საუკუნიდან დაიწყო ებრაელთა მასობრივი გადასახლება და 1655 წლამდე ბრიტანეთში არ დარჩენილა არცერთი ებრაული ოჯახი (ნარკვევები, 1972:319). მოგვიანებით კი (XVIII ს.ში-ი.ბ), ლონდონში ცხოვრობდა ებრაული ოჯახები, რომლებიც გადმოსახლდნენ აქ ოლივერ კრომველთან ერთად (სინელნიკოვი, 2005:117)

ებრაელი ხალხის ისტორიის შესწავლამ ნათელყო, რომ ისინი იდეენობოდნენ ასევე სხვა სახელმწიფოებშიც: ესპანეთში,

იტალიაში, გერმანიაში, პოლონეთში, ლიტვაში, რუსეთში, რაც ჩვენი შემდგომი კვლევის საგანია, მაგრამ საქართველოში ისინი არასოდეს არ იდევნებოდნენ.

მართალია, ებრაელები იდევნებოდნენ, მაგრამ ევროპის სახელმწიფოების ისტორიიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ეს ხალხი ამავე დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათი რიგებიდან გამოსული ადამიანები მართავდნენ ქვეყნის საფინანსო საქმეებს, ინიშნებოდნენ დიპლომატიურ თანამდებობებზე. ებრაელი ექიმები ხშირად ითავსებდნენ საფინანსო და პოლიტიკურ საქმიანობას. მათი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა მეცნიერების სხვადასხვა დარგები: ასტრონომია, ფიზიკა, მათემატიკა, პოეზია, ფილოსოფია. ხოლო ძირითადი საქმიანობა იყო ოქრომჭედლობა, სააფთიაქო საქმე, ხელოსნობა და ვაჭრობა.

ცნობილი რუსი მედიევისტი ეკუზნეცოვი სამართლიანად მიუთითებს, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ვაჭრობის მცოდნე ხალხად აღიარებული იყვნენ ებრაელები, ლომბარდიელები (იტალიელები) და ინგლისელები (ეკუზნეცოვი, 1989:4) ე.ი. ამ სამეუღელში ერთ-ერთი იყო ებრაელები. გამოდის, რომ ისინი ცნობილი იყვნენ, როგორც ვაჭრობის საუკეთესო უნარის მქონე ხალხი.

ამრიგად, ებრაელი ხალხის ისტორიის შესწავლამ შუა საუკუნეების ევროპის სახელმწიფოებში, საფრანგეთსა და ინგლისში ნათელყო, რომ მიუხედავად სასტიკი დევნისა და შევიწროებისა მათ შეძლეს შეენარჩუნებინათ საკუთარი ენა და თვითმყოფადობა, არ ეღალატნათ სარწმუნოებისათვის. საკუთარ თავზე გადატანილი უსამართლობით, სულით ხორცამდე შეძრწუნებული ებრაელი მხოლოდ ოჯახსა და სინაგოგაში ჰპოულობდა შეებას. სწორედ თავმდაბლობისა და დიდი მოთმინების ფასად ამ ხალხმა მოიტანა თავისი ისტორია დღემდე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. პატაშვილი. ისტორიის ფურცლები.თბ.,1998.
2. Гр.Турский. История Франции. М.,1987
3. И.Кауфман. Л.Финкелстаин. Ш.Эттингер. Еврейская история и религия. Библиотека-Алия,1980. printed in Izrail.
4. У.Кенингем. Рост англиииской промышленности и торговли в ранний период и средние века. М.,1909.
5. .Е.В. Кузнецов. Торговля и купеческий капитал в Англий XIV-XV вв. В кн.:Проблемы англиииской истории историографии,Горький, 1989.
6. .Очерки по истории еврейского народа под ред.проф. С.Эттингера,Тел-Авив,1972.
7. А.Синельников. Средневиковая империя Евреев.М.,2005.
8. Stubbs.W.The Constitutional History of England. L.,1903, v 11.
9. Salsman L.F. The English Trade in the Middle ages.Oxford,1931.

**Izolda Beltadze**

**Tewish people in England and France  
in the Middle centuries**

Summary

Wie investigated and discussed the Tewish peoples living conditions and being in the middle centories European countries; like France and England.

The french source-„The Franks history” by Gr.Tooreli informs us how unsecured were Tewish people in the fraks state in 464-714 years.

Tewish were exiled from france in 1171,1182,1306,1348-1349,1394,1615 years.

Tewish were not lucky in England as well.The were banished in 1189,1190,1290 years.There was no single Tewish family left in britain from the XIII up to XVII centuries.

Tewish were banished in Spain, Italy, Germany, Poland, Litva, Russia. But they have never been oppressed and exiled from georgia.

Thus, by this investigation we can say that inspite of strict oppression and exile Tewish could preserre their language,independence and faith. Ins-pite exprerenced unjust opprssion the excited. Tewish used to find freedom and peace in their own families and sinagoga as well.

In result of their great patience and modesty Tewish brought their history up to now a days.

**მუსტაფა ქემალ ათათურქი და ნაციონალიზმი**

რესპუბლიკური თურქეთის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი როლი ითამაშა მუსტაფა ქემალ ათათურქმა (1881-1938). იგი ქვეყნას ყველაზე მძიმე წლებში ჩაუდგა სათავეში (1918-1923) და სამართლიანადაც ითვლება რესპუბლიკური თურქეთის დამაარსებლად. ათათურქის ფენომენი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთდროულად იყო სამხედროც, რელიგიის დამცველიც, სახელმწიფო მოღვაწეც და რევოლუციონერიც.

მან მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქვეყნის დღევანდელი ბაზ. მისი პრინციპები (რესპუბლიკურობა; ნაციონალიზმი; ხალხურობა; ეტატიზმი; ლაიციზმი და რევოლუციურობა), რომლებიც ქემალიზმის სახელითაა ცნობილი, საფუძველია რესპუბლიკური თურქეთის სახელმწიფოებრიობისა (**მაკარაძე, 2000, 78**).

ყოველ ამ დებულებას თავისი ისტორიული წარსული გააჩნია და თითოეული მათგანი თანამედროვე ეტაპზე განვითარების საკმაოდ რთულ და მძიმე გზას გადის. ამჯერად, მიმოვიხილავ ერთ-ერთ პრინციპს – ნაციონალიზმს.

ნაციონალიზმი – თურქეთის ახალი და უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. თურქეთში XIX საუკუნეს „ნაციონალიზმის ეპოქას“ უწოდებდნენ, თუმცა XX საუკუნეშიც ნაციონალიზმის ცნება თურქული საზოგადოებისათვის უხცოვარ იყო. მან კიდევ ერთხელ მიიპყრო დიდი ყურადღება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რაც დღესაც გრძელდება. ისმება კითხვა, თუ რა გზას დაადგებიან და რომელ მოდელს აირჩევენ ახლად წარმოქნილი სახელმწიფოები, რომლებშიც თითქმის მთლიანად ან ნაწილობრივ მუსლიმური მოსახლეობაა. ასეთ ფორმად მიიჩნევა ორი: ირანული და თურქული მოდელი.

თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებელი მუსტაფა ქემალი დარწმუნებული იყო, რომ თურქი ერის განვითარებისათვის ერ-



თადერთი გზა ქემალიზმია. მისი ერთ-ერთი ქვაკუთხედი კი ნაციონალიზმი, რომელიც თურქეთში ოფიალური პოლიტიკის რანგში არის აყვანილი და კონსტიტუციაში დაფიქსირებულია - „ათათურქისეული (ქემალისტური) ნაციონალიზმის” სახელით. მაგრამ თურქული ნაციონალიზმი ერთგვაროვანი არაა. მისი სხვადასხვა ფორმის წარმოშობა-განვითარების შესწავლა და ჯეროვნად გათვალისწინება შესაძლებლობას იძლევა არამარტო გაარკვიოს თურქეთის წარსული და აწმყო, არამედ განჭვრიტოს მისი შესაძლო მომავალი (**აფხაზაფა, 2006, 43**).

ათათურქი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ პრინციპს, რადგან მისი საშუალებით ხდებოდა თურქი ერის ერთიანობის დაცვა და მიზნად ისახავდა თურქეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხთა კონგლომერაციას და თურქი ერის ჩამოყალიბებას (**გიგინეიშვილი, 1983,68**).

ნაციონალიზმი ერის თავისთავადობის ხვედრითი წილია. იგი დაუწერელი, უპირობო საკითხია, რომელიც ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა თურქი ხალხის გადარჩენისათვის ბრძოლაში. სახელმწიფოს არსებობაც კი წარმოუდგენელია ამ დებულების გარეშე.

თურქულ ენაში ამ დებულების აღმნიშვნელი სიტყვაა „**მიილეთილიქ**,” რომელიც მომდინარეობს არაბული სიტყვიდან - მიილეთ-ერი და მისგან ნაწარმოებია მიილეთ-ეროვნება. ქართულად შეიძლება ითარგმნოს როგორც ეროვნულობა და როგორც ნაციონალიზმიც. ეს დებულება მიზნად ისახავს ეროვნული თავისებურებებისა და ეროვნული ხასიათის დაცვასა და შენარჩუნებას ეროვნებათა განვითარების ახალი ეტაპის პირობებში.

ათათურქის სიტყვით, „ერი უნდა ქმნიდეს სახელმწიფოს საფუძველს, უნდა იყოს მისი დასაყრდენი. ჩვენი სახელმწიფოს დასაყრდენი - თურქი ხალხია და რაც უფრო ღრმად არის ეს ხალხი გამსჭვალული თურქული კულტურით, მით უფრო ძლიერი იქნება რესპუბლიკა, რომელიც მას ეყრდნობა. ე.ი. ნაციონალიზმის დებულებამ არამარტო უნდა უზრუნველყოს თანამედროვე ერებთან ურთიერთობის პროცესში ეროვნული ხასიათისა

და ეროვნული თავისებურებების დაცვა, არამედ ის გულისხმობს აგრეთვე ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, რომლის საფუძველი იქნება თურქი ერი” (Данилов, 1997, 17).

ოსმალეთის სახელმწიფოში, სადაც თანაცხოვრობდა 18 ეთნიკური ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა კომფესიებს მიეკუთვნებოდნენ, არ არსებობდა ნაციონალიზმი - ამ სიტყვის სრული გაგებით. რელიგიური თემის ფაქტორის პარალელურად, ეროვნული საკითხის წამოწევა დაწყებული იქნა „ახალგაზრდა ოსმალთა” და „ახალგაზრდა თურქთა მიერ.”

ოსმალეთის სახელმწიფოს კრიზისის დროს, როდესაც ინტელიგენციის წარმომადგენლები ეძებდნენ პრობლემის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, გამოიკვეთა ორი მიმართულება. პირველი გამოხატავდა ქვეყნის სპეციფიკურ ოსმალურ ხასიათს (პანთურქიზმი), მეორე კი, ქვეყნის აღორძინებისათვის ისლამური სოლიდარობისაკენ გადახრას (პანისლამიზმი) (შაკარაძე, 2002, 49).

„ახალგაზრდა თურქები” ქვეყნის გადარჩენას ხელახლად მხოლოდ მისი დასავლური მიმართულებით განვითარებაში და ამგვარად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ თურქულ სპეციფიკას, წამოიწიეს რა მოძრაობა “თურქიზმის” სახელწოდებით. თურქიზმის იდეა ეყრდნობოდა ხალხოსნობისა და ნაციონალიზმის იდეებს, გარდა ამისა, იგი მიმართული იყო აგრეთვე თურქულენოვანი ხალხების გაერთიანებისაკენ, მათი ეროვნული საზღვრების გათვალისწინების გარეშე. ეს მიზანი განსაზღვრული იყო სიტყვით „თურანიზმი” (მომდინარეობს თურანისაგან თურქი ხალხის ლეგენდარული ქვეყნის სახელწოდება) (შაკარაძე, 2000, 79).

ახალგაზრდა თურქებმა შეითვისეს ერთი მხრივ, თურქიზმი და მეორეს მხრივ ერის ევროპული კონცეფცია და შეეცადნენ რეალობად ექციათ „ერის” გაგება, მაგრამ ოსმალეთის ტერიტორიაზე ბალკანური ომების დაწყებასთან ერთად კვლავ აღორძინდა პანისლამიზმი იმდენად, რამდენადაც ხელისუფლება ტრადიციულად მიმართავდა ხალხის რელიგიურ გრძნობებ-

ზე თამაშს, რათა შეეკრა ისინი და მათში აემაღლებინა საბრძოლო სული.

ქემალისტები თურქულ ნაციონალიზმს შემდეგნაირად განსაზღვრავენ: „თურქული ნაციონალიზმი, რომლის პირველხარისხოვანი მიზანია მსოფლიოსთან მშვიდობიანი თანაცხოვრების ფონზე საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება.“

თურქეთის ეროვნულმა ბურჟუაზიამ შეითვისა თურქიზმი, რომელიც მიმართული იყო დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფოს შექმნისაკენ.

მუსტაფა ქემალის გაგებით, თურქიზმი სხვა არაფერი იყო, თუ არა თურქული ნაციონალიზმი თურქეთის საზღვრებში, რომელიც განსხვავდებოდა როგორც ოსმალური, ასევე „ისლამური ნაციონალიზმისაგან.“ „ერმა - ამბობდა ის, შეიცვალა თავისი საუკუნეობრივი სახე, მან გააერთიანა თავისი ხალხი არა რელიგიური ფაქტორის, არამედ თურქული ეროვნების მიკუთვნების მიხედვით“ (Миллер, 1997, 41).

თურქეთის დიდი ეროვნული კრების პირველსავე სხდომაზე, მუსტაფა ქემალის გამოსვლები ოფიციალურად ადასტურებდა ძველი, დრომოჭმული იდეალებისაგან თურქული ეროვნული ბურჟუაზიის განთავისუფლებას. ის ამბობდა: „ნებისმიერ ჩვენ მოქალაქეს აქვს უფლება იყოს რომელიმე დიდი იდეალის თაყვანისმცემელი და მიმხრობი, ის ამ საქმეში დამოუკიდებელია, არავის შეუძლია ჩაერიოს ამაში, მაგრამ თურქეთის დიდი ეროვნული კრება მხარს უჭერს მტკიცე და სტაბილურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია თურქთა დამოუკიდებლობისაკენ მათ განსაზღვრულ ეროვნულ ჩარჩოებში.“

სახალხო-რესპუბლიკური პარტია წარმოადგენდა თურქულ ნაციონალიზმს შემდეგი თვალთახედვით: „თურქული ნაციონალიზმი განსაკუთრებულია ეროვნულ საზღვრებში მცხოვრები ყველა თურქისათვის, მაგრამ ის ამასთანავე გამოხატავს ყველა იმ თურქის მიმართ ძმურ გრძნობებს, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ. ის ეწინააღმდეგება ნებისმიერ სხვა არა-ეროვნულ პოლიტიკურ მიმართულებას. თურქული ნაციონალიზმი ღიაა მთელი კაცობრიობისათვის და ყველა ხალხისათვის

ის არის ნებისმიერი იმ ხალხის გამაერთიანებელი პრინციპი, რომლებიც აღზრდილები არიან ცივილიზირებულ კულტურაზე და ლაპარაკობენ თურქულ ენაზე” (ღებანიძე, 2004, 54).

ქემალისტებმა აირჩიეს ცნება „ერის” ევროპული გაგება, რომლის მიხედვით „ერი არის სახელმწიფო, რომლის მიზანია, თურქეთის რესპუბლიკის ეროვნულ საზღვრებში მცხოვრები ყველა ხალხი გააერთიანოს ერთ ერად. მათი შეკავშირების საფუძველი გახდა არა ეთნიკურობა ანუ ეთნიკურად თურქული და მუსლიმური წარმოშობა, არამედ რესპუბლიკის ქვეშევრდომობა. ნაციების შემაკავშირებელია სოციალური და კულტურული ფენომენი. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს გარკვეული ტერიტორიები, სადაც ცხოვრობს მისი მოსახლეობა და მოქმედებს ამ სახელმწიფოს იურისდიქცია.“

თურქულმა ნაციონალიზმმა შედეგად გამოიღო ის, რომ იურიდიულად ანუ პოლიტიკურ-სამართლებრივად თურქეთის მთელი მოსახლეობა აქცია თურქად, რაც სრულებითაც არ გამოირცხავდა მათ თურქობას. თურქეთის ეროვნულმა ელიტამ სწორედ, რომ დასავლური (ამერიკული) მოდელი აირჩია. ქემალისტთა რეფორმებმა და სეკულარიზაციამ გამოიწვია ის, რომ ხალხის შეგნების გადახალისება მოხდა. თუ ადრე მისი რწმენის საგანს წარმოადგენდა ისლამი, დღეს ამ ფუნქციას ასრულებს ერი. ხალხმა დაიწყო იმის გათავისება, რომ ის არ არის არა ისლამური სახელმწიფოს ქვეშევრდომი, არამედ საერო რესპუბლიკის მოქალაქე.

ნაციონალიზმი XX საუკუნის 30-იან წლებში იქცა თურქეთის მეორე რელიგიად. ქემალისტური ნაციონალიზმის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოიქმნა როგორც იდეოლოგიური ინსტრუმენტი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში (Розалиев, 1997, 53).

ასე, რომ თურქული ნაციონალიზმი, ლაიციზმთან ანუ სეკულარიზაციასთან ერთად, წარმოადგენს თურქული პოლიტიკის სისტემას და საზოგადოების “ევროპიზაციის” განმსაზღვრელ ყველაზე მძლავრ ფაქტორს, რომლის გარეშე რესპუბლიკა ვერ მიაღწევდა სუვერენობას. ნაციონალიზმის დებულება უშუალოდ

არის დაკავშირებული თურქული ეროვნული თვითშეგნების შექმნასთან. ათათურქი განმარტავს, რომ "ერს ქმნის ბუნებრივი და ისტორიული ფაქტორები: პოლიტიკური ერთიანობა, საერთო ენა, საერთო სამშობლო, საერთო წარმოშობა, ისტორიული ერთიანობა და ზნეობრივი საფუძვლების ერთობა" (Розалиев, 1997, 56).

„ჩვენი ნაციონალიზმი არავითარ შემთხვევაში არ არის ეგოისტური და ამპარტავნული ნაციონალიზმი... ჩვენ არავის მტრები არ ვართ, მხოლოდ ადამიანობის მტრობის მტრები ვართ... სამშობლოში მშვიდობა დედამიწაზე მშვიდობის დებულებას, ჩვენი ეროვნულობაც სწორედ ამის თანხმობასა“– აღნიშნავდა ათათურქი (მაკარაძე, 2005, 20).

ნაციონალიზმის პრინციპი თურქი ხალხის ბრძოლის ერთ-ერთი დასაყრდენია. ის ათათურქის მხრიდან განიხილებოდა, როგორც მთავარ მამოძრავებელ ძალად სახელმწიფოებრიობის წინსვლის საქმეში. მითუმეტეს, რომ ნაციონალიზმი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა თურქეთის სახელმწიფოებრივი ისტორიაში. იგი სახელმწიფოს ძლიერების ატრიბუტია და ის ყველაზე მეტად ეროვნულ სამართალში უნდა გამოიხატოს, ეროვნულობა კი, თავის მხრივ, დაუწერელი და უპირობო კუთვნილებაა, ეს კი მთავარი საფუძველია ეროვნულ ბრძოლაში მონაწილე თითოეული ადამიანისათვის.

ქემალიზმის დებულებები ერთნაირად მნიშვნელოვანია რესპუბლიკური თურქეთისათვის, ყოველი მათგანი სრულიად დამოუკიდებელია და ეხება ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას. ქემალიზმის ნაციონალიზმის დებულებას დღესაც ყვრდნობა თურქეთის რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა და ამ დებულების ცხოვრებაში გატარების შედეგად ბევრად უფრო ერთგვაროვანი და თურქულია, ვიდრე ადრეულ პერიოდში. ქემალიზმის პრინციპების სწორად გაგების გარეშე კი შეუძლებელია თანამედროვე თურქეთში მიმდინარე მდგომარეობის ობიექტური აღქმა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აფხაზავა თ., „ნაციონალიზმი თურქულ ისტორიოგრაფიაში.“ დისერტაცია, თბ., 2006.
2. გიგინეიშვილი ო., ნაციონალიზმის ქემალისტური დებულება, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია, თბ., 1983.
3. ლებანიძე ტ., პარტიები და პოლიტიკური მდგომარეობა თურქეთში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 2004.
4. მაკარაძე ე., თანანმედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები, ბათ., 2000.
5. მაკარაძე ე., თურქული ნაციონალიზმის არსის საკითხისათვის, ბ.ს.უ. შრომები, ტ. IV, (კუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ბათ., 2002.
6. მაკარაძე ე., „მუსტაფა ქემალ ათათურქი და ქემალიზმი,“ უ„აღმოსავლეთი,“ №9. 2005.
7. Данилов В.И., Турция 20-30-х годов: путь к демократии. Восток. М., 1997. №2.
8. Миллер А.Ф., Вступительная статья. Кемаль Ататюрк. Избранные речи и выступления. М., 1966.
9. Розалиев Ю.Н., “Мустафа Кемаль Ататюрк”; Очерки жизни и деятельности; Стамбул; 1997.

## **Emzar makaradze**

### **Nationalism of Mustafa Kemal Ataturk**

#### Summary

Mustafa Kemal Ataturk had played big role in development and progress of Turkish Republic(1881-1938).

His phenomenon is in the military, religious defender. Outstanding person and revolutionaries.

The main principals of country statement wasfounb by him and is know as “Kemalizm.”

One of tre base on which Turkish people depend on is nationalism. From view point it was discussed as the main power of mouement in state progress. Although the nationalism was always playing the main role in history of Turkish statement.

**მსოფლიო პოლიტიკა და საერთაშორისო  
ურთიერთობები**

საერთაშორისო ფაქტორი ისტორიულად ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასა და სახელმწიფოებრივ წყობაზე. თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო საზოგადოება მჭიდროდაა ურთიერთგადაჯაჭვული და ყველა მოვლენა ურთიერთგანპირობებულია.

აღამიანთა საზოგადოების წინაშე მთელი რიგი გლობალური პრობლემები წარმოიშვა, რომელთა გადალახვა მარტო შეუძლებელია.

საერთაშორისო ურთიერთობები, რა თქმა უნდა, ზეგავლენას ახდენს ქვეყნების შიდაპოლიტიკურ განვითარებაზე, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა და გადაჭარბებული შეფასება არ უნდა მიეცეს.

საერთაშორისო პოლიტიკაში გლობალური ფაქტორების – მასობრივი განადგურების იარაღი, ეკოლოგიური, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გათვალისწინების აუცილებლობამ განაპირობა სახელმწიფო ურთიერთკავშირის და უპრპიერთგავლენის დონე. ფაქტობრივად, დღეს ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაატარებს თავის პოლიტიკას მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესების გაუთვალისწინებლად. თუ კი ისტორიას თვალს გადავაავლებთ, უკანასკნელი 55 საუკუნის მანძილზე კაცობრიობა მშვიდობიანად ცხოვრობდა მხოლოდ 300 წელი.

კაცობრიობის ისტორია – ეს არის ომების ისტორია. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესოა პოლიტიკის როგორც ბუნება, ასევე შინაარსი, რომელიც გარკვეულწილად ზემოქმედებს სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკაზე. როდესაც ვსაუბრობთ საერთაშორისო პოლიტიკის ბუნებასა და საშინაო პოლიტიკის ურთიერთკავშირზე, აუცილებელია გავარკვიოთ საერ-



თაშორისო ურთიერთობისა და საერთაშორისო პოლიტიკის თავსებადობის პრობლემატიკა.

ვინაიდან მსოფლიოში სიტუაცია მუდმივად იცვლება, (თუკი XX საუკუნის დასაწყისში სულ 52 დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, დღეისათვის მათი რაოდენობა 200 აჭარბებს). საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტების მონაწილეთა რაოდენობის გაზრდამ ცნება „საგარეო პოლიტიკას“ ჩაანაცვლა „საერთაშორისო პოლიტიკა“.

დღეს მსოფლიო თანამეგობრობა – ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, დიპლომატიური, სამართლებრივი, სამხედრო და კულტურული კავშირებით ქმნიან საერთაშორისო ურთიერთქმედებათა სისტემას. საერთაშორისო პოლიტიკა წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობათა ბირთვს, სადაც სუბიექტების (სახელწმიფოები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, კავშირები) პოლიტიკური მოღვაწეობა მიმართულია კაცობრიობის გადარჩენის, ინტერესთა შეთახმების და მსოფლიო სამართლიანი წესრიგის შემუშავებისაკენ. ამავე დროს, იგი არის სტაბილური განვითარებისა და ადამიანთა თანასწორობის დაცვის ფაქტორი. კაცობრიობამ დროის უმეტესი ნაწილი გაატარა ომებში. ამიტომაც აუცილებელია საერთაშორისო პოლიტიკის არსის გამოვლენა, რომლის ანალიზი მოითხოვს საშინაო პოლიტიკის გააზრებას. მათი ურთიერთშეხების პრობლემების შესახებ არსებობს ძირითადად სამი თვალსაზრისი:

1. გ. მორგენტაუს აზრით „საერთაშორისო პოლიტიკის არსი საშინაო პოლიტიკის იდენტურია, რომელიც ბრძოლაა ბატონობისათვის“.

2. ლ. გუმილოვიჩის აზრით, „საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს ქვეყნის შიდა პოლიტიკა, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკას. განსაზღვრავს კანონთა სისტემა, მათ შორის მუდმივი ბრძოლის კანონს (პოლიტიკური წონასწორობის შენარჩუნება, სარგებლობა, რესურსი).

3. მარქსიზმის აზრით, საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება საშინაო პოლიტიკით. იგი წარმოადგენს შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობათა ასახვას და გაგრძელებას.

ამჟამად, რომ ყოველ წარმოდგენილ თვალსაზრისში არსებობს რაციონალური მარცვალი.

საერთაშორისო პოლიტიკის არსი სხვადასხვაგვარად განიმარტება. „ძალისმიერი“ კონცეფციის მომხრეები პოლიტიკას ბატონობისთვის ბრძოლას უკავშირებენ. მაგ. მორგენტაუს აზრით, „საერთაშორისო პოლიტიკა არის ბრძოლა ბატონობისათვის. ბატონობა ყოველთვის უშუალო მიზანს წარმოადგენს.“

მეცნიერის აზრით, პოლიტიკის „ძალისმიერი“ საწყისი, ორგანულად გამომდინარეობს ადამიანისათვის შინაგანად დამახასიათებელი სწრაფვიდან დომინირებისაკენ, ბატონობისაკენ. ამ საწყისს განსაზღვრავს სახელმწიფოთა ქცევა. „პოლიტიკური ძალა (ბატონობა) ფსიქოლოგიური ურთიერთობაა იმათ შორის, ვისაც იგი გააჩნია და ვინც მის ზემოქმედებას განიცდის“.

არსებობს მტკიცება საერთაშორისო პოლიტიკის ბიოლოგიური ბუნების შესახებაც, სადაც სახელმწიფოთა პოლიტიკური აგრესიულობა ახსნილია ადამიანის „თანდაყოლილი აგრესიულობით, ბუნებრივი ინსტიქტით“.

აღნიშნულ განმარტებებს უპირისპირდება საერთაშორისო პოლიტიკის არსი, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც განპირობებულია ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ფაქტორებით.

თანამედროვე პირობებში იზრდება შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებზე ისეთი ფაქტორების ზეგავლენა, როგორცაა ენერგეტიკული, სანედლეულო პრობლემები, ქვეყნებს შორის ცხოვრების დონეს შორის მზარდი განსხვავება, გლობალურ პრობლემათა გამწვავება. საერთაშორისო პოლიტიკის შინაარსის ახსნა შეუძლებელია ეროვნული ინტერესის ანალიზის გარეშე.

პოლიტიკაში ყოველთვის გამოიხატება საერთო მნიშვნელობისა და ჯგუფური ინტერესები, ხოლო საერთაშორისო პოლი-

ტიკაში – უმეტესწილად ეროვნული ინტერესები. ეს მოთხოვნები გამოიხატება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, საზოგადოების თვითშენარჩუნებისა და განვითარების პირობების შექმნაში.

„ეროვნული ინტერესის“ კონცეფცია შემუშავებული იყო გ. მორგენტაუს მიერ. მისი აზრით, დამოუკიდებელი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს ფიზიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ რეალობას. ამგვარი რეალობის სახით წარმოდგება ერი, რომელიც ცდილობს დაიცვას იდენტურობა.

ნებისმიერი ერის გადარჩენა და განვითარება უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ ყოველმხრივი თანამშრომლობითა და ურთიერთქმედებით. ეროვნული ინტერესის დაცვით, სხვა სახელმწიფოებისადმი პატივისცემით, შესაძლებელია უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ეროვნული უსაფრთხოება უპირველესად ნიშნავს პიროვნების სასიცოცხლო ინტერესების დაცულობას, ქვეყნის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას. ეროვნული უსაფრთხოება წარმოადგენს საყოველთაო უსაფრთხოების განუყოფელ ნაწილს, რომლის ახალი სისტემის ფორმირებაში მთავარ პუნქტი მსოფლიო საზოგადოების მიერ ბირთვულ ომში გამარჯვებისა და გადარჩენის შეუძლებლობის აღიარებაა.

სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები საერთაშორისო არენაზე არასდროს არ იყო თანასწორუფლებიანი. ყოველი სახელმწიფოს როლი განპირობებული იყო მათი ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სამხედრო, საინფორმაციო შესაძლებლობებით. ეს შესაძლებლობები განაპირობებენ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა ხასიათს, სისტემის ტიპს.

ამერიკელი მკვლევარები, ჯ. მოდელსკი და პ. მორგანი, საერთაშორისო ურთიერთობათა მთელ ისტორიას განსაზღვრულ ციკლებად ყოფენ. რ. კოქსი აღნიშნავს, რომ მსოფლიო ჰეგემონია არის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურათა ერთობლიობა.

ასევე, მ. კაპლანი საერთაშორისო ურთიერთობათა ტიპოლოგიისას ყურადღებას ამახვილებს „ძალათა ბალანსის“ სის-

ტემაზე, სადაც ძირითადი მონაწილეები არიან ეროვნული სახელმწიფოები. კაცობრიობის სახელმწიფოებრივი ისტორიის პირველ სტადიაზე საერთაშორისო ურთიერთობებს განსაზღვრავდა ზესახელმწიფოს არსებობა (ძველი ეგვიპტე, სპარსეთი, ძველი ჩინეთი, ძველი ინდოეთი). მოგვიანებით, მოქიშპე სახელმწიფოთა გამოსვლამ საერთაშორისო არენაზე, საერთაშორისო ურთიერთობები უფრო რთული და კონფლიქტური გახადა. რესურსებისათვის ბრძოლამ გამოიწვია ის, რომ მსოფლიო პოლიტიკაში იხეიმა ბლოკურმა პრინციპმა. მაგ. XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა ორი ბლოკი „ანტანტა“ და „სამთა კავშირი“.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც შენარჩუნდამსოფლიო პოლიტიკის ორპოლუსიანობა – სოციალიზმის და კაპიტალიზმის სისტემა. მოცემულ სისტემათა სიმძლავრეს განსაზღვრავდა სსრკ და აშშ, ორი სახელმწიფო, ორი სამხედრო ბლოკი, ნატო-აშშ სათავეში და ვარშავის ხელშეკრულება – სსრკ სათავეში. 1991 წელს, სსრკ დაშლის შემდეგ, დასრულდა „ცივი ომის“ პერიოდი.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები კონფროტაციიდან გადადის ახალი მსოფლიო წესრიგის რეჟიმში, სადაც მშვიდობიანი თანაცხოვრების ახალი მექანიზმები, სატაბილური განვითარებისა და საყოველთაო უსაფრთხოების მყარი გარანტიები არსებობს. თუმცა, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია სახელმწიფოთა შორის უნდობლობა და ქიშპობა.

საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი ეტაპი ხასიათდება მსოფლიო თანასაზოგადოების კავშირურთიერთობით. კაცობრიობის გადარჩენა და პროგრესი შესაძლებელია მსოფლიო რესურსების გაერთიანებით, პარტნიორობით, ახალი მსოფლიო წესრიგით.

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე ბევრადაა დამოკიდებული ის თუ როგორი სახე ექნება მსოფლიოს 21-ე საუკუნეში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. დომინიკ კოლა, პოლიტიკური სოციოლოგია, თბ., 1999.
2. მელიქიძე ვ., მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბ., 2006.
3. რონდელი ალ., საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2003.
4. სანიკიძე გ., ნ. კილურაძე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2001.
5. შუბითიძე ვ, ფერაძე ვ., პოლიტოლოგია, თბ., 2008-2009.
6. ჯაფარიძე შ., პოლიტიკური ფილოსოფია, თბ., 2002.
7. Мухаев Р., Политология, М. 2000.
8. Krasner S.P., international Regimes (ithaca Ny: Cornell Univ. Aess, 1983).
9. Goldstein. I.S., International Relations, Longmann Pub. roup, 1998.

## Besik Beridze

### World politics and international relations

#### summary

International politics represents the nucleus of international relations, where the political activities of subjects are directed to the salvation of co-societies, compatibility of interests and working out the fair world order.

In international politics mainly dominate national interests. According to the conception of the thinker G. Morgantown, foreign politics should be based on physical, political and cultural reality. In the way of such reality the nation represents itself to defend his identity.

Relations between states on the international arena have never been equal in rights. The role of each state was determined by his technological, economical, military and informational possibilities. These possibilities determine the character and the system type of inter-states relations.

In modern conditions, power factors, as well as problems connected with raw materials, growing difference between life levels of the countries, escalation of global problems- all these have increased their influence on relations inside state.

What kind of form the world will have in the XXI century, is greatly depended on how the international relations will develop.

**მესამე დასისა და “რევოლუციონერ სოციალ-  
დემოკრატიული დასის” დაპირისპირება  
ბათუმში 1901-1902 წწ.**

XX ს-ის დასაწყისი რუსეთის იმპერიაში მძაფრი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისით ხასიათდებოდა. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სიღატაკეში ცხოვრობდა. საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია დინამიკურად მიმდინარეობდა, რაც იწვევდა მათი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური მოძრაობებისა და პარტიების წარმოშობას.

პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების ჩამოყალიბება ორ ფლანგზე მიმდინარეობდა. ეს იყო სოციალური და ეროვნული.

საქართველოშიც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალები ადეკვატურად ყალიბდებოდა.

ბათუმი, საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების „მექას“ წარმოადგენდა. იქ არსებობდა როგორც სოციალ-დემოკრატიული, ასევე ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფები.

1901 წელს ბათუმში არსებული ორი სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობა „მესამე დასი“ და „რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატიული დასი“ იწყებდა ბრძოლას სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში პეგემონობის მოსაპოვებლად. „მესამე დასი“ ცდილობდა ეროვნული პოზიციების შენარჩუნებას, ხოლო „რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატიული დასი“ რსდმპ-ის მითითებით, ჯერ აპირებდა პარტიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, ხოლო შემდეგ რსდმპ-ში გაერთიანებას.

1901 წლის ოქტომბრამდე ბათუმში მოღვაწეობდა „რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატიული დასის“ წარმომადგენელი ალექსანდრე წულუკიძე, რომელიც მუშებს საკვირაო სკოლაშიც ასწავლიდა. საკვირაო სკოლაში ალექსანდრე წულუკიძის

წაკითხული ლექციები მიზნად ისახავდა “მესამე დასელების” წინააღმდეგ ბრძოლას (სურგულაძე, 1974, 28).

ალექსანდრე წულუკიძე მის მიერ ჩამოყალიბებულ მუშათა არალეგალურ წრეებში ატარებდა საიდუმლო კრებებს. მისი მეცადინეობით შეიქმნა მუშათა სალარო, სადაც შემოქმონდათ მუშებს თანხა საჭიროებისამებრ გამოყენებისათვის. ალექსანდრე წულუკიძე ბათუმელ მუშებს აცნობდა სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას და გადასცემდა მათ წასაკითხი წიგნების სიას. ალექსანდრე წულუკიძის მითითებით ბათუმელი სოციალ-დემოკრატი კ. კანდელაკი დაუკავშირდა წიგნებით მოვაჭრე სპირიდონ ჭელიძეს და დაავალა ამ წიგნების შემოტანა ბათუმში (Чупок, 1970, 33).

1901 წლის დასაწყისში ბათუმში მოღვაწეობდნენ „მესამე დასის” ლიდერები კარლო ჩხეიძე და ისიდორე რამიშვილი. დროდადრო ჩამოდიოდნენ ნოე ჟორდანიას და ფილიპე მახარაძე. ამ დროისათვის „მესამე დასი” აგრძელებდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში დამოუკიდებლად არსებობას (ასმსფ., საქმე 109:182).

„მესამე დასის” ლიდერები საკვირაო სკოლაში ევროპული სოციალიზმის იდეების ინტერპრეტაციას ეწეოდნენ. კარლო ჩხეიძე უხსნიდა მუშებს, თუ როგორ მოკლებული იყო გლეხობა ბატონყმობის დროს უფლებებს, ხოლო ისიდორე რამიშვილი მათ განუმარტავდა, როგორ გაანთავისუფლა გლეხები ალექსანდრე მელიქიძის ბატონყმობისაგან, რატომ იყო ჩერნიშევსკი და სხვა რევოლუციონერები გლეხების ზევიდან განთავისუფლების წინააღმდეგნი და ა.შ. (ასმსფ., ს-109, 183-184).

„მესამედასელთა” ინიციატივით ბათუმში 1901 წელს ჩამოყალიბებული საკვირაო სკოლა ეწეოდა მუშათა შორის სოციალ-დემოკრატიული იდეების პოპულარიზაციას. გაკვეთილები ტარდებოდა ბათუმის მუშათა უბან ბარცხანაში. საკვირაო სკოლაში სწავლობდნენ ისტორიას, ზოგად საგნებს, არითმეტიკას, გეოგრაფიას, მშობლიურ ენას, სოციალურ საკითხებს, ევროპისა და რუსეთის საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ძირითად



ასპექტებს, სოციალ-დემოკრატიულ პერიოდიკასა და ლიტერატურას (Чулок, 1970, 30).

1901 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე „მესამე დასს“ კრიტიკული პერიოდი დაუდგა, მასზე იერიში მიიტანეს როგორც რუსმა სოციალ-დემოკრატებმა, ასევე ქართველმა „რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატებმა“. „მესამე დასის“ ლიდერი ნოე ჟორდანია 1901 წლის 6 ივლისს დააპატიმრეს. ამ ფაქტმა საგრძნობლად შეასუსტა „მესამე დასის“ პოზიციები.

რუსი სოციალ-დემოკრატები და მათთან ალიანსში მყოფი ქართველი „რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატები“ „მესამე დასთან“ საბოლოო გამარჯვებისათვის იწყებენ მზადებას და პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის ამზადებენ ნიადაგს. რუსი სოციალ-დემოკრატებისათვის ცხადი იყო, რომ „მესამე დასი“ მათი პოზიციების განმტკიცებას ყოველთვის შეუშლიდა ხელს საქართველოში.

„მესამე დასში“ გაერთიანებული ქართველი სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილი (ა წულუკიძე, ფ მახარაძე) დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ 1901 წელს რუსულ სოციალ-დემოკრატიას მიეკედლნენ.

1901 წლის ოქტომბერში ბათუმში „მესამე დასელებმა“ ჩამოაყალიბეს მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეები. ერთ წრეს გოროდოკში ხელმძღვანელობდა გერასიმე კალაძე, ხოლო მეორე წრე ჩამოყალიბებული იყო მანთაშევის ქარხნის მუშებისაგან, რომელთა ხელმძღვანელები იყვნენ: დ. ვადაჭკორია, პ. დოღბაია, მ. გაბუნია (Чулок, 1970, 37).

1901 წლის 11 ნოემბერს „რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატებმა“ თბილისში ჩამოაყალიბეს საქალაქო სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი. თბილისის კომიტეტის ჩამოყალიბებისთანავე ბათუმში გამოავზავნეს კომიტეტის წევრი გიორგი ჩხეიძე. იგი ნოემბრის შუა რიცხვებში ჩამოვიდა ბათუმში და შეხვდა „მესამე დასის“ ლიდერებს კარლო ჩხეიძეს და ისიდორე რამიშვილს. კარლო ჩხეიძე და ისიდორე რამიშვილი ბათუმის მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეების ყველაზე გავლენიანი წარმომადგენლები იყვნენ და ბუნებრივია, თბილისის კომიტე-

ტის მიერ გამოგზავნილი „ემისარი“ მათ მიმართავდა დახმარებისათვის. კარლო ჩხეიძე და ისიდორე რამიშვილი გიორგი ჩხეიძეს უარს ეუბნებიან იმ საბაბით, რომ ქალაქ ბათუმის პირობებში არალეგალური რევოლუციური მუშაობა შეუძლებელია. თან ურჩიეს, რომ დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებულიყო (ასმხფ., ს-109, 202).

გიორგი ჩხეიძის მარცხის შემდეგ თბილისის კომიტეტი ბათუმში აგზავნის იოსებ ჯუღაშვილს. იოსებ ჯუღაშვილი ბათუმში ნოემბრის ბოლოს ჩადის. ბათუმში ჩასვლისთანავე ის „მესამედასელთაგან“ დამოუკიდებლად დაუკავშირდა ბათუმის ქარხნების მოწინავე რევოლუციონერ მუშებს: კ. კანდელაკს, კ. კალანტაროვს, ს. თოდრიას, ი. დარახველიძეს, დ. დარახველიძეს, ს. ლომჯარიას, პ. ლომჯარიას, პ. ქურდიძეს, ი. მგელაძეს, ი. კოტრიკაძეს, დ. ვადაჭკორიას, პ. დოღუბაძეს, თ. გოგიბერიძეს, მ. ლომთათიძე, ლ. ლომთათიძეს, კ. წულაძეს, ე. წულაძეს, მ. წულაძეს, მ. გაბუნias, მ. მხირიანს, ხ. კახარიანს, მ. ფირცხალაიშვილს, ა. ფირცხალაიშვილს, გ. ფირცხალაიშვილს, ი. კოხრეიძეს, ი. შაფათაგას, გ. კალაძეს, გ. კალანდაძეს და სხვებს. მათი დახმარებით იოსებ ჯუღაშვილი ქმნის ბათუმის ქარხნების მუშათა ახალ სოციალ-დემოკრატიულ წრეებს. აწყოებს მუშათა საიდუმლო კრებებს, თათბირებს, სხდომებს (ასმხფ., ს-599, 51) იოსებ ჯუღაშვილს ბათუმში მოღვაწეობისას დაუპირისპირდნენ „მესამედასელები“ – კ. ჩხეიძე, ბ. სოლორაშვილი, ი. რამიშვილი. კ. ჩხეიძე მოითხოვდა, რომ ი. ჯუღაშვილს ბათუმში დაეტოვებინა. კ. ჩხეიძე და ბ. სოლორაშვილი პირადად შეხვდნენ მას და უთხრეს, რომ „თქვენ ვერ ჩამოაყალიბებთ არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას ბათუმის მუშებს შორის“. ამის გამო მათ შორის ნამდვილი ბრძოლა გაიმართა. მუშების დიდი ნაწილი მტრულად განეწყო თბილისიდან მოსული ი. ჯუღაშვილისადმი. განსაკუთრებით მტრულად მოექცა მათ ინტელიგენცია, რადგანაც ინტელიგენტებში კარლო ჩხეიძესა და ისიდორე რამიშვილს დიდი წონა და ავტორიტეტი ჰქონდათ (გოგოლიშვილი, 1996, 32).

„მესამედასელთა” წინააღმდეგობის მიუხედავად, იოსებ ჯუღაშვილმა ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მუშაობის საკმარის ჩატარების შემდეგ, 1901 წლის 31 დეკემბერს, მეტად საიდუმლო ვითარებაში, ახალი წლის შეხვედრის საბაბით ქალაქგარეთ, სოფელ ფერიაში, როტშილდის ქარხნის მუშის სილიბისტრო ლომჯარიას სახლში, წინასწარი შერჩევით, ბათუმის მსხვილი ქარხნებიდან მოიწვია ყველაზე უფრო წამყვანი რევოლუციონერი მუშები და ჩატარა ბათუმის კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენცია (ასმხფ. ს-109, 231).

1902 წლის დასაწყისში ბათუმის კომიტეტი და „მესამე დასი” ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აგრძელებდნენ ბათუმის სამრეწველო საწარმოების მუშათა შორის აგიტაცია-პროპაგანდას.

1902 წლის იანვარში ბათუმის კომიტეტი რსდმპ-ის შემადგენელი ნაწილი გახდა.

„მესამე დასი” კარგად ხედავდა, რომ რუსული სოციალ-დემოკრატიის შეტევებს ვერ გაუმკლავდებოდა, მითუმეტეს, როდესაც რუსებს მხარს უჭერდა ქართული „რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატიული დასი” და ნელ-ნელა გადადიოდა რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციებზე. რაც ითვალისწინებდა საქართველოში არსებულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან გაერთიანებას და რუსული სოციალ-დემოკრატიის რიგებში უპირატესობის მოპოვებისათვის ბრძოლის წარმართვას.

1902 წლის პირველი ნახევრისათვის უკვე ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტთან გარკვეულწილად თანამშრომლობდნენ „მესამე დასის” წარმომადგენლები – კ. ჩხეიძე, ი. რამიშვილი, ბ. ჩხიკვიშვილი, ნ. რამიშვილი და სხვები.

ამ დროისათვის ბათუმის კომიტეტის გამოკვეთილი ლიდერები არიან: ი. ჯუღაშვილი, მ. გაბუნია, გ. კალაძე, ი. დარახველიძე, კ. კანდელაკი, ს. ლომჯარია, ს. თოდრია, ი. მგელაძე, პ. ქურიძე, გ. სოლორაშვილი, დ. ვადაჭკორია, ფ. ქიქავა, ი. პავლიუკოვი, ს. თავართქილაძე და სხვები.

1902 წლის 9 მარტის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ხელისუფლება აძლიერებს რეპრესიებს სოციალ-დემოკრატების

წინააღმდეგ და 1902 წლის 5 აპრილს აპატიმრებს ბათუმის კომიტეტის დამაარსებელს იოსებ ჯულაშვილს (ასმხფ. 223,32).

იოსებ ჯულაშვილის დაპატიმრების შემდეგ, ბათუმის კომიტეტის საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ: კ. კანდელაკი, ი. დარახველიძე, პ. ქურიძე, ი. მგელაძე, გ. კალაძე. თბილისის კომიტეტიდან ხშირად ჩამოდიოდნენ გ. ელისაბედაშვილი და მ. დავითაშვილი. გრძელდებოდა დაპირისპირება ბათუმის კომიტეტსა და „მესამე დასს“ შორის სტრატეგიულ და ტაქტიკურ საკითხებზე (Чулук, 1970, 86).

„მესამედასელები“ – კ. ჩხეიძე, ი. რამიშვილი, ბ. ჩხიკვიშვილი, ნ. ხომერიკი, ნ. რამიშვილი, დ. ხარატიშვილი, გრ. ურატაძე და სხვები უკომპრომისოდ უპირისპირდებოდნენ ბათუმის კომიტეტს. ისინი განსაკუთრებით გააქტიურდნენ იოსებ ჯულაშვილის დაპატიმრების შემდეგ. ი. რამიშვილი და კ. ჩხეიძე შეეცადნენ ბათუმის კომიტეტის ხელში ჩაგდებას. მათ დასახმარებლად თბილისიდან ჩამოვიდა დ ხარატიშვილი (ასმხფ. ს-223, 290).

1902 წელს ბათუმში გამართული მწვავე დებატები „მესამე დასსა“ და ბათუმის კომიტეტს შორის მიმდინარეობდა შემდეგ საკითხებზე:

1. ვინ უნდა ხელმძღვანელობდეს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას – ინტელიგენტი რევოლუციონერი თუ მუშათა კლასი. ინტელიგენტი რევოლუციონერი უნდა მიუძღვებოდეს თვითმპყრობელობასთან ბრძოლის დროს მუშებს, თუ მუშათა კლასის განთავისუფლება თვით მუშების საქმეა.

ქართული სოციალ-დემოკრატიის „მესამე დასის“ თვალსაზრისი ამ საკითხის თაობაზე ჩამოყალიბებული არის ნოე ჟორდანიას ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „ჩემი წარსული“. ნოე ჟორდანიას წერს „ჩვენში ორგანიზაცია შესდგებოდა მხოლოდ მუშებისაგან, ორგანიზაციები და ხელმძღვანელები ისინი იყვნენ. მხოლოდ პროპაგანდისტები იყვნენ ინტელიგენტები, მაგრამ მათ არ ჰქონდათ გადამწყვეტი ხმა კომიტეტსადა რაიონებში. ნივთიერი მხარე მთლად აწვა თავზე მუშებს, რომლებიც

ყველა „პალჟიკაზე“ იხდიდნენ დადგენილ პარტიულ გადასახადს (ქორდანია, 1990, 40).

ბათუმის კომიტეტის აზრით კი, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას წარმართავდა ინტელიგენტ-რევოლუციონერი. ის ასრულებდა ორგანიზაციულ და პროპაგანდისტულ საქმიანობას. მას უნდა მიეცა მუშებისათვის პოლიტიკური შეგნება თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად. ე. ი. ბათუმის კომიტეტის აზრი ემთხვეოდა რუსული სოციალ-დემოკრატიის აზრს, რომლის მიხედვით სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო არა მუშების პარტია, არამედ მუშებისათვის სასარგებლო პარტია.

2. ცარიზმთან ბრძოლის ფორმების საკითხი.

სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმართულება აღიარებდა თვითმპყრობელობასთან პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლის მეთოდს. მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაც იყო. „მესამე დასი“ მშვიდობიანი იძულების გზით (დემონსტრაციები, მიტინგები) აპირებდა თვითმპყრობელობასთან მუშების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მუშების, როგორც მრავალრიცხოვანი საშუალო ფენის პოლიტიკური აქტიურობით იმპერიის დემოკრატიულ გადახალისებას. ე.ი. საკანონმდებლო-წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევას, რომელიც დაიცავდა დემოკრატიული ფენების ინტერესებს.

ბათუმის კომიტეტი კი, როგორც რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემადგენელი ნაწილი თვლიდა, რომ მუშათა კლასის სოციალ-ეკონომიკური პირობები გაუმჯობესდებოდა მხოლოდ შეიარაღებული აჯანყების გზით თვითმპყრობელობის რეჟიმის დამხობის შემთხვევაში.

ბათუმის კომიტეტი თავის თავს მიიჩნევდა რსდმპ-ის შემადგენელ ნაწილად.

„მესამე დასი“ კი ფიქრობდა ზოგადქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ჩამოყალიბებას ან უკიდურეს შემთხვევაში, რსდმპ-ში გაერთიანებას მაქსიმალური თვითმმართველობის შენარჩუნებით.

ამრიგად, ქართული და რუსული სოციალ-დემოკრატიის დაპირისპირება ბათუმში 1901-1902 წლებში სიმწვავეთ ხასიათდებოდა.

ბოდა. „მესამე დასი“, როგორც ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მთელი რიგი პოლიტიკური წარუმატებლობების შემდეგ, ნელ-ნელა გადადიოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შემადგენლობაში, რომელშიც ცოტა ხნით ადრე გაერთიანდა „რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატიული დასი“. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტში ჰეგემონობის მოპოვებისათვის 1902 წელს მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა „მესამედასელებსა“ და „რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატებს“ შორის, ცხადყოფდა ქართული სოციალ-დემოკრატიის მარცხს რუსულ სოციალ-დემოკრატიასთან და რუსული სოციალ-დემოკრატიის მიერ ქართული სოციალ-დემოკრატიის სპონტანურ ინკორპორაციას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (შემოკ. ასმხფ), საქმეები 109, 223, 599.
2. გოგოლიშვილი ო., საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1910 წ., ნაკვეთი 1, ბათ., 1996.
3. სურგულაძე ა; ალექსანდრე წულუკიძე ბათუმში, ბათ; 1974.
4. ჟორდანიას ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990.
5. Чулок И; очерк истории Батумской коммунистической партии, Бат; 1970.

## **Guram Khajishvili**

### **The contrast between the “Third Troupes” and “the Revolutionary Social-Democratic Troupes” in Batumi in 1901-1902**

#### Summary

The contrast became tension in the existent Social-Democratic movement in Batumi 1901-1902.

There was disposition on organization, strategic and tactical items among the Georgian Democratic current “The Third troupes” and Russian supporters “Revolutionary Social-Democratic Troupes”. The Russian Social Democracy with their Georgian upholder “Revolutionary Social-Democratic Troupes” forms The Batumi committee. In January of 1902, the Batumi committee became the part of Russian’s Social-Democratic workers party. After the Batumi committee joined in RSDMP, the representatives of “the third troupes” understood that the fight against the Russian Social-Democracy was in vain and began to fight for seized the Batumi committee. after the arrested the founder of the Batumi committee I. Jughashvili, the Social-Democratic Movements both wings leaders involved in fight: from the “third-troupes” side Carlo chkheidze, Isidore Ramishvili, Noe Ramishvili, Datiko Kharatishvili, Grigol Urutadze, Beria Chkhikvishvili and from the “Revolutionary Social-Democratic Troupes” side: Giorgi Elisabedashvili and Mikheil Davitashvili.

To involve in Political fight to seize the Batumi committee meant for the “Third Troupe” to defeat as the political organization and selfiquidation.

## სვეტი და პეტრული

სვეტი და პეტრული ნიგალის ხეობის (იხ. რუკა 1) სოფლებია. ეს ხეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონია. იგი მოიცავს მდინარე ჭოროხის შუა და ქვედა წელს. ნიგალი ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება ანანია შირაკაცის სომხურ გეოგრაფიაში, ხოლო შემდეგ ქართულ მატეანეებში, „მატიანე ქართლისაში“, სუმბატ დავითისძის ქრონიკში, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“.

ნიგალის ხეობა მოციქულთა ხანაში ეზიარა ქრისტიანობას. ანდრია პირველწოდებული „შევიდა ქუყანასა ქართლისასა, ნიგალას, კლარჯეთსა და არტაან-კოლას, სადაც იგი დაყო უამი ფრიად მრავალნი“ – ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“ (ქც, ტ. I, 1955, 38). ვახუშტი ასე განმარტავს ანჩის ეპისკოპოსის სამწყსოს: ჯდა (ანჩას) ეპისკოპოსი მწყემსი ლივანის კვეისა გაღმა-გამოღმართის: გონიამდე, ფორჩხის ხეობისა და აჭარისა (ბაგრატიონი, 1941, 135).

XVI საუკუნის შუა ხანებიდან მუსლიმან-ოსმალთა იმპერიის საზღვრებში მოქცეული ქართველობა დამპყრობთა მხრიდან მუდმივად განიცდიდა რელიგიურ და ეროვნულ შევიწროებას, წინააღმდეგობის მიუხედავად, დრო მაინც თავისას შერებოდა. ინგრეოდა ქრისტიანული სალოცავები და დავიწყებას ეძლეოდა ქართული წეს-ჩვეულებანი. გათათრებისაგან, გამაჰმადიანებისაგან თავის არიდებას მოჰყვა ქართველთა ლტოლვა დაუპყრობელ ქართულ ტერიტორიებზე გადასახლებისათვის, რასაც დაუპირისპირდა ამ ტერიტორიებიდან თურქთა მიერ ქართველთა ასახლება და აქ ოსმალთა ჩასახლება. „ამ მიზეზით აიხსნება, რომ ლივანის ხევის დასასრულს, მრავალ ალაგას, სოფლებში დღეს ქართული ენა აღარ სუფევს და ზოგიერთს სოფლებში მცხოვრებელნი ქართველნი მათი მეოხებით ოსმალურად ლაპარაკობენ. ლივანის ხეობის დასასრულ ადგილებში



ქართული ენა დავიწყებულ და მოსპობილ იქნა. ლივანის ხევიდან წაყვანილ და გადასახლებულ ქართველთა რიცხვით ძველად სავსე ყოფილა მისირი, შამი და დიარბექირი (**ჭიჭინაძე, 1915, 10-11**).

ოსმალეთის მხრიდან გამაჰმადიანების პროცესის გაძლიერების ფონზე, ხეობის ქართულმა მოსახლეობამ ხსნა ჯერ კათოლიკობის მიღებაში, ხოლო შემდეგ სომხური გრიგორიანული მრწამსის აღიარებაში სცადა (**ჭიჭინაძე, 1904, 31-39**), თუმცა, ბევრგან XIX ს-ის შუა ხანებამდე საიდუმლოდ ასრულებდნენ ქრისტიანულ წესებს, სადღესასწაულო რიტუალებს.

1664 წელს, ანჩის საკათედრო ტაძრის გაუქმების შემდეგ, 2 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ნიგალის ხევს მღვდელმთავარი აღარ ჰყოლია. აქ მღვდელმთავრობის აღდგენა მხოლოდ ნიგალის შემოერთების შემდეგ მოხერხდა, როდესაც ეს მხარე კლარჯეთთან, ტაოსთან, ჭანეთსა და აჭარასთან ერთად ბათუმ-შემოქმედის ეპარქიაში შევიდა (**სრულიად საქართველოს საკათალიკოსო სინოდის უწყებათა კრებული, 1928, 6**).

ნიგალის ხეობის სოფლები გახლავთ სვეტი და პეტრული. ამ უკანასკნელს, დღეს, ებრიკა ჰქვია.

**იბრიქლი/ებრიკა** 70 კომლიანი, ქართულენოვანი სოფელია, მიეკუთვნება ბორჩხის რაიონს, გაშლილია ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე სოფელში თითქმის ყველა ოჯახს შენარჩუნებული აქვს ქართული გვარების თურქულად გადაკეთებისა და გამოცვლის პირველი პერიოდის გვარები, ჩაუშოდლი, აზიზოდლი, ფერულოდლი, ფერჩელოდლი და ა. შ.

სოფ. სვეტი (იხ. რუკა 2.) ართვინთან ახლოს, ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთი დიდი სოფელია ნიგალში. იგი ითვლის 400-მდე კომლს 2000 მცხოვრებით, 12 უბნით, სვეტიბარის მოსახლეობამ, როგორც ართვინის სხვა მიმდებარე სოფლების მოსახლეობამ, არ იცის ქართული. აქ ცხოვრობენ თურქები, ენა და გვარდაკარგული ქართველები და ქურთები. ქართულად მოსაუბრე მხოლოდ შავშეთიდან ჩამოსული და დამკვიდრებული რამდენიმე კომლია. ქართული გვარების ხსენება აღარ არის, შემორჩენილია მხოლოდ ოდღზე

დაბოლოებული ორი გვარი – ჩაუშოდლი, დაუდოდლი სამა-  
გიეროდ, გვხვდება ქართული ტოპონიმები, მათ შორის ანთრო-  
პონიმული წარმომავლობისა.

ნიგალის ხეობაში გვხვდება ქრისტიანობის აღმნიშვნელი  
ბევრი ტოპონიმი, როგორიცა: **საყდარი** – ნაეკლ., (ხება) **მარიამ-  
კილდე** – კლდე (ადაგული მთავარანგელო – ტყე (კირნათი)  
**ზიარეთი** – წმინდა ადგილი (ქართლა//თუთუნჯილარ), **გორგიწ-  
მინდა** – სათიბი, საძ. (ქართლა// თუთუნჯილარ), **ელიაწმინდა** –  
(სოფლ. უბანი, ებრიკა//იბრიქლი) წმინდა მარიფექ–საძ., (ქარ-  
თლა//თუთუნჯილარ), **წვინდატატია** – საძ., (ქართლა//თუთუნჯ-  
ილარ), **ჯვარიქედი** – სათ., ქედი (კირნათი), **ხატისკორდი** –  
საძ., (არხვა//აქვინარ), მაგრამ შემორჩენილი ქრისტიანული მა-  
ტერიალური კულტურის ძეგლი ორად-ორია და ეს გახლავთ  
სვეტსა და პეტრულში (ებრიკა). ეკლესია სოფელ სვეტში (სე-  
ითლერ, ნიგალას უბანში) ჩამონგრეულია, შემორჩენილია  
კედლები და საძირკველი. ერთი სიტყვით, გადარჩენილია  
სრულ განადგურებას და შესაძლებელია ნაგებობის აღწერა.  
იგი არის სამნავიანი ბაზილიკა. დანგრეულია კამარები, ნაგე-  
ბის გამყოფი თაღები და მათი საყრდენები, სამხრეთის კედლის  
შუა ნაწილი. ეკლესია აგებულია მოყვითალო-ქვიშისფერი და  
რუხი ქვებით. ქვები თითქმის ერთი ზომისაა და ერთი სიმაღ-  
ლის რიგად ღაგდება. რადგან ეს ეკლესია მეტ მსგავსებას ავ-  
ლენს კლარჯეთის ამ ტიპის ეკლესიებთან, მკვლევრები მას X  
საუკუნის I ნახევრით ათარიღებენ (**ხოშტარია, 2005, 216**). უნდა  
შევნიშნოთ, რომ მკვლევარი გ. ხოშტარია ეკლესიის ადგილმ-  
დებარეობაზე მიუთითებს და წერს, რომ იგი მდებარეობს ართ-  
ვინის სოფელ ვეზირქოში (**იქვე**), არადა, ეკლესია მდებარეობს  
სოფელ სვეტში/სეითლერში, ძალიან ღამაზ, (საგანგებოდ  
შერჩეულ) ვაკე ადგილზე. მეორე სალოცავი, შედარებით სრუ-  
ლყოფილად შემონახული, გახლავთ სოფელ ებრიკაში, ეკლე-  
სია მამაწმინდის უბანში მდებარეობს და ისიც ამ სახელით მო-  
იხსენიება.

XIX-XX სს. მიჯნაზე ზ. ჭიჭინაძე აღწერს ამ ძეგლს: „აქეთ ყოველ სოფელში ნახავს კაცი ეკლესიის ნანგრევს. სოფ. პეტრულში – კი მთლად



სვეტის ეკლესიის ნაშთი, გადაკეთებული პურსაცხოვად ქილისაყაფის უბანში



ნაეკლესიარი სოფელ სვეტში, ნიგალის უბანში

შენახულია ერთი პატარა გუმბათიანი თლილის ქვით ნაშენი ეკლესია. ეს პატარა ეკლესია სოფ. მამაწმინდის წინ დგას. ერთ მშვენიერ ალაგას, სადაც საყანური ადგილებია. ეკლესიას გარშემო მეტად ბებერი ვაზისა და კაკლის ხეები ახვევია და მთელს ამ ხეობას ობლად გადმომზერია. გუმბათში



მამაწმინდის ეკლესიის ფრესკები



მამაწმინდის ეკლესიის შე სასკვლეო

მხატვრობა შეუშლელია, ასევე ძირის კედლებზე, ერთ ალაგას დახატულია რამდენიმე კაცი ბერძნულის ტანთსაცმლით, ზოგი-

ერთ სურათს ბერძნული წარწერა აქვს და ზოგს - კი ქართული. ეკლესიის კედლები მთლად არის დაშთენილი – ორი კარი აქვს და ორივ დამტვრევია (ჭიჭინაძე, 1917, 140-141).



მამაწინდის ეკლესია

ეს ეკლესია დღესაც დგას, მას შემდეგ ბევრი არაფერი მოჰკლებია, ეკლესიის კარიბჭესთან, მურყანია ამოსული, რომელიც ღამის ფარავს მის წინა ხედს. ეკლესიის დაზიანებული ფრესკებისა და წარწერების ამოკითხვა შესაძლებელია.

ძეგლის აღწერილობა მოცემული აქვს მკვლევარ დ. ხოშტარას (ხოშტარია, 2005). მასში გლუვი მხოლოდ ოთხი სარკმელია. გუმბათი ეყრდნობა ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან გამოწეულ მართკუთხა შევრიდებს. ეკლესიას აფსიდი არ გააჩნია, საკურთხეველი მართკუთხაა და გადახურულია ცილინდრული კამარით. არ არის დამატებითი სათავსები. ეკლესიის კედლები გარედან მოპირკეთებულია თლილი ფოროვანი ქვით, შიგნით ნატეხი ქვით. ეკლესიის შიგნით ინტერიერი მთლიანად შეღესილი და მოხატულია. დღეისთვის ფრესკები ძლიერ დაზიანებულია. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეკლესია XVI საუკუნეშია აგებული.

სოფელ სვეტში ჩავიწერეთ ოცდაათი ტოპონიმი, ხოლო ებრიკაში სამოცი, რომელთა დიდი ნაწილი ქართულია, ეტიმოლოგიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ მოცემულ ტოპონიმთაგან

სვეტში ექვსი, ხოლო იბრიქლში ორმოცდაექვსი – ქართულია, დანარჩენთაგან ორივეში ერთად ჩვიდმეტი ქართულ-თურქული და თხუთმეტი თურქული და რვა ც გაურკვეველი სემანტიკისაა. მკვლევარი ნადეჟდინი მიუთითებდა, რომ გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებანი ბგერათა უბრალო ნაზავს, ნაერთს ან სიტყვების უაზრო, გაუცნობიერებელ შეკავშირებას როდი წარმოადგენდა ისინი, ეს სახელწოდებანი ჩვენი წარსული ყოფაცხოვრების ზუსტი ანარეკლია და ამიტომ მათი სპეციალურად შესწავლა ქვეყნის ისტორიის შესწავლას ნიშნავს (**Надежин, 1837, т. 22, в. II**).

სოფლების იბრიქლისა და სვეტის მიკრო ტოპონიმია ც ამის ნათელი მაგალითია, მათი ცხოვრების ისტორიაა (იხ. დანართი 1, დანართი 2).

ებრიქისა და სვეტის ტოპონიმიაში, ისევე როგორც მთელი ნიგალის ხეობის ტოპონიმიაში, გვხვდება მარტივი, აფიქსური და რთული გაფორმების სახელები.

მაწარმოებელ სუფიქსებად გამოყენებულია იგივე საშუალებები, რაც დამახასიათებელია საერთო ქართული ტოპონიმისათვის. დასტურდება -ა, -ურ, -ელ, -ებ, -ათ, -თი, -თა, -ის, -ევე, -იან, -ნარ (//-ნალ), -ოვან- სუფიქსები. ა-ნიგალა(ქართ.) სოფლის უბანი, ალვანა-(ქართ.), ჭოჭოლა (ქართ.) – კლდე.

ურ-//-ულ-) - პეტრ-ულ-ი – სოფელ იბრიქლის თავდაპირველი და დღეს პარალელური სახელი, ამავე სოფლის ერთ-ერთი უბანი. ბარული - (ქართ.) – სათესი, ქეშეტური - (გაურკ.) – სათესი.

-ეთ ტოპონიმური სუფიქსია, რომელიც საკმაოდ ძველი და პროდუქტიული ფორმანტია ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. იგი ადგილის სახელწოდებას აწარმოებს, უპირველეს ყოვლისა, ეთნიკური და საკუთარი სახელებისაგან (**შანიძე ა., ტ. I. 1973, 141**). მაგ., კასიმ-ეთი - (ქართ.) სოფლ. უბან, (იბრიქლი). ბუღარ-ეთი-(ქართ.)-გზა, ჩარბი-ეთი (ქართ.) – სოფლის უბანი, (სოფ. სვეტი).

-**ეგ**- სუფიქსს აკად. ა. შანიძე მრავლობითის მაწარმოებლად მიიხნევს (**შანიძე, ტ. III. 1941, 766**). **კრუხ-ეგი** - (ქართ.) –სასაფ-  
ლაო, საძ., ( სოფ. იბრიქლი), **გოდრახ-ეგ** - (ქართ.) – დელე,  
(სოფ. სვეტი).

-**ებ** სუფიქსი საკმაოდ გავრცელებული მაწარმოებელია სა-  
ქართველოს ზოგიერთი რეგიონის ტოპონიმიაში (**შანიძე ა, ტ. I.  
თბ., 1973, 80**). ეს ფორმანტი ტოპონიმებში მსგავსი ადგილების  
სიმრავლესა და სიდიდეზე მიუთითებს **ჭალები** - (ქართ.) – სა-  
თიბი.

-**ეგან -ავრ** – **წაბლენა** - (ქართ.) – სათესი. **ქეშელავრი**  
– (ქართ.) – დელე, **ჭეჭელავრი** – (ქართ.) – სათიბი.

-ია, -ია სუფიქსს აკად. ა. შანიძე კინობითის მაწარმო-  
ებლად გამოყოფს (**იქვე, 120**). **ნიგია** - (გაურკ.) – სოფლ. უბა-  
ნი, (სოფ. ებრიკა) და **პაპია** – (ქართ.) - საძ. (სოფ. სვეტი).

საკვლევი რეგიონის ტოპონიმიაში გვხვდება თურქული  
წარმომავლობის ტოპონიმები (როგორც მარტივი, ისე წარმოქ-  
მნილი და რთული სახელები). ხშირად ტოპონიმის ამოსავალი  
ქართული სიტყვაა, მაწარმოებელი – თურქული, ან ფუძეა თურ-  
ქული, ხოლო აფიქსები – ქართული და ა.შ. არსებობს პარალელ-  
ლური ფორმები.

**ჰევაღე** - (თურქ.) – ტყე, ნაკრძალი **ჭილოღლი კარი** -  
(ქართ.) – სათესი **ხამი დარე** - (ქართ.თურქ.) – ქილისა -  
(თურქ.) – ეკლ. **ჩაირები** - სათიბი, (ქართ-თურქ.), **კასიმეთი** -  
(თურქ. ქართ.) – სოფლ. უბანი, **დიდხანე** – სოფლ. უბანი, სა-  
თესი **დურდულღარ** – (ქართ.თურქ.) – სათესი – **ჭოჭოლა ყაია**–  
(ქართ.თურქ.) – ეკლდე სოფ.სვეტში.

ნიგალის ხეობის ტოპონიმიაში მნიშვნელოვანი ადგილი  
უჭირავს სიტყვათ შეერთებით გაფორმებულ ტოპონიმებს.  
გვხვდება როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობის  
თხზული ტოპონიმები **წითელმიწა** - (ქართ.) – ტყე, სათესი  
**კოკოლა ქვა** - (ქართ.) – ტყე, ქვ. ადგ., **ნაცარაბოლო** - (ქართ.)  
– სათესი **ფონი ყანა** - (ქართ.) – სათესი, **ფარფაშა ყანა** -  
(ქართ.) – სათესი.

ნიგალის ხეობაში, დასახლებანი, დღესაც ნათესაური ნიშნითაა. ბორჩხის, მურღულისა და ართვინის რაიონებში, ამ მხვრივ მიგრაციის მიუხედავად, ცალკეული უბნები მკაფიოდ გამოიყოფა. ეს უბნები ისტორიულად ერთი გვარის შთამომავალთა, ერთი მამა-პაპის განაყოფთაგან არის ძირითადად დასახლებული, მაგ., **გუნდაძე**, **ნასყიდაძე** უბნებია სოფელ ებრიკაში, ამ უბნების ძველ მფლობელთა გვარებიც შემონახულია. **ულ** სუფიქსით დაბლოებული ტოპონიმები მეტწილად პიროვნული სახელებისა თუ მეტსახელებისაგან, ასევე გვარებისაგან მომდინარეობს. ისინი აღნიშნავენ ადგილის კუთვნილებას იმავე პირისადმი, რომლის სახელი საფუძვლად უდევს ტოპონიმს. მაგ., **პეტრული** (პეტრეს კუთვნილი მამული), განსაკუთრებით მრავლად გვხვდება ძველი ქართული საკუთარი სახელებისაგან ნაწარმოები ტოპონიმები, მაგ., - **ხოტი**, ხოტა შეტანილია კაცის საკუთარ სახელთა სიაში, მე-18 საუკუნის სტატიკური ცნობების (**დღონტი 1986, 409**) მიხედვით, ამგვარივე წარმომავლობა შეიძლება ვივარაუდოთ ტოპონიმების - **ხერხევატი და ბითანათი** მიმართ. ხერხა კაცის სახელია, გვარში ხერხაძე, (**იქვე, 243**) ბითა კი გვხვდება ქალის კოლხურ სახელთა სიაში, (**იქვე, 260**). ასევე, ანთროპოტოპონიმი უნდა იყოს ტყის სახელი - **ჯარათი**, რომელიც საკმაოდ გავრცელებული საკუთარი სახელია სამეგრელოში (**იქვე, 249**). **კასიმეთი** - კასიმი გავრცელებული გვარია მუსლიმანურ ქვეყნებში (მაგ. აბდ ალ ქარიმ კასიმი, ალი იბნ აბუ ალ კასიმი, კასიმ ბეგი, აბულ კასიმი), თუმცა ის, ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს მეორე არაბულ სიტყვასთან კასიმი (kasim), რაც, როგორც არაბული წარმოშობის სიტყვა, ნიშნავს რაღაცის გამყოფს, განმაცალკევებელს (**თქლ, 2001, 798**). **კასრათი** - კასრ ფუძიანი სახელები გვხვდება ქართულში მაგ. კასრი, კასრაძე, **ქეშელავრი** - ქართულ კუთხურ მეტყველებაში ქეშელა (ქეშელასი) ნიშნავს ტიკივით გაბერილს (იტყვიან ადმიანზე ან მის მუცელზე) (**ქეგლ, 1990, 989**). **ჭეჭელავრი** წარმოქმნილი უნდა იყოს სიტყვისაგან **ჭეჭელა-ჭრელი**, ნიგალურ-აჭარული დიალექტი (**ბერიძე,**

**2007-2008). ქარაფათი, საზოგადო სახელისაგან ქარაფი – დიდი, ფრიალო კლდე (ქეგლ, 1990, 985 ).**

რაც შეეხება სოფელ სვეტის ტოპონიმებს: მაგ., ჩარბიეთი, ქართულში გვხვდება საკუთარი სახელები – ჩარგა, ჩარგალა, ჩარბა. გვხვდება ჩარბ ფუძისაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები ჩარგალი (დუშეთი), ჩარექაული (ახმეტა), ჩარდახი (მცხეთა). *წარ წარბ* ძირისაგან ნაწარმოები სიტყვები არ არის თურქულ ენაში. (თქლ, 2001) ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ჩარბიეთი ქართული ანთროპოტოპონიმია. **ლომაშენი - ლ ო მ ა - შ ე ნ - ი** – სახელს ფუძეში პიროვნული სახელი (ლომი, ლომა) ჩანს. –შენ ტერმინ-ფორმანტიანი სახელები ხშირია სამხრეთ საქართველოში: ბულაშენი, მუხრა-შენი, მინდა-შენი, გოგა-შენი, ხოლაშენი, თამარაშენი, ასეთი გაფორმების სახელებში პირველი კომპონენტია ადამიანის საკუთარი გვარსახელი: ბულაძე, მინდაძე, გოგაძე (**ბერიძე, 1987, 31, 111** ).

„შენ“ სიტყვა „შენება“ ზმნას უკავშირდება. გვაქვს სოფლები სახელით – არაშენდა. -შენ კომპონენტის ტოპონიმები ხშირად დასტურდება „ახალ“ მსაზღვრელთან. მაგ: ახალ-შენი საქართველოში თორმეტი სოფლის სახელად გვხვდება (**საქართველოს სსრ..., 1961, 189**). გვხვდება ღომ ფუძით ნაწარმოები სოფლის სახელები: ღომანაური (შუახევი), ღომატურცხი (ახალქალაქი)

რაც შეეხება სახელს – **პაპია**, საქართველოში გვაქვს პაპ ფუძისაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები – პაპოშვილები (შუახევი), პაპწვა(გულაუთა), საკუთარი სახელები: პაპანა, პაპინა, პაპენა, პაპონა, პიპა, პიპო, პიპუ (**ღლონტი, 1986, 176**) გვარები: პაპაშვილი, პაპიაშვილი, პაპუაშვილი, პაპუნძე. -ია ქართული გვარებისა (პირტახია, ბუკია) და ტოპონიმების (კვატია, ნენია, ზემო აჭარა) მაწარმოებელი სუფიქსია. პაპა აღნიშნავს ბაბუას (**ქგლ, 1990, 802**). აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პაპია მიკროტოპონიმი ანთროპონიმული წარმომავლობის ქართული ტოპონიმია. **სოტიბარი**, სიტყვა – სოტი მიღებულია ფონეტიკური ცვლილების, -ვე ბგერათაშერწყმის



შედგებად - ო ხმოვნის მიღებით, ქართული საზოგადო სახელი-საგან სვეტი. **ღურღულღარ** ქართული საზღვრულდაკარგული ნაზმნარი სახელია (ღურღური-გურგური-ყურყური) (**იქვე, 1007**), ღურღულებს-იტყვიან ზედმეტ მოლაპარაკეზე, ღურღულებენ-ბავშვების ჩართულ ლაპარაკზე) და გაფორმებულია მრავლობითობის აღმნიშვნელი თურქული -lar სუფიქსით. **ჭოჭოლა** - ჭოჭი ძირს (მიწაზე, იატაკზე) დამდგარ წყალს ნიშნავს, ჭოჭი დგას - ჭოჭია (მიწა-ზე) (**იქვე, 1238**), ჭოჭო მამაკაცის მეტსახელია და ჭოჭოლე საკუთარი სახელი, ჭოჭო ქალის საკუთარი სახელია (**ღლონტი, 1986. გვ. 239, 315**), ჭ ბგერა და შესაბამისად -ჭოჭ ძირიანი სიტყვა თურქულში (თქვ) არა გვაქვს, აქედან გამომდინარე, ჭოჭოლა ქართული ტოპონიმი უნდა იყოს.

რამდენიმე ტოპონიმია ამ ორ სოფელში, რომელთა სტრუქტურა საკუთრივ ქართულის ნიადაგზე ვერ აიხსნება, ან თითქმის ვერ აიხსნება და არც მათი სემანტიკაა ნათელი, **აღრემი, ებრიკა//იბრიქლი, თორღლი, ქეშეტური, ლაფაზინი\*** - სოფ. ებრიკაში და **მალკუზე** - (სოფლ. უბანი), **სუხუზარე** -სოფლ. უბანი, - **საისხარ** - საძ., **ჭომან** - (**გაურკ.**) - გზა - სოფ. სვეტში.

ტოპონიმის წარმოებისა და წარმომავლობის ანალიზმა სოფლებში სვეტსა და იბრიქლში (ებრიკა) ცხადყო, რომ ქართული ტოპონიმები არათუ შემორჩენილია, არამედ მათი უძრავლესობა ქართულია და ხშირად ისინი შინაარსობრივად ემთხვევა სახელწოდების მნიშვნელობას.

ამრიგად, ნიგალის ხეობაში, კონკრეტულად სოფლებში: სვეტსა და იბრიქლში/ებრიკა როგორც მატერიალური კულტურის ძეგლები, ისე სოფლის უბნების დღევანდელი ქართული სახელწოდებანი: პეტრული, მამაწმინდა, ნიგია, ელიაწმინდა

---

\* ინფორმატორთა თქმით, ლაფაზინი მამაკაცის სახელია ჩვენ ჯერჯერობით გაურკვეველი სემანტიკის სახელთა სიაში შევიტანეთ, თავი შევიკავეთ მიგვეჩნიო იგი მცენარე ლაფანისაგან ნაწარმოებ სახელად, გაურკვეველი ზინი დაბოლოების გამო,მეგრულ-ქართულ ლექსიკონში ( ლაფა(რ)ჩას აღმ, იტყვიან ფერდობის ძირას მდებარე მოფართო და ცოტათი წაგრძელებულ ვაკეზე. შდრ. ტოპონ. ლაფ(რ) ჩარხენი (პ. ცხადაია, ტოპონ., გვ. 70), (15). <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/megr/kajaia/kajai.htm?kaj10995.htm>

სოტი, ნიგალა, ლომაშენი და სხვა ქართული სახელები: ალვანა, ლეღვიყანა, ქედიძირი, ახალშენი, ნაცარაბოლო და ა. შ. ტოპონიმთა მთელი ეს ჩამონათვალი (კონა) მათი ცხოვრების ისტორიაა, უტყვი და მეტყველი მოწმეა მათი ქართველობისა და ქართულობისა და ჩვენი დიდი სულიერების საერთო ბაღავარია.

დანართი 1

**პეტრული//მბრიკა//ibriqli//ibrikli**

1. აღრემი - (გაურკ.) სათესი
2. ახალშენი - (ქართ.) – სათესი
3. ბარული - (ქართ.) – სათესი
4. ბითანათი - (ზან-ქართ.) ტყე
5. გორის საგორავი - (ქართ.) – სათესი, თხილნ.
6. გუნდაძე - (ქართ.) – სოფლ. უბანი
7. დამპალყანა - (ქართ.) – სათესი
8. დარბუცული - (ქართ.)კაკლები, ტყე, ღვლე
9. დედეს ყანა - (ქართ.) – ტყე, სათესი
10. ელიაწმინდა - (ქართ.) – სოფლ. უბანი, ბაღი,
11. ებრიკა - (გაურკ.) – სოფლ. უბანი
12. თოროლი - (გაურკ.) სათესი
13. ვაკე - (ქართ.) – სათესი
14. კასიმეთი - ( თურქ.ქართ.) სოფლ. უბანი
15. კასრათი - ( ქართ.) სოფლ. უბანი
16. კოკოლა ქვა - (ქართ.) – ტყე, ქვ. ადგ.
17. კრუხევი - (ქართ.) –სასაფლაო, საძ.
18. კვართი - (ქართ.) – ტყე
19. ლაფაზინი - (გაურკ.) სათესი
20. ლეღვიყანა - (ქართ.) – სათესი
21. მალმაწმინდა//მამაწმინდა//მარმაწვინდა - (ქართ.) – სოფლ. უბანი
22. ნადვარევი - (ქართ.) – სოფლ. უბან დაფარა ჭოროხმა
23. ნიგა//ესენთეფე (ქარიანი ბორცვი), (გაურკ.)– სოფლის უბანი
24. ნაცარაბოლო - (ქართ.) – სათესი
25. ნასყიდაძე - (ქართ.) – სოფ. უბანი


26. ნანაღები - (ქართ.) – სათესი
27. ორგზაშვა - (ქართ.) – სათესი
28. პეტრული//ქერამირ მაჰალესი -(ქართ.თურქ), (კრამიტი), იდგა ეკლესია, – სოფლის უბანი
29. საბადური - (ქართ.) – სათესი
30. სათავო - (ქართ.) – წყარო, ჩანჩქერი,
31. სახლისუკანა - (ქართ.) – სათესი,
32. სახლისწინა - (ქართ.) – სათესი
33. სულნარა - (ქართ.) – სათესი
34. ტანახრო - (ქართ.) –სათიბი
35. უკან კალო - (ქართ.) – სათესი, სოფლ. უბანი
36. ფარფაშა ყანა - (ქართ.) – სათესი
37. ფონი ყანა - (ქართ.) – სათესი
38. ქათიბხანი - (თურქ.) – სოფლ. უბანი დაფარა ჭოროხმა
39. ქედზე ყანა - (ქართ.) – სათესი
40. ქედიბირი - (ქართ.) – სათესი
41. ქეშელავრი - (ქართ.)– დელე
  
42. ქეშეტური - (გაურკ.) სათესი
43. ქვაბიკარი - (ქართ.) – სოფლ. უბანი
44. ქილისა - (თურქ.) – ეკლ.
45. ქარაფათი -(ქართ.) სოფლ. უბანი
46. ღორხნალი//ხორხნალი - (ქართ.) – ტყე
47. შვიდწყარო - (ქართ.) – წყარო
48. ჩაირები - სათიბი
49. ჩანჩქერი//ჩანჩქერი - (ქართ.) –ტყე, სათესი
50. წაბლენა - (ქართ.) – სათესი
51. წითელმიწა - (ქართ.) – ტყე, სათესი
52. ჭალები - (ქართ.) – სათიბი
53. ჭეჭელავრი - (ქართ.) სათიბი
54. ჭილოდლი კარი - (ქართ.) – სათესი
55. ხამი დარე - (ქართ.თურქ.) – სათესი
56. ხერხევატი - (გაურკ.) – სათესი
57. ხოტი - (ქართ.) –სად.
58. ხორხნალი//ღორღნალი - (ქართ.) – ყანა
59. ჯარათი - (ქართ.) – ტყე
60. ჰევალე - (თურქ.) – ტყე, ნაკრძალი

2. სვეტი//Seitler:

1. ალვანა დერე - ღელე
2. ბალქუზუ - (თურქ.) - სოფლ. უბანი
3. ბუღარეთი - (ქართ.) ტყე
4. გოდრახევ დერესი (ქართ.თურქ.) - ღელე
5. დიდხანე - სოფლ. უბანი, სათესი
6. დუზღარ - (თურქ.) - სოფლ. უბანი
7. დუზთარლა - (თურქ.) - სათესი
8. ეშექდუზი - (თურქ.) - სად.
9. თექთაში - (თურქ.) - სათესი
- 10.10.ლომაშენი - (ქართ.) სოფლ. უბანი
- 11.11.მალკუზე - (გაურკ.) - სოფლ. უბანი
- 12.მეიდანღარ - (თურქ.) სად.
- 13.ნიგალა - სოფლ. უბანი
- 14.თეე მაჰალე - (თურქ.) - სოფლ. უბანი
- 15.პაპია - (ქართ.) სად.
- 16.რუსიოლდ\*//რუსუგზა - (თურქ.-ქართ.) - გზა
- 17.საისხარ - (გაურკ.) - სად.
- 18.სარაიყაფისუნ - (თურქ.) - სააგ. ადგ.
- 19.სვეტი//სოტი\*//მერქეზ მაჰალე - (ქართ.თურქ.) სოფლ. უბანი
20. სოტიბარი - (ქართ.) - სოფლ. უბანი
- 21.სოტიბარი დერესი - (ქართ.-თურქ.) - ღელე
22. სუხუზარე - (გაურკ.) -სოფლ. უბანი
- 23.უჩთაში - (თურქ.) - სათესი
24. ქატირეზიდლ//კატირეზიდლ//კატრიზიდ - (თურქ.) - სათესი
- 25.ქილისაყაფი//იენი მაჰალე - (თურქ.) - ნაეკლ., სოფლ. უბანი
26. ღურღულღარ - (ქართ.თურქ.) სათესი
27. ჩარბიეთი - (ქართ.)სოფლ. უბანი
- 28.ჭომან - (გაურკ.) - გზა
29. ჭოჭოლა ყაია- (ქართ.თურქ.) -კლდე
- 30.ხაჩიკაურ - (სავარაუდოდ ქართული) -საძოვარი



სოფ. სეიტლი  
SEITLER



## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაგრატიონი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.
2. ბერიძე ეთ., ნიგალის ექსპედიციის დღიური, 2007-2008
3. ბერიძე მ., სპარსული ელემენტები ჯავახეთის ტოპონიმიაში, ონომასტიკა, II, თბ., 1987.
4. თურქულ-ქართული ლექსიკონი (შემოკლებით თქლ), ლია ჩლაიძის რედაქციით, ტ. I-II, თბ., 2001.
5. თურქულ-ქართული ლექსიკონი, სტამბული, 2001.
6. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993.
7. სრულიად საქართველოს საკათალიკოსო სინოდის უწყებათა კრებული, 1928.
8. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1961.
9. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, II ნაწილი, თბ., 1990.
10. ქართლის ცხოვრება (შემოკ. ქც), ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955.
11. დლონტი აღ., ქართველური საკუთარი სახელები, (ანთროპონიმთა ლექსიკონი) თბ., 1987
12. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. I, თბ., 1973.
13. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ევკილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში-საქმეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. III. №8, 1941.
14. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. I, თბ., 1973.
15. ჭიჭინაძე ზ., ქართველთა გამაჰმადიანება ანუ ქართველთა გაათარება, ტფ., 1914
16. ჭიჭინაძე ზ., მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1917

17. ჭიჭინაძე ზ., საქართველოს დაკარგული სოფლები და ქართველი კათოლიკეები, ტფ., 1904.

18. ხოშტარია დ., კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, თბილისი, 2005.

19. Надежин Н.И., Опыт исторической географии русского мира: Библиотека для чтения, С.-Пб., 1837, т. 22, ч. II

## **Eter Beridze**

### **Sveti and Petruli**

#### Summary

Analysis of toponymic formation in the villages of Sveti and Petruli (Ebrika) made it clear that Georgian toponyms not only lasted but most of them are Georgian and they often coincide with the significance of titles. In the gorge of Nigali and particularly in villages Sveti and Petruli (Ebrika) as monuments of material culture as well as today's Georgian names of village districts Petruli, Mamatsminda, Nigia, Eliatsminda, Soti, Nigala, Lomasheni, and other Georgian names: Alvana, Legvikana, kedidziri, akhalsheni, Natsarabolo, Tsitelmitsa, Kokolakva, Poni kana, Parpasha kana, Gundadze, Naskidadze, etc. All of these listed toponyms are their history of life; it is unspoken and deafening witness that proves they are Georgians and that it is our common foundation of great spirit.



**თურქეთის ტრანსკასპიური პოლიტიკა**

სსრკ-ს დაშლის შემდეგ პერიოდში პოსტსაბჭოურ სივრცეში ჩამოყალიბდა „ძალათა ვაკუუმი“, რომლის შევსებას იმთავითვე თურქეთი შეეცადა. 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისში ანკარამ აქტიურად დაიწყო სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ათათურქისეული პრინციპების გადასინჯვა (რზეზინსკი, 2004). დღის წესრიგში დადგა ახალი ცენტრალურაზიური თუ კავკასიური პოლიტიკის შესაბამისად რეგიონში ახალი თურქული გეოპოლიტიკური კონცეფციის შემუშავების საკითხი. ამ მიზანს საფუძვლად დაედო თურქულენოვანი მოსახლეობის ერთ ფრთის ქვეშ გაერთიანება. წარმატებულ პოლიტიკას ხელს უწყობდა რუსეთის პოზიციების შესუსტება (რომელმაც რამდენიმე სერიოზული შეცდომა დაუშვა საგარეო პოლიტიკაში) და ახალი სუვერენული სახელმწიფოების წარმოქმნა რეგიონში. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა თურქეთმა და ბუნებრივია, ვაშინგტონის თანხმობით დაიწყო საკუთარი პოლიტიკის რეალიზება. ცენტრალური აზია, ამიერკავკასია და კასპიის რეგიონი თურქეთის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ინტერესების ზონად იქნა გამოცხადებული. 1991 წ. დასავლეთმა ანკარასთან შეთანხმებით ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებს განვითარების "თურქული მოდელი" შესთავაზა (Pay, 1996, 195-200). ფაქტობრივად, ეს იყო რუსეთის სასიცოცხლო მნიშვნელობის ზონაში თურქეთის აქტიურად შეღწევის დასაწყისი [რზეზინსკი, 2004]. მოსკოვის უნიათო საგარეო პოლიტიკამ და დასავლეთის აქტიურმა მხარდაჭერამ ხელი შეუწყო ანკარის გავლენის გამყარებას რეგიონში. თურქეთში, სადაც სწრაფად გააცნობიერეს საკუთარი გეოსტრატეგიული მდგომარეობა (თურქულენოვან სახელმწიფოებში ლიდერის როლი), ამოქმედდნენ „რეგიონის ხალხების მხარდაჭერი ფონდები“. ცენტრალურ აზიაში კავკასიასა და კასპიისპირეთში გააქტიურდნენ თურქეთის სპეცსამსახურები. თურ-

ქულ პოლიტიკურ ელიტას დასავლეთზე გავლენის სერიოზული ბერკეტი გაუჩნდა, სადაც თავის მხრივ ფიქრობენ, რომ შეძლებდნენ თურქეთის, როგორც ენერგეტიკული დერეფნად, გამოყენებას. პირველყოვლისა აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ნავთობის, აგრეთვე თურქმენეთის ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებისთვის (რუსეთისა და ირანის მარშრუტების გვერდის ავლით).

საფიქრებელია, რომ რეალობას სწორად ვერ აცნობიერებენ, ვერც დასავლეთსა და აშშ-ში რომლებიც თურქეთს საკუთარი გეგმების რეალიზებისა და რუსეთზე გავლენისათვის იყენებენ, და ვერც მოსკოვში, რომელიც "ცისფერი ნაკადის" პროექტით ან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობით თურქეთის დაშოშმინებას იმედოვნებს.

თურქეთი აქტიურად ახორციელებს ოსმალეთის იმპერიის აღორძინების დამოუკიდებელ პოლიტიკას. 90-იანი წლების მიწურულს ანკარამ შეიმუშავა ქვეყნის გეოსტრატეგიული განვითარების კონცეფცია 2023 წლამდე (Стратегия и интересы в Евразийском пространстве, 2005). კონცეფციის ჩარჩოებში განისაზღვრა თურქეთის ევრაზიული პოლიტიკის პრინციპები, რომელთა საფუძველს პანთურქიზმი წარმოადგენს. თურქეთში ძალას იკრებს თურქული ნაციონალიზმი, რომელსაც მხარს უჭერს თურქეთის მთავრობა რეჟებ ერდოღანის მეთაურობით. ქვეყანაში მოქმედებს მრავალი ფონდი და კვლევითი ცენტრი, რომელთა დასკვნებში ახლებურადაა განხილული თურქთა როლი მსოფლიოში: „თურქები - დიდებული ერია, რომელიც ათასწლეულების მანძილზე ბატონობდა ევრაზიაში“; „ისტორიულად თურქები აკონტროლებდნენ უზარმაზარ ტერიტორიებს აზიაში, აფრიკასა და ევროპაში“; „დღესდღეობით თურქები ყველაზე ახალგაზრდა და დინამიურად მზარდი ერია“; „გეოგრაფიულად თურქები ბინადრობენ 55მლნ. კმ 2. ტერიტორიაზე“; „თურქთათვის ყველაზე ახლობელი ხალხები ბინადრობენ კავკასიაში, ბალკანეთში, ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში“... (ივანოვ. 1996).

თანამედროვე თურქეთის პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ანკარა სერიოზულად ფი-

ქრობს, XXI ს-ში შექმნას მსხვილი თურქული სახელმწიფო თურქეთის იმპერიის გეოგრაფიულ ფარგლებში, აგრეთვე ტერიტორიებზე, სადაც კომპაქტურად სახლობენ თურქები. აღნიშნული პროცესი, სავარაუდოდ, ევროკავშირში ანკარის გაწევრიანების პარალელურად წარიმართება. მოსალოდნელია თურქეთის აგრესიული პოლიტიკის გააქტიურება ევრაზიაში. მითუმეტეს, რომ პოზიტიური გამოცდილება თურქულ პოლიტიკურ ელიტას უკვე აქვს. საკმარისია გავისხენოთ თურქეთ-სირიის ურთიერთობები 1998 წ., როცა ანკარა მზად იყო, გამოეცხადებინა ომი დამასკოსათვის, 2000წელს დაწყებული სამშვიდობო მოლაპარაკებები ანკარის ინტერესების გათვალისწინებით დასრულდა. 2005წ. თურქეთის პრეზიდენტის - სეზერის ვიზიტმა სირიაში წერტილი დაუსვა წინააღმდეგობებს. აშშ-სა და თურქეთს შორის 2004წ. ერაყთან დაკავშირებით წამოჭრილმა უთანხმოებამ აპოგეას 2005წლის თებერვალში მიაღწია. ფაქტობრივად მაშინ ანკარამ მოკავშირეს მოუგო საინფორმაციო ომი თავისივე ფრონტზე. მსგავსი ფაქტები იმის მკაფიო ილუსტრაციად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეკონომიკურ და სამხედრო სფეროში გაძლიერების კვლდაკვალ თურქეთი აღარ დაკმაყოფილება მეორეხარისხოვან როლს და აუცილებლად, საჭიროების შემთხვევაში, თავის მოკავშირეებს გაწირავს ზუსტად ისე, როგორც არაერთხელ გაუწირავს აქამდე.

თუკი ევროკავშირი მიიღებს თურქეთს, ამით ის საკუთარ თავს გამოუტანს სასიკვდილო განაჩენს - ხელს შეუწყობს „თურქეთის ტერიტორიის ვენამდე გაზრდის იდეას“ [ჭილდია, 2009]. ახალგაზრდა და სწრაფად მზარდი თურქი მოსახლეობა გასრესს ბებერ ევროპას და ჩაუკეტავს მას გასასვლელს ევრაზიულ ენერგეტიკულ რესურსებზე (Хлюпив, 2000).

საკუთარ ევრაზიულ პოლიტიკაში მომავალი თურქული სახელმწიფო საფუძვლად ახერბაიჯანის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა თურქმენეთის 126 მილიონიან კავშირს განიხილავს. ხოლო საკუთარი ევრაზიული გეოპოლიტიკის გატარების საშუალებად რუსეთისა და დსთ ტერიტორიებზე ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებს მიიჩნევს (ევრაზიული სივრცე). კერძოდ:

აღთაის, ბაშკირეთს, თათრეთს, ხაკასიას სახას, ტაიმირს, ტუვას, ჩუვაშეთს, ჰაგაუთა წარმონაქმნს, აღმოსავლეთ თურქისტანს, ყირიმს, ყარაჩაი-ჩერქეზეთს, ყაბარდინო-ბალყარეთს. ერთიანობაში ამ ოლქებში სახლობს 33 მილიონამდე თურქი. გარდა ამისა, ანკარა თავის ფსონს (დაახლოებით 1 მლნ. 60 ათასი) კავკასიის თურქულ ენოვან მოსახლეობაზე დებს: ჩეჩნეთი (17 000), დაღესტანი (336 000), კრასნოდარი (35 000), სტავროპოლი (172 000); ტაჯიკეთისა (1,9 მილიონი) და ავღანეთის (8,5 მილიონი). თურქეთის ევრაზიული პოლიტიკა მოიცავს ირანს - სადაც ცხოვრობს 30 მილიონი თურქი, ერაყს - 2,5 მლნ, სირიას - 1,5 მლნ. ევრაზიის ამ ნაწილში - ახლო აღმოსავლეთში სახლობს 33,5 მილიონი თურქი. თუკი ზემოწამოთვლილს დაეუმატებთ 2 მილიონიან ბალკანელ თურქებსაც ჯამში ევრაზიელი თურქები 205 მილიონს შეადგენენ [გუსეინოვის მოხსენების თეზისები, 2003]. ამრიგად, თავის ევრაზიულ პოლიტიკაში ანკარა აქტიურად დაიწყებს თურქთა ფაქტორის გამოყენებას. აღნიშნულ პროცესში რუსეთს დამკვირვებლის ფუნქცია აკისრია. მართალია, თურქეთი რუსეთის მეგობარი სახელმწიფოს როლს თამაშობს, რეალურად ის საფრთხეს უქმნის მის ეროვნულ ინტერესებსა და ერთიანობას, საკუთარი პოლიტიკით უპირისპირებს რა ერთმანეთს აშშ-ს, რუსეთსა და ევროკავშირს. ანკარისთვის მისაღებია ევრსია რომლის მიხედვით თითქოსდა აშშ თურქეთისა და რუსეთის დავპირისპირებითაა დაინტერესებული. რეალურად ანკარა თვითონ ცდილობს, რომ სიტუაცია ასე წარმოჩნდეს. ეს მას მომგებიან ვითარებაში აგდებს. ამასთან დაკავშირებით საყურადღებო იყო პუტინის ვიზიტი ანკარაში 2004 წლის 5-6 დეკემბერს. მოვლენათა ანალიზის მიხედვით ამ ფაქტმა თურქეთის იმიჯი საერთაშორისო არენაზე მნიშვნელოვნად გაზარდა, რამაც დააფრთხო აშშ და ევროკავშირი. ვიზიტის შემდეგ აქტუალური გახდა ევროკავშირში თურქეთის მიღების საკითხი. ანკარამ აღნიშნული ფაქტით უზარმაზარი დივიდენდები შეიძინა - თურქეთმა ევროკავშირის წევრობის შემთხვევაში რუსეთის მხრიდან უშიშროების საბჭოში სრული მხარდაჭერის გარანტია მიიღო, აგრეთვე კიპრთან და-

კავშირებით პოზიციების გადასინჯვას დაჰპირდა. საკუთრივ რუსეთისათვის ვიზიტს არაფერი მოუტანია. თურქეთის სტატუსი ვიზიტის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა, ის გაიზარდა რეგიონალურ სახელმწიფომდე, რომელიც იმ შემთხვევაში თუ დასავლეთთან ვერ მიაღწევს შეთანხმებას უპრობლემოდ შეცვლის ორიენტირს აღმოსავლეთის სასარგებლოდ.

დასკვნები:

„თურქეთის ევრაზიული პოლიტიკა გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი და მიმართულია ერთიანი თურქულენოვანი სახელმწიფოს შექმნისაკენ. (ოსმალეთის იმპერიის აღორძინება XXI საუკუნეში);

„სტრატეგიული თანამშრომლობა“ რუსეთთან დროებითი ხასიათისაა და რუსეთის ნაციონალური ინტერესების ზონებში შედგენას ითვალისწინებს. ანკარა შემდგომშიც შეეცდება რუსეთის ეკონომიკური და კულტურული ბარიერების შექმნას, ხოლო ზეწოლის ელემენტად თურქეთი ყოველთვის გამოიყენებს სრუტეების თურქულ ფაქტორს. მოვლენებმა საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში აჩვენა, თუ როგორ შეიძლება უსისხლოდ დაიმსხვრეს პოლიტიკური რეჟიმები პოსტსაბჭოურ სივრცეში;

„საკუთარი მიზნების მიღწევის კვალდაკვალ თურქეთი შეეცდება აშშ-სა და დასავლეთის შევიწროებას "საკუთარი ინტერესების ზონაში" თუმცა მანამ, ვიდრე ის დააბალანსებს სიტუაციას აშშ-ს, რუსეთსა და ევროკავშირს შორის. ამასთან შეინარჩუნებს მოკავშირეობას აშშ-სთან. ევროკავშირსა და თურქეთს შორის თანამშრომლობა შენარჩუნდება, თუმცა გეოსტრატეგიული გაგლენა ევრაზიაზე აშკარად შეიცვლება თურქეთის სასარგებლოდ;

„ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ თურქეთმა დე-ფაქტო უარი თქვა სხვა სახელმწიფოთა საშინაო პოლიტიკაში ჩაურევლობის მუსტაფა ქემალ ათათურქის პრინციპებზე, რომლებსაც განუხრებლად ინარჩუნებდა 1923-1991 წ.წ.

და ბოლოს, ოსმალეთის იმპერიის მსხვერველს ხელი შეუწყო ახალგაზრდა თურქების აკვიტებულმა იდეამ ოსმალეთის იმპერიის აღორძინების შესახებ.

**Irakli Gorgiladze**

## **Transcaspian policy of Turkey**

summary

"The vacuum of power" was established into the post-soviet space, after destroying the Soviet Union and Turkey tried to fill this vacuum. At the end of 80 and at the beginning of 90 years, Ankara started rechecking principles of Atatürk, which was about non-interference in other countries home policy.

concerns of the new central Asian or Caucasian politics? and new Turkish geopolitical issues were put into the agenda.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Brzezinski Z, The Choice: Global Domination or Global Leadership. New York 2004.
2. Brzezinski Z., Brent Scowcroft, Richard Murphy - Differentiated containment // Foreign Affairs, vol.76,#3 (may-june 1997)
3. Brzezinski Zbigniew, "The Wrong Way to Sell Democracy to the Arab World," The New York Times, 8 Mar 2004.
4. Cengiz ?andar Graham E. Fuller Grand Geopolitics for a new Turkey. The Eurasian Politician - Issue 4 (August 2001)
5. Ivanov A. The Central Asia divided: Nationalism, Minorities, and Security; in Euro-Atlantic Security Studies, edited by the NATO Defense College, 1996
6. Joshua Walker Turkey's Grand Strategy in a "New World" International Affairs New York (2005).
7. Kasenov U. Post-Soviet Modernization in Central Asia: Realities and Prospects, in Boris Ramer and S. Zhukov, eds., Central Asia: The Challenges of Independence (N.Y.:M.E. Sharpe, 1998).
8. Marks J. - The search for the "Manchurian Candidate". New York/London 2003. p
9. Turkey's New Geopolitics: From the Balkans to Western China. by J. F. Brown, Graham E. Fuller, Paul B. Henze, Ian O. Lesser. Boulder, CO 1993 p76., 174
10. William Engdahl Turkey: Washington's Geopolitical Pivot. Financial Sense Editorials. April 14, 2009
11. Малышева Д.Б - Турция и Иран в борьбе за влияние в кавказеЖ Поиски новой модели общения и развития в изменившемся мире. М., 1999 ст.45-49
12. Пау ф. де. - Политика Турции в Закавказье // Спорные границы на Кавказе. - М.,1996ю ст.195-200
13. Стратегия и интересы в Евразийском пространстве // "Профи"б № 3б с22ю <http://eurasia.org.ru/cgi-eurasia/r-test.pl?exstern>
14. Хлюпив В. Война Ислам и геополитика: Мир XXI веке (Москва 2000)

**მსთეტიკური ეტიუდები რომაული ხელოვნების ისტორიაში**

წმინდა სტილისტური თვალსაზრისით, რომაული ხელოვნება უშუალოდ უკავშირდება გვიანელინისტურს, თუმცა გასათვალისწინებელია ეტრუსკული კულტურის გარკვეული ზეგავლენაც. ამის მიზეზი სრულ იად ნათელია. როცა რომმა ძვ. წ. III ს-ში სამხრეთ იტალიის ბერძნული პროვინციები შემოიერთა, ხოლო II ს-ში საბერძნეთის მიწაზეც მოიკიდა ფეხი, მას აქ დახვეწილი და დიდად განვითარებული კულტურა დახვდა. მეომართა და გლეხთა სახელმწიფო მყისვე დაეპატრონა ამ კულტურას. ანტიკური ხანის რომაელის იმპერიულ აზროვნებასა და ქცევას დიხადა რომ შეეფერებოდა არა მხოლოდ ტერიტორიულად გამდიდრება მეზობლის ხარჯზე, არამედ მისი კულტურული მონაპოვრის უყოყმანოდ ჩაყენება თავისი ქვეყნის სამსახურში. ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ კეისართა ხანამდე ეს ანექსია მტაცებლური იყო. რომაელებმა საბერძნეთიდან გაზიდული დიდძალი განძით მორთეს რომის საზოგადოებრივი ადგილები, მოედნები, ბაღები და სასახლეები; ბერძენი მხატვრები და პოეტები თავიანთ შვილებს აღმზრდელებად მიუჩინეს. ამით რომს მოესხნა აუცილებლობა ეზრუნა საკუთარი ხელოვნების განვითარებისთვის. დამპყრობელნი ტკბებოდნენ ბერძნული ხელოვნების ორიგინალური შედევრებითა და შეკვეთილი ასლებით (Benton and DiYanni, 1998 : 107-108). ამით რომი უშუალოდ შეეხო ხელოვნების იმ პერიოდს, როცა მან დაკარგა საკულტო მნიშვნელობა და დეკორატიულ ხელოვნებად ანუ ესთეტიკურ თვითმიზნად იქცა.

აღსანიშნავია, რომ რომაული ხელოვნების პირველი ფაზა, რომელიც წმინდა იმპორტული კულტურის ყველა ნიშანს ატარებს, კეისართა ხანიდან ახალი საფეხურისკენ შემობრუნდა. რომი უკვე ღამობს თავი დააღწიოს ძველ დიდოსტატთა ზეგავ-



ლენას. მართალია, სხვადასხვა ბერძნულ სტილს იგი კვლავაც იყენებს, მაგრამ განწდა სრულიად ახალი მიზანი. რომაული ხელოვნება ახლა უკვე უშუალოდ მიმართავს რეალურ სინამდვილეს და ცივილიზატორულ-პოლიტიკური ამოცანების სამსახურში დგება (Kleiner, 2007, 67-68). პორტრეტულ გამოსახულებებში გაქრა ადამიანის ზოგადი, იდეალიზებული ტიპი. ჩვენს წინაშე პიროვნულ-ისტორიულად განუმეორებელი ინდივიდი. სატრიუმფო თაღთა ვრცელ რელიეფსა და გრძელ საზეიმო სვეტებზე აღბეჭდილია იმპერატორთა გამარჯვებები. რომაული ხელოვნების ეს მიზანწრაფვა ყველაზე ცხადად ხუროთმოძღვრებაში აისახა. დიდად განვითარებულ რომაულ სამშენებლო ტექნიკასთან ერთად, არქიტექტურა უთამამეს კონსტრუქციებს ქმნის, რათა მანამდე არსებული ყველა ბერძნული ნაგებობა დაჩრდილოს. ბერძნული ხელოვნებისთვის, როგორც ვიცით, უმთავრესად, ამოსავალია სწორი ხაზი, შეეული სვეტი, ჰორიზონტალური ანტაბლემენტი და სამკუთხა სახურავი, ხოლო ტიპური რომაული ხუროთმოძღვრების ქვაკუთხედი მრუდი ხაზია. მას ეწადა შეექმნა რალაც დიადი, გაბედული, თვალში მოსახვედრი. მაგრამ ამ ვეება შენობებისთვის აღარ გამოდგებოდა კოჭოვანი გადახურვა ურიცხვი, ხელისშემშლელი სვეტებითურთ. რომაელებმა ესეც მოაგვარეს მრგვალი თაღის, კამარისა და გუმბათის შემწობით. ამგვარ სამშენებლო ტექნიკას ეგვიპტესა და მცირე აზიაშიც იცნობდნენ, ოღონდ მისთვის მაინცადამაინც დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ. რომში კი თაღის ხმარება იმდენად გახშირდა, რომ მისი აღმნიშვნელი სიტყვა (arcus – რკალი) ხუროთმოძღვრების ახალი და სამუდამო სახელწოდების – “არქიტექტურის” – შესაქმნელად გამოიყენეს (Marceau, 1998, 227).

როგორც ირკვევა, რომაელთა სოციალ-პოლიტიკურ ინტერესებს მჭიდროდ უკავშირდება რომაული ქანდაკებაც. იგი რეალისტურად გამოსახავს სრულიად გარკვეულ პიროვნებას. ნატურალიზმის გასაძლიერებლად, თვალები ხშირად ფერადი მინანქრით არის მოპირკეთებული, რაც სახეს ცოცხალ გამომეტყველებას აძლევს. ბერძნულისგან განსხვავებით, რომაელთა

მონუმენტური ქანდაკებაც არ არის მაღალი იდეალებით შთაგონებული. იგი იდგმებოდა საზოგადოებრივ ადგილებში როგორც არქიტექტურის დეკორატიული მორთულობა, ან იმპერიის დიდ პოლიტიკოსთა განსაზღვრული ხატი. მაგალითად, ავგუსტუსის ცნობილი ქანდაკება რიტორიკული ქესტით ცდილობს გარემოსთან კონტაქტის დამყარებას; თანაც, იმპერატორის ჭაბუკური იერი და აშკარად იდეალიზებული გარეგნობა მის მიმართ სიმპათიას აღძრავს. ეს ნიშნავს, რომ რომაული ქანდაკება თუმცა სამგანზომილებიანია, მაგრამ პირწმინდად ფრონტალური აღქმისთვისაა ჩაფიქრებული და წოდება-თანამდებობის ყველა რეალურ ატრიბუტს ატარებს.

ნიშანდობლივია, რომ დიდ პოლიტიკოსთა პიროვნების კულტს ემსახურება მძლავრი სატრიუმფო სვეტებიც. ისინი იდგმებოდა ადამიანის წარმატებათა სადიდებლად. 200 მ. სიგრძის ტრაიანეს სვეტი ბოძზე სპირალურად დახვეული ფრიზია, სადაც ურიცხვ მცირეფიგურიან რელიეფზე დოკუმენტურად არის ასახული იმპერატორის გამარჯვება დაკიელებზე. მის ქვემოთ კი, სრულიად გარკვევით მოჩანს რომაელთა მხედრიონის გადავლა დუნაიზე. ამგვარი მონუმენტური ძეგლი ვერ შეფასდება მხატვრულ-სტილისტური და ესთეტიკური ღირსების თვალსაზრისით; აქ შინაარსის სისწორეა მთავარი.

საყურადღებოა, რომ არქიტექტურისა და ქანდაკებისაგან განსხვავებით, მხატვრობაში ძნელდება იმის დადგენა, რაც გვიანელინისტურ ფორმათა ტიპურ რომაულ განვითარებაზე მიგვანიშნებს. სახვითი ხელოვნების ჩვენამდე მოღწეული რომაული ნიმუშები ანტიკური საბერძნეთისგან არის დავალებული და ჩვენ მას ვიცნობთ პომპეის, პერკულანუმისა და სტაბიას კარგად გადარჩენილი მხატვრობის სახით. ძვ. წ. 150 წ-დან ვეზუვის ამოფრქვევამდე, რასაც შედეგად მოჰყვა ამ ქალაქების სრული განადგურება (ჩვ. წ. 79 წ.), შეგვიძლია გამოვყოთ მხატვრული სტილის ოთხი საფეხური, რომელთაც მოამზადეს მთელი ევროპული მხატვრობის გამომსახველობითი შესაძლებლობანი. ესენია: 1. კორექტული პერსპექტიული სივრცის აღმოჩენა, რასაკვირველია, საზოგადოებრივ პერსპექტივის იმ კანონთა ცოდნის

გარეშე, რომლებიც რენესანსის მონაპოვარია; 2. სივრცის ილუზია ფერ-ჰაერის პერსპექტივით; 3. ფიგურის მოდელირება შუქჩრდილის მეშვეობით; 4. უანრული და ნატურმორტული ფერწერა (Montverdi, 1967 :99-100). მაგალითად, მომხიბლავი “ახალგაზრდა ქალის პორტრეტი” ლამის იმპრესიონისტული ფერწერისათვის დამახასიათებელი მანერით წარმოგვიდგენს ოცნებით სავსე სენტიმენტალურ განწყობას: ფიქრებში წასულ ქალს ცვილის დაფაზე წერა შეუწყვეტია და გრიფელი ტუნთან მიუტანია, თითქოს თავისი ფიქრის გამოსახატავად მარჯვე სიტყვას ეძებსო.

თუ ძველი რომის რეკონსტრუქციას თვალს გადავაგვლებთ, დაერწმუნდებით, რომ ჩვენს წინაშეა ლამის თანამედროვე მასშტაბის დიდი ქალაქი. აგვისტუსის მეფობაში ამ ქალაქს მილიონზე მეტი მკვიდრი ჰყავდა (დღეს დაახლ. 1,8 მილიონია). აქ იყო ხუთსართულიანი გასაქირავებელი ყაზარმები, ვეება სპორტული თუ სათეატრო შენობები, წყალმომარაგების სისტემა, რომელსაც, თურმე, ერთ სულ მოსახლეზე უფრო მეტი წყლის მიწოდება შეეძლო, ვიდრე ამჟამინდელს. რომის შემოგარენიდან მთის ანკარა წყალი დახრილი მიწებით შეუფერხებლად ჩადინებოდა ქალაქში. დიდი ველების მოსარწყავად იყენებდნენ უზარმაზარ ხიდისმაგვარ აკვედუკებს. ისინი რომაელთა ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი საინჟინრო ნაგებობებია და შენდებოდა მათ მიერ შემოღებული თაღოვანი კონსტრუქციით. მრგვალი თაღის სიმტკიცე მიღწეულია ქვათა სოლისებრი ჩაწყობით, რასაც გარკვეული ესთეტიკური დატვირთვაც ჰქონდა. რომაელებმა თუმცა იციან დუღაბი, როგორც შემაერთებელი საშუალება, მაგრამ ასეთ თაღოვან კონსტრუქციებს ზოგჯერ უდუღაბოდაც აშენებდნენ; კერძოდ, მრგვალი თაღები ქმნიან ჩაკეტილ ოვალურ სისტემას, სადაც განმბრჯენი ძალები ერთმანეთს აბათილებენ. მაღლივ შენობებში თაღელები ერთმანეთზეა დაშენებული სართულებად. მაგალითად, კოლიზეუმში სამი ასეთი სართული 48 მ. სიმაღლეს აღწევს (Marceau, 1998, 245). სამაგიეროდ, რომი ნაკლებად ორიგინალურია საკულტო მშენებლობის საქმეში. ამის ნიმუშია სწორკუთხა ტაძარი, რომელიც

მთლიანად ბერძნული პროსტილოსის ასლს წარმოადგენს. ამდენად, რომაული ხელოვნება, საბოლოოდ, თავის ყველა გამოვლენაში, მაინც ანტიკური რომისა და რომის იმპერიის მხატვრული გამოვლების ელინური ნაზავის სახით წარმოსდგება.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Janetta Rebold Benton and Robert DiYanni, Arts and Culture, Volume 1, New Jersey, United States, Prentice-Hall, 1998.
2. Fred S. Kleiner, A History of Roman Art, Belmont, CA, Thompson Wadsworth, 2007.
3. Jo. Marceau, Art: A World History, New-York-City, DK Publishing, 1998.
4. Mario Montverdi, The Book of Art, Volume 1: The Origins of Western Art, Milan, Italy, Grolier, 1967.

**Irma Bagrationi**

**Aesthetic Etudes of Roman Art History**

Summary

The present paper discusses, that roman art includes the visual arts produced in Ancient Rome, and in the territories of the Roman empire. Major forms of Roman art are architecture, painting and sculpture work.

The paper examines, that it was in the area of architecture that Roman art produced its greatest innovations. Because the Roman Empire extended over so great an area and included so many urbanized areas, Roman engineers developed methods for city building on a grand scale, including the use of concrete. Traditional Roman sculpture is divided into five categories: portraiture, historical relief, funerary reliefs, sarcophagi, and copies of ancient Greek works. By the imperial age portrait sculpture of Roman emperors was often used for propaganda purposes and included ideological messages in the costume of the figure. Since most emperors from Augustus on were deified, some images are somewhat idealized.

The paper underlines, that our knowledge of Ancient Roman painting relies in large part on the preservation of artifacts from Pompeii and Herculaneum, and particularly the Pompeian mural painting, which was preserved after the eruption of Vesuvius in 79 A.D.

**დასავლური მასობრივი კულტურა და ეროვნული  
ცნობიერების პრობლემები**

მასობრივი კულტურის როლს თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებაში მკვლევარები სხვადასხვაგვარად აფასებენ. მათი ნაწილი მას სოციალურ პათოლოგიად და საზოგადოების გადაგვარების სიმპტომად მიიჩნევს, მეორე ნაწილი კი თვლის, რომ მასობრივი კულტურა შეუქცევადი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კანონზომიერი შედეგია.

მასობრივი კულტურის სამშობლოდ აშშ-ს თვლიან. მასობრივი კულტურის გაჩენა დაკავშირებული იყო ქვეყანაში მიმდინარე კარდინალურ ცვლილებებთან. ეკონომიკასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე დრმა წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესები იყო რეაქცია იმ დროის სოციალურ და ინტელექტუალურ რევოლუციებზე, პერიოდზე, რომელსაც სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ: ჯაზის საუკუნე, ექსცესების ერა, ხმაურიანი 20-იანელები. გერტრუდა სტიანი ოციანი წლების ახალგაზრდა ამერიკელებს „დაკარგულ თაობას“ უწოდებს. „მათელ ქვეყანას მოედო განცხრომით ცხოვრებისა და სიამოვნების მიღების სურვილი“ (ფიცჯერალდი) (კოლუაშვილი, 2004, 71-72)

ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ჯეიმს მონაკო წერდა: „უწინ ამერიკის კინემატოგრაფია იყო ინდუსტრია, დღეს ის გახდა ბიზნესი“ (თაბუკაშვილი, 2006, 119). სწორედ ბიზნესმა შეასრულა განმსაზღვრელი როლი მასობრივი კულტურის ფორმირებაში. ამ უკანასკნელში კი უდიდესი წვლილი შეიტანა კინო-ინდუსტრიამ და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა.

ჯერ რადიომ, მერე კინომ, ახლა კი მძლეთამძლე და ყველგან მყოფმა ტელევიზიამ ადამიანთა ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. მოგვიანებით, დასავლურ კულტურულ ფასეულობათა პროჟულარიზაციაში, უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებმა, ახალმა ციფრულმა რევო-

ლუცია და კომპიუტერიზებულმა საინფორმაციო ტექნოლოგიაში.

აშშ მასობრივი კულტურა ცხოვრების ამერიკული წესითა და პოპულარული შოუპროგრამებით, ახალი მუსიკალური ჟანრებითა და ხელოვნებაში დამკვიდრებული მიმდინარეობებით, ბექტური ლიტერატურითა და სანახაობითი კულტურის ფართო ქსელით გაცდა ამერიკის საზღვრებს, მსოფლიოს ყველა კონტინენტი მოიცვა და უდიდესი გავლენა მოახდინა სხვა ქვეყნის კულტურაზე.

დასავლური ფასეულობების მასობრივი კულტურის საშუალებით გავრცელება შეუქცევადი პროცესია, რომელიც გლობალიზაციის ეპოქაში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. უცხოური მასობრივი კულტურა ხელს უწყობს ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის დასუსტებას და განსაკუთრებით მცირერიცხოვან ერებში ეროვნული ცნობიერების დაქვეითებას, რამაც საბოლოოდ შეიძლება ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვა გამოიწვიოს.

ლონდონის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორის ენტონი დ. სმითის დაკვირვებით, დასავლური ფართო მასების საგნების ნაკადი და მომხმარებლობის ხიბლი ნაციონალურ საზღვრებსა და ნაციონალური მთავრობის მიერ რეგულირებას სულ უფრო აუძლურებს და უადგილოდ აქცევს. მასობრივი მომხმარებლობის „კულტურული იმპერიალიზმი“ შდის ნაციონალურ კულტურათა შორის არსებულ განსხვავებებს, რამდენადაც ისინი საგნების შეფუთვამდე დაჰყავს (ენტონი დ. სმითი, 2004,185).

აშშ-ის მასობრივი კულტურის ფართომასშტაბიანი გავრცელება, საქართველოსაგან განსხვავებით, ტრადიციული კულტურის ქვეყნებში დიდი ხანია შემოფოთებას იწვევს და სახელმწიფო დონეზე საგანგებო ღონისძიებებს მიმართავენ „კულტურული იმპერიალიზმისაგან“ (ჟაკ ლანგი) დასაცავად.

საფრანგეთის დეპუტატი ეროპარლამენტში კატრინ ლალუმიერი ნაშრომში „ბრძოლა კულტურისათვის“ აღნიშნავს, რომ გლობალიზაციის პროცესი იწვევს იდეათა სტანდარტიზაციასა

და ცხოვრების წესის გაერთგვაროვნებას ამერიკული მოდელის მიხედვით. საფრანგეთს ეშინია თავისი ენისა და კულტურის დაკარგვის. აშშ აუდიოვიზუალური ინდუსტრიით, კინოკულტურით, მასკულტურით ემუქრება საფრანგეთს. იგი ამას წინ უნდა აღუდგეს თავისი კულტურის შესაფერისი ორგანიზაციათა მხარდაჭერით. ავტორის აზრით, კარგად ორგანიზებული ეკონომიკური საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს კულტურულ შემოქმედებას და უნდა აძლევდეს მას ახალ შესაძლებლობებს განვითარებისათვის (წერეთელი, 2006,77).

დასავლეთის მასობრივ კულტურაში ერთ-ერთი პოპულარული ჟანრია ტელესერიალი. მასობრივი კულტურის ეს პროდუქცია საოცარი სისწრაფით გავრცელდა დანარჩენ სამყაროში. დასავლეთისაგან განსხვავებით, უცხოური სერიალის გავლენა ქართველ მაყურებელში უფრო საგანგაშო ხასიათს იძენს, მითუმეტეს მაშინ, როცა ქართული ტელესივრცე მთლიანად უცხო ტელესერიალებს აქვთ დაპყრობილი. ქართველი მაყურებელი ერთგვარად სხვა სამყაროში. იგი სერიალის პერსონაჟის გარკვეულ ზეგავლენას განიცდის. იმუხტება დადებითი ან უარყოფითი ემოციით. განსაკუთრებით უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოზარდ ტელემაყურებელში, რომლის ცნობიერება და კულტურული კომპეტენციები ჩამოყალიბების სტადიაზეა. ყმაწვილს უვითარდება სხვა გემოვნება, რაც იწვევს ეროვნული ტრადიციებისაგან გაუცხოებას.

საქართველოში დაუბრკოლებლად ვრცელდება, აგრეთვე, ძალადობის კულტის დამამკვიდრებელი ფილმები, რომელთა ჩვენება მასობრივი მაყურებლისათვის დასავლეთის მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით სასტიკად არის აკრძალული. აშშ-ში ათობით კანონია მიღებული მასობრივი მაყურებლის დასაცავად. განგსტერულ-სადისტურ-ეროტიკული ფილმების 83% აშშ-ში ნაწარმოები, განვითარებად ქვეყნებში სადღეობა, მათ შორის საქართველოში.

დასავლური და განსაკუთრებით ამერიკული მასობრივი კულტურის გავლენა ქართულ კულტურაზე აშკარაა. იგი ერთგვარი აკულტურაციის ელემენტებს შეიცავს. ბუნებრივია, ქვეყანას,



რომელსაც ორიენტაცია ადებული აქვს დასავლეთთან ინტეგრაციაზე, ვერ იქნება იზოლირებული მიმდინარე პროცესებისაგან. აშშ-საგან განსხვავებით, უცხოური მასობრივი კულტურის გავლენა ქართულ ტრადიციულ კულტურაზე აკნინებს არა მხოლოდ ამ კულტურის ღირებულებებს, არამედ სერიოზული ბზარი შეაქვს ქართველთა ეროვნულ ცნობიერებაში.

ეროვნული ცნობიერება ეროვნული იდენტობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს შორის სადემარკაციო ხაზი ეროვნულ ცნობიერებაზე გადის, რომელიც წარმოადგენს ეროვნული კულტურის საფუძველს (კორძაია. 1997, 2). ქართველთა ეროვნული ცნობიერება ტრადიციულ კულტურას ეყრდნობა. თუ ცნობიერებას გამოეცლება კულტურის ფესვები, იგი უთვისტომო, უსახურ მასას დაემსგავსება. უცხოური კულტურისა და ხელოვნების მექანიკური გადმოტანა იწვევს კულტურათა შეჯახებას, რასაც ყოველთვის მოსდევს პიროვნების გაორება, ეროვნულ ფასეულობათა დევალვაცია. რამდენადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, საქართველოში გამოკითხული მოქალაქეები 22 ღირებულებიდან ეროვნულ და სოციალურ ღირებულებებს ანიჭებდნენ უპირატესობას. 2002 წელს ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით კი, რესპოდენტები სულიერ და ეროვნულ ღირებულებებთან შედარებით მატერიალურ ფასეულობებს მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. დასავლური მასობრივი კულტურის მასშტაბური გავლენით, ეროვნულ ღირებულებათა დაკნინების შედეგად, მოსახლეობა პირად და ოჯახურ ინტერესებზე ორიენტირებული გახდა (ნადირაშვილი).

მართალია, ქართულ ეთნოკულტურულ არქეტიპებს აქვს დაცვითი მექანიზმების მთელი სისტემა, მაგრამ XXI საუკუნის დასავლური მასობრივი კულტურის ურთიერთქმედების პროცესი მასშტაბურობით არსებითად განსხვავდება წინა ეპოქების კულტურების ზეგავლენისაგან.

როგორც კულტუროლოგები აღნიშნავენ, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში, მასობრივ უცხოურ კულტუ-

რასთან მიმართებაში ქართული კულტურა ახერხებს საკუთარის, ორიგინალურის წინ წამოწევას, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქართულ კულტურას, როგორც ტრადიციულსა და ორიგინალურს, აქვს საშუალება არ გაითქვიფოს გლობალურ კულტურაში და მოახერხოს ლოკალიზება (წერეთელი, 2006, 76).

მიუხედავად ამისა, ბაღანსი ჩვენს სასარგებლოდ ნამდვილად არ მეტყველებს. უცხოური მასობრივი დაბალი მხატვრული ღირებულების კულტურა უფრო ფართო ნაკადით შემოედინება ჩვენში, ვიდრე კლასიკური, მაღალმხატვრული კულტურის შედეგები. ეს პროცესები დღითიდღე უფრო სწრაფ და ინტენსიურ ხასიათს იძენს. ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა იყოს ჩამოყალიბებული ეროვნული ინტერესები და პრიორიტეტები, რათა თავი დაეცვათ გლობალური მასობრივი კულტურის ერთსახოვნებისაგან.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ენტონი დ. სმითი, ნაციონალიზმი, იდეოლოგია, ისტორია, თბ., 2004.
2. თაბუკაშვილი ო., კინოვარსკვლავთა სისტემის ჩამოყალიბების საკითხისათვის, თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი, № 7 (26), თბ., 2006.
3. კოლუაშვილი ბ., ჯაზის ეპოქის გამოძახილი: ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი „დიდი გეტსბი“, ამერიკის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ქუთ., 2004.
4. კორძაია ჯ., ეროვნული ცნობიერების რაობის შესახებ, ურ. „რანი ვართ ქართველნი“, № 2, 1997.
5. წერეთელი ი, ქ. კაკიტელაშვილი, კულტურა და მოდერნიზაცია, თბ., 2006

6. ნადირაშვილი შ, ამერიკული კულტურა ინდივიდის უფლებების მოთხოვნათა საფუძველზე აიგო, გაზ. „საქართველო“, № 15, 3-17 დეკემბერი, 2002 წ.

**Ermile Meskhia**

## **Mass Culture and Problems of National Self-consciousness**

### Summary

Establishment of Mass Culture is connected with the cardinal changes in various countries of the world. This was the very period of raise for the new trend in music named Jazz. It was the period of fundamental changes music has ever had. However, it is worth mentioning that the twentieth is evidently the period of success in literature as well. Foreign mass culture weakens the national traditions and culture, but exceptionally in countries of small nations in number, it declines national self-consciousness, that leads to the loss of self-existence of the nation.

Involuntary transfer of foreign culture provokes the clash between two cultures and it always leads to the split personality and devaluation of national values. Admittedly Georgian ethnocultural archetypes have the whole system of self-defence mechanisms, though the process of interaction of US and western mass cultures of XXI century is of higher scale, totally different from the cultural influence of earlier epochs.

**ხელოვნების ისტორიის აღმშენებლის ანტიკონსტანტინე**

ცნობილი ფაქტია, რომ კონსტანტინე დიდის (274-337) მმართველობამდე ცოტა რამ თუ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას საერთოდ ქრისტიანული ხელოვნების შესახებ (აღარაფერს ვამბობთ მის კონკრეტულ ხელოვნებაზე). იმპერატორ კონსტანტინეს მიერ 313 წელს გამოცხადებულმა მილანის ედიქტმა რწმუნებულთა მხარდობის შესახებ ქრისტიანებს რწმუნის სრული თავისუფლება მოუტანა. მთელი დასავლური კულტურისთვის ესოდენ მნიშვნელოვანმა ფაქტმა საჯარო მოქმედების უფლება მისცა საუკუნეთა მანძილზე უწყალოდ დევნილ ქრისტიანებს, თუმცა მათ ახალი პრობლემებიც გაუჩინა. საქმე იმაშია, რომ თავის დროზე, კატაკომბებსა და საიდუმლო ეკლესიებში შეფარებულ ქრისტიანებს არ სჭირდებოდათ გარეგნულ რეპრეზენტაციაზე ზრუნვა. უფრო მეტიც, რელიგიურ წარმოდგენათა მხატვრული გამოსახვა პირველ ქრისტიანებს ეკრძალებოდათ კიდევ.

მილანის ედიქტის შემდეგ კი, ქრისტიანობას საჯაროდ უნდა დაეძლია წარმართული მითოლოგია; ახალი ეკლესიაც, თუ აქამდე უარყოფდა გრძნობად-ემოციურ ანუ ესთეტიკურ გამომსახველობით ფორმებს, როგორც სააქაო სიამეთა წარმართულად მადიდებელს, ამიერიდან იძულებული გახდა მათთვის მიემართა. რაკი ამ დროისთვის ქრისტიანული ხელოვნების ფორმები, როგორც ასეთი, ჯერ კიდევ არ არსებობდა, ქრისტიანებმა თავიანთი იდეოლოგიის სამსახურში უყოყმანოდ ჩააყენეს გვიანანტიკური არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების მთელი არსენალი.

განვითარების სულ სხვა გზას დაადგა ადრექრისტიანული ხელოვნება აღმოსავლეთ მეტროპოლიაში. თუ რამ განაპირობა აღნიშნული ვითარება, ამის ნათელყოფა, ვფიქრობთ, გარკვეული ისტორიული ექსკურსის ფონზე უკეთ იქნება შესაძლებელი. საქმე ის არის, რომ მას შემდეგ, რაც 330 წელს კონსტან-

ტინე დიდმა რომი დატოვა და რომის სამეფოს სატახტო ქალაქად კონსტანტინეპოლი გამოაცხადა, ძველი იმპერიის ბედიც გადაწყდა. აშკარაა, იმპერატორმა ასეთი ნაბიჯი გადადგა, ერთის მხრივ, აღმოსავლეთ პროვინციათა სტრატეგიულ-ეკონომიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით და მეორეს მხრივ, იმპერიის ქვაკუთხედად ამიერიდან ქრისტიანობის დაფიქსირების მიზნით. თუმცა, მან ვერ შეძლო წინასწარ განეჭვრიტა მიღებული გადაწყვეტილების საბედისწერო შედეგები, რაც საბოლოოდ იმპერიის ორ ნაწილად – აღმოსავლეთ რომისა და დასავლეთ რომის იმპერიებად – დაშლაში გამოიხატა. შემდეგში ბიზანტიის იმპერიად წოდებულმა რომის აღმოსავლეთის იმპერიამ არა მხოლოდ გაუძლო ბარბაროსთა შემოტევებს, არამედ იმპერატორ იუსტინიანეს მმართველობაში (527-565) კვლავ იქცა მძლავრ და სტაბილურ პოლიტიკურ ერთეულად. რაც შეეხება რომის დასავლეთის იმპერიას, ბიზანტიის ეკონომიკურ-კულტურული სიძლიერის ზრდის პარალელურად, მისი ზეგავლენა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე სულ უფრო სუსტდებოდა და ეს პროცესი ძველი რომის იმპერიის სრული განადგურებით დასრულდა.

საგულისხმოა, რომ პოლიტიკურ გათიშულობას თან მოჰყვა ეკლესიის განხეთქილებაც. როგორც ვიცით, კონსტანტინე დიდის მმართველობიდან მოყოლებული, რომის ეპისკოპოსი ან როგორც მას უწოდებდნენ, რომის პაპი, საყოველთაოდ იყო აღიარებული საქრისტიანოს მეთაურად; მისი კათედრის გავლენა ქრისტიანობისთვის ავტორიტეტული წმ. პეტრე მოციქულის ნებით იყო დამკვიდრებული. მაგრამ თანდათან აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანობას შორის განსხვავებამ იჩინა თავი. მას შემდეგ კი, რაც სერიოზული დავა ატყდა სულიწმინდის წარმომავლობის შესახებ ანუ შეუთანხმებლობა გაჩნდა თავად საეკლესიო დოქტრინაში, უკვე გარდაუვალი გახდა კათოლიციზმსა და მართლმადიდებლობას, ე. ი. რომის პაპსა და კონსტანტინეპოლის პატრიარქს შორის სრული გაყოფა (Попова, 1987:108).

როგორც მოსალოდნელი იყო, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის პოლიტიკურ-რელიგიურმა შეუთანხმებლობამ, გარკვეული დროის შემდეგ, მხატვრულ-ესთეტიკური განსხვავებანიც წარმოშვა. ფაქტობრივად, ბიზანტიის ქრისტიანული ხელოვნება ვითარდება რომისგან შორს და გვიანანტიკურ-რომაული მემკვიდრეობისგან დამოუკიდებლად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბედის ირონიით, ადრექრისტიანული ბიზანტიური ხელოვნების ულამაზესი ძეგლები დღემდე შემორჩენილია არა კონსტანტინეპოლში, არამედ ზღვისპირა ქალაქ რავენაში, რომელიც ბიზანტიელთა მთავარი დასაყრდენი იყო იტალიაში. როგორც თეორეტიკოსები შენიშნავენ, „ბიზანტიურმა სტილმა დასავლეთ ევროპაში გზა გაიკაფა უფრო ქალაქ რავენას გზით“ (Васильев, 1998, 75).

საყურადღებოა, რომ ადრექრისტიანულ ეკლესიებს საფუძვლად დაედო რომის ანტიკური ხანიდან მომდინარე ორი ძირითადი არქიტექტონიკური ფორმა: ბაზილიკა და ცენტრული ნაგებობა. ბაზილიკა იდეალური დარბაზია თავშეყრისა და წირვა-ლოცვისთვის; ანტიკური ტაძრისგან განსხვავებით, აქ არ დგას ღმერთის ქანდაკება, რომელსაც ცალკე სივრცე უჭირავს. ანტიკური საკულტო ტაძარი თუმცა გარს ერტყმის სამლოცველოს, მაგრამ ღია ნაგებობაა. გვიანანტიკური ქრისტიანული საკულტო შენობები გარედან ჩაკეტილია, თავის თავში ინტიმურობას ქმნის და ფასადის მიმართ გულგრილია. წმ. პეტრეს ძველ შენობას (რომი) კი, ამისგან განსხვავებით, ღამის საერო-არისტოკრატიული ფასადი ამშვენებს, რომელიც გვერდით მდგომ შენობათა მდიდრულ ფასადს ერთობ ახუნებს. ამ შემთხვევაში ბაზილიკაში შევიდვართ ტაძრის გარეთა ღია წინაეზოს ანუ ატრიუმის გავლით (Брунов, 1985 : 88). ბაზილიკას აგვირგვინებს კრამიტით გადახურული ხის სხეენი. განივი ნავი შუანავის სიგრძისაა, რაც ჯვრულ გეგმას ქმნის. ეს გეგმა აგერ უკვე ათასწლეულზე მეტია, რაც სიმბოლურად ქრისტეს კვარცმას გამოსახავს.

როგორც უკვე აღინიშნა, ადრექრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში კვლავ გაცოცხლდა ცენტრული შენობის იდეა, რომე-

ლიც სრულყოფილი ფორმით ანტიკური ეპოქის პანთეონშია ხორცშესხმული. ცნობილია, რომ არქიტექტურაში ცენტრული შენობა წარმოადგენს მრგვალ ან ოთხკუთხა სანათლავ ეკლესიებსა და მემორიალურ ტაძრებს. ამის საუკეთესო გამოხატულებაა თეოდორის დიდის აკლდამა (რავენა), რომელიც ადრექრისტიანული ხელოვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს. საინტერესოა, რომ ეს გარეთ თუ შიგნით სრულიად მოურთავ-მოუკაზმავი შენობა, მნახველს ერთბაშად აჯადოებს მკაფიო სისხლავით, მამრული ღირსებითა და მშვიდი ძლევამოსილებით. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ქვით ნაგები კამარის მაგივრობას აქ ერთადერთი კოლოსალური ქვა ასრულებს [დიამეტრი – 11 მეტრი, წონა – 276 ტონა]. გამომდინარე აქედან, აკლდამის გარეშევერილები, რომელთაც არქიტექტურული ნაგებობის ესთეტიკური ფონი ნაკლებად საჭიროებს, აუცილებელ ტექნიკურ ელემენტად გვევლინება ასეთი სიმძლავრის მოპირკეთებული მონოლითის 20 მეტრის სიმაღლეზე ასახანად და დასაშენებლად (Брунов, 1985 : 46-47).

საინტერესოა, რომ ადრექრისტიანული არქიტექტურის ყველაზე ცნობილი ცენტრული ნაგებობა – სან-ვიტალეს ეკლესია (რავენა, 526-547) უკვე ბიზანტიურ ნიშნებს ატარებს. ტაძრის პროექტი გულისხმობს რვაკუთხა ფორმას, ცენტრალური გუმბათით დაგვირგვინებულს, რაც, ერთი შეხედვით, ძველრომაული თერმების რეკონსტრუქციის განცდას აჩენს. პროტოტიპს ასევე მიესადაგება პანთეონის კონსტრუქციაც, თუმცა, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, მასში უკვე შეიმჩნევა აღმოსავლური ხელოვნებიდან მომდინარე ცვლილებები. ტაძრის აღნაგობა შესანიშნავია ინტერიერის სიმდიდრით და შთამბეჭდავი – სივრცობრივი მოცულობით; მთავარი ნავის ზედა ნაწილს წარმოადგენს სარკმელთა გრძელი მწკვრივი, ხოლო ქვედას – ნახევარწრიულ ნიშათა მთელი სერია; ისინი თითქოსდა ერთიანობის დაფიქსირებით ახალ, არაჩვეულებრივ ეფექტს ქმნიან. ამასთან, ნიშისებურად მომრგვალებული უბეები მრგვალ შუასივრცეს რვაკუთხა გარშემოსავლელს უკავშირებენ, რითაც სივრცის დახშულობა მარტივად დაიძლევა. შუანავის გადახურ-

ვაში სწორკუთხოვანი მხარის ორი ცილინდრით გადაკვეთის შედეგად ჯერულ-კამაროვანი ფორმა მიიღება. კამარათა ახალი, უფრო ემოციური (და არა რაციონალური) კონსტრუქცია საშუალებას იძლევა შენობის მთელს ფასადზე რაც შეიძლება მეტი სარკმელი განთავსდეს, რაც თავის მხრივ, მის შინაგან სივრცეს სინათლით ავსებს. გარეგან არქიტექტურულ ფორმათა არაორდინარულობა გარკვეულად შეესაბამება კიდევ მეტისმეტად სივრცული ინტერიერის მდიდარ შინაგან დეკორაციას (Лазарев, 1971, 214). როგორც ჩანს, ცენტრულგუმბათიანი ტაძრები იმდენად ჭარბობდა მართლმადიდებელი სამყაროს ხუროთმოძღვრებაში, რამდენად უფრო მტკიცედ ბაზილიკა დამკვიდრდა კათოლიკური დასავლეთის არქიტექტურაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხელოვნების ისტორიის ადრექრისტიანული ასპექტების მხატვრულ-ესთეტიკური გააზრებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხატოვან გამოსახულებათა სემანტიკურ ასპექტებს.



## გამოყენებული ლიტერატურა

1. Брунов Н. И., Греция. Рим. Византия. //Очерки по истории архитектуры, Т. 2, М., 1985.
2. Васильев А., Очерки истории Византии, Санкт-Петербург, 1998.
3. Лазарев В. Н., Равеннские мозаики //Византийская живопись, Москва, 1971.
4. Попова О. С., Искусство Византии // Очерки истории искусства, Москва, 1987.

**Irma Bagrationi**

### **Early Christian Aspects of Art History**

#### Summary

The present scientific article deals with the art and architecture produced for the unsplit Christian church. This art extends over the Late Antique period, Roman art and architecture, and the Byzantine art and architecture.

The article underlines, that after the Edict of Milan (313), which made Christianity the Roman Empire's state religion, Christian art was not restricted to the decoration of the hidden places of worship. An iconography was devised to visualize Christian concepts. The first Christians don't see in art a way of expressing beauty, but one of transmitting their faith and beliefs as well as to teach them.

The article discusses, that Early Christian architecture flourished throughout the Roman Empire on a monumental scale. Buildings were of two types, the longitudinal hall - basilica, and the centralized building - a baptistery or a mausoleum. The exteriors of Early Christian buildings were plain and unadorned and the interiors contrarily, were richly decorated with marble floors and wall slabs, frescoes, mosaics and sumptuous altar furnishings in gold and silver. Early Christian Art not only used Roman forms, it also used Roman styles.

*ორინე ცინცაძე*

**ბრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიის კვლდაკვალ**

ბრიგოლ რობაქიძე XX ს-ის ქართული ემიგრანტული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი შემოქმედებითი არეალი უამრავ თემასა და საკითხს მოიცავს. მისი პუბლიცისტური წერილები, ესსეები, რომანები, მოხსენებები, იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე.

1989 წელს გამოცემულ ბროკჰაუზის ლექსიკონში არსებული ცნობები გრ. რობაქიძის შესახებ, ერთხელ კიდევ ამტკიცებს მისი უდიდესი გენიის გამოვლინებას საზღვარგარეთ: „ბრიგოლ რობაქიძე, ქართველი მწერალი, დაიბადა სვირში (საქართველო), ნოემბერს 1884 წელს, გარდაიცვალა 21 ნოემბერს 1962 წელს. მისი შემოქმედება უმთავრესად, დაკავშირებულია აღმოსავლურ მითოლოგიასთან. მითოსის საშუალებით იგი ადგილწერს ცალკეულ ადამიანში მარადიულობის არსებობას” (dtv Brokhaus Lexikon, 1889, 201).

გ. რობაქიძე დაიბადა 1880 წლის 1 ნოემბერს, სოფ. სვირში (შარაძე, 1991, 211).

იგი სამი სამყაროს შვილი იყო – ქართულის, რუსულის და გერმანულის.

რუსულად წერდა, კითხულობდა ლექციებს, მეგობრობდა რუს კოლეგებთან, სწავლობდა რუსეთის უნივერსიტეტებში, უყვარდა რუსული კულტურა და 20-იან წლებამდე არც ნაციონალისტობით გამოირჩეოდა; როგორც პირველი ცოლი, ისე მეორე ცოლი რუსი ჰყავდა, რომელთაც ქართული არ იცოდნენ, მაგრამ მისი იდეალი იყო გერმანული ენა და გერმანული აზროვნება, დაფუძნებული მითებსა და ანტიკურ სამყაროზე.

იგი სწავლობდა გერმანიაში. თავიანთ სცემდა გერმანულ კულტურას, გერმანული სულის ძალმოსილებას.

გ. რობაქიძე იყო პირველი ქართველი მწერალი, რომელმაც კავკასიონის ქედი გადალახა და დაძლია ნაციონალური ბარიერი (სიგუა, 2003, 6).

1931 წლის 6 მარტს, გრ. რობაქიძე გერმანიაში გაემგზავრა. თან ახლდა მეუღლე და ხუთი წლის ალია პოგორელოვა, ცოლის დისწული. მას შემდეგ მას საქართველო არ უნახავს.

1931 წლის დამდეგიდან იწყება და 1962 წელს მთავრდება გრ. რობაქიძის შემოქმედების მეორე დიდი პერიოდი უცხოეთში.

გერმანულ ენაზე მის მიერ გამოქვეყნებული მთავარი ნაწარმოებებია: „გველის პერანგი“, რომანი, თარგმანი ავტორისა, სტეფან ცვაიგის შესავალი წერილით, იენა, 1928 წ., „მეგი – ქართველი ასული“, რომანი, ტიუბინგენი, 1932 წ., „ჩაკლული სული“, რომანი, იენა, 1933 წ., „ქალღმერთის ძახილი“, რომანი, იენა, 1934 წ., „წმინდა გრაალის მცველნი“, რომანი, იენა, 1934 წ., „დემონი და მითოსი“, ჯადოსნურ სურათთა რიგი, იენა, 1935 წ., „კავკასიური ნოველები“, ლაიფციგი, 1932 წ. II გამოცემა, მანინის ფრანკფურტი, 1979წ. (შარაძე, 1991, 174).

რომანი „ჩაკლული სული“, გრიგოლ რობაქიძემ 1933 წელს იენაში გამოსცა და ბუნებრივიცაა, მაშინდელი რეჟიმის პერიოდში, ასეთი წიგნის ავტორს საბჭოეთში აღარ ჩამოესვლებოდა, ბოლშევიზმისა და სტალინის კრიტიკას არავინ აპატიებდა.

1935 წლის 19 აპრილს გრიგოლი გარიცხეს მწერალთა კავშირიდან, ჩამოართვეს საბჭოთა მოქალაქეობა, გამოაცხადეს მოღალატედ და ფაშისტად.

1987 წლამდე მის სახელს ტაბუ დაედო.

„კომუნისტური ტირანიის დროს, განსაკუთრებით ორმოციან - ორმოცდაათიან წლებში, ფანჯრის დარაბებს რომ მიგვეტავდით და უცხო ტაღლის მოსასმენად რადიოს შემოვუსხდებოდით, ხმის საბჭოური ჩახშობის ბრდღვინვა - დრჭიაღში ზოგჯერ გამოღაწვედა ხოლმე „თავისუფლების“ დიქტორის ნათქვამი: „დღეს ჩვენი სტუმარია გრიგოლ რობაქიძე!“ შიშითა და მოკრძალებით გავირინდ - გავისუსებოდი. შიშით იმიტომ, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელის ხსენებაც კი აკრძალული გეჭონდა, მოკრძალებით იმიტომ, რომ მისი მხოლოდ და მხოლოდ

„გველის პერანგი“ წაგვეკითხა მალულად, ყველაზე საიმედო კაცის ხელით მოწვდილი, გაზეთ შემოხვეული, გაცრეცილი, ყვითელი წიგნი. მეტი არაფერი ვიცოდით გრიგოლ რობაქიძისა და იგი ჩვენს თვალში საიდუმლოებით მოცული, ლეგენდარული კაცი იყო „საბჭოთა სამოთხიდან“ გაქცეული და თავის სამშობლოსთვის ნიადაგ მლოცველი” (მიშველაძე, 2000, 120).

„გრიგოლ რობაქიძეზე ჩემმა თაობამ ყურმოკერით თუ იცის რამე, ისიც ხშირად ჭორებისა და ლეგენდების დონეზე” (იმედაიშვილი, 1987).

საქართველოში გრიგოლ რობაქიძე სამშობლოში მოღალატედ გამოცხადდა, უცხოეთში კი მისმა ნაწერებმა უდიდესი აღიარება მოიპოვა.

ცნობილი გერმანული ჟურნალი „exo der cait” 1933 წლის თებერვლის ნომერში აქვეყნებს წერილს სათაურით: „გრიგოლ რობაქიძე – ერთი ნამდვილი პოეტი”, რომელშიც წერია: „წესი არაა გენიოსად გამოცხადებულ იქნას მწერალი, რომლის შემოქმედება მხოლოდ ორი ნაწარმოებით არის ცნობილი გერმანელი მკითხველისათვის. გრიგოლ რობაქიძის შემთხვევაში ეს გამონაკლისი დასაშვებია... რობაქიძის სახელი დღეს სიმბოლოდ არის გადაქცეული: იგი არის სიმბოლო გამოღვიძებული აღმოსავლური მწერლობისა, რომელიც უკვე შემდგარია გზაზე, რომელმაც მას მსოფლიო ლიტერატურაში შესაფერი ადგილი კვლავ უნდა მოუპოვოს” (შარაძე, 1991, 179).

იგი ცხოვრობდა ბერლინში, ლექციებს უკითხავდა ქართველ ტყვეებს, წერდა და ბეჭდავდა, მუშაობდა საქართველოს გადარჩენის კომიტეტში, რომლის თავმჯდომარე იყო სპირიდონ კელია.

საბჭოთა ჯარების მიერ ბერლინს აღებისას გ. რობაქიძე იქ იმყოფებოდა. 23 აპრილს იგი და მისი ოჯახი უცნობმა ქართველმა შვეიცარიაში გაიყვანა.

ცნობილია ერთი ფაქტი: კონსტანტინე გამსახურდიამ მწერლები მიიყვანა ილია თავაძესთან, რომელიც ოფიციალურად კურირებდა ეროვნული განძის დაბრუნებას პარიზიდან, გრი-

გოლ რობაქიძე და მიხაკო წერეთელი ჩარჩნენ ბერლინში და რაიმე უშველეთო (სიგუა, 2003, 6).

გრიგოლმა მძიმედ განიცადა გერმანიის კატასტროფა.

ერთადერთი შვილის – ალკას დაკარგვამ კიდევ უფრო რთული გახადა მისი ჯანმრთელობა. დაეწყო დეპრესიები, გაუძლიერდა მეღანქლია და ნევრასთენია, მტკიცე ნერვებს სისუსტე დაეტყო. ერთხანს დევნის მანამ შეიპყრო. წიგნებს არ უცემდნენ, პრესა კარს არ უღებდა, ლექციებს არ აძლევდნენ. უსახსროდ დარჩენილი, შვეიცარიის საქველმოქმედო დახმარებით არსებობდა. დაივიწყეს, რომ ემიგრანტი იყო და ბოლშევიზმს ამხედდა. სამაგიეროდ არ უვიწყებდნენ, რომ ჰიტლერისა და მუსოლინის მაქებარი რომ იყო.

სასოწარკვეთილი მოხუცის ბოლო ნატვრა იყო: „როცა მე ამ სოფლად აღარ ვიქნები, მიდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთაში, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს ამ პაწა სალოცავის წინ და ღოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს”.

უკანასკნელ გზაზე გრიგოლის ცხედარს მხოლოდ რვა კაცი მიჰყვებოდა.

გ. რობაქიძე, გარდაიცვალა 1962 წლის 21 ნოემბერს. დაკრძალეს კენევაში. მოგვიანებით კი მისი ფერფლი მიაბარეს ლევილის მიწას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. I, თბ., 1991.
2. ს. სიგუა, დამარცხებული ბელადი, გაზ. „მწერლის გაზეთი“, 2003, №32.
3. რ. მიშველაძე, გრიგოლ რობაქიძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 2000.
4. კ. იმედაიშვილი, მეტს არა ვთხოვ საქართველოს, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 29 მაისი, 1987.
5. თ. ჰოიზერმანი, ბედისწერის სიყვარული, თბ., 2006.
6. dtv Brokhaus Lexikon, Band 20 Wel -22 Munchen, 1889.

**Irina Tsintsadze**

### **In the wake of the biography of Grigola Robakidze**

#### Summary

Grigol Robakidze is the bright representative of the Georgian emigration of the XX-th century. Its many-sided activity covers set that and questions. Publicity letters, an essay, novels, reports of Grigola Robakidze were printed on Georgian, Russian, German languages.

When Grigol Robakidze in the homeland has been declared by the traitor, abroad its products have obtained a huge recognition. It is necessary to notice that activity of Grigola Robakidze in European literature has occupied a place of honor that, in him turn, promoted the deserved distribution of the Georgian literature for country limits.

*ელზა ფუტკარაძე*

**აქვს, ჰქვავს ზმნათა უღლების თავისეპურებაანი  
საშუალ ქართულში**

ცნობილია, რომ საშუალი გვარის ზმნათა მეორე ჯგუფს ქმნიან მედიოპასიური ანუ საშუალ-ვნებითი გვარის ზმნები. შინაარსობრივად მედიოპასიურმა ზმნებმა შეიძლება გამოხატონ მდგომარეობა: ზის, დგას, წევს, სხედს... გრძობა: სწყურია, უყვარს, სძულს, სურს, სწადს, ჰშურს, ჰნებავს, უნდა, შია... ყოლა-ქონა: ჰყავს, აქვს და ა.შ.

მედიოპასიური ზმნები მწკრივთა წარმოების მხრივ განსხვავებულ უღვლილებას გვიჩვენებენ. „მწკრივთა ქონების თვალსაზრისით ისინი ორ ჯგუფად იყოფა. კერძოდ, ერთს, სტატიკურთა მსგავსად, აკლია უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი, სამაგიეროდ, მოეპოვება მეორე სერიის ფორმები. ეს არის ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველი ზმნები: დგას, სხედს, წევს, ძევს. მათ რიგებშია აგრეთვე „არის“. მეორეს აკლია მეორე სერიის მწკრივები. სამაგიეროდ, მოეპოვება უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი. ამ ჯგუფში შემოდის დანარჩენი ზმნები“ (შანიძე, 1953, 500). სწორედ, მწკრივთა წარმოების მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ყოლა-ქონის გამომხატველი ზმნები.

**აქვს:** ჩემი ტახტი და გვირგვინი სხვათა **აქვს** (რუსუდ.14). ხელად **აქვს** ხოცა ნადირთა მცირეთა (ვეფხ.10). ზოგთა **აქვს** საღმრთო სიახლე (ვეფხ.12). სწრაფვა **აქვს** წყლულთა ხევეისა (ვეფხ.27). აზომი **მაქვს** ჩემის მამის წყალობით, რომელ, რაც მინდა ყველას ვიშოვიო (რუსუდ.13). ხსოვნაცა აღარ **მაქვს** (რუსუდ.54). ძალი მომეც და შეწევნა შენგნით **მაქვს**, მივსცე გონება (ვეფხ.8). დონე არა **მაქვს** თმობისა (ვეფხ.33). კბილი არა **მაქვს** (სიბრძ.სიც.20). სრულ ლეონის ნასწავლები **მაქვს** (სიბრძ.სიც.60). ჟამი არა **გაქვს** ხელმწიფურად ქცევისა (რუსუდ.8). შენ **გაქვს** მეფობა ინდოეთისა სრულისა (ვეფხ.73). შენ **გაქვს** წა-

მალი ჩემისა მამრთელებელი წყლულისა (ვეფხ.227). რაც საღარო **გაქვს**, თუ არ იხმარებ, ქვა და ოქრო სწორია კაცთათვის (სიბრძ.სიც.54). **გვაქვს** უთვალავი ფერთა (ვეფხ.5). დია **გვაქვს** ციხე-ქალაქი ხატაეთს არე-მარეთა (ვეფხ.50). თუმცა ყველა თანაშეწევნითა ღმრთისაითა ჩვენ **გვაქვს** (ვისრ.12).

**აქვს** ზმნის უწყვეტელი ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმითაც გვხვდება და ახალი წარმოებაც შემოდის ძალაში: თმობაცა **ჰქონდა** მრავალთა წყენათა (ვეფხ.10). ნიადამცა **ჰქონდა** ხალვა (ვეფხ.12). გული **ჰქონდა** გულისათვის (ვეფხ.34). მისგან ეჭვი არა **მქონდა** (ვეფხ.81). შეცოდება არ **მქონდა** (სიბრძ.სიცრ.53). ყველა **მქონდა** (გაბ.403). ან **გქონდა** რა მოსვენება (დიდმ.627).

პარალელურად ეს ზმნა სხვა ფუძითაც გვხვდება საშუალო ქართულის წერილობით ძეგლებში: არა რა **აქენდათ** (სიბრძ.სიც.12). გამოუღო ცოლსა თვისსა სამკაული, რაცა **აქენდა** (სიბრძ.სიცრ.13). მოუნდა თავის ამხანაგებთან სმა და არარა **აქენდა** მისულიყო (სიბრძ.სიცრ.55). უცხო რამ **აქენდა** მას მხეცსა ხერხი (დავით.373). **აქენდეს** მცირელი (დავ.355). არც **მაქენდა** სამღთო წერილი (დავ.413). არცა **მაქენდა** საიმედოდ საჭურჭლენი სამხედრონი (დავით.399). ვისიც **გაქენდა** შენ იმედი (დავით.389). სწორად **გაქენდეს** შენ ეგ შენი ანგარიში (დავით.393). სიგელიც **გაქუს** აღმამაშენებელისაგან (სამ.ძეგ.261)—ე.ი. უმარცვლო უნიანი წარმოებაც დასტურდება.

კავშირებითში: სიბრძნე **მქონდეს** ათინელთა (შვ.მთ.405). თუმცა მას **ჰქონდეს** მკლავნი გმირისა (შვ.მთ.562). მე ვირე **მქონდეს** ნაძვი მართალი, არ ვეძებ ტირიფსა მრუდსა (ვისრ.30).

წარმოდგენილი მასალა გვიჩვენებს, რომ საშუალო ქართულში აქვს ზმნა ახალ ქართულის **ჰქონდა** ფორმითაც გვხვდება და იქვეა ძველი ქართულის **აქენდა** (ძვ.ქართულში: აქუნდა) ფორმაც, საშუალოში გვაქვს: აქენდა, მაქენდა, გაქენდა.

როგორც ვხედავთ, **აქვს** ზმნის უღვლილებისას ფუძე, ისევე, როგორც ძველ ქართულში, საშუალოშიც რყევას განიცდის. დასტურდება ვარიანტები: აქვ; აქენ (ძვ.აქუნ); ქონ. საენათმეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რა უნდა იწვევდეს



ფუძეთა სხვაობას, რა ვარიანტია ამოსავალი და როგორია ამ ვარიანტთა ისტორიული ურთიერთობა.

ამ ზმნაში რომ -ან სუფიქსია, ეს კარგა ხანია ცნობილია. აკ.შანიძე აღნიშნავდა, რომ ჰქონან← ჰქუანან (შანიძე, 1957, 173). ასევე სუფიქსად მიიჩნია -ან ვ.თოფურიაშვილმა (თოფურია, 1942, 490). ხოლო არნ.ჩიქობავამ მე-10 საუკუნის ერთ-ერთი დეფექტური ოთხთავის ხელნაწერში სრული სახით დაადასტურა კიდევ -ან სუფიქსი ამ ზმნაში: აქუანდეს [ჩიქობავა, 1947, 386]. სწორედ ეს ანიანი ფორმა უნდა იყოს ამოსავალი, წინა საფეხური ძველ ქართულში არსებული სახეობისა. აქუან ფუძემ შემდეგ დაკარგა „ა“ ხმოვანიც და ბოლოკიდური „ნ“-ც მიუთითებს მეკლევარი (ჩიქობავა, 1947, 388). ის ამ მოვლენას მახვილის მოქმედებით ხსნის: ა-ს დაკარგვის მიზეზი არის იგივე მახვილი, იგი მოდის პრეფიქსულ ხმოვანზე. ეს არის ინტენსიური მახვილი, მისი ფუნქციაა ფუძის ხმოვნის დაკარგვა. ა-ს დაკარგვა უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. ბოლოკიდური ნ უფრო შემოგვენახა, ვიდრე წინამავალი ა. ან სუფიქსმა ა დაკარგა მახვილის გადანაცვლებით თავკიდურ მარცვალზე. თავკიდური ა-ს დაკარგვის შემდეგ მე-9 საუკუნის ძეგლებში ზმნას ბუნებრივად დაერთო ჰ: აქუს და ჰქონან მორფოლოგიურად განსხვავებული ოდენობა არაა, სხვაობა ფონეტიკური ბუნებისაა [ჩიქობავა, 1947, 388-389]. მისივე აზრით, ნ უნდა დაკარგულიყო მაშინ, როცა სუბიექტის მესამე პირის ნიშნად ჯერ კიდევ არ იყო ს. პირის ნიშანი ნ და წინამავალი ნ აირია ერთმანეთში სწორედ ისევე, როგორც სახელობითის ი და ფუძისეული ი უნდა იყოს არეული ერთმანეთში. ნამყო უსრულის ფუძეს შერჩა ნ დ-ს წყალობით [ჩიქობავა, 1947, 389].

სხვა შეხედულების თანახმად, აქ ფუძის გახმოვანების სხვადასხვა საფეხური გვაქვს: ზმნურ ფუძეში გახმოვანების სრულ საფეხურზე მხოლოდ ერთი მორფემა შეიძლება იმყოფებოდეს (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 183).

საშუალო ქართულში, ერთი მხრივ, გვხვდება აქვნდა, მაქვნდა, გაქვნდა ფორმები, თუმცა ხშირია ახლებურად ნაწარმოები ფორმებიც სავრცობიან მწკრივებში: მქონდა, გქონდა,

ჰქონდა. ა- პრეფიქსი არ არის ზმნაში წარმოდგენილი ე.ი. მოხდა უნიფორმაცია.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თემის ნიშანი -ან ნაშთის სახით არის შემონახული რამდენიმე ზმნაში (ჰყავს, აქვს...), ამ ზმნებს არქაული თემატური ნიშანი გამოაჩნდებათ ხოლმე სავრცობიან მწკრივებში (ჰყვან-და). ამას გარდა, იგივე -ან ჩანს აწმყოს მწკრივის მრავლობითი რიცხვის სუბიექტის მესამე პირში (ჰყვან-ან, ჰქუან-ან – ჰქონ-ან) (ქავთარაძე, 1954, 152-153).

საინტერესო სურათს გვიჩვენებს აქვს ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმები. ზმნაში თავს იყრის ორი –ან. ერთი თემატური ნიშანია, მეორე კი რეალური სუბიექტის (გრამატიკული ობიექტის) მესამე პირის ნიშანი მრავლობით რიცხვში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთი თვალსაზრისია გამოთქმული. ცნობილია, რომ ინვერსიულ და გაინვერსიულების გზაზე მდგომ ზმნებში, იქნება იგი გარდამავალი თუ გარდაუვალი ზმნა, მიცემით ბრუნვაში დასმული მეორე თუ მესამე პირის რეალური სუბიექტის მრავლობითობის გამოსახატავად სამი ტენდენცია იჩენს თავს. ერთია –ყე ნაწილაკის გამოყენება ქართული ენის რიგ დიალექტებში, როგორცაა: რაჭული, იმერული, ლეჩხუმური, ფერეიდნული, ინგილოური, კახურ-ქიზიყური და მთიულურ-გუდამაყრული. მეორეა მრავლობითობის თ სუფიქსის ხმარება ახალ სალიტერატურო ქართულსა და ქართულ დიალექტთა აბსოლუტურ უმრავლესობაში. მესამეა – სუბიექტის მესამე პირის მრავლობითობის სუფიქსის დართვა ქვემო იმერულ-გურულ, აჭარულ, მესხურსა და ზანურ-სვანურში (თოფური, 1952, 180; ჩიქობავა, 1929, 28-29).

ენათმეცნიერ შ. ფუტკარაძის მიერ ასეთი ფორმები მრავლად დადასტურდა ნიგალის ქართულში: ოდიებში სექვები **მაქვანან**; სხვა ყაბი **მაქვანან**; **გაქვანან** ერთი დიდი ქითაბი; ყანები ბევრი **გაქვანან**; სახლი აგერ **აქვანან**; დიდი ღუქანი **აქვანან** ბორჩხას (ფუტკარაძე, 1993, 152).

ამავე რიგისაა **ჰყავს** ზმნაც: ერთის თვის მეტი არა **მყავს** (რუსუდ.62). ყოველ კაცს მამა უვის, მე რად არა **მყავს?** (სიბრძ.სიცრ.21). სხვა **მყავსო** (სიბრძ.სიცრ.33). ცხრაასი აქლემი **მყავს** (სიბრძ.სიცრ.38). აქა არა **მყავს** გამკითხველი (დიდმ.625). მოწამე ვინ **გყავსო?** (სიბრძ.სიცრ.27). აფთვიმიანეს ესეთი ქალი **ჰყავს** (რუსუდ.7). კაი ხელმწიფის შვილი ცოლად **ყავს** (რუსუდ.213). არსად არა **ჰყავს** უბარი (გაბ.330). ერთსა ქალი **ჰყავს** (სიბრძ.სიცრ.33). ფატმან **ჰყავს** თანა (ვეფხ.309). მასა არა **ჰყავს** (სიბრძ.სიცრ.57). არავინ **ყავს** მოზარე (დავით.370). აღარავინ **ჰყავს** მას იქ მშვეელი (დიდმ.625). არვინა **გვეყავს** შენად სწორად (ვეფხ.34). ჰხელავთ ინდოთა ტყვედ **ჰყვანან** შუქნი რომელნი? (ვეფხ.250). თუცა ყმანი ჭკუათ **გყვანან** (სიბრძ.სიცრ.44). მომგებელნი **მყვანან** (სიბრძ.სიცრ.57).

გვხვდება **ჰყავს** ზმნის სავრცობიანი მწკრივის ფორმებიც: იმას თურმე ქალნი **ჰყვანდა** (რუსუდ.274). სამი თხა **ჰყვანდა** (სიბრძ.სიცრ.35). დელაკაცი **ჰყვანდა** (სიბრძ.სიცრ.130). საკიდარი არა **მყვანდა** (სიბრძ.სიცრ.132). ტანთ მარხველი არა **ყვანდა** (დავით.397). ასრე **ჰყვანდათ** დამართული მათ მფრინვლები კაამყოლი (გაბ.390). არ **ჰყვანდა** პატრონ ტერიო! (დიდმ.602). **მყვანდა** ტურფა, შევენებით მჭვრეტელთა გულის ამება (დიდმ.607). ბევრი **ჰყვანდა** ჯაშუშ-მცველი (დიდმ.625).

**ჰყავს** ზმნას ძველ ქართულში მეორე სერიის ფორმებიც მქონდა (შანიძე, 1953, 564). **და ჰყვა** მათ თანა ერთი ქალი მეძავი (ლიმ.13, 15). ასეთი ფორმები ხშირია, თითქმის ფეხოკიდებულთა საშუალშიც: შავი ცხენი სადავითა **ჰყვა** ლომსა და ვითა გამირსა (ვეფხ.25). ქალი **ჰყვა** ერთსა მონასა, ვცანცა თუ მოღმა ვინ არე? (ვეფხ.135). **ჰყვა** ვეზირი ეგეთი (სიბრძ. სიცრ.5). სამეოცი ცხვარი **ჰყვა** (სიბრძ.სიცრ.10). **ყვა** საჭურისი ერთი (სიბრძ. სიცრ.16).

არნ.ჩიქობავა ჰყავს ზმნისათვის ამოსავლად \*ა-ყვ-ან ფუძეს მიიჩნევს. ის აღნიშნავს, რომ ორი ზმნიდან –აქუს, ჰყავს-ერთს მოუღის თავკიდური ხმოვანი, მეორეს -არა: აქუს, გა-ქუს, მაქუს-ჰყავს, გყავს, მყავს. აქუს-ზმნას თავკიდური ”ა“ ეკარგებოდა მრავლობითის -ან სუფიქსის დართვისას - მ-ქონ-ან

იგინი. ამ შემთხვევაში მქონან აგებულებით აღარ განსხვავდება ჰყავს ზმნისაგან: მქონან-მყვანან-ორივე უხმოვნოა. ჰყავს ზმნას სვანურსა და ჭანურში პრეფიქსად მოუდის ხმოვანი. ეს მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ქართულშიც პრეფიქსი ხმოვნისა უნდა ყოფილიყო. ეს ხმოვანი უნდა ყოფილიყო ა, ე.ი. ის ხმოვანი, რაც სვანურში დასტურდება. შესაბამისად ა-ქუ-ან ფუძის გვერდით დებულობს \*ა-ყვ-ან ფუძეს (ჩიქობავა, 1959, 152).

საშუალო ქართულში **ჰყავს** ზმნის შინაარსი აქვს ”ზის“ ზმნის საობიექტო ქცევის ფორმას. ”ზის“ საობიექტო ქცევის ფორმებში ამ ზმნას კუთვნილების შინაარსი აქვს (=ჰყავს). ეს ზმნა ასეთი შინაარსით გვხვდება ”ვეფხისტყაოსანში“: ერთაი **მიზის** ასული (ვეფხ. 25). ღმერთმა არ მოგცა ყმა შვილი, **გიზის** ერთაი ქალია (ვეფხ. 219).

ამგვარად, საშუალო ქართულში, როგორც გარდამავალი საფეხურის ენაში, ერთდროულად გვხვდება ჰყავს, აქვს ზმნის ძველი და ახალი ფორმები. ახალი ფორმების სრულ დამკვიდრებამდე საშუალო ქართული ძველი და ახალი ფორმების თანაარსებობის საინტერესო სურათს წარმოგიდგენს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, ქართული მწერლობა, ტ. 6, თბ., 1989.
2. გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტოა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
3. გურამიშვილი დ., „დავითიანი“, ქართული მწერლობა, ტ. 7, თბ., 1989.
4. თოფურია ვ., ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, სმამ, ტ. III (5), თბ., 1942.
5. თოფურია ვ., გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იკვ, IV, თბ., 1952.
6. ორბელიანი ს. ს., „სიბრძნე სიცრუისა“, ქართული მწერლობა, ტ. 7, თბ., 1989.

7. რუსთაველი შ., „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1992.
8. ტფილელი ი., „დიდმოურავიანი“ ქართული მწერლობა, ტ. 6., 1989.
9. უცნობი ავტორი, „ვისრამიანი“, ქართული მწერლობა, ტ.5, თბ., 1988.
10. ფუტყარაძე შ., ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, თბ.,1993, სადოქტორო დისერტაცია.
11. ქავთარაძე ივ., ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1952.
12. უცნობი ავტორი, „ვისრამიანი“, ქართული მწერლობა, ტ.3, თბ., 1988.
13. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970.
14. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972.
15. შანიძე აკ., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.
16. შანიძე აკ., სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957.
17. ჩიქობავა არნ., რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში? თსუ მოამბე, ტ. 9, 1929.
18. ჩიქობავა არნ., ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, იკვ, XI, თბ., 1959.
19. ჩიქობავა არნ., აქუს ფუძის უცნობი ვარიანტებისათვის ძველ ქართულში, თსუ შრომები, ტ. 30-31, თბ., 1947.
20. ციციშვილი ნ., „შვიდი მთები“, ქართული მწერლობა, ტ. 5, თბ., 1988.

## Эльза Путкардзе

### Особенности склонения глагола *есть* (აქვს, ჰყავს) в среднем грузинском языке

Вторую группу глаголов среднего рода создают медиопассивные или среднедействующие глаголы. Особенно интересно формирование глаголов აქვს, ჰყავს в грузинском языке. Глагол აქვს (есть) в новом грузинском языке встречается в форме ჰქონდა, он же в древнегрузинском встречается как ჰქნდა (в др. груз.: აქუნდა), в среднем – как აქვნდა, მაქვნდა, გაქვნდა.

Как видно, при склонении среднегрузинского глагола აქვს (*есть*) основа, как и в древнегрузинском, испытывает изменение. Подтверждаются варианты: აქვ; აქვნ (др.: აქუნ); ქონ. В языковедческой литературе подчеркивается тот факт, который вызывает изменения в корне глагола, говорится о вариации, которая является изначальной, показаны исторические взаимоотношения этих вариантов.

К данной группе относится и глагол ჰყავს (есть). Интересно что, содержание глагола ჰყავს имеется и у объективных форм поведения глагола «ზის».

Таким образом, в среднегрузинском языке, как на переходной ступени языка, одновременно встречаются как старые, так и новые формы глаголов აქვს, ჰყავს (*есть*). До конечного утверждения в среднем грузинском языке старых и новых форм, они представляют собой интересную картину совместного существования.

**სიყვარულის ფენომენის ასაქმტუბი  
რევაზ ინანიშვილის პროზაში**

სიყვარული რევაზ ინანიშვილის პროზაში წარმონჩდება, როგორც ყოვლისშემძლე ძალა, რომელსაც შეუძლია ადამიანი იხსნას ყოფიერების ჭაობისაგან და ღვთაებრივს აზიაროს. მის მოთხრობებს თითქოს არამიწიერი ნათელი ადგას, რომელსაც ზოგჯერ უსაზღვრო ჰუმანიზმის სახელით მოიხსენიებენ. „რევაზ ინანიშვილის ნაწარმოების ამოსავალი წერტილი ყოვლისმომცველი, უსაზღვრო ჰუმანიზმია... ჰუმანიზმის უღამაზეს სივრცეებში ინთქმებიან და უკვალოდ იკარგებიან სიკეთესთან წილნაყარი პირველყოფილი ადამიანური ბოროტებით, ავი ზრახვებით ნასაზრდოები ცდუნებანი“ (ბენაშვილი, 1977).

საყოველთაო სიკეთე მხოლოდ ოცნების სფეროს განეკუთვნება, მაგრამ ცადმაცქერალი ადამიანები ადრეც ამშვენებდნენ და ახლაც აღამაზებენ ცხოვრებას. რეზო ინანიშვილსაც საოცარი, ღვთითმომადლებული ნიჭი აქვს სიკეთის, მისი ყველაზე ჩუმი, მოკრძალებული გამოსატყულების ხედვისა და წარმოსახვისა.

ახალგაზრდობაში სტუმრად ჩამოსულ ქალაქელ მეგობარს მწერლისთვის უთქვამს და უმტკიცებია: „სიყვარული ადამიანების მოგონილია ისტორიის გარკვეულ ეტაპზე, როგორც ვთქვათ, თმის ვარცხნილობა ანდა კოსტუმის მოდა და რაც უფრო მალე გათავისუფდებიან მისგან და დარჩებიან ისეთნი, როგორებიც ბუნებამ შექმნა, - მხოლოდ არსებობისათვის მცდელნი, ყველგან და ყველაფერში გათვლაზე დამყარებულნი, მით უფრო უკეთესი იქნება მათთვისო (ინანიშვილი, 1981, 46). ეს არ იყო ახალი აზრი, ეს საფიქრალი ადამიანს უძველესი დროიდან თანა სდევს. კაცობრიობა ორ დიდ ბანაკადაა გაყოფილი: ერთნი, რომლებიც აღნიშნულ თვალსაზრისს იზიარებენ და მეორენი, რომელნიც, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, მა-

ინც იმ ბრძნულ შეგონებას მისდევენ, რომელიც ქართველმა კაცმა ასე ჩამოაყალიბა: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია!“

„ჩვენ სიზიფენი ვართ. საუკუნეები ვიბრძოდით იმ ღირებულებათათვის, რომელთა არსებობა ეფემერულია, ჩვენ კვლავაც ვიბრძოლებთ სიყვარულის უკვდავებისათვის, თუმცა წინასწარ ვიცით, რომ იგი უკვდავი ვერ იქნება. კვლავაც ვიბრძოლებთ არა იმიტომ, რომ ვერ შევიგნეთ ბრძოლის ამაოება, არამედ იმიტომ, რომ ამ განწირულ ძალისხმევაში მორალურად განვიწმინდებით, - წერს ჯ. შარაშიძე ჯემალ ქარჩხაძის რომანზე („მდგმური“) მსჯელობისას და იქვე განაგრძობს, - მდგმურის უძწეობა ზოგადი კანონზომიერებაა. ღირსეულისთვის ნიშნეულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა სიძნელეებში გზგაკვევის უნარობა. აგრეთვე მისთვის ნიშნეულია უჩინარობა და საკუთარ საზრისზე სხვათა მოქცევის დაქვეითებული შესაძლებლობა. ღირსება უფრო ინდივიდუალური ფენომენია, ვიდრე საზოგადოებრივი. ხშირად იგი უკვალოდ იკარგება“ (შარაშიძე, 1990, №6.:79-88).

მწერლის რწმენა სიყვარულისადმი ერთმნიშვნელოვანი არაა, მის ნაწარმოებებში ხშირად გაისმის ამ თემაზე მტანჯველი კითხვები, რომელთაც პასუხი არა აქვთ. იქნებ კაცობრიობა მართლაც უნდა გათავისუფლდეს ამ ტკბილ-მწარე ბანგისაგან, რომელსაც ხშირად მეფე მონის ყმად უქცევია, ბრძენი კი გაგიჟებულივით ურბენინებია ტყე-ველად.

ამგვარი ეჭვი მხოლოდ გაკრთება, ნაწარმოებთა საერთო პათოსი კი ამტკიცებს, რომ მხოლოდ სიყვარულის ძალით შეიძლება ყოფის ამაოების დაძლევა. სიყვარული სინათლეა, რომელსაც ბნელი ვერასოდეს დაჩრდილავს. რეზო ინანიშვილის მოთხრობებში ჩანს, რომ ამ ფენომენს მრავალი წახნაგი აქვს. მისი გამოვლენის ასპექტებიც სხვადასხვაგვარია. ერთი მხრივ, არსებობს ღვთის ყოვლისმომცველი სიყვარული, რომელიც მთელ სამყაროს ასაზრდოებს, ახარებს, მეორე მხრივ, კი ადამიანური სიყვარული, რომელიც სიხარულთან ერთად, ხშირად



ტკივილის მომგვრელიცაა. რევაზ ინანიშვილის გმირებისთვის სიყვარული დიდი ტვირთიცაა და პასუხისმგებლობაც, ამიტომაც მოთხრობებში წარმონდობა ეს გრძნობა მთელი თავისი მრავალფეროვნებით, რელიგიურ–ფილოსოფიური ასპექტებით.

სიყვარულის ყველგანშემღწევი შუქი ისე უნათებს მწერალს, რომ უხილავიც კი ხილული ხდება მისთვის და მკითხველიც მასთან ერთად ამჩნევს, ხედავს და გრძნობს სამყაროს ტკივილსაც და სისარულსაც. რევაზ ინანიშვილი ამჩნევს სასწაულს იმ ჩვეულებრივ სიტუაციებში, რომელსაც მკითხველი არაერთგზის გადაჰყრია, მაგრამ სასწაულად კი ვერ აღუქვამს. მწერლის ქმნილებებში ადამიანური სიყვარული ზარივით წკრიბებს და არასოდეს წყდება მისი საამური ხმა.

რევაზ ინანიშვილს მოთხრობაში „ყორანთ კეტამზე“, ერთი სოფლის ზემოთ, ყორანთ კეტამზე ყმაწვილების გვამებს და მათ დანატოვარ წერილს იპოვიან. ეს წერილი არის აღსარება ორი ტრაგიკული პიროვნებისა, რომელთაც ცხოვრება უსიყვარულოდ გალიეს. არც სამშობლოს, არც დედის, არც მოყვრის, არც ქალისა და არც არაფრის სიყვარული არ აღამაზებდა და არ ასხივოსნებდა ამ ყმაწვილების ცხოვრებას. ისინი დაცლილი იყვნენ სიყვარულისაგან და ამან ჩაადენინა საზარელი საქმეები. არცაა გასაკვირი, რადგან მწერლის რწმენით, სიყვარულისა და სიკეთისაგან დაცლილი სული ბოროტებისა და სიძულვილის სადგურია. ძნელია მიუტევო ამ ყმაწვილკაცებს საზარელი ცოდვები, მაგრამ საოცარი ძალის თვითმხილება და უშედავათო განაჩენი, აღსრულებული საკუთარი გონებითა და ხელით, სიყვარულის ნაპერწკლის გაღვივებასა და გაღვიძებაზე, ამ გრძნობის სიდიადესა და უძლეველობაზე მეტყველებს. საკუთარი ცოდვები მხოლოდ სიკვდილით შეიძლება გამოსყიდულიყო, მაგრამ ყმაწვილკაცების ტრაგიკული ცხოვრება სხვათათვის სარწმუნო გაფრთხილებაა.

ძნელია ამ ორი ყმაწვილისთვის შენდობის თქმა, რადგან თავად არაფერი დაგვიმალეს, ბოლომდე გვითხრეს საკუთარი მიუტევებელი დანაშაული და ყველაზე სასტიკ, მაგრამ სამართლიან მსაჯულადაც თვითონვე მოვევლინენ საკუთარ თავებს.

იცინა მათ და კიდევ იბარებენ იმას, რომ მშობელი დედების ცრემლების ღირსნიც კი არ არიან ისინი. მათთვის სიმშვიდისა და სიწყნარის მოტანა მხოლოდ თოფის სასხლეტს შეუძლია და ისინიც ხელის აუკანკალებლად გამოსწევენ მას.

„ჩვენ თვითონ ვისჯით თავს, თანაც ისე, რომ დავამტკიცოთ ცხოვრება შეგვეშალა, თორემ ლაჩრები არასოდეს არ ვყოფილვართ, არც შენდობას ვთხოულობთ არავისგან. შენდობას რომ ვთხოულობდეთ, მაშინ დაბლა, სადმე გზის პირას ავასრულებდით ამ საქმეს. დაე, აქ, უპატრონოდ, ყვაე-ყორნებმა დაჯიჯგნონ ჩვენი ლეში“ (ინანიშვილი, 1981, 101).

“შკითხველის ღრმა თანაგრძნობას იწვევს ეს ორი, გზასაც-დენილი ყმაწვილი, ვისაც სიყვარულმა მხოლოდ ერთხელ და იმიტომ გაუნათა გული, რომ ეს სასტიკი თვითგანაჩენი გამოეტანინებინა. შენდობის სურვილი გვიჩნდება ჩვენცა და მწერალსაც, ვინც მაინც ვერ გაიმეტა მათი ცხედრები ყვაე-ყორნების საჯიჯგნად. ვერ გაიმეტა და ვერც გაგვამეტებინა, რადგან გვესმის და გვზარავს ამ ორი ყმაწვილის უკანასკნელი დაღადისი: „ვაი, რა კარგები ყოფილხართ, ადამიანებო! თქვენც კი, ვინც ჩვენი ხელითა ხართ მკვდრები. აყალო მიწა გვეჭამა და თქვენთან ვყოფილიყავით, ნეტავ მიწაზე გვეხოხა და თქვენთან ვყოფილიყავით...“ (გვერდწითელი, 1987, №7:116).

ეს ნაწარმოები განსაკუთრებულ ინტერესს იძენს დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, საყოველთაო გაუცხოების ჟამს, როდესაც ადამიანები საკუთარ უბედურებასა და მარტოსულობაში ადანაშაულებენ მთლიანად სამყაროს, საზოგადოებას. რ. ინანიშვილი კი გეთავაზობს განწმენდის გზას – საკუთარ სულში ჩახედვას და ადამიანურ და პირუთვნელ განსჯას. ეს არის მწერლის გაუზზარავი რწმენა გადარჩენისა. მხატვრული ლიტერატურისთვის ნიშანდობლივია ამა თუ იმ პერსონაჟის მიერ საკუთარი შეცოდებების მონანიება და აღიარება, მაგრამ იშვიათია ამგვარი ფორმით. აქ აშკარად იგრძნობა რევაზ ინანიშვილის გამორჩეულობა.

უსიყვარულოდ ადამიანს ადამიანობა არ ეთქმის, კორინთელთა მიმართ პავლეს ეპისტოლეში ნათქვამია: „ენასა ლათუ

კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყვოდი, ხოლო სიყვარული არა მაქუნდეს, ვიქმენ მე ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, გინა წინწილანი, რომელი ხმობენ. და მაქუნდეს ღათუ წინასწარმეტყუელებადი და უწყოდი ყოველი საიდუმლოდ და ყოველი მეცნიერებად და მაქუნდეს ღათუ ყოველი სარწმუნოებად ვიდრე მთათაცა ცვალებადმდე, და სიყვარული თუ არა მაქუნდეს არა ვერაი ვარ” (ახალი აღთქმა, 2000, 13:1-2).

რევაზ ინანიშვილი გვერდს ვერ უვლის უსიყვარულოდ მოარულ ადამიანებს, მაგრამ მათი უსიტყვო მჭკრეტელი არ არის. იგი გამეხებულია, შეძრულია „ეროლების” ცხოვრების პრინციპებით. მას სტიკია ამ ხალხის არსებობაც და მათი საქმენიც, მაგრამ ინანიშვილის მთელი არსება ელტვის და ეტრფის სიყვარულით გათანგულ ადამიანებს. იმათ, რომელთაც ერთნაირი გზებით უყვართ შეღამება, მზე, ქალის სიღამაზე, ბაღახი და მდინარე. მხოლოდ ამ ადამიანების არსებობითაა, რომ შევიგძნობთ სიცოცხლის ეშხს.

„ხელოვნების ქმნილებაში ხორცშესხმულია ყოფიერის ჭეშმარიტება”, - წერდა მარტინ ჰაიდეგერი (ჰაიდეგერი, 1991, №1:42). რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში ყოფიერების ჭეშმარიტება სიყვარულის გზითაც ვლინდება. მისი პერსონაჟები, როგორც ხელოვნების ქმნილებანი, დაექებენ ხსნის გზას და მას სიყვარულში პოულობენ.

მაშასადამე, რევაზ ინანიშვილის ქმნილებების ღიბო, საძირკველი სიყვარულია. სიყვარული აძლევს მის პროზას არამიწიერ სიბღს, რომელიც ასე აჯადოებს მკითხველს. მწერალს ამით ახალი არაფერი უთქვამს, ჩვენ ხომ ქრისტიანული რწმენით ვართ გაზრდილი და იავნანასთან ერთად გვესმოდა: გიყვარდეს მტერი შენი. მწერლის დიდოსტატობაც სწორედ იმაში ვლინდება, რომ ეს თითქმის გაუხუნარი და მარადიული შეგონება სულ ახლებურად შეახსენა მკითხველს, აგრძნობინა და გაათავისებინა.

რევაზ ინანიშვილისათვის სიყვარული იყო საგზალი ადამიანთა გულებსაკენ მიმავალ დიდ გზაზე და მკითხველსაც წუ-

თისოფლის ჩარხუკუდმართი ბედის ტრიალისაგან თავდასაღ-  
წვეად სიყვარული უანდერძა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ინანიშვილი, ერთტომეული, თბ., 1981.
2. გ. ბენაშვილი, საოცნებო „შორი თეთრი მწვერვალი“, გა-  
ზეთი „თბილისი“, 1977, 15 თებერვალი.
3. ჯ. შარაშიძე, ილუზიორული ღირებულებანი ადამიანად  
ყოფნის უთუო წინაპირობა (ფიქრები ჯემალ ქარჩხაძის რომე-  
ნის გამო „მდგმური“), „კრიტიკა“, 1990, №6.
4. გ. გვერდწითელი – “უსიყვარულოდ არ არსებობს”, “მნა-  
თობი”, 1987 წ., №7.
5. პავლე, I კორინთელთა, ახალი აღთქმა, საქართველოს  
საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2000.
6. მ. ჰაიდგერი, დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა, კრებ.,  
„კარი“, 1991, №1.

### Кетеван Шотадзе

#### Аспекты феномена любви в прозе Реваза Инанишвили

##### Резюме

Любовь в прозе Реваза Инанишвили представлена как всемогущая сила, которой под силу спасти человека от трясины бытия и приобщить его к божественному.

Р. Инанишвили не обходит стороной людей, живущих без любви. Его волнуют принципы их жизни, их существование. Поэтому Реваз Инанишвили предлагает путь очищения – углубление в собственную душу и суд совести. Писатель твердо верит, что спасение возможно только через раскаяние и признание собственных ошибок.

Истина бытия в творчестве Реваза Инанишвили проявляется с помощью любви. Его персонажи ищут путь к спасению и находят его в любви.



**ჩხალისწყლის ზიდი სოფ. დუზქოიში,  
სკიბათის უბანში, ნიგალის ხეობა (თურქეთი)**  
(ბესიკ მელიქიშვილის ფოტო)



**მამაწმინდის ეკლესია, კლარჯეთი**  
(ბესიკ მელიქიშვილის ფოტო)

**შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის  
დეპარტამენტი**

**საქართველო ევრაზიულ სივრცეში –  
ახალი გამოწვევები**

**(კრებულ „საისტორიო მაცნეს“ დამატება)**

**პროფ. აბელ სურგულაძის დაბადებიდან 75-ე წლისთავისადმი  
მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია  
2008 წლის 24 დეკემბერი**

**წაკითხულ მოხსენებათა მასალები**

## კონფერენციის მასალები\*

### მალხაზ სიორიძე

#### აბელ სურგულაძე – ალამიანი და მეცნიერი

მიმდინარე წლის 11 აგვისტოს 75 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, პედაგოგსა და მოღვაწეს, პროფესორ აბელ სურგულაძეს. დღევანდელი სამეცნიერო კონფერენცია მხოლოდ საიუბილეო თარიღის გამო არ დაგვიკავშირებია აწ განსვენებული მეცნიერის სახელთან.

ვფიქრობ, არ გადავაჭარბებ თუ დასაწყისშივე აღვნიშნავ, რომ აბელ სურგულაძემ თავისი შემოქმედებით უკვე წლების წინ შეიტანა წვლილი ევროატლანტიკურ სამყაროსთან საქართველოს ინტეგრაციისათვის საფუძვლების მომზადებაში.

ვიდრე აბ. სურგულაძის შემოქმედებაზე ვისაუბრებდეთ მიზანშეწონილი იქნება გავისხენოთ მის მიერ კაცურად განვლილი ბიოგრაფიის ძირითადი მომენტები.

დაიბადა 1933 წელს ქალაქ ბათუმში. 1951 წ. დაამთავრა ბათუმის რკინიგზის №25 საშუალო სკოლა, 1955 წ. შოთა რუსთაველის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი, 1958 წელს – კი ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დასწრებული ასპირანტურა.

1963 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1998 წელს – სადოქტორო დისერტაციები.

ასპირანტურის შემდეგ, მუშაობა დაიწყო ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1958წ). 1966 წლიდან მოღვაწეობა განაგრძო შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იყო საქართველოს ისტორიის კათედრის

---

\* კონფერენციის მასალები იბეჭდება ავტორების მიერ წარმოდგენილი სტილით.

ორგანიზატორი (1991წ.) და სიცოცხლის ბოლომდე (2001წ.) მისი ხელმძღვანელი.

პროფესორი აბელ სურგულაძე ფრიად პროდუქტიული მკვლევარია. 45 წლიანი მოღვაწეობის მანძილზე მან გამოაქვეყნა 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 23 წიგნი და 400-ზე მეტი საგაზეთო წერილი.

აბელ სურგულაძის ყოველ პუბლიკაციას აქვს საგანმანათლებლო დატვირთვა და კარგი მასწავლებლის როლს ასრულებს. ყველა მათგანის უმთავრესი იდეაა უზენოს მკითხველს ქართველი კაცის ბედთან შეურიგებლობა და მეზობელი სული-სკვეთება.

აბელ სურგულაძის მეცნიერულ ღირსებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია წერის მაღალი კულტურა, ქართული ენის ღრმა ცოდნა, რაც ამშვენებს მის ყოველ წიგნსა თუ სტატიას. ამას ემატებოდა ისტორიკოსის უტყუარი აღლო და შრომისმოყვარეობა, რის შედეგადაც ამ ნიჭიერმა და ნაყოფიერმა მკვლევარმა ისეთი დიდი და ფასეული სამეცნიერო მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომ სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

აბელ სურგულაძის შრომები ინტერესს იწვევდა სამეცნიერო წრეებსა და მკითხველთა ფართო საზოგადოებაში, რაც მისი წიგნების პრესის ფურცლებზე რეცენზირებით და საჯარო განხილვებით გამოიხატა.

უადრესად ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო აბელ სურგულაძის სამეცნიერო-ორგანიზატორული საქმიანობა. ის იყო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის, აჭარის მუზეუმის და საარქივო დეპარტამენტის სამეცნიერო საბჭოების, აგრეთვე, სხვადასხვა პერიოდული გამოცემის სარედაქციო საბჭოს საქმიანი წევრი, არაერთი საშური საქმის გადაწყვეტის მოთავე და ინიციატორი. მისი თაოსნობით ბათუმის უნივერსიტეტში და მის ფარგლებს გარეთ ჩატარდა არაერთი სამეცნიერო სესია, კონფერენცია და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრა. ყველა ეს ღონისძიება მიმდინარეობდა ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის ნიშნით.



1991 წლიდან მისი ინიციატივით და რედაქტორობით ბათუმის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრასთან დაიწყო ბეჭდური გაზეთ „ძლევა“-ს, ხოლო 1995 წლიდან სამეცნიერო კრებულის „საისტორიო მაცნე“-ს გამოცემა. მისი რედაქტორობით გამოქვეყნდა პირველი 9 ნომერი, რომელმაც თემატიკის ორიგინალობით და მრავალფეროვნებით მოიპოვა სათანადო აღიარება. ეს კარგი ტრადიცია შენარჩუნებულია. დღეისათვის სულ გამოცემულია „საისტორიო მაცნეს“ 17 ტომი.

აბელ სურგულაძის საქმიანი რედაქტორობით დაიხვეწა და გამოიცა სხვადასხვა ავტორის 20-მდე წიგნი. ამ მხრივ აღსანიშნავია მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობით და მაღალი პროფესიონალიზმით ჩატარებული სარედაქციო – ორგანიზატორული მუშაობა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მესამე ტომზე, რომელშიც ჩვენი კუთხის 1877-1920 წლების ისტორიაა გადმოცემული.

აღსანიშნავია აბელ სურგულაძის დამოკიდებულება ახალგაზრდა მწერლების ავტორებისადმი. იგი მათ ეხმაურებოდა სათანადო რეცენზიით ან კომენტარებით. მათში ამომწურავად იყო შეფასებული წიგნის ავტორი, მისი ყველა შენიშვნა იყო ლაკონური, დელიკატური, სამართლიანი, საქმიანი და ღრმად გააზრებული. ამიტომ მისი რეცენზიები ავტორს მომავალი მუშაობის სტიმულს აძლევდა.

ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას აბელ სურგულაძე უთავსებდა უმაღლესი სასწავლებლის ლექტორის შრომატევად საქმეს. 35 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე, მისი აქტიური მონაწილეობით, საშუალო სკოლებისა და სხვა ტიპის სასწავლებლებისათვის, სამუზეუმო და სამეცნიერო დაწესებულებებისათვის მომზადდა ასეულობით სპეციალისტი. აბელ სურგულაძის ლექციები და სემინარები გამოირჩეოდა ორატორული ხელოვნებით, მეცნიერული სიახლეების წარმოჩენითა და ანალიზით.

კარგი ქართველობა, ღირსეული მოქალაქეობა და პროფესიონალიზმი იყო აბელ სურგულაძის ცხოვრების წესი და თვისება.

თონაც, როგორც მოძღვარი და მასწავლებელი ამ სულისკვეთებით ზრდიდა თავის მოწაფეებს.

ახალგაზრდების მეგობარი და საიმედო მეგზური იყო. მისი მადლით შეიცნო სტუდენტთა დიდმა ნაწილმა ხატი-მამული. ამას ბატონი აბელი ყველგან ჩვეული ოსტატობით ახერხებდა – ლექციაზე, სუფრასთან თუ ექსკურსიაზე. სწორედ აბელ სურგულაძემ და მისმა მსგავსმა მამულიშვილებმა მოიტანეს საპროტესტო მოძრაობა 1978 წლის 26 მაისს ბათუმში კონსტიტუციაში ქართული ენის უფლებების განსაზღვრასთან დაკავშირებით და დიდ ეროვნულ ზეიმად აქციეს ეს დღე. ბატონი აბელი მთელი არსებით იყო ანთებული, რომ არ მინავლებულიყო სტუდენტური ცხოვრება და არ ჩამორჩენოდა დროის მოთხოვნებს. ზღვა სიხარულის მინიჭება შეეძლო მოყვასისათვის. სადღეგრძელოს იტყოდა ხოლმე „გმადლობთ, რომ არსებობთ“.

საოცრად ნაყოფიერი და მრავალმხრივი მკვლევარი იყო აბელ სურგულაძე. მისი კვლევა-ძიების მთავარი პრობლემა იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ საკითხს მიუძღვნა წიგნები: „გულო კაიკაციშვილი“ (1972), „განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში“ (XIX ს. 30-40-იან წლებში), (1978), „სელიმ ხიმშიაშვილი“ (1986წ.), „ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა“ (1994), „ქართული ლეგიონი თურქეთში“ (1994), „პორტო-ფრანკო ბათუმში“ (1996), „ყადირ შერვაშიძე თამარის ორდენის რაინდი“ (1998) და სხვ., აგრეთვე, ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი და საგაზეთო პუბლიკაცია. მათში ახლებურადაა წარმოდგენილი განმათავისუფლებელი მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და მისი მნიშვნელობა საერთო ქართული საქმისათვის. მკვლევარმა ნათელი მოჰფინა ამ მოძრაობის ლიდერთა მოღვაწეობის დღემდე ნაკლებად ცნობილ თუ საერთოდ უცნობ საკითხებს.

აბელ სურგულაძის თითქმის ყველა წიგნი დაწერილია საკვლევი ეპოქის საგარეო ურთიერთობათა მიმოხილვის და საერთო ისტორიული პროცესის ანალიზის შუქზე. ამ მხრივ აღს-

ანიშნავია მისი ნაშრომები, რომლებშიც შესწავლილია საქართველოს ურთიერთობა გარესამყაროსთან, კერძოდ, საქართველო-რუსეთის ათსაუკუნოვანი პოლიტიკური ურთიერთობის ძირითადი მომენტები გადმოცემულია წიგნში „ხამს მოყვარე მოყვრისათვის“ (1983). იგი ავტორმა მიუძღვნა გიორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. მაგრამ ამ საკითხზე და ამ თარიღთან დაკავშირებით გამოსულ ნაშრომთა შორის პროფ. აბელ სურგულაძის წიგნი გამორჩეულია ობიექტურობით. გიორგიევსკის ტრაქტატის შეფასებისას ავტორი არ მორიდებია სიმართლის თქმას (ეს მაშინ სახიფათო მოქალაქეობრივი გაბედულება იყო) და აღნიშნა, რომ „1801 წლის აქტით ხალხი გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას, მაგრამ მას ახლა სხვა საფრთხე დაემუქრა – ეროვნული გადაგვარებისაო“.

ასევე ობიექტურადაა შესწავლილი საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ცალკეული ეტაპები. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ნარკვევი „ღაზი ოსმან ფაშა თავდგირიძე“ (1995). ეს პიროვნება იყო ოსმალეთის სამხედრო მინისტრი მე-19 ს. ბოლო წლებში და მან მთელი სიცოცხლე, ნიჭი და უნარი ოსმალეთის გაძლიერებას შეაღწია. ამაზე აბელ სურგულაძე გულისტკივილით შენიშნავს, რომ ოსმან ფაშა თავდგირიძე იყო ერთ-ერთი დაკარგული შვილთაგანი, რაც საქართველოს არგუნა გვიანფეოდალური ხანის უკუღმართობებმაო.

საქართველო-თურქეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ძირითადი მომენტებია გადმოცემული აბ. სურგულაძის მიერ 1997 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „საქართველოს და თურქეთის ურთიერთობათა ისტორიისათვის (წარსული და თანამედროვეობა)“. წიგნის დასაწყისშივე ავტორი დაუპირისპირდა ოფიციალური რუსული და საბჭოური ისტორიოგრაფიის მიერ დამკვიდრებულ ქარგას, რომლითაც რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა თურქეთთან წარმოებული ომების გამართლებას და იმის დასაბუთებას, რომ რუსეთი თითქოს ამას აკეთებდა საქართველოს ტერიტორიული ინტერესებისათვის. ასეთი ცალმხრივი მიდგომის გამო ყურადღების გარეშე დარჩა ორი მეზობელი ქვეყნის, საქართველოს

და თურქეთის მრავალსაუკუნოვანი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები.

იმავე წიგნში აბელ სურგულაძე აკრიტიკებს თურქულ ისტორიოგრაფიაში ფეხმოკიდებულ არაობიექტურ შეხედულებასაც, თითქოს ოსმალეთსა და საქართველოს შორის ომები არ იყო და ოსმალეთი მუდამ იცავდა საქართველოს ირანის თავდასხმებისაგან (იხ. ფაჰრეთინ ჩილოღლუს „გიურჯლარინ თარიხი“, ანუ „საქართველოს ისტორია“) „სინამდვილეში კი, – შენიშნავდა აბ. სურგულაძე, – სულთნების დიდი შეცდომა იყო სწორედ მათი განუწყვეტელი აგრესია, რამაც აიძულა ქართველი პოლიტიკოსები დახმარება რუსეთში ეძიათ, საბოლოოდ ეს დამღუპველი დარჩა ორივე ქვეყნისათვის“ (იხ. გვ.41).

პირველი მსოფლიო ომის პერიოდის საქართველო-თურქეთის ურთიერთობები შესწავლილია აბელ და კახა სურგულაძეების წიგნში „ქართული ლეგიონი თურქეთში“ (1994). მასში გადმოცემულია პატრიოტული ორგანიზაცია „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ სამხედრო შენაერთის – „ქართული ლეგიონის“ საქმიანობა ოსმალეთში. ავტორთა მართებული შეფასებით დამოუკიდებლობის კომიტეტმა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის წინა პერიოდში ფაქტობრივად შეასრულა საქართველოს არაოფიციალური მთავრობის ფუნქცია უცხოეთში.

პროფესორ აბელ სურგულაძის შემოქმედებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც იყო ევროპის ქვეყნებთან ქართველთა ურთიერთობების ისტორიის შესწავლა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. კვლევის შედეგები მეცნიერმა განაზოგადა მრავალ საჟურნალო-საგაზეთო წერილში და ხუთ ცალკე წიგნში: „სამშობლოდან დაშორებით“ (1975), „დიპლომატიური ბრძოლის ისტორიიდან“ (1985), „სად წაიყვან სადაურსა“ (1995), „ქართველები ევროპის ხალხთა ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მოძრაობაში“ (1995) და „დიმიტრი ამილახვარი“ (1996). მათში ისტორიოგრაფიისათვის მანამდე თითქმის უცნობ მასალებზე დაყრდნობით, გადმოცემულია იტალიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, იუგოსლავიაში, ალბანეთში, კუნძულ ტექსელზე და ევრო-

პის სხვა ქვეყნებში მოხვედრილი ჩვენი თანამემამულეების ადგილობრივ პარტიზანებთან ერთობლივი ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება ქართული ემიგრაციის და ემიგრაციაში მყოფი ნოე ჟორდანიას მთავრობის როლზე ფრანგულ წინააღმდეგობის მოძრაობაში.

აბ. სურგულაძეს უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკების ტყვე ქართველთა მონაწილეობა ანტიფაშისტურ ბრძოლაში.

მეორე მსოფლიო ომის თემაზე ახელ სურგულაძის წიგნიდან განსაკუთრებით უნდა გამოვეყო 1995 წ. გამოქვეყნებული მონოგრაფია „ქართველები ევროპის ხალხთა წინააღმდეგობის ანტიფაშისტურ მოძრაობაში“ (ეს იყო ბატონ აბელის სადოქტორო დისერტაცია). ეს არის წიგნი, რომელშიც შეუღამაზებლად და სათანადო საბუთიანობით არის გადმოცემული ქართველთა საოცარი გმირობა და წვლილი ფაშიზმისაგან ევროპის ხალხთა განთავისუფლებაში. ამიტომ ამ წიგნს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საქართველოს უახლესი ისტორიის, არამედ დასავლეთის სამყაროსთან ჩვენი ქვეყნის მომავალი ურთიერთობების გარკვევის თვალსაზრისითაც.

აღნიშნული წიგნისადმი მიძღვნილ რეცენზიაში (იხ. გაზ. „აჭარა“, 16 დეკემბერი, 1995) პროფ. დავით ხახუტაიშვილთან და ფრიდონ სიხარულიძესთან ერთად ჯერ კიდევ 13 წლის წინ ვწერდით, რომ აუცილებელ საქმედ მიგვაჩნდა ამ წიგნის (და საერთოდ მსგავსი პუბლიკაციების) თარგმნა წამყვან ევროპულ ენებზე და თუნდაც შემოკლებული სახით გამოცემა. რადგან ამ სახის ინფორმაცია ხელმიუწვდომელი არ უნდა დარჩეს სხვათა „რაინდობისა და ვაჟაკობის“ დამფასებელი იტალიელის, ფრანგის, პოლანდიელის, ჩეხის თუ პოლონელისათვის. ამ საკითხზე იგივე აზრი გვაქვს დღესაც.

თანამედროვე ევროპელებისთვის უინტერესო არ იქნება გახსენება მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ისტორიისა, როცა მათ მიწა-წყალზე, მათ მამა-პაპათა მხარდამხარ თავდადებით

იბრძოდნენ და თავს სწირავდნენ ჩვენი წინაპრები. და რადგან „ისტორია სარკეა სულისა“, ასეთი უანგარო საბრძოლო თანამეგობრობის (ანუ სტრატეგიული პარტნიორობის) წარმოჩენა თანამედროვე ევროპელთა თვალში, კიდევ უფრო მისაღებს გახდის ქართველთა სახელმწიფოსთან მათ საქმიან თანამშრომლობას, გაზრდის ჩვენდამი ნდობას და ხელს შეუწყობს ევროატლანტიკურ სივრცეში ჩვენს ინტეგრაციას.

ეს იყო აბელ სურგულაძის მიზანიც. ამას ემსახურებოდა მისი მეცნიერული შემოქმედება, რითაც იგი დღესაც ეხმიანება საქართველოს საჭირობოროტო პრობლემებს.

## *ქეთი ჯიჯეიშვილი (თბილისი)*

### **ემროატლანტიკური ინტეგრაცია და საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ**

წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს ადგილი და მისი პოლიტიკური არჩევანი რუსეთსა და დასავლეთს შორის, ვინაიდან მათი ურთიერთქმედება მნიშვნელოვან წილად განაპირობებს პოლიტიკური მოვლენების განვითარებას პოსტსაბჭოთა საქართველოში. ავტორი მიზნად არ ისახავს თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ სტრატეგიაში გარკვევას. მის მოკრძალებულ ამოცანას წარმოადგენს თანამედროვე ეტაპზე რუსეთ-საქართველოს შორის ინფორმაციული ომის ზოგიერთი ასპექტის პოლიტოლოგიური ანალიზი, ჩვენი ქვეყნისათვის ადეკვატურად დამცავი მექანიზმების შექმნასა და წარმოდგენილი პრობლემებისადმი მეცნიერული ინტერესის გააქტიურება.

საქართველო მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მუდმივად განიცდიდა აღმოსავლური კულტურის მოძალებას, იგი მნიშვნელოვნად აისახა მის სტილზე, გარეგნულ ფორმასა და ფასადზე, მაგრამ შინაარსი ყოველთვის იყო ქართული. ცნობიერებისა და საზოგადოების სოციალური განვითარების კუთხით მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი და ფასეული ევროპული ღირებულებები—თავისუფლების, თანასწორობისა და ერთობის იდეები მთლიანად განსხვავდებოდა აზიისაგან. ამ კონტექსტში განსახილველად საინტერესოა რენესანსის პერიოდის საქართველო, რომელიც წარმოადგენდა მოწინავე ევროპულ ქვეყანას ადამიანის უფლების დაცვის თვალსაზრისით. მან, ერთ-ერთმა პირველმა შექმნა „ომბუცმენის ინსტიტუტი“— კარი სააჯო. რომელიც სხვადასხვა სახის გადაცდომების გასაჩივრების საშუალებას იძლეოდა. თამარის მეფობისას იკრძალებოდა „ასოთა მოკუეთა“ ანუ დასახინრება, რაც მოგვიანებით აშშ-ს კონსტიტუციის შესწორებებიდან ერთ-ერთ მუხლში ჩაიწერა — „სასტიკი ან უჩვეულო სასჯელის გამოყენების“ აკრძალვა. მოგვიანე-

ბით, კი ყუთლუ არსლანის პოლიტიკურმა დასმა მოითხოვა „ისნის კარავის“ დაარსება რომელიც პარლამენტის მსგავსი საკანონმდებლო უფლებებით აღჭურვილი მუდმივი დაწესებულება უნდა ყოფილიყო. თუ საკაცობრიო პოლიტიკურ აზროვნებაში ხელისუფლების განაწილების პრობლემის კლასიკური განზოგადოებანი ეკუთვნის ჰობსსა და მოტესკიეს, ქართული პოლიტიკური აზროვნება საკითხის დასმის წესით ამ განზოგადოებათა პროლოგია. სამწუხაროდ, ისტორიული განვითარების ბედუკუდმართობისა და ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, საზოგადოების დემოკრატიული განვითარების ტენდენცია ნაადრევად განიშუხტა და საქართველომ შეწყვიტა ბუნებრივი განვითარება. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე პოლიტიკურად საქართველო ისლამური სამყაროს წევრი იყო, მაგრამ საყოველთაო აზრის თანახმად, ყოველივე ეს საქართველოს შინაგანი რწმენის საპირისპიროდ ხდებოდა. მისი ძირითადი მიზანი ისევ დასავლეთისაკენ ხიდების გადება, გადასავლურობა იყო, რაც ამავე დროს საკუთარ ჭეშმარიტ ბუნებასთან ხელახლა დაბრუნებად მოიაზრებოდა. ამას ემსახურებოდა ქართველი მწერლისა და ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა საფრანგეთის მეფე ლუი XIV–სთან. სულხან-საბამ სცადა კათოლიკურ რწმენაზე მოექცია საქართველო იმ იმედით, რომ დასავლეთი კათოლიკური ქვეყნის დაცვას უფრო მოინდომებდა. „ამწუხაროდ, ეს ვიზიტი უშედეგო აღმოჩნდა, ვინაიდან საქართველო მსოფლიო პოლიტიკური ძალების მაშინდელი კონფიგურაციიდან გამომდინარე არ შედიოდა დასავლეთის პოლიტიკური ინტერესების სფეროში. ამიტომაც, საბოლოოდ ჩვენმა ევროპულმა გზამ რუსეთზე გაიარა, მაგრამ როგორც კი დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, კიდევ ერთხელ გამოვაძლავნეთ ჩვენი ევროპელობა, დაგაარსეთ იმ დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო დემოკრატიული კონსტიტუციით.

საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, პოლიტიკური კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რომელიც ადრე ჩვენი ტრავადიის სა-



თავე იყო, ჩვენს სასარგებლოდ შემოტრიალდა სამი გეოპოლიტიკური სივრცის – დასავლეთის, ისლამური სამყაროსა და პოსტსაბჭოთა სივრცის – გადაკვეთის წერტილში ყოფნა წარმოადგენს რუსეთის პოლიტიკური ინტერესებიდან თავდაცვის რეალურ საშუალებას დასავლეთი ისლამური ნავთობის ალტერნატიული წყაროების ძიების კვალდაკვალ სულ უფრო და უფრო ყურადღებით ექცევა პოსტსაბჭოთა სივრცეს. მისთვის უფრო სანდოა კონტროლირებადი პატარა ქვეყნებისაგან შემდგარი კავკასიური დერეფანი, რომელშიც საკვანძო ადგილი საქართველოს უკავია, საქართველო საკვანძო მნიშვნელობისაა რუსეთისათვის პოსტსაბჭოთა სივრცის სამხრეთ ნაწილის შესანარჩუნებლად ამიტომაც რუსეთი განსაკუთრებით მგრძობიარეა საქართველოს გეოპოლიტიკური კურსის მიმართ, დაინტერესებულია საქართველოს ხელისუფლების ფორმირების პროცესებით და ცდილობს მის კორექციას. საქართველოზე რუსეთის გავლენის ძირითადი ინსტრუმენტი არის ეთნოკონფლიქტები, ეკონომიკური და ინფორმაციული ომი.

ინფორმაციული ომი წარმოადგენს ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის საინფორმაციო სივრცეში იმ ინფორმაციისა და პოზიციების ინტერვენციას, რომელიც მოსახლეობაში გააჩენს ინტერვენტისათვის საჭირო სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოკიდებულებებსა და პროცესებს. საინფორმაციო ომის იარაღია: მასმედია, ლიტერატურა, ხელოვნება, ჭორი და სხვ. ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც ცვლიან მოსახლეობის ქცევას ინტერვენტი ქვეყნისათვის საჭირო მიმართულებით. ინფორმაციული ომი შეიძლება არსებობდეს პერმანენტულად, „ცხელი“ ომისაგან დამოუკიდებლად.

თანამედროვე ეტაპზე საინფორმაციო ომი სამი მიმართულებით მიმდინარეობს:

1. საკუთარი ქვეყნის მოსახლეობაში პატრიოტული გრძობების ამაღლება,

ტელევიზიისა და მასმედიის სხვა საშუალებებით წარსული დიდების შეხსენება და სხვ.

2. მოწინააღმდეგე ქვეყნის მოსახლეობაზე სხვადასხვა პოლიტიკური ტექნოლოგიებით ზემოქმედება, მოწინააღმდეგე ქვეყნის იმიჯის შელახვა, მათი ხელისუფლების დამნაშავეებად გამოყვანა და სხვ.

3. საზოგადოებრივი აზრის მობილიზება და მომხრობა.

განვიხილოთ სამივე ცალ-ცალკე რუსეთ-საქართველოს საინფორმაციო ომის მაგალითი, რადგან საქართველოს შესახებ უარყოფითი ინფორმაციის გავრცელების ძირითადი კერა დაინტერესებული ქვეყანა რუსეთია.

პირველი მიმართულებაა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთარი ქვეყნის მოსახლეობისათვის ინფორმაციის დასაშვები დოზით მიწოდება, პატრიოტული გრძნობების ამძღვრება, ცალკეული მებრძოლების გმირებად გამოცხადება ხელისუფალის პატრიოტად და ძლიერ მხედართმთავრად წარმოჩენა.

რუსეთში პუტინის გაპრეზიდენტებიდანვე იწყება რუსული ნაციონალიზმის რენესანსი. თავისთავად ეს საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ როცა ნაციონალიზმი არადემოკრატიულ სივრცეში ძლიერდება, იგი აუცილებლად გადაიზრდება შოვინიზმსა და ქსენოფობიაში. ამ შემთხვევაში ასეც მოხდა. პუტინმა ქვეყნის იდეოლოგიად სუვერენული დემოკრატიის იდეა დააფუძნა. მან ზუსტად გათვალა დასავლეთთან ცივილიზებული ინტეგრაციის პროცესის სირთულეები და მკვეთრად გაემიჯნა იმ დემოკრატიას, რომლის დეფიციტსაც ხშირად ახსენებდა მას დასავლეთი. ამით მან მიიღო ერთგვარი პრევენციული ზომები პოლიტიკური პროცესების შემდგომ განვითარებაზე, თუნდაც რუსეთ-საქართველოს ომის შემთხვევაში. მისი სუვერენული დემოკრატია დაფუძნებულია რუსეთის ისტორიაზე, მის კულტურასა და გამოცდილებაზე. პუტინმა შექმნა ის რუსეთი, რომელიც დღეს 65–70%-ს მოსწონს და კურსი ისტორიული რევანშის უტოპიურ, მაგრამ ეფექტურ მირაჟზე აიგო, რომელიც „დიდ ენერგეტიკულ დერჟავას“ ჰპირდება რუს ობივატელს. ამასთანავე ეს მირაჟი მიმზიდველად და შეფუთული ეროვნული იდეალების, თვითმყოფადობისა და დემოკრატიის სამოსელში. იგი საერთოა და მისაღები თითქმის ყველა პარტიისა და სოციალური

ფენისათვის. ექსპანსიებსა და ძარცვა – მითვისებასთან მიმართებაში რუსული ცნობიერება უაღრესად მდგრადია. მოცემულ სფეროში ერი და ბერი ყოველთვის ერთად იდგა და ასეა დღესაც. პრესა რუსეთის სახელმწიფო რუპორია. მისი დახმარებით საზოგადოებრივ აზრს ამზადებს და „სამხრეთისაკენ უკანასკნელი ნახტომისათვის” ემზადება. არანაკლებ მნიშვნელოვანია „გმირი” რუსი ჯარისკაცების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ამის ერთ-ერთი მაგალითია აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის პროპაგანდისტული მანქანის მუშაობა, რომელმაც მთელ მსოფლიოს მოსდო, რომ ამერიკელი სამხედროების მიერ მომზადებული ქართველი სამხედროები კუდამოძუებული გარბოდნენ და ეს რუსეთის სამხედრო მანქანის ამერიკულზე სერიოზული გამარჯვებააო. ამ პროპაგანდამ მიზანს მიაღწია და ამის შემდეგ პენტაგონმა იმიჯის გამოსასწორებლად მოახდინა აშშ-ს შეიარაღებული ძალების ევროპული სარდლობის მიერ გამოგზავნილი სამხედრო ჯგუფის შეფასებების ნაწილობრივი გაუქნვა პრესაში, რათა მსოფლიოსთვის დაენახებინა, რომ ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები კარგად ამზადდნენ ქართველ კოლეგებს, მაგრამ ვერ ივარგა თავად ქართველი არმიის მეთაურობამ.

ნაწილობრივ ჩვენთანაც მიმდინარეობდა ამ კუთხით მუშაობა. აქტიური ომის დროს პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული ქართული ფილმების ჩვენებამ მოსახლეობაში დადებითი ემოციები გამოიწვია, მაგრამ იგი რამდენადმე გაანეიტრალა არაქართული იმიჯის, მაგრამ დადებითი გმირების ტანჯული ცხოვრების ამსახველმა ტელესერიალებმა.

მეორე მიმართულებას წარმოადგენს მოწინააღმდეგე ქვეყნის მოსახლეობაზე სხვადასხვა პოლიტიკური ტექნოლოგიებით ზემოქმედება, ხელისუფლების დამნაშავეებად წარმოჩენა, მოსახლეობის დაშინება, მათი ეკონომიკისა და არმიის სისუსტის ჩვენება, „მეგობრული ბერკეტების” ამოქმედება და სხვ.

რუსულ საიტზე მსოფლიომ ნახა ფილმი, რომელიც ომის დროს ქართველთა სისასტიკეს ეხება. სამწუხაროდ, ჩვენი მხრიდან ეს ქმედება როგორც ბევრი სხვა, პასუხგაუცემელი დარჩა,

რაც ინფორმაციული კულტურის დეფიციტზე მიუთითებს. არა-და რუსი ჯარისკაცების სისასტიკის აღბეჭდვას დიდი ფანტაზია ნამდვილად არ დასჭირდებოდა. ანტიქართულ კამპანიაში მრავალი ორგანიზაცია და ჟურნალისტი ჩართული ერთობლივი ძალისხმევით ჩამოყალიბდა რეაღურისა და მოგონილის ერთიანი, საკმაოდ შთამბეჭდავი სისტემა, რომლის ცალკეული ელემენტი ოსტატურადაა მეორესთან გადაბმული და მთლიანობაში საქართველოს შავბნელ სურათს ქმნის. რუსეთი ინფორმაციული ომის დროს ეყრდნობა თანამედროვე სპინტექნოლოგიებს. სპინი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს დატრიალებას. მაგ: რუსეთისა და ჩვენ მასმედიაში, გაჟღერდა ერთი და იგივე ინფორმაცია საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მიერ სხვადასხვა ქალაქებში ჩატარებული საპროტესტო აქციების შესახებ, მაგრამ აქცენტები იყო განსხვავებული. რუსეთში გაკეთდა იმაზე თუ რამ აიძულა ამდენი ქართველი წასულიყო საზღვარგარეთ ბედის საძიებლად და ამ ინფორმაციამ შეიძინა ნეგატიური დატვირთვა. რუსები აქტიურად იყენებენ გადაფარვის აპრობირებულ ტექნოლოგიასაც, როდესაც ინფორმაციას კი არ ბლოკავ (როგორც ამას ქართველები აკეთებდნენ რუსულ საინფორმაციო არხებთან მიმართებაში), არამედ მას გადაფარავ რაიმე მოვლენით, მაგ: რუსულმა მასმედიამ მაკკეინის სიტყვების – „ახლა ჩვენ ყველანი ქართველები ვართ“ საპირწონედ გამოაქვეყნა 2008 წლის აგვისტოში „ვაშინგტონ პოსტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია სააკაშვილის ხელისუფლებასა და მაკკეინის პირად მრჩეველ რენდი შენემანს შორის არსებული ფარული კომერციული გარიგების შესახებ რომლის თანახმადაც შენემანის კომპანია „ლორინსტრატჯიმ“ ვაშინგტონში საქართველოს ხელისუფლებასთან სტრატეგიული კონსულტაციის მიზნით 200 000 დოლარიანი კონტრაქტი გააფორმა ამის სანაცვლოდ იგი ასრულებდა საქართველოს ლობისტის ფუნქციებს 2007 წლის 1 იანვრიდან 2008 წლის 15 მაისის ჩათვლით საქართველოს მთავრობამ აღნიშნულ კომპანიას კვლავ 290 000 დოლარი გადაურიცხა, შესაბამისად, მაკკეინმა 2004 წლიდან საქართველოს მთავრობის მხრიდან 1000000 დოლარი მიიღო.

აღსანიშნავია, რომ თანხის გამოყოფა პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდებოდა, ამგვარად უკანასკნელმა ინფორმაციამ, რომ სააკაშვილს მაკკეინი ენთუზიასტურ საწყისებზე სულაც არ ექომაგებოდა და ეხმარებოდა, პირველი ინფორმაციისაგან გამოწვეული დადებითი ემოციები შეცვალა.

ხალხში ფსიქოზის დანერგვის მაგალითია ამ დღეებში რუსულ მასმედიაში გამომჩენილი ინფორმაციები, თითქოს რუსეთის ხელისუფლება საქართველოზე და კერძოდ თბილისზე შეტევის ორ შესაძლებლობას განიხილავს: ერთი, რუსი გენერლების მიერ მომზადებული საბრძოლო მოქმედების გეგმა ითვალისწინებს თბილისში საჰაერო დესანტის გადმოსხმას და დელაქალაქზე სატანკო შეტევებს და მეორე, უფრო „ჰუმანური“ კი, თბილისის ბლოკადაში მოქცევას და მოსახლეობის მიერ თეთრი ბაირაღების გადმოფენას. ეს არის ტიპიური რუსული ფსიქოლოგიური ომის მაგალითი, რომელიც რაც არ უნდა დაუჯერებელად ჟღერდეს, ზოგიერთმა ქართულმა საინფორმაციო სააგენტომ და ტელევიზიამ აიტაცა.

მესამე მიმართულება გულისხმობს საერთაშორისო აზრის მიმხრობასა და რაც შეიძლება მეტი მხარდაჭერის მოპოვებას ძლიერ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის.

რუსეთ–საქართველოს ომის პირველ ეტაპზე საქართველომ შეძლო საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია და მათი მხარდაჭერის მოპოვება. ჩვენი პრობლემა ქვეყნის საზღვრებს გააცვილია და მსოფლიო პრობლემად წარმოაჩინა. მან შეძლო დაერწმუნებინა ცივილიზებული მსოფლიო, რომ საქართველო რუსეთისათვის არის სამხედრო მოქმედებების თეატრი, რუსეთის აგრესია კი, გზავნილი თავისუფალი სამყაროსათვის, რომელიც სამ რამეს გულისხმობს: 1. რუსეთს შეუძლია ცალმხრივად და ძალადობრივად საზღვრებისა და თანამედროვე ევროპის რუქის შეცვლა – საქართველოზე განხორციელებული აგრესიით იგი აფრთხილებს ბალტიისპირტეთსა და აღმოსავლეთ ევროპას; 2. მას სურს ერთადერთ არარუსულ ენერგოდერეფანზე განახორციელოს მონოპოლიზაცია და 3. იგი არ მო-

ითმენს თავის სამეზობლოში დემოკრატიის განვითარებასა და აშშ-ს დიქტატს.

სწორად წარმართული პოლიტიკის შედეგად საინფორმაციო ომში გარკვეული წარმატებები მოვიპოვეთ. ამის მიზეზი იყო ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკური აქტიურობა, ყველაზე მსხვილ მედია კომპანიებში სი-ენ-ენ-სა და ბი-ბი-სი-ს არხებზე პრეზიდენტის ხშირი სტუმრობა, ინტენსიური კონტაქტები უცხოელ ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. შესაბამისად, ამას მოჰყვა აშშ-ის კონგრესის ორივე პალატის, ევროკავშირის, ნატოს გენერალური მდივნისა და სხვ. საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან რუსეთის ქმედებების მწვავე შეფასებები, რის გამოც, რუსეთი საერთაშორისო სარბიელზე თავდაცვით პოზიციაზე აღმოჩნდა. ამ ურთიერთობების შედეგად მიღებული დადებითი ეფექტი განსაკუთრებით მკვეთრი იყო რუსული ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების ფონზე – კრემლმა უარი თქვა ამ სახის ურთიერთობებზე, რუსი სამხედროები კონფლიქტის ზონაში უცხოელ ჟურნალისტებს არ უშვებდნენ. მაგრამ როდესაც რუსებმა თავიანთი შეცდომების ანალიზი გააკეთეს სიტუაციაც რადიკალურად შეიცვალა. ამას მოჰყვა სტატიების მთელი ციკლი, რის შემდეგაც უკვე „ჰუმან რაითს ვოთჩი“ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ღიად იწყებენ წერას იმის თაობაზე, რომ ქართულმა მხარემ ცხინვალში კასეტური ბომბები გამოიყენა. ერთ-ერთ ინტერვიუში გაოცებულმა ბერნარ კუშნერმა თქვა: ვიცოდით, რომ კასეტური ბომბები გამოიყენეს, მაგრამ ასე მასობრივად თუ დაბომბეს, არ ვიცოდით. ამ ანტიქართულ რიტორიკას ქართული მხარის პასიური პოზიციაც უწყობდა ხელს. 28 ოქტომბერს ვაშინგტონში კავკასიის პრობლემებზე ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, ანკარის უნივერსიტეტის პროფესორის და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის დირექტორის პოლ გოლდის მოხსენებები და სხვა სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებანი. საქართველო საინფორმაციო ომში დამარცხდა და ეს დამარცხება მრავალმა ფაქტორმა გამოიწვია ესენია: მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეო-

ბა, „ცივილურ ქვეყნებთან” რთული სავიზო რეჟიმი, რუსეთში მოსახლეობის დიდი ნაწილის გადახვეწა. ამ ომში გამოყენებული იქნა ჩვენი ხელისუფლების შეცდომები და მოხდა მათი სიმწვავის ჰიპერბოლიზაცია. პრაქტიკამ აჩვენა, რომ რეპრესიული მეთოდებით თავდაცვა შეუძლებელია. თავდაცვისათვის საჭიროა ქვეყნის იმიჯის ასამაღლებლად კომპლექსური გეგმის შემუშავება და მათი განხორციელება: 1. რეალური პოზიტიური ცვლილებები ჩვენს ქვეყანაში და მათი დამაჯერებელი წარდგენა მოსახლეობისათვის. 2. ჟურნალისტთა მომზადების მთელი სისტემის გარდაქმნა. ჟურნალისტს ნათლად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, თუ რა არის სახელმწიფო ინტერესები, რას ნიშნავს სახელმწიფოსათვის ზომიერება და კორექტულობა მასალათა გაშუქება – გადაცემაში. 3. დაუყოვნებლივ შეიქმნას ისეთი სამსახური, რომელიც საქართველოს ისტორიას, მის კულტურას, შესაძლებლობებს საერთაშორისო დონეზე შეუღამაზებლად წარმოაჩენს და ამ გზით მის წინააღმდეგ მიმართული ნეგატიური მასალების ნეიტრალიზებას შესძლებს. 4. ქვეყნის პოზიტიური იმიჯის შექმნა მისი ინტერესების დაცვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულება უნდა გახდეს, სადაც მოხდება სახელმწიფოს პროგრესული ძალების კონსოლიდაცია.

**Keti Jijeishvili (Tbilisi)**

**EURO-ATLANTIC INTEGRATION AND INFORMATION WARFARE  
AGAINST GEORGIA**

summary

The given article outlines the place of Georgia in the contemporary world and its political choice between Russia and the West, since their interaction considerably effects the development of political events in the Post-Soviet Georgia. The discourses and scientific researches with regard to what does the Europe mean, Georgia's attitude towards it and the attitude of West towards us is a matter of vital importance for Georgia. The author does not aim at clarifying political strategy of the contemporary world. Her only modest objective is to make political analysis of some of the aspects of information warfare presently taking place between Georgia and Russia, creation of sufficient defense mechanisms for our country and activation of scientific interest in presented problems.



## რეზო მანველიძე (ბათუმი)

### მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო

დღეს, ყველა საუბრობს ეკონომიკურად განვითარებული და გარდამავალი ქვეყნების ფინანსურ კრიზისზე, სხვადასხვაგვარად განსჯიან მის გამომწვევ მიზეზებს, განვითარების ტენდენციებს, მოსალოდნელ შედეგებს.

ჩვენის აზრით, აღნიშნულის თაობაზე ერთიანი შეხედულების ჩამოყალიბება შეუძლებელი და რეალობას მოკლებულია. შევეცდებით მოკლედ, კონცეპტუალურად ჩამოვაყალიბოთ კრიზისის თეორია (გენეტიკა), უკანასკნელი მწვავე ლოკალური და გლობალური კრიზისები, მათი გამომწვევი მიზეზები, მოქმედების მასშტაბები, დაძლევის მექანიზმები.

კრიზისის თეორია ეფუძნება ორ ძირითად მდგომარეობას. პირველი, ეს არის შრომის ღირებულებითი თეორია, რომლის ძირითადი არსი ისაა, რომ შრომის პროცესი იყოფა წარმოების ორ ფაქტორად: შრომა და კაპიტალი. კაპიტალიზმი შრომის პროცესს განიხილავს, როგორც კერძო სუბიექტური შეხედულებებით ცვალებად საკუთრებას, ხოლო კაპიტალი მუდმივად მზარდი კატეგორიაა, რაც აღნიშნული ფორმაციის განუყოფელ პრობლემად ითვლება. ძირითადი პრობლემა იმაშია, რომ კაპიტალის ძირითადი ნაწილი იმყოფება არა ფულად, არამედ აქტივების ფორმაში. აქტივების ღირებულება, როგორც წესი, განისაზღვრება ბაზრის სურვილით მისი შეძენის მიმართ. კერძოდ, თუ თვალს გავადევნებთ შესყიდვის ჯაჭვს, გარკვეულ მომენტში ფიქსირდება საბოლოო მოთხოვნა, *ანუ მოთხოვნა სახელმწიფოს ან მომხმარებლის მხრიდან. ეს უკანასკნელი მოქმედებს შრომის მიმართ საწარმოო ურთიერთობების ჩარჩოებში, ხოლო სახელმწიფოს მოთხოვნა ასევე დამოკიდებულია მომხმარებლის შესაძლებლობებზე.*

მოთხოვნის ზრდის ჩამორჩენა კაპიტალის ზრდის ტემპზე სპეციალური ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში იწვევს კაპიტალის გაუფასურებას და ხდის არაეფექტურს, რაც

იმაზე მიუთითებს, რომ კაპიტალის ზრდასთან შეფარდებით მოთხოვნილების ზრდის მოცულობის შემცირება აუცილებლად იწვევს ყოველი ერთეული ახალი კაპიტალიდან მიღებული მოგების მოცულობის შემცირებას.

აღნიშნული პრობლემის მოგვარებას კაცობრიობა ისტორიის განმავლობაში ცდილობს სამი ძირითადი მეთოდით. პირველი აღმოცენდა კლასიკური კაპიტალიზმის პირობებში, როცა რეგულარულად ხდებოდა ჭარბწრომობა, დღის წესრიგში დგებოდა აქტივების განაწილების და ზედმეტი კაპიტალის „განტვირთვის“ აუცილებლობა. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პარალელურად კრიზისები უფრო ძლიერდებოდა და საჭირო ხდებოდა ახალი მეთოდების ძიება.

მეორე მეთოდო მდგომარეობდა კაპიტალის კონცენტრაციაში ჯერ კიდევ აუთვისებელ ტერიტორიაზე, რომელმაც შეუქცევადად გამოიწვია მძაფრი კონკურენცია ერთის მხრივ, სარეალიზაციო ბაზარზე და მეორეს მხრივ, კაპიტალის ბაზარზე. ეს პროცესი დასრულდა I და II მსოფლიო ომებით.

საბჭოთა კავშირის შექმნა და სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბების მცდელობა საფრთხეს უქმნიდა საბაზრო ეკონომიკის სისტემის არსებობას, ამიტომაც აუცილებელი გახდა მსოფლიო ფინანსების რეგულირების სისტემის ჩამოყალიბება ბრეტტონ-ვუდის შეთანხმების ფარგლებში. სწორედ 1944 წლიდან იწყება არაერთი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომლებიც ცდილობენ კაპიტალის მოძრაობის რეგულირებას.

ეკონომიკური კრიზისის მეორე საბაზო ელემენტად, ზოგიერთი თეორიის მიხედვით მოიაზრება შრომის მსოფლიო დანაწილება, რომელიც პრინციპულ როლს თამაშობს სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის კონკრეტული მოდელის ფორმირებაში. ნებისმიერი მოდელის პრინციპული თავისებურება არის ის, რომ სამეცნიერო ტექნიკურ პროგრესს თან ერთვის შრომის დანაწილების პროცესის გაღრმავება, გასაღების ბაზრის მოცულობის ზრდა, ამ ბაზრების კონტროლირება. შესაბამისად, ტექნოლოგიურად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიცხვი თანდა-

თანობით მცირდება. XX საუკუნის დასაწყისში ასეთი ქვეყნები ევროპოში სულ ხუთი იყო. (რუსეთის იმპერია, გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი). მაშინ, როცა XIX საუკუნის შუა პერიოდისათვის მათი რიცხვი ათეულებს აღწევდა, XX საუკუნის შუა ხანებში კი, პრაქტიკულად მსოფლიოში იყო მხოლოდ ორი ასეთი ქვეყანა, საბჭოთა კავშირი და აშშ.

XX საუკუნის დასაწყისამდე ეკონომიური კრიზისი ატარებდა ერთჯერად ხასიათს და ერთდროულად ვრცელდებოდა ძირითადად ერთ, ორ ან სამ ქვეყანაში. სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი და ინდუსტრიის განვითარება, საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური კავშირ-ურთიერთობების გაფართოება ცვლის კრიზისის დინებას და ის თანდათანობით გადაიქცევა მსოფლიო კრიზისად. მსოფლიო ეკონომიკის ისტორია მოწმობს, რომ ყოველ ათ-თორმეტ წელიწადში ქვეყნის, განსაკუთრებით ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკა განიცდის რყევებს, რასაც ხშირ შემთხვევაში მიყვავართ ფინანსურ კრიზისამდე. კრიზისები იწვევს ბევრი მსხვილი საწარმოს ლიკვიდაციას, საფინანსო სისტემის მოშლას, მასიურ უმუშევრობასა და საზოგადოებრივი ურთიერთობების გამწვავებას.

პირველ საერთაშორისო კრიზისად აღიარებულია 1825 წლის კრიზისი. შემდგომ წლებში ცნობილია 1836-1938 წლების, 1857 წლის, 1873 წლის, 1893 წლის, 1907 წლის, 1920-1922 წლების, 1929 წლის, 1933 წლის, 1973 წლის, 1987 წლის, 1994-1995 წლების, 1997 წლის, 1998 წლის კრიზისები. მათი გამომწვევი მიზეზები იყო სხვადასხვა, დაწყებული ინვესტირებისა და საბანკო დაწესებულებების პანიკით, დამთავრებული დეფოლტეს მეთოდებით, ექსპორტ-იმპორტის დაუბალანსებლობით, ინფლაციით, საგადამხდელო ბალანსის რღვევით, უმუშევრობის ზრდით, სახელმწიფო ვალების დაგროვებით და სხვა.

ზემოაღნიშნული კრიზისები მაშტაბებისა და ხასიათის შესაბამისად სხვადასხვა ქვეყნისათვის ქმნიდა სხვადასხვა საშიშროებებს. დღევანდელი კრიზისის მოსალოდნელი საშიშროებები შეიძლება დავაჯგუფოვდ შემდეგნაირად:

1. საბანკო სისტემის ლიკვიდურობის შემცირება;

2. ზოგიერთი სახის სურსათის დეფიციტი;
3. სურსათის და სხვა სამომხმარებლო საქონლის ფასების ზრდა;
4. მსხვილი კომპანიების საკრედიტო დავალიანებების მოსალოდნელი დეფოლტი;
5. უძრავი ქონების ფასების დაუსაბუთებელი მკვეთრი ვარდნა;
6. ეკონომიკის მართვის სისტემის მოშლა;
7. დემონოლოგიური კრიზისი;
8. ენერგეტიკული რესურსების უკმარისობა.

ასევე, მეტად საინტერესოა ის, თუ როდის დამთავრდება და რამდენად დაუნდობელი იქნება კრიზისი, მისი ხანგრძლივობა ისევე როგორც სიმწვავე პირველ რიგში დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შემხვედრ ღონისძიებებს გაატარებენ ინდუსტრიული სახელმწიფოები, მსხვილი კომპანიები, მდიდარი ადამიანები. თუ ისინი არ იქარებენ ეკონომიკის სტაბილიზაციისაკენ, რაც გამოიხატება „ქამრის მოჭერაში“, „ფართოდ გაშლილი ფეხის მოხრაში“, ქვეყნებს შორის თანამშრომლობის საზოგადოებრივ სარგებლიანობაში, კონფლიქტური სიტუაციების შენელებაში და სხვა. ჩვენი აზრით კრიზისი ადრე თუ გვიან დამთავრდება, მაგრამ მსოფლიო აღარ იქნება კრიზისამდელი, აუცილებლად მოწესრიგდება არაერთი დღემდე არსებული მღელვარების გამომწვევი მიზეზები. ეკონომიკური კრიზისი (krisis ბერძნულია და ნიშნავს შემობრუნების წერტილს).- ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, რომელიც ვლინდება წარმოების მნიშვნელოვან დარგებში წარმოებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებული კავშირების მოშლაში, საწარმოთა გაკოტრებაში, უმუშევრობის ზრდაში და შედეგად იწვევს მოსახლეობის ცხოვრების დონის შემცირებას.

ეკონომიკური კრიზისის დადგომამდე მსოფლიოს ადელფეგებდა 2007 წლის გაზაფხულზე წარმოქმნილი ფინანსური კრიზისი, რომელიც განუწყვეტლივ არყევს მსოფლიო საფონდო ბაზრებს. ამერიკის იპოთეკურ ბაზარზე განვითარების საწყის ეტაპზე ის არ აღელვებდა გავლენიან ბიზნესმენტა დიდ ნაწი-

ღს, წამყვანი სახელმწიფოების ზოგიერთ ლიდერს, რადგანაც მას მარტო აშშ-ის პრობლემად მიიჩნევდნენ, არ ითვალისწინებდნენ იმას, რომ მისი დინამიკა იმდენად ყოველისმომცველი და ძლიერი იყო, რომ იგი კრიზისის შედეგებს აუცილებლად გაავრცელებდა სხვა ქვეყნების ფინანსურ სისტემებზე.

ბუნებრივია, რომ კრიზისის შედეგების თაობაზე ეკონომისტებს, პოლიტიკოსებს, სახელმწიფო მოღვაწეებს აქვთ სხვადასხვა პროგნოზი. ჩვენი აზრით, პროგნოზის კონკრეტულად გაწერა დროსა და სივრცეში ახლანდელი კრიზისის გლობალურობიდან გამომდინარე შეუძლებელია. შესაძლებლად ვთლით პრობლემის სირთულიდან გამომდინარე უპრიანიო იქნება მოხდეს პროგნოზის მახასიათებლების დაჯგუფება პესიმისტურ და სავარაუდო ვარიანტებად.

ზოგიერთი ეკონომისტი ამჟამინდელ კრიზისს აფასებს, როგორც ლიკვიდურობის კრიზისს და მას მიიჩნევს არა სეზონურ რყევად, არამედ მასშტაბურ ეკონომიკურ დაქვეითებად საქმიანობის ყველა სფეროში. მათი მტკიცებით, სუსტად დაცულ ფინანსურ სისტემებში უკვე 2008 წლის დასაწყისიდანვე იწყება მწვავე კრიზისი. კერძოდ, თურქეთის, პოლონეთის, მაღაიზიის, ფილიპინების, უკრაინის, ლატვიის ფინანსურ უწყებებში აქტიურად საუბრობენ დეფოლტზე, ირღვევა საბანკო სისტემები, მოსახლეობის შემოსავლების, დანაზოგების მიმართ სახელმწიფო და კორპორაციული ფინანსები გახდნენ უიმედოები. პროგნოზული გათვლებით აშშ-ის ფინანსური სისტემა ძალეებს მოიკრებს 2010 წლიდან. ხოლო დანარჩენი ქვეყნების ფინანსები კვლავ მუხლებზე იქნება დაჩოქილი.

სამწუხაროდ, კრიზისის მოსალოდნელი მასშტაბებისა და შედეგების შესახებ ერთიანი მიდგომა დღემდე ვერ ჩამოყალიბდა და ამგვარი პროგნოზი ცალკეული პირების, სუბიექტების მოსაზრებათა დონეზეა. ამგვარი ტენდენციის შენარჩუნებას, ვფიქრობთ, სტიმულს აძლევს წამყვანი სახელმწიფოების ჰეგემონისტური მისწრაფებები. ჩვენი აზრით, მსოფლიოს, განსაკუთრებით ინდუსტრიულ ქვეყნებს გავლელი კრიზისების მრავალმხრივობის გათვალისწინებით აქვთ საკმარისი გამოცდილე-

ბა ქვეყნის შიგნით და მსოფლიო საფინანსო ბაზარზე განახორციელონ ეფექტური სწრაფმოქმედი და კონკრეტული ღონისძიებები კრიზისის თითოეული დადამავალი ფაზის ვადების შესამცირებლად და სიმწვავის შესარბილებლად.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი შეეხება ქართულ ეროვნულ მეურნეობას. ის შეეცდება შეამციროს ათასობით მოქალაქის ჯიბე, ლიკვიდაციის ზღვარზე მიიყვანოს უცხოური კაპიტალის შემცველი მსხვილი კომერციული სტრუქტურებიც კი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ მსოფლიო კრიზისი გამოაყვანს ქართული ბიზნესსექტორის ნეგატიურ მხარეებს თანამედროვე კონკურენციულ ბრძოლაში. ამასთან იმედს ვიტოვებთ, რომ სწორედ კრიზისი გვაიძულებს ქვეყანაში შევქმნათ პერსპექტიული პროექტების ძლიერი ტალღა და ეკონომიკის ინტეგრაციის მყარი საფუძველი, მეწარმეობის ახალი სფეროები და ახალი საბაზრო სეგმენტები.

უნდა ვადიაროთ, რომ ჩვენი მოსახლეობა მთლიანად არ არის მომზადებული კრიზისიდან გამოსასვლელად. ბევრი ვერ აცნობიერებს მოსალოდნელ პრობლემებს, ბევრმა არ იცის მასთან საბრძოლველად რომელი გადაწყვეტილება იქნება წარმატებული. კონკურენტუნარიანმა კომპანიებმა, ბანკებმა და სხვა საფინანსო ინსტიტუტებმა დღეიდანვე უნდა შეიმუშაონ ანტიკრიზისული ღონისძიებები და დაიცვან საკუთარი პოზიციები. არაა გამორიცხული მათ მოუხდეთ ე.წ. „ბუნებრივი გადარჩევის“ პროგრამების რეალიზაცია.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისი პირველ რიგში ამცირებს მოთხოვნას იმ პროდუქტებზე, რომლის ფასებიც საშუალო ნიშნულის ფარგლებშია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდება შრომის ანაზღაურება, მომუშავეთა რაოდენობა, სამუშაო დღის ხანგრძლივობა და სხვა. ამ მაჩვენებელთა შემცირების პარამეტრები ჩვენს ქვეყანაში თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წილის გათვალისწინებით 15-30 % ფარგლებშია მოსალოდნელი და მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია ანტიკრიზისული ღონისძიებების მოქმედების ეფექტურობაზე აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში, რუსეთში.

## **საქართველო რუსეთსა და დასავლეთს შორის**

იალტა-პოტსდამიის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის და მასთან ერთად ძველი წესრიგის მოშლამ და გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის ბრძოლამ მსოფლიო პოლიტიკას ახალი წინააღმდეგობრივი კერები და კრიზისები მოუტანა. ერაყის, ავღანეთის, ბალკანეთის და კავკასიის კრიზისები ამის მკაფიო მაგალითად გამოდგება. ამ კუთხით კავკასიის კრიზისი, რომლის მთავარი დერძი რუსულ-ქართული დაპირისპირებაა, გარკვეული ასპექტების მატარებელია იმდენად, რამდენადაც აშკარად ჩანს დასავლეთის და რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების შეუთავსებლობა, რაც სწორედ საქართველოს, როგორც წინააღმდეგობრივი კერის გადაქცევას უწყობს ხელს.

რა არის ამიერკავკასიის რეგიონი და მისი შემადგენლი ნაწილი საქართველო გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთისა და დასავლეთისათვის? რა ადგილი უჭირავს მას მათ სტრატეგიულ პარტნიორობაში? და რა საფუძველზე შეიძლება იქნას მიღწეული პარიტეტი რუსეთისა და დასავლეთის სტრატეგიულ ინტერესებში?

ამიერკავკასიის რეგიონის გეოგრაფიული გააზრებისადმი ფართო მიდგომა გამოხატავს ვაშინგტონის სურვილს აქტიური მონაწილეობით დაასაბუთოს თავისი პრეტენზიები რეგიონის გეოპოლიტიკური და ენერგეტიკული რესურსების „საკონტროლო პაკეტში“ მონაწილეობით. მეორეს მხრივ, მისი მისწრაფებაა ჩართოს რეგიონის ქვეყნები თავისი გავლენის სფეროში. ან კიდევ, უკიდურეს შემთხვევაში შეზღუდოს რუსეთის მანევრირებისათვის სივრცე და ამავე დროს შექმნას დარტყმის პლაცდარა ირანისათვის.

ამჟამად, საქართველოს საგარეო პოლიტიკური აქტიურობა აშკარად მეტყველებს თეთრი სახლის ამ მისწრაფებებისათ-

ვის ხელის შეწყობას და ახალი საგარეო გამოწვევების პირობებში მოქმედების შესაბამისი პრინციპებისა და მიმართულებების განსაზღვრის აუცილებლობას.

„დიდი ენერგეტიკული თამაშის“ გამო დაწყებული ინტერესთა კონფლიქტი რეგიონში, სადაც აშკარად იკვეთებოდა რუსეთის და დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების მისწრაფებები, დასრულდა რუსეთის სამხედრო აგრესიის განხორციელებით საქართველოში, რაც აშკარად ავლენს ამ უკანასკნელის მიზანს – ყველა საშუალებით აღუდგეს შეერთებული შტატების გავლენის გაძლიერებას რეგიონში. საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის ტერიტორიაზე კასპიის და ცენტრალური აზიის ენერგომატარებლების გადაზიდვების მარშრუტების გაყვანით, ფაქტობრივად, ცდილობს მოიპოვოს ქვეყნის „ნიეტრალური სტატუსი“ და შექმნას გარკვეული საერთაშორისო გარანტიები. ამერიკა ცდილობს ევროპისკენ მიმავალი მილსადენებით, რუსეთის გვერდის ავლით, შექმნას მიწოდების ახალი სისტემა, რომელშიც აზერბაიჯანი, ცენტრალური აზია და ერაყი იქნებიან ჩართულნი. თუმცა გულხელდაკრეფილი არც კრემლში სხედან.

რუსეთი არ აკლებს მცდელობას მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ბატონობდეს. კრემლი ცდილობდა დაერწმუნებინა აზერბაიჯანი, თურქმენეთი და ყაზახეთი, რომ გაზი ბაზარზე სწორედ რუსეთის გავლით მოხვედრილიყო. ევროპამ რუსულ ენერგორესურსებზე უარიც რომ თქვა და ალტერნატიულ გზებზე დაიწყო ფიქრი, ეს რუსეთს ვერ შეასუსტებს. უკვე დიდი ხანია ჩინეთი და ინდოეთი რიგში დგანან, ხოლო რუსეთის მიერ აფრიკაში ენერგეტიკული აქტივების მოპოვება, ალბათ, კიდევ უფრო გააძლიერებს მოსკოვის მიერ ნავთობისა და გაზის პოლიტიკურ იარაღად გამოყენების მცდელობას.

რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთს არ გაუჭირდება შეაფერხოს საქართველოსა და უკრაინის სწრაფვა ნატოსკენ. უფრო მეტიც, უცხოელი ექსპერტები არც იმას გამორიცხავენ, რომ რუსეთის აფრიკულმა ნაკადებმა შესაძლოა, აშშ-ის ის სტრატეგია შეასუსტოს, რომელიც ევრო-



პაში რუსეთის გავლენის შემცირებისკენაა მიმართული. მთავარი კი ისაა, რომ რუსეთს აქვს ის, რაც ევროპისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჯერჯერობით, რუსეთი ახერხებს ევროპა მის ენერგორესურსებზე იყოს დამოკიდებული და სანამ ევროპას ალტერნატივა არ აქვს, რუსეთის ინტერესები მისი ინტერესები იქნება.

საქართველო რუსეთს სჭირდება, როგორც ნავთობსადენის ერთ-ერთი გამტარი ქვეყანა. მას არ აძლევს ხელს ევროპაში საწვავის გამტარებელი ალტერნატიული არხის არსებობა.

ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქართველოს ხელისუფლების გეგმები, რაც გულისხმობს ძირითადად ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ქვეყნის გაწევრიანებას, ძნელად განსახორციელებელი ხდება. მის რეალიზაციას კიდევ უფრო საეჭვოს ხდის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში სტრატეგიული პარტნიორობის შეზღუდულობა რუსეთსა და დასავლეთს შორის, რაც ახალი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფორმირების გამო ამწვავებს გავლენის სფეროებისათვის ბრძოლას.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფორმირება, აშკარად, დროში გაიწედა. სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ისტორიის მანძილზე ყველა ახალი სისტემის ფორმირებას წინ უძღოდა ან ევროპული მაშტაბის ომი, ან მსოფლიო ომი, რაც აადვილებდა ახალი სისტემის ჩამოყალიბებას, ვინაიდან ომში გამოვლენილი დამარცხებული და გამარჯვებული სახელმწიფოები შესაბამის თამაშის წესებს ამკვიდრებდნენ და მას ემორჩილებოდნენ.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბების ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება ის გახლავთ, რომ იგი არ ყალიბდება რაიმე გლობალური ომის (ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ ცივ ომს) ან კონფლიქტის დასრულების შედეგად. ძველი იალტა-პოტსდამის სისტემის მოშლა, რომელიც ბიპოლარული ხასიათის იყო, გამოიწვია ერთ-ერთი პოლუსის, საბჭოთა კავშირის დაშლამ, თუმცა მისი სამართალ მეშვეობით რუსეთი დარჩა. მას უარი არ უთქვამს

წამყვანი სახელმწიფოს როლის თამაშზე მსოფლიო პოლიტიკაში. თუ ამას იგი წინათ განცხადებების დონეზე აფიქსირებდა, ეხლა რეალური მოქმედებით სურს გამოხატოს იგი. რუსეთ-საქართველოს ომი ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

მსოფლიოში გაგვლების სფეროებისათვის ბრძოლა თანდათან მწვავე ხასიათსღებულობს. ე.წ. ჯუჯა სახელმწიფოების შექმნა გარკვეულ ტენდენციად იქცა. ეს პროცესი, რეალურად ზესახელმწიფოების მხრიდან გარკვეულ სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება. ბიპოლარული სისტემის დამსხვევის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკური რუკა შეიცვალა. იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეიქმნა, რაც კანონზომიერი პროცესი იყო, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკური რუკის შეცვლა აქ არ დასრულებულა. ზესახელმწიფოების ინტერესთა კონფლიქტებს და გეოპოლიტიკურ ინტერესებს ეწირება ცალკეული სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა. კოსოვოს, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება ამის დასტურია. სამწუხაროდ, ამ ტენდენციას საქართველო ვერ აცდა.

დასავლეთის (ევროკავშირის ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები) და რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებით, მათი ინტერესების შესაბამისად, საკმაოდ „ტექნოლოგიურია“. რაც გამოწვეულია რამდენიმე მუდმივად მოქმედი ფაქტორით:

ევროკავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოში იმ პოლიტიკური ძალებისადმი მხარდაჭერა, რომელიც დასავლეთზეა ორიენტირებული; ქვეყნისთვის არაფრის მომტანი მხარდამჭერი განცხადებები და არანაირი რეალური გადაწყვეტილებები; მათი მისწრაფება საქართველოს სახით შექმნან ბუფერი რუსეთთან და ირანთან ურთიერთობაში.

რუსეთის მხრიდან სეპარატისტულ რეჟიმებზე ღია მხარდაჭერა და ენერგეტიკული შანტაჟი, სამხედრო აგრესიით დასრულებული.

ამერიკის საგარეო პოლიტიკის ღერძი ეკონომიკაა, ხოლო მთავარი ინსტრუმენტი ამერიკული გაგვლისა, რომ საქართველ-

ომი ხელი შეუწყო დემოკრატიული პროცესების განვითარებას. ვინაიდან ეს არის ამერიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი, ე.ი. ეს არის სრული ხორცშესხმა „ინტერესების დაცვის მექანიზმის” სრულიად უბრალო სქემის მიხედვით: ამერიკის პოლიტიკის საფუძველი დემოკრატია, შესაბამისად რეჟიმების თანმიმდევრული დემოკრატიზაცია, მათ შორის საქართველოში, პასუხობს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. აშშ-ის გაგებით, დემოკრატიული ქვეყანა აუცილებლად პროამერიკული უნდა იყოს. ამის ნათელი მაგალითია საქართველო და ალბანეთი. მას შემდეგ, რაც თურქეთმა უარი განაცხადა დახმარებოდა აშშ-ს ერაყში, მის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა.

უნდა აღინიშნოს, რომ აქ არ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა დემოკრატიზაციის ობიექტის პოტენციალს და მასშტაბებს. თუ შევადარებთ ამიერკავკასიის ქვეყნების, მით უფრო დანარჩენი პოსტსაბჭოთა ქვეყნების, დემოკრატიულობის ხარისხს ერთმანეთთან რადიკალური ნიშნების დანახვა არ არის რთული. დემოკრატიის განვითარების ხელშემწყობი პროექტების განხორციელების დაფინანსების კვალდაკვალ დასავლეთი საქართველოსაგან ითხოვს დემოკრატიულობისკენ გარკვეულ წინსვლას.

2003 წლის ბოლოს, საქართველოში განვითარებული მოვლენები ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისკენ შემობრუნების დეჰად აღიარა დასავლეთმა. დემოკრატიული გარდაქმნების კვალდაკვალ შეიცვალა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი. აშკარაა, რომ საქართველომ უარი თქვა მრავალფექტორიან საგარეო პოლიტიკური კურსის წარმოებაზე, რომლის არსიც მის ბალანსირებაში მდგომარეობდა. საქართველოს ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ქვეყნის წარმატებისა და სტაბილურობის გზა საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში მდგომარეობდა. რაც გულისხმობდა ინტეგრაციას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში და ორმხრივი სტრატეგიული ურთიერთობების წარმოებას შეერთებულ შტატებთან. ამგვარი პოლიტიკა თავისთავად გამორიცხავდა რუსეთის

სტრატეგიული პარტნიორის ადგილს ქართულ საგარეო პოლიტიკაში მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება რუსეთს მეგობრობის ხელს ყოველთვის უწოდებდა. ქვეყნის ამგვარმა მისწრაფებამ გარკვეული გავლენა იქონია რეგიონის სახელმწიფოებთან ურთიერთობებში და პირველ რიგში, რუსეთის ფედერაციასთან. რომელსაც განსაკუთრებით არ მოსწონდა საქართველოს დასავლური ორიენტაცია, მით უფრო, რომ საქართველო აქტიურად ჩაება „დიდ ენერგეტიკულ თამაშში“, რაც ისევ რუსეთის ალტერნატივად წამოიწყო დასავლეთმა. ბუნებრივია იბადება კითხვა - რა შედეგო შეეთავაზებინა ასეთ სიტუაციაში რუსეთს საქართველოსათვის?

რა თქმა უნდა, პოზიტიური მომენტი რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობების ფორმირების პირობებისთვის მხოლოდ პოლიტიკური დეკლარაციის დონით არ უნდა იყოს შემოფარგლული. წარმატებული ეკონომიკური ურთიერთობები როგორც ცნობილია, არის თანამშრომლობის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, მით უფრო, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში დესეტე ინტეგრაციული პროცესების ხელშემწყობ ინსტიტუტად შეიძლება გადაქცეულიყო. სამწუხაროდ, მოსკოვმა ვერცერთი კუთხით თბილისს პოზიტიური ვერაფერი შესთავაზა. პირიქით, საქართველოს ტერიტორიაზე სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერით კიდევ უფრო მეტად აიძულებდა თბილისს მხარდაჭერა დასავლეთში ეძია. ისიც აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი მჭიდრო ურთიერთობები პოლიტიკის და ეკონომიკის სფეროში მოითხოვს, რომ პარტნიორებს ჰქონდეთ საკითხების სტრატეგიული დასმის თანხვედრა. თუნდაც, საქართველოს ხელისუფლება მზად არის თუ არა გაითვალისწინოს რუსეთის ინტერესები და მხარი დაუჭიროს მის პოზიციას ცალკეულ საკითხებში, ან რუსეთი არის თუ არა მზად უარი თქვას საქართველოში სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერაზე? ცხადია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფოები საკუთარი ინტერესების კონტექსტში ითვალისწინებენ მეზობელი სახელმწიფოების ბუნებრივ სურვილებს. ეროვნული თვალსაზრისით, ეს ნორმალური პრაქტიკაა საერთაშორისო ურთიერთობებში. მაგრამ საერთაშორისო პრაქტიკაში

საწინააღმდეგო რეალობასაც ვხდებით, განსაკუთრებით თუ განსხვავებული პოტენციალის მქონე სახელმწიფოების ურთიერთობებთან გვაქვს საქმე. ხშირ შემთხვევაში, ძლიერი სახელმწიფოები ძალისმიერი გზით აიძულებენ მეორე სუსტ სახელმწიფოს საკუთრი ინტერესების გატარებას. მართალია, თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში არის გარკვეული მექანიზმები ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან ამგვარი ქმედებების აღკვეთისათვის, მაგრამ ისინი სრულყოფილი არ არის და სრულად ვერ იცავს ამა თუ იმ სახელმწიფოს მსგავსი შევიწროებისაგან.

დღეს, საქართველო რუსეთსა და დასავლეთს შორის ერთგვარ „განხეთქილების ვაშლად“ იქცა. აგვისტოს მოვლენების შემდეგ, კავკასიაში არა მარტო დღის წესრიგი შეიცვალა, არამედ სტრატეგიული წესრიგიც. რუსეთს სჭირდება ევროპის ბაზარი გაზისა და ნავთობის გასაყიდად. ევროპასთან რუსეთის ბიზნეს-კავშირები იმდენად მყარია, რომ თუნდაც მყიფე, მაგრამ მაინც უკვე არსებული პარტნიორობის სრულ გაწყვეტას არ დაუშვებს. დასავლეთს რუსეთი სჭირდება ირანისა და ჩრდილოეთ კორეის შესაკავებლად. ავღანეთში დგას გერმანიის ჯარი, რომელიც მომარაგებას რუსეთის ტერიტორიის გავლით იღებს. ძალზე სოლიდურია იმ პრობლემების ნუსხა, რომლებიც უნდა მოგვარდეს მოსკოვთან ერთად. ეს ესმით იქაც და აქაც, ამიტომ საჭიროა უფრო რეალისტები ვიყოთ. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა მეზობელ ქვეყნებზე გავლენა გააძლიეროს. მისი ლოგიკა ასეთია: რაც უფრო ნაკლები უსაფრთხოება აქვთ მეზობლებს, მით მეტად შეუძლია რუსეთს მოახდინოს გავლენა მათზე. აშშ ხელმძღვანელობს მოსაზრებით: რაც უფრო უსაფრთხოდ არიან სახელმწიფოები, მით უფრო უსაფრთხოდ ვართ ჩვენ.

ამრიგად, იქცა რა საერთაშორისო წინააღმდეგობების, კერძოდ დასავლეთისა და რუსეთის ინტერესთა დაპირისპირების კერად, საქართველოსთან დაკავშირებით, ორი უმთავრესი ფართო

მასშტაბის პრობლემა უნდა გადაწყდეს: პირველი, აღადგენს თუ არა საქართველო ტერიტორიულ მთლიანობას დასავლეთის დახმარებით და მეორე, გაწვევრიანდება თუა რა საქართველო ჩრდილოეთ ატლანტიკურ ალიანსში, რომელი ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის გარანტიად აღიქმება.

დასავლეთი ვერ შეძლებს რუსეთთან ურთიერთობების გაწყვეტას. აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის პოზიციები რუსეთთან მიმართებაში ერთმნიშვნელოვანი სულაც არ არის. ნატოსა და რუსეთს შორის სერიოზული თანამშრომლობა არც არასოდეს ყოფილა. რუსეთი ყოველთვის უარყოფდა თვითონ ალიანსის არსებობის იდეასაც კი და თვლიდა, რომ ბლოკი ისევე უნდა დაიშალოს, როგორც ვარშავის ხელშეკრულება და ამას იმით ასაბუთებდა, რომ ორივე მათგანი თანაბარი სამხედლო-პოლიტიკური ბლოკი იყო.

ჩვენი დასავლელი „მეგობრები“ ჩვენი პრობლემების გადაწყვეტისათვის განცხადებებსა და რეზოლუციებზე შორს არ მიდიან და არც წავლენ, მით უფრო, ომს არ დაუწყებენ რუსეთს. არ ვიქნებით დამოუკიდებელი, ნეიტრალური სახელმწიფო, არ გვექნება რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ოცნებაც ზედმეტია.

ნატოს მიუუახლოვდებით თუ ვერა, მაინც რუსეთისა და დასავლეთის შეხმატკბილებაზეა დამოკიდებული. ეს საქართველოს საგარეო პოლიტიკის არც მარცხია და არც გამარჯვება. თუ აგვისტოს მოვლენებს ამ ჭრილში განვიხილავთ, საქართველო მაშინ სამხედრო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისითაც დამარცხდა, რადგან დაკარგა საიმედო პარტნიორის იმიჯი. დღეს საქართველოს ფაქტორი დასავლეთისათვის მსოფლიო პოლიტიკაში გარკვეულწილად მზარდი რუსეთის დაბალანსებას ნიშნავს, ამიტაც არის გამოწვეული საქართველოს მიმართ ძალიან დიდი ყურადღება.

## *თენგიზ გრიგოლია (თბილისი)*

### **საქართველო – ევროკავშირის სტატუსი პარტნიორი და მოკავშირე**

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, გახდა რა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, მას მიეცა რეალური შესაძლებლობა საერთაშორისო თანამეგობრობასთან აქტიური ურთიერთობები დაემყარებინა. ქვეყანა ილტვოდა იქითკენ, რომ იგი მსოფლიოს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციათა წევრი გამხდარიყო. საქართველომ საზღვარგარეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან განახორციელა თანამშრომლობა პოლიტიკისა და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში. 1993 წლიდან ქვეყანა უკვე გავიდა დიდ საერთაშორისო არენაზე.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის სახელმწიფოს პოლიტიკაში მომავლის დაგეგმვის დროს გაკეთდა პოლიტიკური არჩევანი, ქვეყნის საგარეო ორიენტაციის, სანდო პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციისა და ქვეყნების ძიებისა.

დასავლეთი საქართველოსათვის ყოველთვის იყო პოლიტიკური პროგრესის მედროშე. ისტორიულ პერიოდში დასავლეთის სახელმწიფოების მესვეურთა ინტერესი საქართველოსადმი ყოველთვის დიდი იყო. საკმაო ხნის მანძილზე, ევროპის სახელმწიფოთა გაურკვეველმა კავკასიურმა პოლიტიკამ საქართველო რუსეთთან პირისპირ ბედის ანაბარა დატოვა. ისტორიულად რამდენჯერმე კავკასიაში მიმდინარე დიდ სახელმწიფოთა დაპირისპირებას საქართველოს პოლიტიკური პრიენტაცია და დამოუკიდებლობა შეეწირა. 1991, წლიდან მას შემდეგ, რაც ქვეყანამ თავი გაითავისუფლა სუსტი „ხაფანგიდან,“ მან ორიენტირება დასავლეთისაკენ გააკეთა.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, საქართველოს ევროგაერთიანებაში ინტეგრაცია ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლი-

ტიკის მთავარი პრიორიტეტი გახდა. საქართველისათვის ევროინტეგრაცია ნიშნავდა ევროპულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირებასა და ქვეყნის უსაფრთხოებას.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ 1991 წლიდან დაიწყო, როდესაც ევროკავშირის დახმარებით TACIS „ტასისის“ ტექნიკური დახმარება დსთ-ს ქვეყნებისათვის პროგრამებმა დაიწყო მუშაობა.

საერთაშორისო არენაზე აღიარების მიზნით საქართველოსათვის განსაკუთრებული იყო 1992 წლის 22 მარტი, როდესაც ევროგაერთიანებამ სცნო საქართველო და იმავე წლის დეკემბერში საფუძველი დაედო დიპლომატიურ ურთიერთობებს ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის. ბელგიაში ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს დიპლომატიურმა მისიამ ( 1993 წლის 29 ივლისი) ევროკავშირის დახმარების „ტასისის“ პროგრამები საქართველოში კონცენტრირებული იქნა შემდეგ ძირითად სექტორებზე: ა. ენერგეტიკა, ბ. წარმოების რეორგანიზაცია, გ. ადამიანისეული რესურსები.

1994 წლის დეკემბერში ბრიუსელში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ერთობლივ სხდომაზე გამოიკვეთა ერთობლივი თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები. ბრიუსელში მოხდა ევროკომისიისათვის პარტნიორობის და თანამშრომლობის ხელშეკრულების ქართული ტექსტის გადაცემა. საქართველომ ბენილუქსის ქვეყნებში და ევროკავშირთან თავისი ურთიერთობები შემდეგი მიმართულებით წარმართა – ევროკავშირი–ნატო და ორმხრივი ურთიერთობა ბენილუქსის ქვეყნებთან.

საქართველოსათვის პუმანიტარული და ტექნიკური დახმარების აღმოჩენა ევროკავშირის TACIS-ის, TRACECA-ს, ECHO და სხვა პროგრამების დახმარებით მოხდა.

1994 წელს, ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ, საქართველოს მიენიჭა განვითარებადი ქვეყნის სტატუსი. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან აშკარად გამოიკვეთა ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები კავკასიასა და საქართველოში.



1996 წლის ევროკომისიამ მოამზადა დოკუმენტი „ევროკავშირის სტრატეგია ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთობებში“. დოკუმენტი ითვალისწინებდა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის პოზიციების შემდგომ განმტკიცებას. დოკუმენტის მიხედვით ევროკავშირი კავკასიას თავისი საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბნად მიიჩნევდა.

საქართველოს ევროინტეგრაციულ პროცესებში აქტიურად ჩართვის საქმეში ისტორიული იყო 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ხელმოწერილი შეთანხმება „ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“, რომელმაც შექმნა საერთაშორისო სამართლებრივი, იურიდიული ბაზა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობისათვის. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება (PSL) ძალაში შევიდა 1999 წლის ზაფხულში. შეთანხმების ძალაში შესვლით იმპულსი მიეცა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის თვისობრივად ახალ ეტაპს. დოკუმენტი არ არის მარტო შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის, არამედ იგი არის შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირის ცალკეულ წევრ-სახელმწიფოებს შორის.

„პარტნიორობისა და თანამშრომლობის“ შეთანხმებამ შექმნა რეალური პირობები ორმხრივი ურთიერთობის გასაღრმავებლად, როგორცაა: ტრანსპორტი, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, საბანკო საქმე, გარემოს დაცვა, ინვესტიციები, ვაჭრობა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, ერთობლივი საწარმოების შექმნის წახალისება, სამართალი და შინაგანი საქმეები, მეცნიერება და ტექნოლოგიები, განათლება და კულტურა.

ევროკავშირის მიერ საქართველოსადმი გაწეულმა დახმარება 1991-2005 წლებში 0,5 მილიარდი ევრო შეადგინა, მათ შორის ჰუმანიტარულმა დახმარებამ 106,25 მილიონი ევრო, TACIS ფარგლებში კი – 111 მილიონი ევრო, სასურსათო უსაფრთხოების პროგრამამ – 80 მილიონი ევრო, გრანტის სახით მიღებული იქნა 31,5 მილიონი ევროს ფინანსური დახმარება.

2007 წლის იანვრიდან პროგრამა TACIS–მა შეწყვიტა ასე-  
ბოლა და მას ჩაენაცვლა ევროპის პარტნიორობის ინსტიტუტით  
ცნობილი პროგრამა ( European Neighbourhood Partnership  
Instrument, ENPI), დროში არის გაწერილი თანამშრომლობისა და  
დახმარების პრიორიტეტები.

„პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრ-  
ულების თანახმად, ევროკავშირი თავიანთ ტერიტორიაზე საქა-  
რთველოს კომპანიებს, მათ ფილიალებსა და საწარმოებს ანი-  
ჭებს მესამე ქვეყნის კომპანიებზე არანაკლები უპირატესობის  
რეჟიმს, თუმცა ეს შესაძლებლობანი მაქსიმალურად არ არის  
გამოყენებული საქართველოს მხრიდან

ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოს გეოპოლიტი-  
კური მნიშვნელობა ევროკავშირისათვის, მისი როლი კასპიის  
ზღვისა და ცენტრალური აზიის ენერგეტიკულ რესურსებთან  
მიმართებაში მნიშვნელოვანია. ევროკავშირის სტრატეგია სამხ-  
რეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ეფუძნება ევროკავში-  
რის ევროპა–კავკასია–აზიის განვითარების ტრანსსახელმწიფო-  
ებრივ პროექტებს. TRACECA: TRANSPORT Corridor – Europe – Caucasus – ASIA  
-ევროპა–კავკასია–აზიის სატრანსპორტო დერეფანი ევროკავშირ-  
ის წარმატებული პროექტია, მას საფუძვლად უდევს მონაწილე  
ქვეყნების „ძირითადი მულტილატერული შეთანხმება ევროპა-  
კავკასია–აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების შესა-  
ხებ“. 2005 წლის აპრილში ქ. ბაქოს TRACECA-ს კომისიაზე ტრ-  
ასკას საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსი მიენიჭა.

1997 წლის ივნისში პანევროპულ კონფერენციაზე საქარ-  
თველოსა და პარტნიორი ქვეყნების (ბულგარეთი, უკრაინა,  
რუმინეთი და სხვა) და ევროკავშირის მხარდაჭერით, დამკვიდ-  
რდა ახალი რეგიონალური პროგრამა PETRA „პეტრა“ – პანევ-  
როპული სატრანსპორტო არეალი. TRACECA და PETRA-ს პრო-  
ექტები რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის განსაკუთრე-  
ბული ელემენტები გახდა.

ევროკავშირთან საქართველოს პარტნიორული თანამშრო-  
მლობის სტრატეგიის მატარებელი გახდა პროგრამა INOGATE.

პროგრამა წარმოადგენს გაზისა და ნავთობის სახელმწიფოთა-შორისო ტრანსპორტირების საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამას. მან მოქმედება დაიწყო 1996 წლიდან. პროგრამა მოიცავს ახალი მილსადენების მშენებლობასა და მისი განვითარების შესაძლებლობებს.

ევროკავშირის პროგრამებიდან საქართველოში მოქმედებდა ევროკავშირის გარემოს დაცვის პროგრამა, განსაკუთრებული ფინანსური დახმარების პროგრამა (EFA), სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა (FSP), ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა (ECHO). ორივე პროგრამამ მოღვაწეობა ამოწურა 2007 წელს. დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების დაცვის პროგრამა (EIDHR), პროგრამა სწრაფი რეაგირების მექანიზმი (RRM), ევროპულ ექსპერტთა სპეციალური მისია EUJUST THEMIS საქართველოში.

საქართველოში ასევე მუშაობდა და მუშაობს ევროკავშირის სარეაბილიტაციო პროგრამები: დახმარება კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებისათვის, სარეაბილიტაციო პროგრამა სამხრეთ ოსეთში, სარეაბილიტაციო პროგრამა აფხაზეთში.

2007 წლიდან ევროკავშირის დახმარებები ხორციელდება ახალი ინსტრუმენტის მეშვეობით. ეს ინსტრუმენტი გახლავთ: ა. ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი, ბ. გაწვევრიანების წინა დახმარების ინსტრუმენტი (აქ შედის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნები – თურქეთი, ხოვეატი და ბალკანეთის ქვეყნები), გ. განვითარებისა და ეკონომიკის სფეროში თან ბოლოდროინდელი ურთიერთობა და დახმარება ხორციელდება ევროპული სამეზობლო პარტნიორობის ინსტრუმენტის ეგიდით.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა შედგება 2004 წლის მაისში ევროკავშირის გაფართოებისა, 10 ახალი სახელმწიფოს მიღებისა გაერთიანებაში. იგი მიზნად ისახავს „გამყოფი ხაზების“ მოშლას. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში კავშირის პარტნიორი ქვეყნები შემდეგ კატეგორიებად იყოფიან: ა. გაწვევრიანების კანდიდატები, ბ. გაწვევრიანების პოტენციური კანდიდატები, გ. პარტნიორები გაწვევრიანების „ბუნდოვანი“

პერსპექტივებით (უკრაინა, საქართველო, მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი).

1993 წლიდან ევროკავშირსა და საქართველოს შორის მოქმედებს ვაჭრობაზე ორმხრივი შეთანხმება. დსთ–ს შემდეგ ევროკავშირი საქართველის მეორე პარტნიორია. საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 30% ევროკავშირზე მოდის. მათ შორის ექსპორტი – 17% და იმპორტი – 35%.

თანამედროვე პერიოდში ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე ევროპისათვის სივრცის დახურვა რუსეთის სახელმწიფოს სტრატეგიული მიმართულება გახდა. ამის გამო რუსეთ–საქართველოს ურთიერთობა დაიძაბა და იგი რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ აგრესიაში გამოვლინდა. 2008 წლის აგვისტოში რუსეთი შეეცადა საქართველოსთან დაწყებული საომარი მოქმედებები დიდ კავკასიურ ომში გადაეხარდა, მაგრამ საქართველოსადმი დასაყვედურის აქტიური მხარდაჭერით ეს ვერ მოხერხდა. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით ევროკავშირმა საქართველოს უსაფრთხოების მიზნით მკვეთრი განცხადებები გააკეთა. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის მიუღებელი გახდა რუსული იმპერიალიზმის ექსპანსიის გამოყენება საქართველოსადმი. ცხინვალის რეგიონში განხორციელებულმა ეთნოწმენდამ ევროკავშირის სახელმწიფოთა პროტესტი გამოიწვია. ევროპის კარიბჭესთან რუსული ზონების არსებობა ევროკავშირისა და ნატოსათვის მიუღებელი გახდა. ევროკავშირმა რუსეთის ჯარების გაყვანა მოითხოვა საქართველოდან. 2008 წლის 12 აგვისტოს დაიღო შეთანხმება, რომელიც 6 პუნქტისაგან შედგებოდა:

1. მხარეებმა არ უნდა დაუშვან ძალის გამოყენება;
2. შეწყდეს საომარი მოქმედებები;
3. ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის თავისუფალი შესაძლებლობა;
4. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაუბრუნდნენ დისლოკაციის ადგილებს;
5. რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაუბრუნდნენ კონფლიქტამდე არსებულ პოზიციას;

6. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების მინიჭება.

რუსეთმა დააკნინა ევროკავშირის სამშვიდობო ინიციატივა და შეთანხმების პუნქტები ბოლომდე არ შეასრულა. 2008 წლის 1 სექტემბერს ევროკავშირმა დაგმო რუსეთის აგრესია საქართველოში და დახმარების სახით საქართველოს 1 მილიარდი ევრო გამოუყო.

2008 წლის ოქტომბრიდან ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMM) საქართველოში მუშაობას შეუდგა. ასე რომ, ევროკავშირი შეუდგა თავისი ვალდებულებების აღსრულებას. პირველ ეტაპზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიაზე სულ 200 დამკვირვებელი იქნა გამწესებული. მისიის პერსონალი 22 ქვეყანამ გამოყო. მისიის მანდატი 12 თვით განისაზღვრა. ევროკავშირმა და საერთაშორისო დონორებმა საქართველოს 2008 წლის ოქტომბერში ოთხნახევარი მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარება გამოუყო.

ამრიგად, ევროპის უსაფრთხოების სისტემაში საქართველოს როლი აქტუალურია.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ევროკავშირი და საქართველო, შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, თბ., 1996.
2. საქართველო და ევროკავშირი, თბ., 2006.
3. ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა, თბ. 2006.
4. ჭყოიძე ვ., ჭყელიძე ზ., ევროპული ინტეგრაცია და ევროკავშირის ინსტიტუტები, თბ., 1998.
5. How the European UNION works, Brussel 2005.
6. [http:// www. eu-integration.gov.ge](http://www.eu-integration.gov.ge)

## ეთერ ბერიძე (ბათუმი)

### საქართველო-თურქეთის კულტურული ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე ეტაპზე

*„ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის საჭიროა ერთმანეთის უფრო კარგად და ახლოს გაცნობა, ცოდნითა და სიყვარულით ურთიერთობა“.*

ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. ორ ქვეყანას აკავშირებს დინამიური თანამშრომლობა, რომელმაც განსაკუთრებით ბოლო პერიოდში კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული სახე მიიღო. წარსულში საქართველოში თურქ ხალხზე იქმნებოდა ნეგატიური სტერეოტიპული წარმოდგენები, რაც საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო, ხოლო (საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ) 90-იანი წლების შემდეგ ქართველ და თურქ ხალხებს შორის ურთიერთობა ბუნებრივ კალაპოტში მოექცა და დღესდღეობით თურქეთი საქართველოს მეგობარ ქვეყნებს შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

საქართველო-თურქეთს შორის არსებული ურთიერთობები საკმაოდ ფართო სამართლებრივ-სახელშეკრულებო ბაზას ეფუძნება და იგი ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პრაქტიკულად ყველა სფეროს მოიცავს. სხვადასხვა დროს სახელმწიფოთაშორისო და სამთავრობათშორისო დონეზე გამართული შეხვედრების დროს ყოველთვის განიხილებოდა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების, ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის, ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელების და ურთიერთობების სხვა საკითხები.

დღეისათვის ხელმოწერილია 120-ზე მეტი შეთანხმება, მათ შორის რამდენიმე უშუალოდ არეგულირებს ორ ქვეყანას შორის კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობის საკითხებს, კერძოდ:

ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ; ქ. თბილისი 30.07.92;

ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის დარგში თანამშრომლობის შესახებ; ქ. თბილისი 30.07.92;

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტურიზმის დარგში თანამშრომლობის შესახებ. ქ. ანკარა 1994 წლის იანვარი;

შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სპორტის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. ქ. თბილისი 13 მარტი 1998 წელი;

2002 წელს თურქეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტართა დელეგაცია, პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით, ხელისუფლების უმაღლესი წრის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს მან ხაზი გაუსვა კულტურული კონტაქტების გააქტიურების აუცილებლობას და სთხოვა თავის თურქ კოლეგას თანადგომა თურქეთში ქართული კუბურის ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით. იგი შეეხო ქართული არქიტექტურის ძეგლების აღდგენისა და საერთაშორისო ტურისტულ მარშრუტებში მათი შეტანის საკითხს, ამ ძეგლების პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველო-თურქეთის კულტურული ურთიერთობის ზოგიერთ ასპექტზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. დღეისათვის ამ ურთიერთობების განვითარებას ხელს უწყობენ სახვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და ორგანიზაციები, მათ მიერ გამართული

ცალკეული ღონისძიებები და პერიოდული გამოცემები, ფესტივალები და ა.შ., რომლებიც მოღვაწეობენ ჩვენი ქვეყნის და თურქეთის ტერიტორიაზე.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ “ჩაღღარის” სასწავლო დაწესებულების ქსელი საქართველოში. თავის დროზე მისმა წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ განათლების სფეროში თანამშრომლობა ორი ქვეყნის დაახლოების საქმეში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებდა.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, განათლების სამინისტროს ნებართვით და მის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამებით ისინი 1993 წელს შეუდგნენ საქმიანობას, რის შედეგადაც შეიქმნა: ქ. თბილისში დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი, 1994 წელს ბათუმში რ. შაჰინის სახ. მეგობრობის ლიცეუმი, 1996 წელს თბილისის დემირელის სახ. კერძო დაწესებულებითი სკოლა, 2003 წელს დემირელის სახელობის კერძო დაწესებულებითი სკოლა “სხივი” და დემირელის სახ. საბავშვო ბაგა-ბაღი, 2004 წელს ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის ლიცეუმი, 2006 წელს თბილისის ნიკოლოზ წერეთლის სახ. საერთაშორისო სკოლა, 2007 წელს რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა, მარნეულის დავით აღმაშენებლის სახ. გახანგრძლივებული სწავლებისა და ენათა სხვა ცენტრები. “ჩაღღარის” სასწავლო დაწესებულებები საქართველოს მასშტაბით სოლიდურ, პოპულარულ სასწავლებლებად ითვლება. აქ ფუნქციონირებს სამეცნიერო და უცხო ენების ლაბორატორიები, საკონფერენციო დარბაზები, პანსიონები, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები სწავლების ყველა საფეხურისათვის. ჩაღღარის პროგრამის შესაბამისად ამ სასწავლო დაწესებულებების მიზანია საქართველო-თურქეთის ისტორიული მეგობრობის განმტკიცება, ბედნიერი და მშვიდობიანი თანაცხოვრება, სამშობლოს მოყვარული, ეროვნული ფასეულობების პატივისმცემელი, მოაზროვნე, კომუნიკაბელური, შემოქმედებითი უნარის მქონე, კეთილშობილი და ტოლერანტი თაობის აღზრდა.



ამ სასწავლებლებს აფასებენ როგორც ქართველებისა და თურქების გულებს შორის, საქართველოსა და თურქეთის კულტურას შორის გადებულ ხიდს.

დაარსების დღიდან დღემდე, “ჩაღლარის” სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეებმა მრავალ წარმატებას მიაღწიეს. მათ არაერთი უმაღლესი ჯილდო მოიპოვეს, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ოლიმპიადებსა თუ სასწავლო-სამეცნიერო კონკურსებში.

ასევე აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აზიის და აფრიკის ინსტიტუტის მოღვაწეობა სადაც სათანადო სიმაღლეზეა აყვანილი თურქული ენისა და ლიტერატურის სწავლება. თურქეთის ისტორიის და კულტურის გაცნობის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მისასაღმებელია სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების არსებობა და ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტში ქართული დიასპორისათვის უფასო ადგილების შეთავაზება. აგრეთვე, დიდ როლს ასრულებს ურთიერთდაახლოების გზაზე პედაგოგთა და მოსწავლეთა ჯგუფების ვიზიტები და მათ მიერ გამართული სპორტულ-კულტურული (სანახაობითი) ღონისძიებები

ინტენსიურად განიხილება თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების რესტავრაციის საკითხი.საქართველოს ხელისუფლება, თავის მხრივ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თურქული კულტურის ძეგლების პრობლემებით ინტერესდება.

მნიშვნელოვანია სტამბოლში და ქართული დიასპორით დასახლებულ სხვა ქალაქებში შექმნილი სათვისტომოებისა და საზოგადოებების მოღვაწეობა, „თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდის“ (დირექტორი მეგლუდ ართვინელი), „ქართული კულტურის საზოგადოების“ „საქართველოსთან მეგობრობის ასოციაციის“, და სხვათა საქმიანობა. უნდა აღინიშნოს ამ ორგანიზაციების არა მარტო კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობა არამედ მხარდაჭერა და თანადგომა შეჭირვების ჟამს. მაგ., თურქეთ-საქართველოს კულტურისა და

განათლების ფონდმა აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო საქართველოში საომარი მოქმედებების დროს, დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის მიზნით საკმაოდ დიდი თანხა გადმორიცხა. საქართველოს და თურქეთის სხვადასხვა წრეები გამოხატავენ ურთიერთობის, გაცნობის, დაახლოების, ინფორმაციის გაცვლის სურვილს. ისევე როგორც სხვაგან, თურქეთშიც კარგად აქვთ გაცნობიერებული ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება, რომლის წარმოჩენა-გაცნობისათვის იმართება სხვადასხვა მხარდამჭერი ღონისძიებები, ერთ-ერთი, ასეთი, გახლავთ ინეგოლის ყოველწლიური საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი, რომელსაც მართავს ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება. ამ ფესტივალში აქტიურად არიან ჩართული მომღერალი ბაიარ შაჰინი და იბერია ოზგანი, ახმედ მელაშვილის შვილი თავისი პროფესიული ანსამბლით. ახმედ მელაშვილი პირველი იყო, ვინც საქართველოსაკენ გამოახედა თურქეთის ქართველობას, ვინც პირველმა გააცოცხალ ტერმინი „ჩვენებური“ და დაარსა ჟურნალი ჩვენებური.

ქართულ-თურქულ კულტურულ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 2006 წელს თბილისში ჩატარებული ფესტივალი „ჩვენებური“. სადაც წარმოდგენილი იყო თურქეთის კულტურის და ხელოვნების ყველა დარგი, რაც შეიძლება საქართველოში თურქეთის კულტურის დღეებადაც ჩაითავლოს.

ორი ქვეყნის კულტურული ურთიერთობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია თურქეთის რესპუბლიკაში გამართული ქართული კულტურის დღეები 2006 წელს.

საქართველოს კულტურის დღეების გახსნის საზეიმო ცერემონია სტამბოლში 1 ივნისს გაიმართა. ღონისძიებას დაესწრნენ სტამბოლის მერი ბ-ნი ქადირ თოფბაში, თურქეთისა და საქართველოს განათლებისა და კულტურის სამინისტროების პირველი პირები, ქართული ეთნიკური წარმომავლობის თურქეთის მოქალაქეები, ბიზნესმენები, სახელმწიფო მოხელეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, გაიმართა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო საქართველოსა და თურქეთის ისტ-

ორიულ-კულტურული ურთიერთობების ამსახველი ექსპოზიცია, ფოტოგამოფენა - „ძველი და ახალი თბილისი“, ასევე გამოიფინა უძველესი ქართული სამკაულების ასლები, თანამედროვე ქართული კერამიკის, ტექსტილისა და მინანქრის ნიმუშები. საზემო ღონისძიებებში ერთმანეთს ენაცვლებოდა ქართული შემოქმედებითი ჯგუფები და ადგილობრივი ფოლკლორულ-თეატრალური დასები.

2008 წელს მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამით მიიღეს მონაწილეობა ბავშვთა დღისადმი მიძღვნილ ფესტივალში დაწყებითი სკოლა „სხივის“ მოსწავლეებმა და პედაგოგებმა თურქეთში, ქ. სამსუნში,

ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების პოპულარიზაციის საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია თურქეთში გამომავალი ჟურნალები „ჩვენებური“, (რედაქტორი ოსმან ნური მერჯანი) ქართულ-თურქულენოვანი ჟურნალი ”ფიროსმანი” (მტავარი რედაქტორი ფაჰრეთინ ჩილოღლუ, გამომცემელი შენოლ თაბანი, რედაქტორი ერდალ ქუნუკი), ჟურნალი მაჭახელა (რედაქტორი ერდალ ქუნუკი), ქართული ინტერნეტ რადიო “ჩვენებური”, ასევე ინტერნეტ საიტი და ქართული საგამომცემლო ბიზნეს-საქმიანობა, რომელიც წარმოებს თურქეთის რამდენიმე ქალაქში.

ქართულ და თურქულ ენებზე გამომავალი აღნიშნული ჟურნალები, რადიო და საიტი გამოირჩევიან მაღალი ხარისხით, როგორც ფორმით, ისე შინაარსით და დღეისათვის წარმოადგენენ თურქეთის ქართველობის ინტელექტუალურ ცენტრებს. მათ დიდი წვლილი შეაქვთ თურქეთში ქართული ენის შესწავლის, ლიტერატურისა და ფოლკლორის პოპულარიზაციის საქმეში. ჟურნალში სისტემატურად ქვეყნდება საინტერესო სტატიები თურქეთის სხვადასხვა რეგიონებში არსებული ქართული სოფლების, ადგილობრივი ქართველების, (“ჩვენებურები”) მათი კულტურისა და ტრადიციების, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების შესახებ, ცალკე ადგილი ეთმობა ინფორმაციებს საქართველოში მიმდინარე პროცესების თაობაზე.

ჟურნალ ფიროსმანის რედაქტორმა (ფაპრეთინ ჩილოღლუ) თურქეთის ქართველობის ყველა ასაკის წარმომადგენლისათვის სტამბოლში გამოსცა აგრეთვე, მშობლიური ენის შესწავლის უპირველესი წყარო – მაღალი პოლიგრაფიული დონით შესრულებული დედაენა.

საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების დამსახურებაა ქართული და თურქული კულტურის დღეები საზღვარგარეთის ქართულ დიასპორასთან, მათ შორის თურქეთის ქართულ დიასპორასთან აქტიური მუშაობა. ამ მიზნით შექმნილია საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის საქართველოს ცენტრი, აგრეთვე ასოციაცია, ქართული კულტურა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. (ხელმძღვანელი გიული ალასიანი), კავშირი, განათლების სამინისტროსთან და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად რომლებიც თანამშრომლობენ თურქეთის ქართულ დიასპორასთან და ისეთ მნიშვნელოვან ორგანიზაციასთან, როგორცაა თურქეთ-საქართველოს განათლების და კულტურის ფონდი და ჩვენებურების სახვა ორგანიზაციები. მათთან ერთად ატარებენ მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო დღეებს.

გარკვეულ მუშაობას ატარებს მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი ქართულ დიასპორასთან მათ მიერ თავიანთი ქართული გვარების ისტორიის გახსენება- შესწავლისათვის

უადრესად მნიშვნელოვანია პავლე და სიმონ ზაზაძეების მიერ სტამბოლის ქართველთა სავანის გაცოცხლება და მათი შემდგომი დეაწლი თურქეთისა და საქართველოსათვის არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრისა და თანამედროვე ტიპის საერთაშორისო ბიბლიოთეკის დაარსების საქმეში და კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულების.

ქართველოლოგიური ცენტრების ყურადღება არის გადატანილი ქართული ენის სწავლების, ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა დიასპორის სამშობლოსთან კავშირის გადრმავეების საკითხებზე.

თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართული წარმოშობის მოსახლეობა განსახლებულია ძირითადად ართვინის ოლქში, აგრეთვე გირესუნის, სამსუნის, ორდუს, სინოპის, ამასიის, ბოლუს, საქარიას, ქოჯაელის, ბურსას, იალოვასა და ბალიკესირის ოლქებში. ბურსა ორ მილ. ქალაქია, უნივერსიტეტის რექტორი ქართველია, 2000 წლის აღწერით 380 000 ათასმა კაცმა დედაენად ქართული დასახელა.

ქართული ცეკვა-სიმღერა და ქართული წერა-კითხვაა ქართველობის და საქართველოს ხსოვნის შენარჩუნების ერთადერთი გზა და მას ხელშეწყობა და დახმარება ჭირდება.

ხელისუფლების მოწადინებით მოხდა საბაჟო წესების გამარტივება, რითაც ხელი შეეწყო ჩვენს მოსახლეობას მიერ ტოკლარჯეთის ისტორიული ტერიტორიისა და მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობის გაცნობასა და სხვა ურთიერთობების განმტკიცება-გაღრმავებას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ორ ქვეყანას შორის კულტურულ ურთიერთობებში არის ნელი ძვრები და გარკვეული ხარვეზები, რასაც კარგად ადასტურებს შემდეგი ფაქტიც, – 2007 წელს ერთი თვის განმავლობაში ვმოგზაურობდით ისტორიული საქართველოს ნიგალის ხეობაში, სადაც სხვა საკითხებთან ერთად შევისწავლეთ ჩვენებურთა ფოლკლორული და დიალექტოლოგიურ-ლინგვისტური თვალთახედვით დაგვეზვერა ნიგალის ხეობის მცხოვრებთა ეთნოკულტურული და სამეტყველო სივრცე. გადავწყვიტეთ დაგვეარსებინა ქართული წერა-კითხვის შემსწავლელი კურსები (აღმოჩნდა ქართული ენის შესწავლის სხვადასხვა ასაკის ბევრი მსურველი), მოვიძიეთ სათანადო სახსრები, ჩამოვაყალიბეთ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა და განათლების სამინისტროს შუამდგომლობით მივმართეთ თურქეთის სახელმწიფოს საელჩოს, მაგრამ პასუხი ვერ მივიღეთ, ხოლო თურქეთის საკონსულოში, ბათუმში, აღნიშნულ საკითხზე თავი შეიკავეს.

ამრიგად, იმის გამო, რომ თურქეთსა და საქართველოს შორის არსებობს კარგი, მეზობლური ურთიერთდამოკიდებულება

და ხდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიმოსვლა მუშაობისა, ვაჭრობისა თუ ბიზნესის განვითარებისათვის, რატომაც უნდა, საჭიროა მსურველთათვის, როგორც თურქული, ისე ქართული ენის შესწავლა. მიზანშეწონილია ტაო-კლარჯეთში ქართული დიასპორისთვის გაიხსნას ქართული საკვირაო სკოლები, დაარსდეს ქართული ენის შემსწავლელი კურსები, მოხდეს მათთვის სახელმძღვანელოების შექმნა; ამის სურვილი და ბაზაც ნამდვილად არსებობს. ჩამოყალიბდეს სათვისტომოები და საზოგადოებები. მიღწეულ იქნას რეგიონის მატერიალური კულტურის ძეგლების რესტავრაციის დაწყება და ბოლომდე მიყვანა ჩვენი ხელისუფლებს მიერ მათი მოვლა-პატრონობის თავისთავზე ადგება და სხვა. მართალია თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ყველა კულტურისა და ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი იმყოფება თურქეთის რესპუბლიკის დაცვის ქვეშ, მას კურირებს თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო, მაგრამ მათი გადარჩენისთვის არაფერი კეთდება (ერთადერთი არის ის, რომ ძეგლები შეტანილ იქნა თურქეთის ტურისტულ რუკებზე).

ამრიგად, თანამედროვე საქართველოს წინაშე ერთ-ერთ გამოწვევაა უცხოეთში მყოფ, მათ შორის თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება, რათა მოხერხდეს ქართული გენის გაძლიერება, განსაკუთრებით, ისტორიულ საქართველოში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველო-თურქეთის ურთიერთობა (წარსული და თანამედროვეობა), სამეცნიერო სესიის მასალები, ბათუმი, 1993.
2. ელიზბარ ციენარიძე, ზაზაძეების სამი თაობა, ჟურნ. ფიროსმანი, №3, 2007.
3. გურამ ხიმშიაშვილი, თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის, №3, 2007.
4. ა. სურგულაძე, საქართველო-თურქეთის ურთიერთობები, ბათ., 1995.
5. ლელა მარგიანი, ფესტივალი “ჩვენებურები” სტუმრად თურქეთის „ჩვენებურებთან“, №2, 2007

## ვაჟა შუბითიძე (თბილისი)

### ემროინტებრაციასა და „ემროკოლოზიის“ ბანკოთარებაში შეხანილი ქართული წვლილი

ქართველ მოღვაწეთაგან ნოე ჟორდანიას ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ევროპაში სწავლის შემდეგ გააცნობიერა, რომ ევროპა “ჩვენი მტერი არ არის, პირიქით, ის არის სისხლი-სისხლთაგანი ჩვენი და ხორცი-ხორცთაგანი ჩვენი. ჩვენ ჩვენივე ვევროპიელდებით და მაშასადამე, მის გვერდით, მასთან შეკავშირებით უნდა ვიცხოვროთ” (1,196) და რომ “გავევროპელება წარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე” (2,114).

ევროპაში იძულებით ემიგრაციასა და მრავალი წლის განმავლობაში იქ ცხოვრების დროს ნოე ჟორდანიას კიდევ უფრო ცხადად დარწმუნდა, რომ „ევროპის გზა მსოფლიო გზაა, ახლა ისტორიას სხვა გზა არ გამოუგონია და თავისთავად მისახვედრია ჩვენი მასზე შედგომა” (3,15). ჟორდანიას უეჭველად მისაღებად მიაჩნდა ევროპის შრომის საშუალებანი, მისი ტექნიკა, მისი მეცნიერება, მისი ნივთიერი და სულიერი კულტურა.

ნოე ჟორდანიამ თავის მოგონებებში დავით სარაჯიშვილზე მოგვცა „ევროპელი ქართველის” სანიმუშო ტიპი: „ის იყო პირველი ქართველი მრეწველი ევროპელი ტიპისა. ერთხელ მან მითხრა: „ძნელია ჩვენში ეკონომიკურად წინ წაწევა. როგორც კი ერთი ცოტადღენ ქონებას შეიძენს, ასი მშვიერი უკან დასდევს და სანამ არ გახრავენ, თავს არ დაანებებენ. ასეთ პირობებში მართლაც დიდი პრაქტიკული ნიჭია საჭირო, რომ შემოსეულ ხროვას გაუძღლო და შეძლება გონიერად მოიხმარო.”

დავითი რომ წმინდა ქართველი მრეწველი ყოფილიყო, კაი ხანია ქართველურად დაამთავრებდა-მისი შეძლებისგან არაფერი დარჩებოდა. მხოლოდ ევროპელ კაცს შეეძლო ყველა მადლიერი ჰყოლოდა და თანაც შეძლება არ გაეფლანგა. შეაერთეთ ქართული გულკეთილობა და პურ-მარილი ევროპულ საქმიანობასთან და მიიღებთ დავით სარაჯიშვილს. ამ პიროვნება-



ში სამაგალითოდ შეზავდა საქები ქართველობა და საქები ევროპელობა და მე მგონია, ქართველის გაევროპელება სწორედ ამ გზით უნდა მოხდეს, როცა თითოეული ჩვენგანი ისწავლის ევროპიულ მუშაობას, ევროპიულ საქმიანობას და თან ნაციონალურ ხასიათს არ დაგვარგავთ - ჩვენი გაევროპელება ფაქტი იქნება. დავით სარაჯიშვილი ქართველი ევროპელი იყო” (4,345).

თანამედროვე ევროინტეგრაციის იდეის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში ცნობილ ევროპელ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა შორის საპატიო ადგილი უკავია ორ ქართველ ემიგრანტ მკვლევარს, პროფესორებს – მიხეილ მუსხელიშვილს (1905-1964) და ალექსანდრე ნიკურაძეს (1901-1981).

მიხეილ მუსხელიშვილი თბილისის ლევანდოვსკის გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1921 წლიდან სწავლობდა ჯერ გერმანიაში – გოტინგენისა და მიუნჰენის უნივერსიტეტებში იურიდიულ ფაკულტეტზე, ხოლო შემდეგ, საფრანგეთში – ლიონისა და პარიზის უნივერსიტეტებში ეუფლებოდა იურისპოდენციას.

1932-1933 წლებში იგი ლექციებს კითხულობდა პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო გამოკვლევათა უმაღლეს ინსტიტუტში. 1935-1948 წლებში მ. მუსხელიშვილი მუშაობდა ეგვიპტეში ქაიროს სამართლისა ფრანგული სკოლისა და ქაიროს უნივერსიტეტის პროფესორად.

ამის შედეგ მიხეილი ბრუნდება საფრანგეთში და მუშაობას იწყებს სტრასბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორად, სადაც მოღვაწეობდა გარდაცვალებამდე.

მიხეილ მუსხელიშვილი (ევროპაში მას იცნობდნენ როგორც მუსხელს) ევროპაში ეწეოდა ფართო სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, 1948 წელს იგი გახდა საუნივერსიტეტო-შორისო ფედერაციის პრეზიდენტ-დამაარსებელი, ხოლო 1954 წლიდან ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის დამაარსებელი და გენერალური მდივანი.

ევროპის ამჟამინდელ პოლიტიკურ ცენტრში-სტრასბურგში მიხეილმა შექმნა ძალიან ავტორიტეტული სამეცნიერო ცენტრი-

“მუსხელის ცენტრი”, რომელიც იკვლევდა ევროინტეგრაციის საკითხებს. ამ ცენტრში მან დააარსა დიდი საერთაშორისო სამეცნიერო კრებული. რომელშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები ჟორჟ კედელი, რობერ მოსესე, გუი ერო, ანრი შამბრი და სხვ. პროფესორმა მიხეილ მუსხელიშვილმა გარდაცვალებამდე მოასწრო ამ ცენტრის კრებულის ორი დიდი ტომის მომზადება და გამოცემა, რომლებსაც უძღვის მისი ვრცელი წინასიტყვაობა. ორივე ტომმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც საერთაშორისო იურიდიულ მეცნიერებათა სამყაროში, ისე პრესაში (მაგ. გაზეთი „ფიგარო“ 2.03.1965).

მიხეილ მუსხელიშვილის სტატიები იბეჭდებოდა ცნობილ სამეცნიერო კრებულებში გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. მისი სტატიები ქვეყნდებოდა ასევე პარიზში გამომავალ ქართულ ჟურნალში „ბედი ქართლისაში“ – მაგალითად „საქართველო და ევროპა“ (№15, 1953 გვ. 1-3), „ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის“ (№18, 1954, გვ.15-16) და სხვ.

სახელმოსხვეჭილ ქართველ მეცნიერს ლექციების წასაკითხად ხშირად იწვევდნენ აშშ-ში, ნორვეგიაში, იტალიაში. ჟურნალ „ბედი ქართლისას“ №17-ში ვკითხულობთ, რომ მიხეილ მუსხელიშვილმა 1954 წელს მოხსენება წაიკითხა ჩრდილოეთ ამერიკის ყველა დიდ ქალაქში: უნივერსიტეტებში, პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში, რელიგიურ საზოგადოებებში. მის ლექციებს ყველგან დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ვაშინგტონში მის მოხსენებაზე მივიდნენ მთელი დიპლომატიური წარმომადგენლობათა წევრები. ამერიკიდან დაბრუნებისთანავე პროფესორი მუსხელიშვილი გაემგზავრა სკანდინავიაში ოსლოსა და უპსალას უნივერსიტეტების მიწვევით, სადაც წაიკითხა მოხსენება ევროპის ცივილიზაციის კრიზისსა და ევროპის კულტურის გაცოცხლების აუცილებლობაზე (5,446).

მკვლევარი არ კმაყოფილდებოდა წმინდა იურიდიული მეცნიერებით, აქტიურად ჩაერია ცოცხალ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც და იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ომისშემდგომი ევროპის გაერთიანების, მისი ფედერაციის იდეა წარმოადგინა და დაიცვა. მიხეილ მუსხელი იყო ადამიანისა და ერის უფლე-

ბების მუზნებარე დამცველი. ამასთანავე, მიხეილი ყოფილა თავადაკლული ალბინისტი, რომლის მსხვერპლიც შეიქმნა იგი. 1964 წელს იტალიაში, აოსტას ხეობაში იგი კლდიდან ჩამოვარდა და ტრაგიკულად დაიღუპა. მის დაკრძალვას მთელი უნივერსიტეტი დაესწრო. სამგლოვიარო სიტყვა წარმოსთქვა სტრასბურგის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ა.ვიელმა. დიდი მეცნიერი დაკრძალულია სტრასბურგის სასაფლაოზე.

ევროინტეგრაციისა და "ევროპოლოგიის", როგორც სამეცნიერო ინტერდისციპლინარული დარგის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ასევე განსაკუთრებული წვლილი შეიტანა გამონიშნულმა მეცნიერმა, პროფესორმა ალექსანდრე ნიკურაძემ (1901-1981).

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ალექსანდრე ნიკურაძე თავის ძმასთან ივანესთან (შემდეგში გერმანიაში მოღვაწე მსოფლიოში ცნობილი მათემატიკოსი და თეორიული მექანიკის უდიდესი სპეციალისტი) ერთად ჩაირიცხა ახალგაზსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის რეკომენდაციით ნიჭიერი ძმები სასწავლებლად გაგზავნეს გერმანიაში, სადაც მათ დიდი სახელი მოიხვეჭეს.

თავისი ძირითადი სპეციალობის გარდა (იგი მუშაობდა მყარი სხეულების ფიზიკასა და ენერგეტიკაში, ბოლოს განაგებდა საკუთარ უნივერსიტეტს მიუნჰენში), იგი სერიოზულ კვლევებს ატარებდა ისტორიის და პოლიტიკურ მეცნიერებებში, არქეოლოგიაში და სხვ.

იგი იყო დირექტორი კონტინენტალური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტისა მიუნჰენში (მასთან ერთად ამ ინსტიტუტში მოღვაწეობდა გამონიშნული მეცნიერი ზურაბ ავალიშვილი, რომელმაც ალექსანდრეს ხელში დალია სული), სადაც მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა სერიოზული ანალიტიკური სამუშაო.

ალექსანდრე ნიკურაძემ გერმანულ ენაზე გამოსცა ხუთი წიგნი, მათ შორის აღსანიშნავია: „აღმოსავლეთ ევროპა“, „კავკასია“, „ოცნებითგან ვიდრე საქმედგ.“ რომლებშიც მოცემულია

ძალიან საინტერესო დებულებანი როგორც ევროინტეგრაციის იდეისთვის, ასევე, საქართველოს ისტორიისთვის. 1951 წლის სექტემბერში მან პარიზის ქართულ სათვისტომოში წაიკითხა მოხსენება „ზოადი სურათები ქართულ-ევროპული წარსულიდან“, რომელშიც გამოთქმულია ორიგინალური იდეები.

1952 წლის 22-24 სექტემბერს საფრანგეთში, ქ. კომპიენთან ალექსანდრე ნიკურაძის ინიციატივით „ლა ბრევიერის“ სასახლეში შედგა ევროპულ მეცნიერთა კონგრესი, რომელმაც მიიღო პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის წინადადება ცნება-ტერმინის „ევროპოლოგიის“ შემოღების შესახებ, რაც გაზიარებულ იქნა ევროპულ მეცნიერთა მიერ.

ალექსანდრე ნიკურაძეს ლექციების წასაკითხად იწვევდნენ პარიზის, ვაშინგტონის, აახენის, ბერლინისა და მიუნჰენის უნივერსიტეტებში, ოქსფორდში გამართულ მეცნიერთა მსოფლიო კონგრესზე. 1956 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „არგონავტების მითი“. მაღალი მეცნიერული დონით გამოირჩევა მისი ნაშრომები საქართველოს ისტორიაში, არქეოლოგიაში, არქიტექტურასა და სხვა დარგებში გერმანულ ენაზე.

მაგ: „ქართული არქიტექტურის საკითხისათვის შუა საუკუნეების ევროპულ აღმოსავლეთში“, „სკანდინავიელები და ქართველები პონტო-ბალტიის სანაპიროზე“, „დოქტორი ოტტო ფონ ვეზენდოკი, როგორც ქართველოლოგი“, „დასავლეთ ევროპის რომანული არქიტექტურისა და ქართული არქიტექტურის პარალელების ახსნის ცდა“, „დასავლეთ ევროპა და კავკასია პარალელების სახით“, „შუმერთა პირვანდელი ადგილსამყოფელის საკითხისათვის (კავკასია შესაძლო პირველსამშობლოა შუმერთა ლითონის)“ და სხვ.

ალექსანდრე ნიკურაძე გარდაიცვალა 1981 წლის 13 ივნისს მიუნჰენში.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ევროინტეგრაციის და „ევროპოლოგიის“ განვითარებაში შეტანილია ქართული წვლილიც, რითაც შეგვიძლია დღეს ჩვენ ვიამაყოთ.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ჟორდანიას ნ., რჩეული, ტ. 2, თფ., 1920.
2. ჟორდანიას ნ., რჩეული ნაწერები, თფ., 1911.
3. ჟორდანიას ნ., ევროპა და კაცობრიობა, პარიზი, 1943.
4. შუბითიძე ვ., ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი, თბ., 2008.
5. შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ. წიგნი 1, თბ., 1991.

## იზოლდა ბელთაძე (ბათუმი)

### ინგლისის სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა ნიდერლანდებთან XV-XVI სს.

XV-XVI სს-ში ინგლისსა და ნიდერლანდებს შორის არსებული სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობაში განმსაზღვრელი როლი შეასრულეს ინგლისელმა ვაჭრებმა.

ირკვევა, რომ სწორედ სავაჭრო დიპლომატიიდან აღმოცენდა სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობა, რაც თვალნათლივ ვლინდება ნიდერლანდების მაგალითზე.

ინგლისელი ვაჭრები სამეფო კარზე გამოდიოდნენ არა მხოლოდ სავაჭრო ინტერესების დამცველნი, არამედ როგორც სამეფოს დიპლომატიური წარმომადგენლები უცხოეთში (ი. ბელთაძე, 2003: 209), სადაც დაცული იყო მათი ინტერესები, რაც გამოიხატებოდა კონსულის დანიშვნაში.

ჯერ კიდევ 1296 წელს, ანტვეპენში ბრაბანტის ჰერცოგმა ინგლისელ ვაჭრებს მიანიჭა ქარტია, რომელიც ხელმეორედ გამოცეს 1305 წელს. აღნიშნული ქარტით ინგლისელ ვაჭრებს მიეცათ უფლება აერჩიათ საკუთარი წარმომადგენელი, რომელიც დაიცავდა მათ უფლებებს (Lipson E., 1937:571). 1391 წელს კი რიჩარდ II-მ აირჩია ლონდონელი ჯონები, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელსაც უნდა გადაეწვიტა უთანხმოება ჰაზაში. 1404, 1407 წლებში მსგავსი პრივილეგიები მიენიჭა ინგლისელ ვაჭრებს ჰოლანდიაში, ზელანდიაში, ბრაბანტში და ფლანდრიაში, ხოლო 1408 წელს მათ პრივილეგიები მიიღეს ნორვეგიაში, შვეციასა და დანიაში (Lipson E., 1937:572).

XV-XVI სს. ინგლისის სავაჭრო დიპლომატიის ყურადღების ცენტრში მოექცა ნიდერლანდები. ვინაიდან აბსოლუტიზმის განვითარების პროცესში მყოფი ინგლისის სამეფო ხელისუფლებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ნიდერლანდებთან აქტიური ბალანსის დაცვას საგარეო ვაჭრობაში, რამდენა-

დაც ინგლისური მაუდი ძირითადად გააჰქონდათ ნიდერლანდებში, დიდძალი მოგება სწორედ ამ ვაჭრობას მოჰქონდა. ამაზე მეტყველებს ის აურაცხელი თანხები, რაც დაკავშირებული იყო ზღვის გაღმა გემების დაქირავებასა და საქონლის გადატანასთან.

ნიდერლანდების ქალაქ ბრიუგეში ინგლისის დიპლომატიური წარმომადგენელი იყო ე.წ ზღვის გაღმა მმართველი, რომელიც თავისი ავტორიტეტით, წინდახედულობით, ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე სამეფო ხელისუფლების, ღორდ-მერის და ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიისაგან მიღებულ დავალებებს ასრულებდა.

ზღვის გაღმა მმართველი ინგლისის კეთილდღეობიდან გამომდინარე ყოველთვის დაინტერესებული იყო, რომ ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა განახლებულიყო ბრაზანტთან და ბრიუგესთან. იმისათვის, რომ ადგილი არ ჰქონოდა უსამართლო ბაჟების დაწესებას ინგლისურ საქონელზე, მისი რჩევით შემოიღეს კონდუიტის (ანგარიშსწორების) ორი წიგნი. ერთი რჩებოდა ზღვის გაღმა, მეორე კი, ინგლისელ ვაჭრებთან, რაც იყო საიმედო გარანტი ბაჟების შემოწმებისათვის და ამით თავიდან იქნებოდა აცილებული ზღვის გაღმა ინგლისელთა სავაჭრო უფლებების დარღვევა.

ინგლისელ ვაჭართა დიპლომატიური ქმედების შედეგად სამეფო ხელისუფლება გამოსცემდა სპეციალურ პროკლამაციას, რომელიც ზღუდავდა ვაჭრობას რომის საღრმთო იმპერატორის და ავსტრიის ჰერცოგის მიწებზე. ინგლისის სავაჭრო დიპლომატიაზე მეტყველებს 1508 წ. ჰერცოგ მარგარიტა ბურგუნდიელის მიერ მიწერილი წერილები ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიისადმი და ასევე წერილები გაგ ზაფნილი ინგლისელი ვაჭრების მიერ ნიდერლანდებში ზღვის გაღმა მმართველისადმი.

წერილებიდან ირკვევა, რომ ორივე მხარე მოქმედებს დიპლომატიური სიფრთხილით. ინგლისის სავაჭრო-დიპლომატიურ ინტერესებში შედიოდა სავაჭრო ურთიერთობის განახლება ნიდერლანდებთან და სავაჭრო პრივილეგიების მიღება. ასევე მარგარიტა ბურგუნდიელი დიპლომატიურ სიფრთხილეს იჩენ-

და ინგლისელ ვაჭართა მიმართ. ვინაიდან ორივე მხარე დაინტერესებული იყო სავაჭრო ურთიერთობის განახლებით (The Act, 1936:313).

ინგლისელი ჰუმანისტი ტომას მორი, რომელიც იყო ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის თავისუფალი ვაჭარი, გვევლინება, როგორც ვაჭართა დიპლომატიური წარმომადგენელი ანტვერპენის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების დროს (1508წ.) ვაჭარ-ავანტიურისტებისათვის წინასწარ ცნობილი იყო, რომ ტომას მორი წარმატებით წარმართავდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებს და სწორედ ამიტომ მას ეს საპატიო მისია დააკისრეს (ი. ბელთაძე, 1997:116-117).

ამრიგად, ინგლისის სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის შესწავლამ ნიდერლანდებში ნათელყო, რომ ინგლისელი ვაჭრები გამოირჩეოდნენ დიპლომატიით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთშიც. ისინი ზემოქმედებას ახდენდნენ მეფის ხელისუფლებაზე, ღორდთა პალატაზე, ღორდ მერზე და სათანადო სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებდნენ ნიდერლანდებთან.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. The Act of the Court of the Mercer's company (1453-1528), Cambridge, 1936.
2. Lipson E., The Economic History of England, vol I, london 1937.
3. ბელთაძე ი., ინგლისის სავაჭრო კომპანიები, მათი საქმიანობა და კოლონიური ექსპანსიის დასაწყისი XV-XVI სს. სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2003.
4. ბელთაძე-ხინიკაძე ი., ლონდონის მესერთა და ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია XV-XVI ს. მიჯნაზე, ბათ., 1997.



## *ემზარ მაკარაძე (ბათუმი)*

### **თურქეთ-საქართველოს ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე**

თურქეთის რესპუბლიკა დიდი ქვეყანაა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიული წარსულითა და დღევანდელი დღით. კიდევ უფრო ნათელ მომავალს უწინასწარმეტყველებენ მას სპეციალისტები. თურქეთმა ბოლო ათწლეულის განმავლობაში ისე წამოსწია საკუთარი ეკონომიკა, რომ სერიოზულობას არა არის მოკლებული გამოთქმა: „თურქეთი XXI საუკუნეში შევა, როგორც ერთ-ერთი განვითარებული ქვეყანა.“ 86 წლის წინათ, 1923 წლის 29 ოქტომბერს, დიდი ეროვნული კრების (მეჯლისის) გადაწყვეტილებით თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.

თურქეთის რესპუბლიკა სტაბილურობის, დემოკრატიული, კანონს დაქვემდებარებული სახელმწიფოა, თავისი დინამიკური მოსახლეობით, სწრაფად მზარდი ეკონომიკური სიძლიერითა და მდიდარი კულტურით. თურქეთი ეს არის მუდმივი პროგრესისა და თანამშრომლობის შუამავალი ტრანსრეგიონალური სახელმწიფო.

თურქეთის რესპუბლიკა ყოველ დონეს ხმარობს, რათა კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. თურქეთი საქართველოს სამხრეთელი მეზობელია. XX საუკუნის დასაწყისში თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელს მუსტაფა ქემალ ათათურქს უთქვამს: „თურქეთს სჭირდება ძლიერი მეზობელი აღმოსავლეთში და ასეთი მეზობელი შეიძლება საქართველო გახდესო.“ მაშინ ეს იდეა ვერ განხორციელდა.

თურქეთი ზღვითაც და ხმელეთითაც საქართველოს უშუალო მეზობელია. არამხოლოდ ჩვენ გვჭირდება თურქეთი, არამედ ჩვენც არანაკლებ ვჭირდებით ამ ქვეყანას. თურქეთზე გადის გზები, რომლებიც საქართველოს აკავშირებს დანარჩენ მსოფლიოსთან. საქართველოთი კი თურქეთს უადვილდება ურ-

თიერთობა ჩრდილოეთ კავკასიასთან, რუსეთთან და ცენტრალურ აზიასთან.

თურქეთისა და საქართველოს ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. თანამედროვე ეტაპზე კარგ ურთიერთობას ხელს უწყობს ორივე სახელმწიფოს პოლიტიკური კურსიც, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა სფეროში ნაყოფიერი კავშირების მაქსიმალურ ზრდას.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც 1991 წლის 16 დეკემბერს ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

1992 წლის 30 ივნისს თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ხელმოწერილი იქნა „მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილშობილური ურთიერთობის“ ხელშეკრულება. რომელიც ითვალისწინებდა ურთიერთობის განვითარებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო, სამეცნიერო, ტექნიკურ, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, სპორტის და სხვა დარგებში.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ხელშეკრულებით დაიწყო ახალი ერა ორი ქვეყნის ცხოვრებაში. ჩემთვის, როგორც მეცნიერისათვის საინტერესოა თურქეთ-საქართველოს ურთიერთობა სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში. ამ მხრივ მინდა აღვნიშნო ცნობილი თურქი მოაზროვნის, საქართველოს მეგობრის, ფეთჰულაჰ გულენის დამოკიდებულება ამ საკითხთან მიმართებაში.

ფეთჰულაჰ გულენმა შეძლო სისტემაში მოეყვანა და ჩამოეყალიბებინა ახალგაზრდობის აღზრდისა და განვითარების მექანიზმი. მისი ძალისხმევით, დედამიწის ხუთ კონტინენტზე ასობით საგანმანათლებლო სასწავლებელი, საშუალო სკოლა, ლიცეუმი და კულტურული დაწესებულება გაიხსნა.

ფეთჰულაჰ გულენს და მის დიდ გუნდს კარგი შეხედულება და დამოკიდებულება აქვს საქართველოსადმი, ამ ფაქტთან დაკავშირებით ის დასძენს: „პირადად მე და ჩემი მეგობრები ყოველთვის მომხრენი ვიყავით და ვართ საქართველოსთან კეთი-

ღმგზობლური ურთიერთობისა, ფათიჰის უნივერსიტეტში თუ ჩინურ, იაპონურ და ესპანურ ენებს ასწავლიან, რატომ არ უნდა ესწავლებინათ ქართულიც, ჩვენი მეზობელი ქვეყნის ენაო. თურქეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში უნდა გაიხსნას ქართველოლოგიური ფაკულტეტები, რაც დიდ სარგებლობას მოგვიტანს ორივე მხარესო. კარგია, რომ საქართველოშიც არის თურქული სკოლები და უნივერსიტეტიო.“ის იქვე დასძენს, რომ „საქართველოში არ ეყოფილვარ, 1965 წელს მხოლოდ სარფამდე მოვედი; მაგრამ საქართველოში მაინც აუცილებლად ჩამოვალო.“

შეიძლება ითქვას, რომ ფ. გიულენი და მისი დიდი გუნდი თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაში თანამედროვე ეტაპზე, გახლავთ საყრდენი ხიდი ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

დღეს თურქეთის მეთერთმეტე პრეზიდენტი აბდულა გიული სათავეში უდგას 75 მილიონიან რესპუბლიკას, ქვეყანას რომელიც ეკონომიკური განვითარების, თანამშრომლობისა და დემოკრატიული აღმშენებლობის გზას ადგას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბატიაშვილი ზ., ცნობარი თურქეთზე, ბიულეტენი, №23, 1999.
2. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები, ბათ., 2000.
3. მ. სვანიძემ, თურქეთის ისტორია (1923-2000), თბ., 2005.
4. კომახიძე ნ., მეზობელი კარისაო, თბ., 1992.
5. მაკარაძე ე., გიულენი ფ., მწერალი, ი ნტელექტუალი, მოაზროვნე, თბ., 2008.

## **ABAZA KORSANLARINA KARŞI MÜCADELEDE OSMANLI- GÜRCÜ İTTİFAKI (16. Yüzyıl)**

Osmanlı Devleti ile İmereti Krallığı ilişkileri İstanbul'un fethi ile başlamış ve Rusların 1810'da bölgeyi işgaline kadar sürmüştür. Bu tarihte Rusları tek başına ülkesinden çıkaramayacağını anlayan ve Osmanlı Devleti'ne sığınan son Gürcü kralı II. Solomon beş yıl kaldığı Trabzon'da 1815'de ölmüştür. Osmanlı hakimiyetini tanıyan İmereti kralları ile Osmanlı Devleti arasındaki ilişkiler, genellikle yakın ittifak ilişkileri şeklinde gelişmiştir. Bu çerçevede dikkat çeken bir ittifak, Doğu Karadeniz kıyılarının güvenliğini tehdit eden Abaza korsanlarının faaliyetlerini engellemek için ortaya çıkmıştır. Bu tebliğde, 16. yüzyılda ortaya çıkan bu ilişkiler Osmanlı arşiv belgeleri arasında çok önemli bir yere sahip olan ve Osmanlı Devleti'nin en yüksek istişare organı olan Divan-ı Hümayun kararlarını ihtiva eden Mühimme kayıtları ışığında ele alınacaktır.

### **A. Doğu Karadeniz Kıyılarının Güvenlik Sorunu**

#### **1. Korsanlık Faaliyetleri**

Mühimme kayıtları incelendiğinde, 16. yüzyılda Doğu Karadeniz ve Batı Gürcistan kıyılarında ciddi bir güvenlik probleminin yaşandığı dikkat çekmektedir. Denizden kayıklarla gelerek Osmanlı hâkimiyetindeki Guria'dan<sup>1</sup>, Gonio, Arhavi ve Atina sahillerine<sup>2</sup> kadar saldırılar düzenleyen korsanlar bütün bölgeye tehdit etmektedirler.

Saldırıların 16. yüzyılın başından<sup>3</sup>, hatta Trabzon'un fethinden beri var olduğu<sup>4</sup>, fakat daha çok 1570'li yıllarda yoğunlaştığı dikkat çekmektedir.

Dikkat çeken diğer hususlar, korsanlar her yıl deniz yoluyla gelip saldırmaktadırlar<sup>5</sup> ve saldırılar genellikle ilkbahar aylarında<sup>6</sup> yapılmaktadır. Kayıtlarda korsanların güçlerinin kaç gemiden oluştuğuna dair pek bilgi

---

\* Rize Üniversitesi İlahiyat Fakültesi İslam Tarihi Öğretim Üyesi

<sup>1</sup> Başbakanlık Osmanlı Arşivi, *Mühimme Defteri*, XVII, 26.

<sup>2</sup> BOA, *MD*, XII, 673, 979; XIV, 60.

<sup>3</sup> BOA, *Tapu Defteri*, 52, vr. 299b.

<sup>4</sup> BOA, *MD*, III, 1516.

<sup>5</sup> BOA, *MD*, XVI, 516.

<sup>6</sup> BOA, *MD*, XIV, 58; XVII, 26.

bulunmamaktadır. Bununla birlikte en yüksek rakam olarak 10-15<sup>7</sup> veya 20-30<sup>8</sup> gemi ile saldırılar düzenledikleri şeklinde kayıtlar bir fikir verir niteliktedir.

Korsanların, 1571 yılında dört gemiyle Arhavi kazasına bağlı Sidere köyüne ve iki gemiyle Gonio kazasına bağlı Makriyalu'ya (Kemalpaşa) yaptıkları saldırılar bir örnek zikredilebilir. Korsanlar, bu saldırılar sırasında pek çok kimseyi öldürmüşler veya yaralamışlar, kırkyedi kişiyi esir almışlar, halkın sığırlarını telef ederek pek çok zarar vermişlerdir. Halk büyük sıkıntılar yaşamaktadır ve herkes denizde Abaza gemileri var diye korku içindedir. Arhavi kadısının durumu İstanbul'a bildirmesi üzerine Trabzon beyi, kayıkları silahla donatıp Batum beyi ile de haberleşerek korsanları cezalandırmakla görevlendirilmiştir<sup>9</sup>.

## 2. Korsanlar Sadece Abazalar mı?

Mühimme kayıtlarında, saldırıları yapanlar genellikle Abaza korsanları olarak gösterilmektedir<sup>10</sup>. Abazaların saldırılarda Çerkeslerle ittifak yaptıklarına dair bilgiler<sup>11</sup> de dikkat çekmektedir. Abazaların bu faaliyetlerinde başka müttefikleri de var mıdır? Mesela Megreller bu anlamda Abazalarla işbirliği yapmış olabilirler mi?

Korsanlık faaliyetleri için Megrellerin de adı geçmektedir<sup>12</sup>. Hatta bazı belgelerde, saldırıyı yapanların Samegrelo beyi ve oğulları olduğu bile kaydedilmektedir<sup>13</sup>. Abazaların Samegrelo beyinin emrinde olduklarının yanı sıra dadyanın Abaza ve Çerkeslerle birlikte Guria'ya saldırma ihtimalinin yüksek olduğundan söz edilmesi<sup>14</sup> gibi hususlar da bu noktayı destekler mahiyettedir. Ayrıca bazı belgelerde Abhazya ile birlikte Samegrelo'ya da silah nakliyatının yasaklandığının belirtilmesi<sup>15</sup>, Megrellerin de korsanlık

---

<sup>7</sup> BOA, MD, XII, 673; XIV, 60.

<sup>8</sup> BOA, *Mühimme Zeyli*, VII, 1.

<sup>9</sup> BOA, MD, XII, 979, 980; XIV, 1471.

<sup>10</sup> BOA, MD, XII, 979, 980; XIV, 58, 1471; XV, 1077; XVI, 196, 516; XVII, 26; XXIV, 330; XXV, 210; XLVII, 205; MZ, VII, 1.

<sup>11</sup> BOA, MD, , XLVII, 192, 205.

<sup>12</sup> BOA, MD, XII, 673, 1077; XIV, 60; XXV, 210.

<sup>13</sup> BOA, MD, XII, 673; XIV, 60; XV, 1077.

<sup>14</sup> BOA, MD, XXV, 210.

<sup>15</sup> BOA, MD, XXIII, 757; XXIV, 727; XXX, 386; XXXIII, 571; XXXIV, 83; XLII, 477; LIII, 118; MZ, III, 316.

faaliyeti içinde yer aldıklarını, en azından Abazalarla işbirliği yaptıklarını düşünmemize yol açmaktadır.

Burada bir soru akla gelmektedir. Megrellerle akrabalıkları ve gemicilikte mahir oluşları dikkate alınırsa korsanlar Lazlar olabilirler mi? Şimdilik söyleyebileceğimiz şundan ibarettir: Mühimme kayıtlarında bu yönde bir düşünceye imkan verecek bir kayda rastlamış değiliz.

Kırım hanı Devlet Giray'a yazılan ve Çerkeslerin esir alınmasının engellenmesine dair 1573 yılına ait bir hüküm<sup>16</sup> konunun bütün Kafkasya'yı ilgilendiren önemli bir sorun olduğunu göstermektedir.

## **B. Korsanlara Karşı Alınan Tedbirler**

Korsanlar tarafından yapılan saldırılarının önlenmesi için bazı tedbirler alınmıştır. Bu hususla daha çok Erzurum<sup>17</sup>, Batum<sup>18</sup> ve Trabzon<sup>19</sup> beyleri görevlendirilmiştir. Batum Beylerbeyliği'nin kurulmasından sonra ise muhafaza görevi, Batum beylerbeyine havale edilmiştir.

Bu çerçevede tedbir olarak Trabzon'da Abaza saldırılarına karşı **silahlı kayıklar** hazır bekletilmiştir<sup>20</sup>. Bu uygulamanın fetihten itibaren uygulandığı anlaşılmaktadır. Zamanla kayıkların çürümesi sebebiyle, korsan saldırıları karşısında etkisiz kalmıştır. Nitekim 1560 yılı Ramazan ayında gerçekleşen Abaza saldırılarından sonra Erzurum beylerbeyi durumu İstanbul'a bildirerek savunma tedbirleri çerçevesinde on kayık yaptırmak ve bir kaptanla tumarlı sipahiler tayin etmek için izin istemiştir. Kendisine yazılan cevapta, beş gemi yaptırarak kaptan ve sipahiler tayin edip muhafazayı temine çalışması emredilmiştir<sup>21</sup>

Daha sonraları Trabzon ve başka yerlerden Gonio'ya gönderilen kayıklar burada nöbet tutarak korsanların bölgeye saldırılarını engellemeye çalışmışlardır. Fakat bunların bazen yerlerine zamanında gitmemeleri sebebiyle de bazı sıkıntılar yaşanmıştır<sup>22</sup>.

---

<sup>16</sup> BOA, MD, XXIII, 255.

<sup>17</sup> BOA, MD, III, 1516.

<sup>18</sup> BOA, MD, XII, 898; XIV, 58, 1471; XV, 228, 979, 980, 1077, XVI, 196; XXIII, 757.

<sup>19</sup> BOA, MD, XII, 979, 980; XIV, 1471.

<sup>20</sup> BOA, MD, XIV, 1471; XVI, 196.

<sup>21</sup> BOA, MD, III, 1516.

<sup>22</sup> BOA, MD, XVI, 516.

Ayrıca yalılarının yanı sıra Faş Kalesi'nin muhafazası<sup>23</sup> korsanlara karşı caydırıcı bir tedbir olarak düşünülmüştür. Bilindiği gibi 1579 yılında **Faş kalesi tahkim edildi** ve içine asker konulup bir kaptanlık kurularak bölgenin emniyetinin teminine çalışıldı. Bölgede taş bulunmadığından kale ağaçtan yapılmıştır<sup>24</sup>. Ağaçtan yapıldığı için kısa zamanda çürümüş kalenin sıklıkla tamiri gerekmiştir.

Sahillerin muhafazası ve Abaza saldırılarının durdurulabilmesi için sınırdaki Tzihisziri gibi bazı kalelerin de tamir edilmesi<sup>25</sup> gündeme gelmiştir.

Abaza korsanlarına karşı alınan en önemli tedbirlerden birisi, **Abhazya'ya barut ve silah nakliyatının yasaklanması** olmuştur<sup>26</sup>. Bu tedbir ile korsanların en azından silah temininde zorluk çekmeleri hedeflenmiştir.

Korsanlara karşı alınan en önemli tedbirlerden bir diğeri, **esir ticaretinin yasaklanması** olmuştur. Bilindiği gibi Kafkasya ve Gürcistan eski dönemlerden beri esir toplama bölgelerindedir. Gürcistan'da bu durum daha çok batı bölgelerinde yani Karadeniz kıyılarında yaygın idi. Çünkü korsanlar ve köle tacirleri baskınlarda ele geçirdikleri veya satın aldıkları insanları deniz yoluyla kolaylıkla istedikleri yere nakledebiliyorlardı. Ayrıca tarihi, sosyal ve ekonomik sebepler de köle veya esir ticaretinin devamına imkan sağlamaktaydı.

Osmanlı Devleti, belli esaslar çerçevesinde köle ticaretine izin verdiği halde Batı Gürcistan kıyılarındaki halkın esir olarak satılmasını yasaklamıştır. Bunda Gürcü idarecilerin taleplerinin de etkili olduğu düşünülebilir. Nitekim İmereti kralı ile Guria beyi elçi gönderip Gürcülerin esir olarak alınıp satılmasının engellenmesi için Osmanlı Devleti'nden yardım istemişler, bunun üzerine konu ile ilgilenmesi için Erzurum beylerbeyi görevlendirilmiştir<sup>27</sup>.

### **C. Korsanlara Karşı Osmanlı-Gürcü İttifakı**

Korsanlara karşı başarı şansını artıran en önemli hususlardan birisi mücadele için Osmanlı Devleti ile İmereti Krallığı'nın işbirliği yapmış ol-

<sup>23</sup> BOA, MD, XLVII, 192, 205.

<sup>24</sup> BOA, MD, XLII, 392.

<sup>25</sup> BOA, MD, XII, 898.

<sup>26</sup> BOA, MD, XV, 228, 1077; XVI, 239; XIX, 364; XXII, 325; XXIII, 495; XXIV, 727; XXX, 386, 445; XLII, 477.

<sup>27</sup> BOA, MD, XXI, 657.

malarıdır. Bilindiği gibi Kılıç Ali Paşa 1579 yılında bir donanma ile Karadeniz'in doğu sahillerinden Poti'ye gelmiştir. Bu, bir açıdan bölgedeki korsan faaliyetlerine karşı bir hareket idi. Nitekim bir yıl önce Lala Mustafa Paşa İran'a karşı girişilen sefer sırasında yardım istediğinde İmereti kralı ile Guria ve Samegrelo beyleri bölgenin Abaza ve Çerkes saldırıları sebebiyle emniyette olmadığını bildirmişlerdi.

Kılıç Ali Paşa'nın seferinin bir hedefinin Tiflis'teki Osmanlı kuvvetlerine yardım ulaştırmak olduğu bilinmektedir. Ayrıca bu seferin genel anlamda bölgedeki Osmanlı hakimiyetini güçlendireceği de söylenmelidir.

Bunların yanı sıra Faş (Poti) Kalesi'nin tamiri ve içine asker konmasının bir amacı da bölgede emniyeti tesis ve Abaza korsanlarının faaliyetlerini engellemek idi. Bölgedeki Gürcü idarecilerin de konuyu böyle değerlendirdikleri anlaşılmaktadır. Zira onlar da kalenin tamirine yardım etmişlerdir. Mesela kalenin yapımında Samegrelo ve Guria'dan gelen ustalar da çalışmışlardır<sup>28</sup>. Gürcülerin desteği kalenin sonraki yıllarda tamiri sırasında da söz konusu olmuştur. Batum beylerbeyi Yusuf Paşa 1582 yılında kalenin tamiri ile görevlendirildiğinde bölgedeki Gürcü beyleri kendisine yardım etmişlerdir. Mesela Guria beyi, Yusuf Paşa'yı, oğlu ve askerleriyle karşılamış ve kalenin tamirine yardımcı olmuştur. Bundan dolayı kendisine bir hil'at gönderilmiştir. Tamir sırasında yardımı görülen başka Gürcü beyleri de benzer şekilde ödüllendirilmişlerdir<sup>29</sup>.

Gürcü beylerinden Giorgi'den Guria'daki bir iskeleye (Sadmel ?) yasak eşya getirilmesini engellemesinin istenmesi<sup>30</sup>, hem işbirliğini hem de güveni göstermektedir.

İşbirliğini anlamak kolaydır. Zira Osmanlı Devleti'nin bölgedeki faaliyetleri ile İmereti kralı Bagrat'ın esir ticaretini önlemek için harcadığı çaba aynı hedefe yöneliktir. O da bölgede emniyetin tesis edilmesidir.

#### **D. Korsanlara Karşı Ne Kadar Başarılı Olundu?**

Tedbirler sebebiyle Osmanlı Devleti'nin Batı Gürcistan ile ticareti zarar görmüştür, fakat tedbirlerden vazgeçilmemiştir. Fakat çeşitli tedbirlere rağmen korsan saldırıları tamamen engellenememiştir. Bunun çeşitli sebepleri olabilir. Serhat muhafazası için görevlendirilen askerlerin yerlerini terk etm-

<sup>28</sup> Âli Mustafa Efendi, *Nusretnâme*, Nuruosmaniye Ktp., nr. 4350, vr. 192a.

<sup>29</sup> BOA, MD, XLVIII, 144, 190, 309; LX, 447, 448.

<sup>30</sup> BOA, MD, XLII, 477.



eleri ve görevlerindeki ihmalleri<sup>31</sup>, bir sebeptir. Korsanlara karşı en önemli tedbir olarak düşünülen Faş kalesinde askerlerin uzun süre kalmak istememeleri bir yönüyle bölgenin havasının iyi olmaması<sup>32</sup> ile ilgilidir.

Korsanların faaliyetlerinin tam anlamıyla sona erdirilememesinin sebeplerinden biri, korsanların saklanması için Batı Gürcistan kıyılarında uygun yerlerin bulunmasıdır.

Ayrıca Osmanlı vatandaşı olan bazı tımar sahipleri ile çavuş ve tüccarın bölgedeki esir ticaretine karışmaları<sup>33</sup>, bu konuda başarıyı zorlaştırmıştır. Mühimme kayıtlarında insan ticaretine karışan en üst düzey yetkili olarak dikkat çeken Acara-i Süfla sancakbeyi Çıldır beylerbeyi tarafından padişaha şikâyet edilerek cezalandırılması istenmiştir<sup>34</sup>. Bu kimseler Osmanlı Devleti tarafından cezalandırılmıştır, fakat yine de bu durumun korsanları cesaretlendirdiği düşünülmelidir.

Aynı şekilde Gürcüler arasında da insan ticareti yapanlar vardır ve bazen bunlar çok önemli kimseler olabilmektedirler. Samegrelo beyi ile ilgili bazı iddialara değinilmişti. Bu çerçevede Guria beyi ile ilgili de bazı iddialar mevcuttur. Bir Mühimme kaydından anladığımız kadarıyla Erzurum beylerbeyi, Acara halkını esir edip sattığı iddia edilen Guria beyine nasihat ederek bu tür davranışlardan vazgeçirmesi için görevlendirilmişti<sup>35</sup>. Guria yöneticilerinin bazen korsanları korudukları şeklinde kayıtlar da bulunmaktadır. Nitekim Guria beyine yazılan bir hükümde, Gonio çevresine saldırarak pek çok köyü yakıp halkı esir eden Abaza eşkıyasının, Gonio kaptanı üzerlerine vardığında Guria'ya kaçıp saklandıkları ve teslim edilmeleri istendiğinde ise himaye edildikleri ifade edilmektedir. Daha sonra kendisinin irsen Osmanlı tâbii olduğu hatırlatılarak korsanları ülkesinde saklamaması ve ele geçirilmeleri için kaptana yardımcı olması istenmektedir<sup>36</sup>.

Anlaşıldığına göre Guria ve Acara bölgesinden bazı kimseler birbirlerinin bölgelerine saldırılar düzenlemekte ve insanları toplayıp satmaktadırlar. Osmanlı Devleti ise bunları önlemek istemektedir. Guria

---

<sup>31</sup> BOA, MD, VII, 2060.

<sup>32</sup> BOA, MD, XLVI, 605, 609.

<sup>33</sup> BOA, MD, XXI, 657; XXIX, 522; XLVIII, 793.

<sup>34</sup> BOA, MD, LX, 373.

<sup>35</sup> BOA, MD, XXXIV, 81.

<sup>36</sup> BOA, MZ, VII, 1.

beyinden bu tür faaliyetlerden uzak durmasının istendiğini zikretmiştik. Diğer yandan Batum beylerbeyinden de Guria halkının esir alınmasını engellemesi ve kimde esir varsa serbest bırakılmasını temin etmesi istenmiştir<sup>37</sup>. İki bölge yöneticilerinin bu şekilde dikkatleri çekilerek korsanlık faaliyetleri engellenmek istenmiştir.

### **Sonuç**

Osmanlı arşiv kaynakları içinde çok önemli bir yeri olan Mühimme kayıtları incelendiğinde 16. yüzyılda Abaza korsanlarının saldırıları sebebiyle Doğu Karadeniz kıyıları için korsanların ciddi bir tehdit oluşturdukları söylenebilir. Çünkü saldırılarda bölge yağmalanmakta, ele geçirilen insanlar köle olarak satılmaktadır. Bu durum bölge halkını ciddi biçimde rahatsız etmektedir. Saldırıları Guria'dan Atina/Pazar'a kadar geniş bir kıyı şeridini tehdit etmektedir. Korsanlar için kayıtlarda genellikle Abaza denmekte, fakat başka etnik unsurdan kimselerin de bu tür faaliyetler içinde oldukları anlaşılmaktadır.

Osmanlı Devleti korsanların gfaaliyetlerini engelleyebilmek için çeşitli tedbirler almıştır. Abaza korsanlarının saldırılarını engellemek için genellikle Trabzon ve Batum beyleri görevlendirilmiştir. Faş (Poti) Kalesi'nin tamiri ve burada bir kaptanlık kurulmasının ardından görev büyük ölçüde buraya devredilmiştir. Tedbirler çerçevesinde Abhazya'ya barut ve silah ihracatı yasaklanmıştır. Esir ticaretinin yasaklanması da önemli bir tedbir olmuştur.

Abaza korsanlarına karşı mücadele eden Osmanlı Devleti, bunun için bölgedeki Gürcü yöneticilerden de yardım almıştır. Özellikle İmereti kralları ile işbirliğine gidilmiştir. Guria ve Samegrelo yöneticileri bazen sorun oluşturmuş olsalar da genellikle onlar da bu sürece destek olmuşlardır. İmereti krallarının ise her zaman Osmanlı Devleti ile tam bir işbirliği içinde oldukları dikkat çekmektedir. Mühimme kayıtlarında bunun aksini düşünmeye imkan verecek bir kayda rastlanmamıştır.

---

<sup>37</sup> BOA, MD, XLVIII, 793.

*მერაბ მეგრელიშვილი (ბათუმი)*  
*თამაზ ფუტყარაძე (ბათუმი)*

**თურქეთში ქართული ლეგიონის ისტორიისათვის**

„Легион Табур“ - ასე მოიხსენიებდნენ რუსები თურქეთში მოქმედ ქართულ ლეგიონს.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა თურქეთის შავიზღვისპირეთში მცხოვრებ რუსეთის „ქვეშევრდომ“ ქართველებზე (ასე თვლიდნენ ისინი) დააწესა ზედამხედველობა.

მეთვალყურეობა დაწესდა ქართული ლეგიონის შემდეგ წევრებზე: „1. ლეონ კერესელიძე (მეტსახელად ქარელი) 40-42 წლის, ქართული ლეგიონის ხელმძღვანელი; 2. ნესტორ კერესელიძე – 38 წლის. ქართული ლეგიონის ოფიცერი; 1914 წელს მიუღია მუსულმანობა, რათა სომეხ ქალზე დაქორწინებულიყო; 3. სერგი (გვარი უცნობია) ოფიცერი. თბილისში ფოსტის გაძარცვაში მხილებული; 4. ივანე (გვარი უცნობია) ოფიცერი; 5. ალექსანდრე (გვარი უცნობია), ოფიცერი; 6. გიორგი იგივე ოსმან ბეი, მაჭახლისპირელი (ბათუმის ოლქი) ოფიცერი; 7. ლავრენტი (გვარი უცნობია), ოფიცერი; 8. კოსტა (გვარი უცნობია); 9. სულეიმან-ბეი (გვარი უცნობია); 10. ქართული ლეგიონის ხაზინადარი“ (აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. ი-1, აღწ. 1. ს. 765, 20).

რით შეიძლება აიხსნას ზემოთ ჩამოთვლილი ამდენი ქართველი ოფიცრის რუსეთის ხელისუფლებისათვის უცნობად ყოფნა? ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ „ქართველი ოფიცრები კონსპირაციას იცავდნენ, რის გამოც რუსთა დაზვერვამ მათი ვინაობა ვერ დაადგინა“ (აბელ და კახაბერ სურგულაძეები, „ქართული ლეგიონი თურქეთში,“ ბათ., 1994, 22).

ვფიქრობთ, რომ რუსეთის ხელისუფლება სპეციალურად უშვებდა ქართველი ოფიცრების ინკოგნიტოდ ყოფნას, რათა ამით გააღვილებულიყო ყოველდღიური კონტროლი თურქეთში

მოქმედი ქართული ლეგიონის საქმიანობაზე. რასაც გვიდასტურებს აჭარის არ არქივში დაცული მასალები.

ქართული ლეგიონის შექმნის იდეას რუსები თურქი და გერმანელი სამხედრო პირების პროპაგანდას უკავშირებდნენ.

ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ქართული ლეგიონის შექმნისათვის დიდი ორგანიზაციული მუშაობა გასწია პეტრე სურგულაძემ, რომელიც 1911 წლიდან მოყოლებული მის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი ორგანიზაციის „დადიანის კომიტეტის“ სახელით იბრძოდა საქართველოს განთავისუფლებისათვის.

კომიტეტთან არსებული ლეგიონი ჩამოყალიბდა 1914 წლის დამლევს ტრაპიზონში. „პირველად იგი აერთიანებდა 400 კაცს, შემდეგ მას დაემატა 400 ჩეთნიქი“ (აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. ი-1, აღწ. 1, ს. 765, 27).

ქართულ ლეგიონს მფარველობდა და საომარი იარაღით უზრუნველყოფდა გერმანიისა და თურქეთის ხელისუფლება. ლეგიონი დააფინანსა გერმანიის საელჩომ, რის გამოც რუსეთი პროტესტს გამოთქვამდა გერმანიისა და თურქეთის ხელისუფლების მიმართ.

გერმანიის კონსული თბილისში ფონ შულენბურგი თანადგომას უცხადებდა ქართულ ლეგიონს და თურქეთის არმიის კავკასიაში შემოჭრის შემთხვევაში მასზე დიდ იმედებს ამყარებდა.

ქართული ლეგიონის ხელმძღვანელს ლეო კერესელიძეს თურქეთის ხელისუფლება ეჭვის თვალით უყურებდა. ისინი მას ავანტიურისტად მიიჩნევდნენ და არარეალურად მიაჩნდათ აჯანყების მომენტში მისი გამოსვლა თურქეთის მხარეზე.

აჯანყების იდეას არ თანაუგრძობდნენ ევროპელებიც. მათი აზრით, ეს იქნებოდა სახიფათო ავანტიურა, რომელიც კითხვის ქვეშ დააყენებდა ქართველი ერის თვით არსებობასაც კი. განსაკუთრებით შთამბეჭდავია გერმანელი ფონ დერ პოლცის მიმართვა ქართველებისადმი: „არამც და არამც არ გასწიოთ საქართველოში პროპაგანდა ქართველი ერის ასაჯანყებლად. არ დაგავიწყდეთ, რა ბედი ეწია სომხეთს ოსმალეთის ტერიტორიაზე რუსეთის შესვლის დროს, აჯანყების გამო. თქვენი პრობლე-

მა არის წმინდა პოლიტიკური. არავითარი მნიშვნელობა არ შეუძლია ჰქონდეს ამ უზარმაზარ კონფლიქტში თქვენს სამხედრო ძალას“ (აბ. სურგულაძე და კ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ, 28).

ამის მიუხედავად ევროპაში დიდად აფასებდნენ ქართული ლეგიონის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

აჯანყების დაწყებისას ქართული ლეგიონს მიზნად ჰქონდა დესანტის გადასხმა ქობულეთის მიდამოებში. სწორედ ამ მიზნით 1916 წლის იანვარში ფოთში გააგზავნეს 12 კაციანი ჯგუფი.

სამსუნში ქართულ ლეგიონს შეემატა გერმანიიდან კრეისერ „ბრესლაუთი“ ჩამოსული 5 ქართველი. მათ ახალდამთავრებული ჰქონდათ სამხედრო სკოლა გერმანიაში და დასავლეთის ფრონტზე იბრძოდნენ გერმანელთა მხარეზე.

აღნიშნულ პერიოდში ლეო კერესელიძე და კიდევ ორი ოფიცერი (ალექსანდრე და ოსმან ბეი) ირანში იმყოფებოდნენ, რის გამოც ქართულ ლეგიონს დროებით მეთაურობდნენ გერმანელები, ლ. მოხელი, ფონ შულენბურგი და ძმები შლიბახები. ძმები შლიბახები თბილისში ავტომობილების სახელოსნოს გახსნაგებდნენ. „შულენბურგი იყო გერმანიის ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მოგვიანებით კი საბჭოთა კავშირში (აბელ და კახაბერ სურგულაძეები, დასახ. ნაშრომი გვ. 17).

ტრაპიზონში მოქმედ ჯგუფში შედიოდნენ: „თბილისიდან მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მეთური თავადი წერეთელი (მეტსახელად ვანო), ქუთაისის გუბერნიიდან ლეო კერესელიძე და მისი ახლობელი ნესტორ კერესელიძე, ზესტაფონიდან მეტყვიამფრქვევეთა ასეულის ოფიცერი სერგო ლაბაძე, რაჭიდან ალექსანდრე (ოფიცერი, გვარი უცნობია), გურიიდან პეტრე სურგულაძე და მელიტონ თავართქილაძე, აჭარიდან მაჭახლისპირელი ოსმან ბეგ ალა-ზადე (იგი იყო პეტრე სურგულაძის პირადი დაცვა) და ბოლოს ჩერქეზი ისმაილ ბეგი. თურქეთის სარაყამიშთან შეტევის დროს ისმაილ ბეგი იყო ენვერ ბეის თარჯიმანი (აცსა, ფ. 0-1, აღწ. 1 ს. 765, 32).

როდესაც რუსები რიზეს უტევდნენ, ქართულ ლეგიონში უკვე 800 კაცი იყო, ხოლო 1916 წლის ბოლოს მასში ირიცხებოდა 1300 კაცი და ტრიბოლის მიდამოებში იდგა პოზიციაზე.

ქართველთა შორის ვრცელდებოდა შემდეგი შინაარსის მოწოდებები: „ქართველებო! ჩვენი საყვარელი და მარავლტანჯული სამშობლო საქართველო დღეს იარაღს კიდებს ხელს და ბრძოლის ველზე გამოდის, რათა ამ მსოფლიო ომში მანაც მოიპოვოს თავისუფლება და ადადგინოს წართმეული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება... რუსეთის დამარცხებამ თავისუფლება უნდა მისცეს საქართველოს, უკრაინას, პოლონეთს, ფინეთს და სხვა ხალხებს” (აბელ და კახა სურგულაძეები, დასახ. ნაშრომი, 19).

მასსოვრდა. ამ პერიოდში ნატო, როგორც უდიდესი და ყველაზე წარმატებული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, იწყებს ტრანსფორმაციის პროცესს და ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა, ჩნდება შანსი, თანამშრომლოს მასთან. საქართველო პირველ ნაბიჯებს ნატოსკენ სწორედ 90-იანი წლების დასაწყისში დგამს, რაც უდავოდ, განსაკუთრებული მოვლენა იყო.

ნაშრომში მოკლედ მიმოვიხილავთ ნატოსა და საქართველოს ურთიერთობების ძირითად ასპექტებს.

1992 წელს საქართველო გახდა ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი (NACC);

1994 წლის 23 მარტს საქართველო შეუერთდა ნატო-ს «პარტნიორობა მშვიდობისათვის» პროგრამას (PfP);

1995 წლის 18 ივლისს საქართველო შეუერთდა «შეთანხმებას ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების წევრ-ქვეყნებსა და «პარტნიორობა მშვიდობისათვის» პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის ძალების სტატუსის შესახებ» (SOFA);

1996 წელს საქართველომ შეიმუშავა და წარადგინა ნატო-ში პირველი «ინდივიდუალური პარტნიორობის» პროგრამა (Individual Partnership Program – IPP);

1997 წლის 30 მაისს შეიქმნა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (EAPC) და საქართველო გახდა მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი;

1999 წლის მარტში საქართველო მიუერთდა «პარტნიორობა მშვიდობისათვის» პროგრამის «დაგეგმვისა და ანალიზის პროცესს» (Planning and Review Process – PARP);

2004 წლის 28-29 ივნისს სტამბოლში გამართულ ნატო-ს უმაღლესი დონის სამიტზე საქართველო, აზერბაიჯანი და უზბეკეთი ოფიციალურად შეუერთდნენ «ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის» ინიციატივას;

2004 წლის 29 ოქტომბერს ნატო-ს უმაღლესმა ორგანომ ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ (NAC) ე.წ «დუმბლის პროცედურის» საფუძველზე დაამტკიცა საქართველოს «ინდივიდუალური პარ-

ტნიორობის სამოქმედო გეგმა» და საქართველო გადავიდა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ე.წ. «მეორე ეტაპზე»;

საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა ოთხი ნაწილისაგან შედგება: პოლიტიკური და უსფრთხოების საკითხები; თავდაცვის, უსაფრთხოებისა და სამხედრო საკითხები; საჯარო ინფორმაცია, სამეცნიერო და გარემოს დაცვის საკითხები და სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვა; ადმინისტრაციული, საინფორმაციო უსაფრთხოებისა და რესურსების მართვის საკითხები. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები ზოგადად არის განხილული გეგმის პირველ ნაწილში, ხოლო მეორე ნაწილი შეიცავს დასმული საკითხების და მიზნების განხორციელებითვის აუცილებელი ღონისძიებების კონკრეტულ, დროში გაწეორებულ გეგმას.

2006 წლის 21 სექტემბერს, ნიუ-იორკში გაიმართა ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა არაფორმალური შეხვედრა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატო-ში გაწევრიანების საკითხებზე საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის დაწყების შესახებ. საქართველოს მიერ ინტენსიური დიალოგის დაწყება არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი, გადადგმული პარტნიორობის ფორმატიდან წევრობის კანდიდატის ფორმატზე გადასასვლელად. ინტენსიური დიალოგი წარმოადგენს ალიანსსა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის მექანიზმს, რომლის ძირითადი მიზანია, მოამზადოს საფუძველი ქვეყნის MAP-ის (გაწევრიანების სამოქმედო გეგმა) ფაზაზე გადასასვლელად.

2009 წელს ვერ მოხერხდა საქართველოსათვის MAP-ის მიღება, მაგრამ შეიქმნა საქართველო-ნატოს კომისია.

დასკვნის სახით მინდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და პოსტსაბჭოურ წლებში კავკასიაში თავი იჩინა ბოლო პერიოდში ტრადიციულად მომდინარე, ზოგჯერ კი, დღეს ინსპირირებულმა მძაფრმა შინაგანმა ეთნოკომფლიქტებმა. აშკარაა, რომ კავკასიის ხალხები ხარკს უხდიან ახლო წარსულის „ხალხთა ძმობისა და ინტერნაციონალური მეგობრობის“ დამახინჯებულ და

ყალბად გაგებულ შემკვიდრებას. დღეს ორ ბანაკად გაყოფილი კავკასიის ქვეყნები და ხალხები მსოფლიო გლობალურ სისტემაში ახალ რეალობებს ამკვიდრებენ. დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შეუქცევად გზაზე დამდგარი ამიერკავკასიის ქვეყნები დასავლეთის ცივილიზაციაში, მათ მიერ საუკუნეების წინათ მოპოვებული ადგილის დამკვიდრებისათვის იბრძვიან. ეროვნული დამოუკიდებლობის მაქსიმუმის მიღწევას ცდილობენ რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილო კავკასიის ხალხებიც (შამილაძე, 2001: 7-8).

სამხედრო-პოლიტიკური ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ნატოს წევრობა საქართველოსათვის საუკეთესო ხელმისაწვდომი გარანტიაა ეროვნული უსაფრთხოებისთვის. ის არის წინაპირობა და საშუალება თანამედროვე და სათანადოდ აღჭურვილი შეიარაღებული ძალების მშენებლობისთვის, საგანგებო შემთხვევებში ადეკვატური და კოლექტიური რეაგირების უნარით.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ალიანსის წევრობას მოაქვს პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებელი. უსაფრთხოება, როგორც ეკონომიკური ზრდის წინაპირობა, ხელს უწყობს პოტენციურ ინვესტორებში ნდობის ჩამოყალიბებას. ეს კი თავის მხრივ დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და შრომის ანაზღაურებაზე. და ბოლოს, ნატოს თავის თავად მოაქვს ეკონომიკური შესაძლებლობები. როგორც ერთობლივად დაფინანსებული ინფრასტრუქტურისა და უსაფრთხოების აღჭურვილობის პროგრამების მონაწილეებს, წევრ-სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ისეთი აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და აგებაში, როგორცაა აეროპორტები, კომუნიკაციები და საინფორმაციო სისტემები, რადარები, სანაუიგაციო სისტემები და ა.შ. ქვეყნებს ხელი მიუწვდებათ სამხედრო ტექნოლოგიების უფრო მაღალ სტანდარტებზე ისევე, როგორც შესაძლებლობაზე მონაწილეობა მიიღონ უცხოური კვლევითი ცენტრების საქმიანობაში და ჩაერთონ ნატოს მიერ დაფინანსებულ ან წევრ სახელმწიფოთა მიერ ერთობლივად განხორ-



ციელებულ პროექტებში (დაწვრ. იხ.: საქართველო – ნატო..., 2007; ცინცაძე, უმულისი - ნატო და საქართველოს უსაფრთხოება; ჩიტაძე, ნატო – ჩრდილოატლანტიკური ალიანსი...; [www. nato. Int...](http://www.nato.int) და სხვა).

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველო – ნატო, საწყისები, რეალობა, პერსპექტივები, თბილისი, 2007.
2. ცინცაძე ს., უმულისი უ., ნატო და საქართველოს უსაფრთხოება, [http://www. natoinfo.ge/?page=324&lang=ge](http://www.natoinfo.ge/?page=324&lang=ge).
3. შამილაძე ვ., ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ, თბ., 2001.
4. ჩიტაძე ნ. ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი: მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. [http://www.natoinfo.ge/cms/ste\\_images/book\\_3.pdf](http://www.natoinfo.ge/cms/ste_images/book_3.pdf)
5. <http://www.nato.int/science/index.html>.

## ნატო ლაზბა (ბათუმი)

### ისლამური ტერორიზმი და სამართლებლო

ტერორიზმი უმნიშვნელოვანესი მსოფლიო გამოწვევაა. დღეს საერთაშორისო ტერორიზმი არის პრაქტიკულად ახალი გლობალური პრობლემა, რომელიც საფრთხეს უქმნის ცივილიზაციას, თითოეულ ჩვენთაგანს და ჩვენი ცხოვრების წესს. 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის მასშტაბებმა არა მხოლოდ შეაძრწუნა მთელი მსოფლიო, არამედ მოახლოებულ მსოფლიო კატასტროფაზე მიგვანიშნა. რეალურად, 11 სექტემბრის მოვლენებმა შეცვალა მთელი ცივილიზებული სამყაროს მენტალიტეტი. ანტიტერორისტული კოალიციის შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენაა.

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, ტერორიზმის საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია დღემდე არ არსებობს. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ყველა ტერორისტული ორგანიზაცია ყველგან და ყოველთვის იყენებდა და იყენებს ხუთ ძირითად მეთოდს: შურისძიება, დაშინება, პროვოკაცია, ნგრევა და შანტაჟით ფულის გამოძალვა.

1999 წელს, გაერომ, ერთა ლიგის პროექტზე დაყრდნობით, ტერორიზმის შემდეგი ფორმულირება მიიღო: "ყველა კრიმინალური აქტი, მიმართული უშუალოდ სახელმწიფოს წინააღმდეგ, უბრალო ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებში, ან საზოგადოებაში მთლიანად, ტერორის მდგომარეობის შექმნის მიზნით, რომელსაც არ გააჩნია გამამართლებელი გარემოება, მიუხედავად იმისა, რომ მათი პოლიტიკური, ფილოსოფიური, იდეოლოგიური, რასობრივი, ეთიკური თუ რელიგიური საფუძველები ამართლებს მათ ქმედებას."

ტერორიზმი არღვევს ადამიანის სამართლებრივი დაცვის სისტემას, დიდ დარტყმას აყენებს მსოფლიო საზოგადოების სტაბილურობას, სახელმწიფოთა ეროვნულ ინტერესებს და სამართალდამცავი სისტემის პრესტიჟს. თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმი თავისი ყველა ფორმით, გამოვლენებით, მასშტა-

ბებით, ინტენსიურობით, არაადამიანობითა და სიმკაცრით გახდა გლობალური მნიშვნელობის ერთ-ერთი მწვევად და აქტუალური პრობლემა.

თუ მეცხრამეტე საუკუნესა და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ტერორისტები მტრებად მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებსა და პოლიტიკურ ლიდერებს თვლიდნენ, ჩვენ დროში, ტერორისტული აქტის სამიზნედ იქცა ნებისმიერი მოქალაქე. აღსანიშნავია, რომ ექსპერტები თანამედროვე ტერორის მთავარ მიზნად მასმედიის მკვეთრ რეაქციას მიიჩნევენ. ტერორისტული აქტი თავის სიმძაფრეს კარგავს, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იგი არ განიხილეს, რადგან ექსპერტთა აზრით, იკარგება კავშირი დამკვეთებსა და აუდიტორიას შორის, რომელზე ზემოქმედების მიზნითაც განხორციელდა ტერორისტული აქტი.

მკვლევართა აზრით, უმეტეს შემთხვევაში, ტერორისტები ერთდროულად რამდენიმე მიზანს ისახავენ. მაგალითად, პალესტინური "ჰამასი", ერთი მხრივ, მოქმედი რეჟიმის შეცვლის მიზნით, პალესტინის ავტონომიის ხელისუფლებას ებრძოდა, მეორე მხრივ კი, ტერიტორიული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, ისრაელის ოკუპაციის წინააღმდეგ გამოდიოდა. "ალ-ქაიდა" კი სამ ძირითად მიზანს ისახავს: პირველ რიგში, ისლამის ხალიფატის შექმნას (თანამედროვე მუსლიმური ქვეყნების მთავრობების ჩამოგდება), მეორე - ისრაელის განადგურებას და "კაფირების" (არამუსლიმების) განდევნას ოკუპირებული ისლამური ტერიტორიებიდან და მესამე - ევროპის, ამერიკის და სხვა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლას.

ყველაზე სწრაფი განვითარება ტერორიზმმა მიიღო XX საუკუნის 60-იან წლებში, როცა მსოფლიოს რეგიონები ზონებად და კერებად იყო დაფარული აქტიური, სხვადასხვა თავისი ორიენტაციის ტერორისტული ორგანიზაციებითა და დაჯგუფებებით.

1968 წლიდან 1980 წლამდე იყო ჩადენილი 6 700 ტერორისტული აქტი, რის შედეგადაც დაიღუპა 3 668 და დაშავდა 7 474

ადამიანი. დღეს ეს ციფრები კატასტროფულად იზრდება. მარტო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა 2000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ტერორიზმმა მიიღო საერთაშორისო და გლობალური ხასიათი. შედარებით ადრე ტერორიზმზე შეიძლებოდა საუბარი როგორც ლოკალურ მოვლენაზე, მაგრამ XX საუკუნის 80-90-იან წლებში ის უკვე მსოფლიო მაშტაბის პრობლემა გახდა.

მეცნიერები გამოყოფენ ტერორიზმის რამდენიმე მიმდინარეობას: პირველი - იდეოლოგიური ტერორიზმი, როცა რომელიმე პოლიტიკური იდეოლოგია იდეენება ან პოლიტიკური ზეწოლის ქვეშაა. მეორე - ეთნიკური ტერორიზმი, როცა სუბიექტია ეთნიკური თემი, რომელსაც უარი ეთქვა ეთნო-პოლიტიკურ თვითგამორკვევაზე. ასეთ შემთხვევაში ეს ჯგუფი ერთადერთ ხსნას ტერორიზმში ხედავს. ამის მკაფიო მაგალითია ბასკები (ეტა), სიცილიელი სეპარატისტები, ირლანდიელები, ქურთები, პალესტინელები, ჩეჩნები და სხვ. მესამე - რელიგიური ტერორიზმის დროს სუბიექტად გამოდის რელიგიური უმცირესობა ან რომელიმე რელიგიის აქტიური ავანგარდი. მეოთხე - კრიმინალური ტერორიზმი, განსხვავებით უბრალო ბანდიტიზმისგან, უფრო გლობალურ მოთხოვნებს აყენებს, ვიდრე უბრალოდ ფულის მიღებაა. მეხუთე - ინდივიდუალური ტერორიზმის სუბიექტი არა საზოგადოება, არამედ ცალკეული პირია. მეექვსე - ინფორმაციული ტერორიზმი, ტერორისტული საქმიანობის ყველაზე ახალი სახეობაა, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტულ სახელმწიფოსა და მსოფლიოს საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ გარემოზე სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების ზემოქმედებით.

ტერორისტული აქტების გამო ადამიანური და მატერიალური დანაკარგი შეიმჩნევა ჩრდილოეთ ირლანდიაში, ააშ-ში, რუსეთში, კენიაში, ტანზანიაში, იაპონიაში, არგენტინაში, ინდოეთში, პაკისტანში, ალჟირაში, ისრაელში, თურქეთში, ალბანეთში, იუგოსლავიაში, კოლუმბიაში, ირანსა და სხვა ქვეყნებში. ტერორისტული საქმიანობა თანამედროვე პირობებში ხასიათდება ფართო მაშტაბით, აშკარად გამოხატული სახელმწიფო

სახღვრების არყოფნით, უხილავი კავშირის არსებობით სხვადასხვა საერთაშორისო ტერორისტულ ცენტრებსა და ორგანიზაციებთან. ბოლო ათწლეულში საგრძნობლად აქტივიზირდა ისლამური ფუნდამენტალიზმიც.

ისლამური ფუნდამენტალისტების უძველეს გაერთიანებათ ითვლება „ძმები-მუსლიმები“, რომელიც 1928 წელს ეგვიპტეში დააარსა ხასან ალ-ბანამ. ამ ორგანიზაციის თავდაპირველი იდეას წარმოადგენდა სახელმწიფოს (ეგვიპტეს) მშიდობიანი ისლამიზაცია, რომელიც მოხერხდებოდა ბავშვების სათანადო აღზრდით, მუსლიმური ფასეულობების პროპაგანდით და ა.შ. 50-იან წლებში, როდესაც „ძმები-მუსლიმების“ იდეოლოგი გახდა სეიდ ალ-კურბი, ორგანიზაცია გადავიდა უფრო რადიკალურ პოზიციებზე და ჯიხადი გამოაცხადა თავის ძირითად ბრძოლის მეთოდად საერო სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ისლამური ტერორიზმი ძირითადად გავრცელდა XX ს. 80-იან წლებში, როდესაც ის ცალკობრივ გამოსვლებიდან გადაიქცა სოციალურ მოვლენად. მეტად ინტენსიურად ტერორისტული ორგანიზაციები ვითარდებოდნენ და მოქმედებდნენ შემდეგ სახელმწიფოებში: ალჟირში, ეგვიპტეში, ფილიპინებზე, ირანში, ერაყში, ტუნისში, ცირიაში, ავღანეთში, საუდის არაბეთში, პალესტინაში, ლიბანში, კავკასიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და შუა აზიაში.

70-ანი წლების ბოლოდან „ძმები-მუსლიმები“ აქტიურ მონაწილეობას დებულობენ ავღანეთის ომში, შემდეგ ამყარებენ მჭიდრო თანამშრომლობას იუგოსლავიის და ალბანეთის მუსლიმ მოსახლეობასთან, იწყებენ დახმარების გაწევას პაკისტანის ექსტრემისტულ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც იბრძოდნენ კაშმირში. შედეგად, 80-იანი წლების ბოლოს, „ძმები-მუსლიმები“ გადაიქცნენ ყველა მუსლიმური ასოციაციის ისლამურ ორგანიზაციებად და ფაქტიურად, გახდა საერთაშორისო ორგანიზაცია.

ამ პერიოდისათვის თითქმის ყველა მასში შემავალმა მოძრაობებმა და ჯგუფებმა თავიანთ ერთიან იდეოლოგიად გამოაცხადეს ვაჰაბიზმი, რომელიც მათ, სამწუხაროდ, ისლამის ოფიციალურ მიმართულებიდან გადააქციეს სოციალ-პოლიტიკურ მოძრაობაში.

საბჭოთა კავშირის ავღანეთში საომარი მოქმედებების დროს (1979-1989 წწ.) „ძმები-მუსლიმებმა“ გაშალეს აქტიური მოღვაწეობა ამ ქვეყანაში, თან დახმარებას უწევს პაკისტანის, საუდის არაბეთის და აშშ სპეცსამსახურებს „სადეთო ომის“ წარმოებაში საბჭოთა არმიის წინააღმდეგ. მათი დახმარებით და მონაწილეობით მახლობელ აღმოსავლეთში დაარსდა ბანაკების სისტემა და სასწავლო ცენტრები ბოვეიკების მომზადებისა და ავღანეთში გაგზავნისათვის (8-15 ათასამდე). ავღანეთში აგრეთვე იბრძოდნენ ბოვეიკები სამხრეთ-დასავლეთ აზიიდან. ყველა მათგანმა ომის დამთავრებისა და თავის სახელმწიფოებში ჩასვლის შემდეგ შეინარჩუნა კავშირი ავღანეთის, პაკისტანის და არაბეთის ისლამურ ცენტრებსა და ფონდებთან, რომლების მეშვეობით დაიწვეს იარაღისა და ფინანსების მიღება ადგილზე საბრძოლო ჯგუფების ფორმირებისათვის.

მრავალი მცირე რადიკალური ჯგუფი, რომელიც შეიქმნა 80-იან წლებში, მალე დისკრიდირებული იყო თავის სამშობლოში ტერორისტული საქმიანობის გამო და კავშირებით უცხო სპეცსამსახურებთან. მიუხედავად ამისა, 90-იანი წლების დასაწყისში სცენაზე გამოდის ახალი, მეტად აგრესიული მოძრაობა, რომლის იდეების გამტარებელი იყო იგივე კუტბა. ამ მოძრაობის ბირთვის წარმოადგენდა „არაბეთის ავღანელები“, მოხალისეები, რომლებიც იბრძოდნენ ავღანეთში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ.

1981 წლის ოქტომბერში თვით ეგვიპტის პრეზიდენტი საადათი გახდა „ჯიხადის“ ბოვეიკების მსხვერპლი. ტერორისტებმა შეასრულეს თავიანთი სულიერი ბრამა ლიდერის შეიხის ომარ აბდელ რახმანის მითითება, რომელმაც გამოუტანა განაჩენი სიკვდილით დასჯისა ისრაელთან მშვიდობიანი ზავის დადების გამო.

მსგავსი პროცესი ხდება მუსლიმური სამყაროს სხვადასხვა კუთხეებშიც. არაბეთის ქვეყნებში ექსტრემისტული ჯგუფების უმრავლესობა ჩნდება რადიკალების უკმაყოფილების ნიადაგზე, რომლებიც გამოდიან „ძმები-მუსლიმების ადგილობრივი ხელმძღვანელობის „ზედმეტი ზომიერების“ წინააღმდეგ. ასე მაგალითად, 1979-1980 წლებში პალესტინელი სტუდენტების მიერ ეგვიპტეში შეიქმნა „პალესტინის ისლამური ჯიხადი“ და „მუხამადის არმია“, რომელიც შეიქმნა იორდანიაში 1990 წ.

90-იან წლებში „ძმები-მუსლიმების“ „სავიზო ბარათი“ გახდა ეგვიპტეში თავდასხმები უცხოელ ტურისტებზე. მსგავსი თავდასხმები მოხდა 1993 წლის 4 თებერვალს (სამხრეთ კორეის ტურისტებზე) და 26 თებერვალს (3 უცხოელი იყო მოკლული, 18 დაიჭრა კაიროს კაფეში); 1993 წლის 8 ივნისს (დაიღუპა 6 ინგლისელი, 2 ეგვიპტელი, 15 დაიჭრა); 1993 წლის 27 დეკემბერს (დაიჭრა 7 ავსტრიელი, 8 ეგვიპტელი). ანალოგიური თავდასხმები გრძელდებოდა 1994-1999 წლებშიც ტურისტულ ავტობუსებზე, მატერებლებზე, საკრუიზო გემებზე ნილოსზე, კაფეებში, რომელთა ხშირი სტუმრები იყვნენ უცხოელები.

ახალი ფურცელი „ისლამური“ ტერორიზმის ისტორიაში გადაიშალა „მომსახურების ბიუროს“ (ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო მოხალისეების გადაგზავნა ავღანეთში არაბულ ქვეყნებიდან „სახვთო ომში“) შექმნით პაკისტანის პეშევარში. „ბიუროს“ დამაარსებელი იყო პალესტინელი „ძმები-მუსლიმების“ წარმომადგენელი პეშევარში აბდალა აზზამი და მსოფლიოში ცნობილი საუდის არაბეთის მილიონერი უსამა ბენ ლადენი.

„ბიუროს“ განყოფილებები იყო შექმნილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის ჩათვლით. ცნობილია, რომ ავღანეთში გაიარეს სწავლება 10 ათასზე მეტმა მოჯახედმა, რომელთა უმრავლესობა იყვნენ არა ავღანელები, არამედ საუდის არაბეთის, ალჟირის, ეგვიპტის, იემენის, პაკისტანის, სუდანის და სხ. მეკიდრნი. ამ დროს, როგორც ცნობილია, მოჯახედები სარგებლობდნენ ამერიკის აქტიური მხარდაჭერით. მათ შენახვასა და თანამედროვე იარა-

ლით („სტინგერების“), აღჭურვილობაზე ცრუ ხარჯავდა 500 მლ. წელიწადში.

1988 წელს ავღანეთში ბენ ლადენმა შექმნა ახალი ორგანიზაცია „ალ-კაიდა“ (ბაზა), რომლის ძირითადი მიზანი იყო „ჯიხადის“ გავრცელება მსოფლიოს სხვა რეგიონებში. საბჭოთა ჯარების ავღანეთიდან გასვლისთანავე ბენ ლადენმა დაბრუნდა საუდის არაბეთში, სადაც გამოვიდა მკაცრი კრიტიკით „ისლამის სახეთო მიწაზე“ ამერიკული ჯარების ყოფნით სპარსეთის ყურეში ომის დროს. 1994 წელს მოსახლეობის აჯანყებისაკენ მოწოდებისთვის სამეფო რეჟიმის წინააღმდეგ, მას ჩამოართვეს საუდის არაბეთის მოქალაქეობა და გამოაძევეს ქვეყნიდან. საუდის არაბეთი ხდება ვაჰაბიტების ცენტრი. 1996 წელს ბენ ლადენი დაბრუნდა ავღანეთში, სადაც ხელი-სუფლებლაში მტკიცდებოდა მოძრაობა „ტალიბანი“. ამ დროისათვის ვაშინგტონს დაუგროვდა სერიოზული პრეტენზიები თავის ყოფილ პროტექტსთან, რომელმაც ამერიკა გამოაცხადა მუსლიმური სამყაროს მთავარ მტრად. აშშ-მა ბრალდება წაუყენეს საუდის არაბეთში – ერ-რიადში (1995 წ. ნოემბერი) და დახრანში (1996 წ. ივნისი) ამერიკელი სამხედრო ბაზების დივერსიების ორგანიზაციაში. 1998 წ. თებერვალში ბენ ლადენმა გამოაცხადა „საერთაშორისო ისლამური ფრონტის ბრძოლის იუდეების და ჯვაროსნების“ შექმნა, რომელშიც შევიდა რამოდენიმე არაბული და პაკისტანის ტერორისტული ორგანიზაციები. ამავე წლის აგვისტოში აფეთქებული იყო ამერიკის საელჩოები კენიაში, ტონზანიაში, რაშიც აშშ-მა დაანაშაულა ბენ ლადენი.

ისლამისტების წარმატებები იმით აიხსნება, რომ ცივი ომის პერიოდში ისეთი ქვეყნების მთავრობა, როგორებიცაა ალჟირი, თურქეთი, იორდანია, ეგვიპტე, ისრაელი და ა.შ. ესალმებოდნენ ისლამური ჯგუფების მოღვაწეობას, მათში ხედავდნენ პროსაბჭოურ იდეებთან ბრძოლის იარაღს. ესეა კი, ეს იარაღი მათვე შეუბრუნდა. თავდაპირველად ისრაელის პოლიტიკოსები მხარს უჭერდნენ „ჰამას“ იმისათვის, რომ დაესუსტებინა არაფატის გავლენა, ამერიკელები ეხმარებოდნენ იარაღით ავღანეთის მოჯახედებს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, რითაც



ისარგებლა შემდგომში ბენ ლადენმა. ამერიკის იარაღი მიბრუნებული იყო დასავლეთისკენ.

საქართველო, ისევე როგორც აქ წარმოდგენილი სხვა ქვეყნები, ვერ ასცდა ტერორიზმის საფრთხეს.

საქართველოში ტერორისტული დანაშაულები ჯერ კიდევ მეფის რუსეთის პერიოდიდან ფიქსირდება. კომუნისტური საქართველოს სამართალწარმოებამ ტერორიზმით დაკვალიფიცირებული რამდენიმე ფაქტი შემოინახა. მათ შორის იყო 1961 წლის თებერვალში, თბილისში სტუმრად მყოფი ხრუშჩოვის ლიკვიდაციის მცდელობა. იმ დროს ტერორისტულ შეთქმულებაში ეჭვიმტანილი სამი პირი დააკავეს. გამოძიების მტკიცებით, ანტისაბჭოურად განწყობილ ეჭვიმტანილებს, შინაგანი და საგარეო პოლიტიკის შეცვლის მიზნით, საბჭოთა მეთაურის ლიკვიდაცია ჰქონდათ გადაწყვეტილი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კარგახნის მანძილზე, ქვეყანაში ტერორისტული დანაშაული ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რასაც ასეულობით ადამიანის სიცოცხლე თუ ჯანმრთელობა შეეწირა.

თუ 90-იანი წლების დასაწყისში ტერორისტული დანაშაულების ასპარეზი ძირითადად ქვეყნის დედაქალაქი იყო, მოგვიანებით, ამ დანაშაულმა ძირითადად პერიფერიებსა და კონფლიქტის ზონებში გადაინაცვლა. გამოძიებით ოფიციალურად დადასტურდა ისიც, რომ ტერორისტული აქტები სათავეს რუსეთში იღებდა.

შსს-ს ინფორმაციით, 2004 წელს განხორციელებული ტერორისტული აქტების მთელი სერია, რომელიც ძირითადად ოსი სეპარატისტების დაჯგუფებამ განახორციელა, რუსეთში დაიგეგმა და მათი მიზანი იყო, ზიანი მიეყენებინა საქართველოს ენერგოსისტემის, კავშირგაბმულობისა და სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებისთვის, რაც საბოლოოდ, ქვეყნის დასუსტებას ემსახურებოდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველო აქტუალური გახდა საერთაშორისო მასშტაბის ტერორიზმის კუთ-

ხითაც. საერთაშორისო ექსპერტების მტკიცებით, პანკისში, მსოფლიოში ცნობილი ყველაზე რადიკალური ტერორისტული დაჯგუფება „ალ-ქაიდას“ ბაზა იყო განთავსებული, სადაც მსოფლიოსთვის საშიშ ტერორისტებს ამზადებდნენ.

ცნობილი ფაქტია, რომ ტერორიზმი "ჭუჭყიანი" ფულით იკვებება. ექსპერტთა განცხადებით, წლების წინ ამ თვალსაზრისით პანკისის ხეობა და საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიები - აფხაზეთი და სამაჩაბლო ძალზე წარმატებულად გამოიყენებოდა. უცხოელ ექსპერტთა ინფორმაციით, ეს ტერიტორიები ძალზე მიმზიდველი უბანი იყო შავი ფულის გათეთრებისთვის. ექსპერტთა მასალების მიხედვით, "ჭუჭყიანი" ფულის ერთი ნაწილი პანკისის ხეობას თავშეფარებულ ტერორისტებს ხმარდებოდა.

დღემდე მხოლოდ ზედაპირული ინფორმაცია არსებობს იმის თაობაზე, თუ როგორ შედიოდა პანკისის ხეობაში ტერორისტების დასაფინანსებლად კოლოსალური თანხები. ოცდამეერთე საუკუნის დამდეგის ნებისმიერ საერთაშორისო ანგარიშსა თუ მოხსენებაში, რომელიც კი ტრანსნაციონალურ დანაშაულს ეხებოდა, პანკისის ხეობას მოიხსენიებდნენ, როგორც შავი ფულის წარმოქმნისთვის ხელსაყრელ ტერიტორიას, თუმცა, როგორ თეთრდებოდა იქ ადამიანის გატაცებით, ნარკოწარმოებითა და იარაღის კონტრაბანდით მიღებული შემოსავლები, ამის შესახებ ფართო საზოგადოებას არაფერი შეუტყვია, თუნდაც იმ უბრალო მიზეზიდან გამომდინარე, რომ ამ პროცესში არცთუ მეორეხარისხოვან როლს სწორედ ის მაღალჩინოსნები ასრულებდნენ, რომლებსაც ამ დანაშაულთან ბრძოლა უშუალოდ ევალებოდათ.

საქართველოში, კერძოდ ქვემო ქართლსა და პანკისის ხეობაში ვაჰაბიზმის ინტენსიურ გავრცელებაზე ბევრს საუბრობენ. საქართველოს აზერბაიჯანლები თუ ისლამის აღმსარებელი სხვა თანამოქალაქენი რელიგიურად არაერთგვაროვანნი არიან და ქვეყანაში არა მხოლოდ ვაჰაბიტური, არამედ თურქული, ირანული ისლამური ორგანიზაციებიც მოქმედებენ, რომელთა საქმიანობა ნაკ-

ლებად არის ცნობილი. მათი ნაწილი შიიზმის (ირანული ორიენტაციის) მიმდევარია, ნაწილი სუნიზმს (თურქულ ორიენტაციას) აღიარებს. ამ ორგანიზაციების თურქული, ირანული თუ არაბული სამყაროდან შემოსული წარმომადგენლები საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად ყოველ ღონეს ხმარობენ. ირკვევა, რომ რელიგიური ცოდნის მიღების მსურველი მუსლიმი ახალგაზრობის უმრავლესობა სასწავლებლად ირანში გამგზავრებას არჩევს.

საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ უცხოეთიდან ახალი, ისლამის სხვადასხვა მიმდინარეობის შემოსვლის, მოგვიანებით კი, მისი პოლიტიკური ბრძოლის იარაღად ქცევის პროცესი დაიწყო. ამას დაერთო რუსეთის მიერ საკუთარი ინტერესების განხორციელებისთვის ისლამური მოძრაობის წახალისებაც. გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთის კონფლიქტის დროს მუსლიმური პრობლემატიკის წამოწევა სწორედ რუსული სპეცსამსახურების მიერ იყო პროვოცირებული, მოგვიანებით კი კავკასიაში მუსლიმური აღმსარებლობა იქცა ერთი მხრივ ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მაკონსოლიდირებელ ფაქტორად და მუსლიმური ქვეყნებიდან მიღებული დახმარების გარანტად, მეორე მხრივ, ნეო-ისლამისტური და ტრადიციული მიმდინარეობების მომხრეთა შორის სერიოზული განხეთქილების მიზეზად.

კავკასიის ცალკეულ თემებში დაიწყო ისლამის გამაღებული პოლიტიზირება. მრავალ რეგიონში სახეზეა ფუნდამენტალიზმის ერთგვარი ნაირსახეობა. პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის სამსახურში ჩამდგარმა რელიგიამ საშუალება მისცა კავკასიით დაინტერესებული ქვეყნების სპეცსამსახურებს, აქტიურად ჩაერიონ მოვლენათა მსვლელობაში, პარალელურად, მცირდება ცალკეული დაპირისპირებების შიდა რესურსებით გადაჭრის შესაძლებლობა.

ექსპერტთა ნაწილი შენიშნავს, რომ კავკასიის რეგიონში განვითარებული დრამატული მოვლენები მეტწილად სწორედ სარწ-

მუნობრივ მომენტებს დაუკავშირდა. აქ, კავკასიაში ახალი სახით წარმოჩინდა ისლამის მეტროპოლი მიმართულებები, რომელნიც ზოგჯერ სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ფინანსდება და, თუ ეს პრობლემა დღემდე თვალშისაცემი ჩრდილოეთ კავკასიაში იყო, მისი კონტურები უკვე საქართველოს ზოგიერთ კუთხეშიც იკვეთება.

ტერორიზმის წინააღმდეგ ახალი გლობალური ომის ძირითადი წესების ირგვლივ შექმნილი თავდაპირველი გაურკვეველობა რეგიონული კონფლიქტების ესკალაციის წარმოქმნის რისკს ქმნის.

ადმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანში საქართველო განაპირა კავკასიური სახელმწიფოა და შესაბამისად, მისი მონაწილეობა გადამწყვეტია მილსადენების პროექტებში წარმატებისათვის. თუკი საქართველო ტერორიზმის ირგვლივ ატეხილ რეგიონულ ომში აღმოჩნდება ჩათრეული, ან რუსეთი საქართველოსგან პოლიტიკურ დათმობებს მიიღებს, მაშინ რუსეთი დე ფაქტო მოიპოვებს კონტროლს ადმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანზე და შედეგად ცენტრალურ აზიასა და კავკასიაზე. ამ პირობებში ძველ აგრესორებს შეუძლიათ "ტერორისტული მიდგომა" საკუთარი თავდასხმების გასამართლებლად გამოიყენონ. რუსეთი უკვე ცდილობს კავკასიაში ცივი ომის დასრულების შემდეგ დაკარგული გავლენის დაბრუნებას. მოსკოვსა და სხვა სახელმწიფოებს სჭირდებათ შესხენება, რომ ახალი ომი აშშ-ის ხელმძღვანელობით წარიმართება და ის არ იქნება ცივი ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის გადასინჯვის საშუალება. აშშ-ის მიერ „გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ ომის“ გამოცხადების შემდეგ, რუსეთი თავის დროზე აცხადებდა, რომ საქართველოს რუსეთთან თანამშრომლობა სჭირდება, რათა საზღვარზე მკაცრი კონტროლი უზრუნველყო და ჩეჩენი ტერორისტების მფარველობაზეც ხელი აეღო, განსაკუთრებით იმათი, რომლებსაც შეიძლება ოსამა ბინ ლადენის ქსელთან ჰქონდეთ კავშირები. რუსეთს ჰქონდა გეგმები საქართველოს ტერიტორიაზე

შეიჭრას იმ პირთა დასაკავეებლად, რომლებსაც "გლობალური ტერორიზმის" ნაწილად მიიჩნევენ.

რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში ფიქრობენ, რომ აშშ იმდენად არის დაკავებული საკუთარი ომით ტერორიზმის წინააღმდეგ, რომ ვაშინგტონმა შეიძლება კავკასიაში განვითარებულ მოვლენებს საკმარისი ყურადღება არ მიაქციოს. უფრო მეტიც, მოსკოვს სურს ცენტრალური აზიის ქვეყნების ავღანეთზე შეტევითების გამოყენების სანაცვლოდ, კავკასიაში გავლენის აღსადგენად აშშ-საგან გარკვეული თავისუფლება მიიღოს.

**სომხეთის სტრატეგიული ინტერესები საქართველოს  
შავიზღვისპირეთში**

1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსიის ნავსადგურში ინგლისელთა სამხედრო გემ აგამენონზე დაიდო დროებითი ზავი ანტანტის სახელმწიფოებსა და ოსმალეთს შორის. ზავის მე-11 და მე-15 მუხლები უშუალოდ ამიერკავკასიას ეხებოდა. მე-11 მუხლით ოსმალეთს გაჰყავდა თავისი ჯარები დაღესტნის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიებიდან, მათ ადგილს ინგლისელები იჭერდნენ, ხოლო მე-15 მუხლით ამიერკავკასიის დიდი ქალაქების ოკუპაცია, მათ შორის ბათუმისა და ბაქოსი ინგლისელთა პრეროგატივა ხდებოდა (სვანიძე, 2002, 279).

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ მრავალი საკითხი დაგროვდა. გადასაწყვეტ პოლიტიკურ საკითხთა შორის გამოკვეთილი ადგილი ეჭირა კავასიის ახლებურად მოწყობის პრინციპთა შემუშავებას. გამარჯვებული სახელმწიფოები მას სხვადასხვა კუთხით განიხილავდნენ. ინგლისის პოლიტიკურ წრეებში გამოიკვეთა ორი პოზიცია: პირველი, გავლენის სფეროების გაყოფა რუსეთთან, რითაც ამიერკავკასია ჩაითვლებოდა რუსეთის სამფლობელოდ, მეორე, ამ რეგიონში უშუალოდ ინგლისის პროტექტორატის დამყარება. თავისებური იყო ამერიკელთა პოზიციაც, რომლებიც ფსონს ძირითადად სომხებზე აკეთებდნენ (ზოსიძე, 1995, 65). რაც შეეხება ოსმალეთს, მის დიდ გეგმებს ომში დამარცხებამ ფრთები შეუკვეცა. მოკავშირეთა ჩანაფიქრით თურქეთის იმპერიის ნანგრევებზე სხვადასხვა დიდი თუ პატარა სახელმწიფოები უნდა შექმნილიყო. ამერიკელთა მხარდაჭერით შეიქმნა დიდი სომხეთის პროექტი; ინგლისელთა გავლენას დაემორჩილა ნავთობით მდიდარი მოსულის რაიონი; მათ კონტროლქვეშ მოექცა სამსუნი და ტრაპიზონი, რომელთა ტერიტორიაზე განზრახული იყო პონტოს სახელ-

მწიფოს შექმნა; იტალიელებმა ანატოლია, ხოლო ფრანგებმა ადანას ოლქი და მიმდებარე რაიონები დაიკავეს. ინგლისის აგენტურის მხარდაჭერითა და ხელმძღვანელობით დაიწყო აჯანყებისათვის სამზადისი ქურთისტანში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად. შეიძლება ითქვას, რომ ოსმალეთის სახელმწიფოს ყოფნაარყოფნის საკითხი დაისვა (სვანიძე, 2000, 133-134).

1919 წლის 18 იანვარს პარიზში მუშაობას შეუდგა სამშვიდობო კონფერენცია. სხვადასხვა საკითხთა შორის, რომელიც ახალი მსოფლიო წესრიგის ძირითად კომპონენტებს შეადგენდა, მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრეობის გადანაწილებისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების პრობლემატიკის განსჯაც.

კონფერენციაზე თავიანთი ინტერესების წარსადგენად გაემგზავრა ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოს დელეგაცია. მათი ინტერესები მხოლოდ ერთ საკითხში იყო თანხვედრილი-რამენაირად მიეღწიათ ევროპის წამყვან სახელმწიფოთა მიერ მათი დამოუკიდებლობის დე იურედ აღიარებას. ეს კი გარკვეულწილად უზრუნველყოფდა უცხო სახელმწიფოთა მიერ, მათ შორის, საბჭოთა რუსეთის მხრივ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ხელყოფის მიზნით სამხედრო ესკალაციის თავიდან აცილებას.

საქართველოს მთავრობამ ქართული დელეგაციისათვის შეიმუშავა მოქმედების ინსტრუქცია, რომელშიც გამოკვეთილი სახე მიეცა სომხეთთან ურთიერთობის დარეგულირებისათვის საჭირო მოთხოვნებს. ქართველ პოლიტიკოსთა დიდ ნაწილს მართებულად მიაჩნდა რომ მომავალი სომხეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ტერიტორიული გაფართოება უნდა მომხდარიყო ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრეობის ხარჯზე. მხოლოდ ეს თუ შეაჩერებდა სომხეთის არამოტივირებულ პრეტენზიებს საქართველოს ცალკეული ტერიტორიების მიმართ. სომხეთ-საქართველოს ურთიერთობებში ტერიტორიულ საკითხებში განსხვავებულმა პოზიციებმა გამოკვეთილი სახე მიიღო

1918 წლის მარტში ტრაპზონის საზავო კონფერენციაზე. თუმცა მაშინ რაიმე სახის გართულებებში იგი არ გადაზრდილა; როგორც საქართველო ასევე სომხეთიც იმუამად სხელმწიფოებრივი სტატუსის მქონე სუბიექტებსაც კი არ წარმოადგენდნენ. უფრო მეტიც, ეს წინააღმდეგობები ჩაიხლართა რუსეთ – გერმანიისა და მისი მოკავშირე თურქეთის წინააღმდეგობებისა და ინტერესთა გადაკვეთის საერთო რგოლში. ამიტომაც განვლილი პერიოდის სირთულეების მეტნაკლედ გათვალისწინებით საქართველოს დელეგაციის პარიზში სამოქმედო პროგრამაში ჩაიწერა, რომ „ჩვენი მიზანი უნდა იყოს ორი სომხეთის – ოსმალეთისა და რუსეთის შეერთება. უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება საოსმალლო სომხეთისაკენ გადაიხაროს პოლიტიკურმა ცენტრმა. ჩვენ ამ მიზნით იმაშიც უნდა დავეხმაროთ სომხებს, რომ მათ გასავალი იპოვონ შავი ზღვის პირით. თუ ასე წავიდა საქმე, მაშინ სომხეთი აღარ მოაწვება საქართველოს და ადვილად გადაწყდება სომეხ-ქართველთა გამწვავებული ურთიერთობა” (ვაშაყმაძე, 2002, 91) როგორც ვხედავთ, საქართველოს მთავრობა რეალურად ხედავდა სომხეთის ორ მთავარ პრობლემას-დაქუცმაცებული და დაკარგული სომხური ტერტიტორიების გაერთიანებას და ზღვაზე გასასვლელი სივრცის მოპოვებას ოსმალეთის მემკვიდრეობის ხარჯზე.

პარიზში ჩასულ სომხეთის სამთავრობო დელეგაციას (ა. აგარონიანი; მ. პაპაჯანიანი; ა. ოგანჯანიანი) ადგილზე დახვდა ჯერ კიდევ 1912 წელს ენშიაძინის კათალიკოსის მიერ გაგზავნილი ეროვნული დელეგაცია, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ოსმალეთის იმპერიაში სომხეთის ავტონომიის მიღწევა (Качазнун, 1923, 34). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთი საერთო მიზნისათვის ჩასულ ამ ორ დელეგაციას შორის საკითხებისადმი დამოკიდებულებაში გარკვეულმა წინააღმდეგობებმაც იჩინა თავი. მართებულად აღნიშნავდა სომხეთის პრემიერ მინისტრი ო. ქაჩაზნუნი, რომ სომხეთის ორივე – რესპუბლიკური და ეროვნული დელეგაცია, რომლებიც ერთსადაიმთავრად ადგილას, ერთიდაიგივე მიზნისათვის იბრძოდნენ, ვერ ახერხებდნენ



შეთანხმებას და ერთმანეთს შორის უფლებამოსილებისათვის იბრძოდნენ (ვაშაყმაძე, 2002, 93). ინტერესმოკლებული არაა გავეცნოთ ორივე სომხური დელეგაციის 1919 წლის გაზაფხულზე პარიზში მოკავშირე სახელმწიფოთა წინაშე წარდგენილ მემორანდუმს, სადაც მთავარ საკითხთან ერთად (ბრძოლით მოპოვებული სომხეთის დამოუკიდებლობის ცნობა - ნ.ზ.), ხაზგასმითაა აღნიშნული: „სომხეთის სახელმწიფო თავისი მომავლის უზრუნველსაყოფად საჭიროებს იქონიოს ზღვისკენ გასავალი, ურომლისოდაც ჩვენი ერი ყოველმხრივ გარშემორტყმული ევროპის კულტურის სამტრო ელემენტებით, ვერ უზრუნველყოფს ვერც მშვიდობას, ვერც თავისი ერის კულტურულ-ეკონომიკურ წარმატებას” (ვაზ. „სახალხო საქმე”, 1919, №502). მემორანდუმის მიხედვით სომხეთის მომავალ სახელმწიფოში უნდა შესულიყო ოსმალეთის იმპერიის 7 ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული: ვანის, სივასის, დიარბექირის, ბითლისის, ერზურუმის, ხარფუთის და ტრაპეზუნდის. ტიგროსის სამხრეთითა და ორდუ – სივასის ხაზის დასავლეთით მდებარე ოლქების გამოკლებით. ამას ემატებოდა კილიკიის 4 სანჯაყი: მარაში, სისი, ჯებელ-ბერკეტი და ადანა ალექსანდრეტაი (*Армянский вопрос...*, 1919, 7; ვაშაყმაძე, 2002, 94). ქართული საზოგადოება სკეპტიკურად შეხვდა სომხური მემორანდუმის მოთხოვნებს. ეს კარგად აისახა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ზურაბ ავალიშვილის შეფასებაშიც: „დიდი სომხეთი, გასასვლელი ხმელთაშუა ზღვაში. აი ზმანება, რომელსაც თითქოს აქეზებდა დიდი სახელმწიფოები, რომელსაც კურთხევას უგზავნიდა, როგორც მაშინ ეგონათ ყოველისშემძლე პრეზიდენტი ვილსონი. ამ წარმტაც ოცნებას შეუძლებელი იყო არ გადაებირებინა სომეხი ერის ცოცხალი მისწრაფებანი კავკასიის ორიენტაციიდან. სომხებს ეგონათ, თუმცა ასეთი აზრი თავიდანვე შემცდარი იყო, რომ ევროპა და ამერიკა, კონფერენცია და საერთოდ ყველა, ვინც კი განაგებდა მსოფლიო ბედს, განსაკუთრებულად მოეპყრობოდა მათ, და რომ მათი კითხვა არ შეიძლება გარეული ყოფილიყო მაგ. ქართულ კითხვაში და სხვა (ავალიშვილი, 1929, 191).

ერთ-ერთი სერიოზული მოტივაცია, რამაც ხელი შეუწყო დიდი სომხეთის პროექტის აქტიურ ანგაჟირებას წარმოადგენდა ე.წ. ამერიკული მანდატი. როგორც ცნობილია, პირველი მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე ანტანტის სახელმწიფოთა შორის დადებული საიდუმლო შეთანხმებით გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ, სხვა ტერიტორიებთან ერთად, ოსმალეთის იმპერიაც პირობითად დაიყო გავლენის სფეროებად. თავისი წილი ეკუთვნოდა რუსეთსაც. რუსეთში შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, ბოლშევიკურმა გადატრიალებამ და ომიდან გამოსვლამ, დღის წესრიგში დასვა თურქეთის ტერიტორიაზე განპირობებული რუსეთის წილის მომავალი მეპატრონის საკითხი. როგორც გახეთი „ერთობა“ აღნიშნავდა, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ამერიკის შეერთებული შტატები განიმსჭვალა სიბრალულის გრძნობით ღტოლვილ სომეხთა მიმართ და არცთუ ისე უანგარო ინტერესებით თურქეთისა და ამიერკავკასიის ტერიტორიებისადმი. რუსეთის თამაშიდან გასვლამ მოკავშირეებს მისცა საშუალება დაეკმაყოფილებინათ ომში გვიან ჩართული ამერიკის მოთხოვნები (გახეთი „ერთობა“, 1920, №267). ამერიკაში სომხეთის ღობად თვით პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი მოგვევლინა. „დიდი სომხეთის“ პროექტი ითვალისწინებდა ახალ სომხური სახელმწიფოს ფორმირებას სამ ზღვაზე გასასვლელით. ეს იყო დროსა და სივრცეში გადაჭიმული ვირტუალური ტერიტორიები, რომლის წიაღსვლები საუკუნეებში იკარგებოდა.

პარიზის საზავო კონფერენციის მსვლელობისას აქტიურ თემად იქცა საქართველოს ისტორიულ მიწებზე სომეხთა პრეტენზიები. სტრატეგიულ ინტერესთა შეჯახებები განსაკუთრებით გამოიკვეთა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებთან მიმართებით, რომლის ეპიცენტრს წარმოადგენდა ქ. ბათუმი და მისი შემოგარენი. შავ ზღვაზე სომხური სივრცის ძიება საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების შევიწროების მცდელობის თანმხვედრ პროცესებად იწყებდა ტრანსფორმირებას. ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესოა ლონდონისა

(1920 წლის თებერვალ-აპრილი) და სან-რემოს (1920 წლის 16-26 აპრილი) კონფერენციები. პოლიტიკურ ვნებათღელვის ეპიცენტრში მოექცა ქალაქი ბათუმი. ინგლისის დელეგაციის ინიციატივით გადაწყდა ქალაქ ბათუმის გარკვეული ნაწილისა და მიმდებარე ტერიტორიის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადება (ავალიშვილი, 1929, 200-201). იდგის ავტორთა აზრით, თავისუფალ ეკონომიკურ ზონას უნდა დაეკმაყოფილებინა სომხეთისა და აზერბაიჯანის სასიცოცხლო მოთხოვნილებები. ახალი სომხური სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრები თავისთავად ითვალისწინებდა ფართო საზღვაო გასასვლელს. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც ბათუმის ოლქის საკითხის განხილვისას გამოდიოდა როგორც სომხეთის, ასევე ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტერესებიდან. კომისიის დასკვნით უნდა გადაჭრილიყო ისეთი საკითხები, როგორცაა ბაქოს ნავთობის ექსპორტი, ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ჩართვა სპარსეთის სატრანზიტო მაგისტრალში, სომხეთის ინტერესების გათვალისწინება და ა. შ. (ავალიშვილი, 1929, 201; ზოსიძე, 1995, 106).

ლონდონის კონფერენციაზე შემუშავებული ვარიანტით ბათუმის ოლქი იყოფოდა სამ ნაწილად: ბათუმი და მიმდებარე ტერიტორია ჭოროხის შავ ზღვასთან შესართავით ცხადდებოდა თავისუფალ ეკონომიკურ ზონად, ართვინის რაიონი სომხური სახელმწიფოს ადმინისტრაციულ საზღვრებში ექცეოდა, დანარჩენი კი საქართველოს გადაეცემოდა (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №108). ოლქის ასეთი დაყოფით სომხეთს ექნებოდა შესაძლებლობა ართვინიდან გაეყვანა რკინიგზა ჭოროხის სანაპიროს გასწვრივ, პირდაპირ ბათუმის საზღვაო პორტამდე. ამრიგად, ძველ ქართულ ისტორიულ ტერიტორიებზე ხორციელდებოდა ეკონომიკური პროექტები, რომლითაც საქართველო მთლიანად ზარალდებოდა. საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების აშკარა იგნორირებით საზავო კონფერენცია ამიერკავკასიის საკითხის რეალური მოწესრიგების სფეროდან მიდიოდა გამოუვალი ჩიხისაკენ. ლონდონის კონფერენცია-

ზე საქართველოს ეროვნული ინტერესების იგნორირებით, ევროპის სახელმწიფოების მცდელობა დაენაწილებინათ ბათუმის ოლქი, ავანტიურად უნდა მივიჩნიოთ (ზოსიძე, 1995, 106). ლონდონის კონფერენციამ მუშაობა ისე დაასრულა, რომ ამ საკითხზე რაიმე რეალური გადაწყვეტილება არ გამოუტანია.

სან-რემოს კონფერენციაზე განსჯის მთავარ საკითხად კვლავ სომხეთის რკინიგზა და ზღვაზე გასასვლელის ძიება იყო. საქართველოს მხარემ კონფერენციას შესთავაზა კომპრომისული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებს ეზღუდებოდათ მუდმივი საკუთრებრივი უფლები სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე; სამაგიეროდ, საქართველო სომხეთსა და აზერბაიჯანს ბათუმის საზღვაო ნავსადგურსა და შიდასამეურნეო მაგისტრალებს, სთავაზობდა შეღავათიანი პირობებით, რითაც გამოირიცხებოდა მათი ეკონომიკური შეზღუდვები. ამ მხრივ ვერც სან-რემოს კონფერენციამ მიაღწია რაიმე რეალურ შედეგს. იმავდროულად ინგლის-რუსეთის დაახლოებამ ეს საკითხები ნაკლებად მიმზიდველი გახადა.

სამწუხაროდ, სომხეთის წამყვანი პოლიტიკური ძალები მოექცნენ რა მოკავშირე სახელმწიფოთა და, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის გადაჭარბებულ ილუზიებში, იგნორირება გაუკეთეს მეზობელ სახელმწიფოთა კანონიერ ინტერესებს. 1919-1920 წლების ევროპის არენაზე გამართულ საერთაშორისო კონფერენციებზე, სხვათა ინტერესების შეზღუდვის ხარჯზე, სომხეთის დელეგაცია საკმაოდ თამამი მოთხოვნებით გამოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მხარე თანახმა იყო დაეთმო სომხეთისთვის შავ ზღვაზე გასასვლელი, ეს უკანასკნელი კი სომხეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარს ხან მდინარე ჭოროხზე ავლებდა, უკეთეს შემთხვევაში კი ითხოვდა სომხეთის ბათუმთან დამაკავშირებელ მომავალი რკინიგზის მის საკუთრებაში აღიარებას. ცხადია, ამას ქართული მხარე ვერ დათანხმდებოდა. ევროპის სუბიექტურმა მედიატორობამ არათუ სომხეთ-საქართველოს, არამედ სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებიც ვერ და-

არეგულირა. სომხეთი თვითიზოლაციაში მოექცა, რის შედეგიც იყო ის, რომ მუსტაფა ქემალის თურქეთის მიერ 1920 წლის ნოემბერში წამოწყებულ ომში სომხეთს ფაქტობრივად არავინ გამოესარჩლა, გარდა რუსეთის მთავრობისა. რუსეთის გამოსარჩლება კი ძალიან ძვირადღირებული იყო. იგი სომხეთს ტერიტორიებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის ფასად დაუჯდა.

დღეს ქართულ პოლიტიკაში აქტიურობის მაღალ ხარისხშია წარმოდგენილი ერევან-ბათუმის დამაკავშირებელი სატრანზიტო მაგისტრალის მშენებლობის პროექტი, რომელიც ახალქალაქ-ახალციხე-ზემო აჭარაზე გავლით უნდა განხორციელდეს. უახლესი ისტორიის უემოციოდ განსჯა და კავკასიის რეგიონში საქართველოსა და მეზობელ სახელმწიფოთა გეოსტრატეგიული ინტერესების რეალურად შეფასება არის ერთადერთი გამოსავალი, რათა მეგობრობის გზებს დანიშნულება და პროფილი არ შეეცვალოს.

**Nugzar zosidze**

**Strategic interests of Armenia at the Black  
Sea coast of Georgia**

**Summary**

Armenia by compromises could solve problems of borders and disputable territories, but did not make concessions. The republic government rested the big hopes upon allies. Representatives of ruling circles of Armenia counted on support of the president of United States of America Вудро Вилсона (the question of an establishment of the American mandate over Armenia at this time was actively discussed) because of what with the next state have ceased to be considered, and at the international conferences in Paris, London and San Remo began to enter with requirements.

In relations with Georgia Armenia was not satisfied with a guarantee on which could have an exit to Black sea. It that proposed a border establishment between Armenia and Georgia on the river Chorohi made the demand of the full control over the railway connecting Armenia and Batumi. The Georgian party has not satisfied the requirement of Armenia and as a consequence, the contract between the states has not been signed. Territorial claims of Armenia to the Georgian democratic republic at the international level have not been considered. As a result, Armenia has lost support of the next states and, in a consequence, after a problem with Georgia, it was got involved in the military conflict to Azerbaijan (summer of 1920).

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ავალიშვილი ზ. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1929.
2. ვაშაყმაძე ნ., სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში 1917-1921 წლებში, ქუთაისი 2002.
3. ზოსიძე ნ., პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წწ., ბათ., 1995.
4. თოიძე ლ., ინტერვენციაც<sup>^</sup> ოკუპაციაც<sup>^</sup> ძალდატანებითი გასაბჭოებაც<sup>^</sup> ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991.
5. ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.
6. სვანიძე მ., ოსმალეთი ისტორია, ტ. II, თბ., 2002.
7. სვანიძე მ., დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საქართველოსა და ქემალის თურქეთის მთავრობებს შორის, ქართული დიპლომატია, წელიწდეული ტ. VII, თბ., 2000.
8. Армянский вопрос перед Мирной конференцией, перевод с Армянского А. Качеджиева, Экатеринодар 1919.
9. Качазнун Ов., Дашнакцутюнб больше нечего делать, Зак...1923.
10. გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, №502.
11. გაზ. „ერთობა“, 1920, №267.
12. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №108.

## შ ო ნ ა ა რ ს ო

### ო ს ტ ო რ ი ა

<b>კახა სურგულაძე</b> ციცრეონი და ანტონიუსი.....	5
<b>ირაკლი მანველიძე</b> განმათავისუფლებელი კომიტეტის ხედვა აჭარის სტატუსის შესახებ 1918-1921 წწ.....	17
<b>ნუგზარ ზოსიძე</b> საქართველო-სომხეთის წინააღმდეგობები ტრაბზონის საზავო კონფერენციაზე.....	35
<b>ლაზბა ნატალია</b> პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა ლიბანში.....	49
<b>იზოლდა ბელთაძე</b> ებრაელთა მდგომარეობა საფრანგეთსა და ინგლისში შუა საუკუნეების ეპოქაში.....	55
<b>ემზარ მაკარაძე</b> მუსტაფა ქემალ ათათურქი და ნაციონალიზმი .....	64
<b>ბესიკ ბერიძე</b> მსოფლიო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები.....	72
<b>გურამ ხაჯიშვილი</b> მესამე დასისა და „რევოლუციონერ სოციალ-დემოკ რატიული დასის“ დაპირისპირება ბათუმში 1901-1902 წწ.....	79
<b>ეთერ ბერიძე</b> სვეტი და პეტრული.....	88
<b>ირაკლი გორგილაძე</b> თურქეთის ტრანსკასპიური პოლიტიკა.....	105



**კ უ ლ ტ უ რ ა**

**ირმა ბაგრატიონი**

ესთეტიკური ეტიუდები რომაული ხელოვნების  
ისტორიაში ..... 112

**ერმილე მესხია**

დასავლური მასობრივი კულტურა და ეროვნული  
ცნობიერების პრობლემები..... 118

**ირმა ბაგრატიონი**

ხელოვნების ისტორიის ადრექრისტიანული ასპექტები..... 124

**შ უ რ ა ნ ლ ი ს ტ ი კ ა**

**ირინე ცინცაძე**

გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიის კვალდაკვალ ..... 130

**ფ ი ლ ო ლ ო ბ ი ა**

**ელზა ფუტყარაძე**

აქვს, ჰყავს ზმნათა უღლეების თავისებურებანი საშუალო  
ქართულში ..... 135

**ქეთევან შოთაძე**

სიყვარულის ფენომენის ასპექტები რევაზ ინანიშვილის  
პროზაში ..... 143

კონვენციისა და რეგულაციის მოხსენებათა მასალები

**მალხაზ სიორიძე (ბათუმი)**  
აბელ სურგულაძე – ადამიანი და მეცნიერი..... 151

**ქეთი ჯიჯეიშვილი (თბილისი)**  
ევროატლანტიკური ინტეგრაცია და საინფორმაციო ომი  
საქართველოს წინააღმდეგ ..... 159

**რეზო მანველიძე (ბათუმი)**  
მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო ..... 166

**ირაკლი მანველიძე (ბათუმი)**  
საქართველო რუსეთსა და დასავლეთს შორის..... 175

**თენგიზ გრიგოლია (თბილისი)**  
საქართველო – ევროკავშირის სტატეგიული პარტნიორი და  
მოკავშირე..... 183

**ეთერ ბერიძე (ბათუმი)**  
საქართველო-თურქეთის კულტურული ურთიერთობების  
ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე ეტაპზე ..... 190

**ეკუა შუბითიძე (თბილისი)**  
ევროინტეგრაციისა და „ევროპოლოგიის“ განვითარებაში  
შეტანილი ქართული წვლილი..... 200

**იზოლდა ბელთაძე (ბათუმი)**  
ინგლისის სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა  
ნიდერლანდებთან XV-XVI სს..... 206

**ემზარ მაკარაძე (ბათუმი)**  
თურქეთ-საქართველოს ურთიერთობა თანამედროვე  
ეტაპზე..... 206

**Nebi GÜMÜŞ (Turkey)**  
ABAZA KORSANLARINA KARŞI MÜCADELEDE  
OSMANLI-GÜRCÜ İTTİFAKI (16. Yüzyıl)..... 212

**მერაბ მეგრელიშვილი (ბათუმი)**  
**თამაზ ფუტყარაძე (ბათუმი)**  
თურქეთში ქართული ლეგიონის ისტორიისათვის..... 219

<b>Надежда Емельянова (Россия)</b>	
<b>ЧАСТНЫЕ ШКОЛЫ В ТУРЕЦКОЙ ОБРАЗОВАТЕЛЬНОЙ СИСТЕМЕ</b> .....	224
<b>მანუჩარ ლორია (ბათუმი)</b>	
NATO და საქართველო .....	244
<b>ნატო ღაზბა (ბათუმი)</b>	
ისლამური ტერორიზმი და საქართველო .....	250
<b>ნუგზარ ზოსიძე (ბათუმი)</b>	
სომხეთის გეოპოლიტიკური ინტერესები საქართველოს შავიზღვისპირეთში 1918-1920 წლებში .....	262
<b>შინაარსი</b> .....	272



## გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)